

ჩ ე ზ ა რ პ ე ტ რ ე ს კ უ

ფ რ ა მ ი ა მ ბ ა ვ ი თ ე თ რ ი დ ა თ ვ ი ს ა

I. სტრუქტურის ცირკის გამოსათხოვარი წარმოდგენა

ვეფხვები არენაზე სათითაოდ, ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ. ხავერდით რბილ თათებს სილაზე მსუბუქად და უხმაუროდ აბიჯებდნენ. ყვითელი, შუშისებური თვალები გარინდებოდათ.

გაჭედული პარტერიდან სულგანაბული და შეშფოთებული ხალხი მოუთმენლად ადევნებდა თვალს მათ მოძრაობას.

ბენგალიურ ვეფხვებს კი ისინი შეხედვის ღირსიც არ გაუხდიათ, მათთვის არსებობდა ერთადერთი ადამიანი, რომელიც შუა არენაზე იდგა და ათასნაირად მბრწყინავი ქვებით მოოჭვილი ოქროსფერი კაბა ეცვა.

მწვანე თვალებში ქალს ვეფხვების თვალთა ცეცხლი ენთო, ოღონდ მას მბრძანებლური და შეუბრალებელი გამოხედვა ჰქონდა, მხეცთა თვალებში კი დადლილობა და მორჩილება იხატებოდა.

ადამიანისა და მხეცების მზერა ერთმანეთს ეძებდა, ელოდა და ხვდებოდა, ეს კმაროდა, ვეფხვებს ესმოდათ ქალის, ქალს — ვეფხვებისა.

მომთვინიერებლის გამგმირავ გამოხედვაზე მხეცები მორჩილად ხრიდნენ თვალებს. აბრეშუმისფუნჯიანი შოლტი ყველა მხეცს თავის ადგილს მიუჩენდა.

— შენ აქეთ!.. შენ უფრო ახლოს!.. შენ იქით!..

ვეფხვებიც გრძელი და მძიმე კუდების ქნევით, მსუბუქი ნაბიჯებით უახლოვდებოდნენ ბურთებს და მორჩილად იკავებდნენ თავთავიანთ ადგილს.

აქეთ-იქით ექვს-ექვსი უზარმაზარი ხის ბურთი იყო ჩამწკრივებული.

განაპირა ვეფხვი ბურთს თათით შეეხო, მერე მსუბუქი, ნარნარი ნახტომით ზედ მოექცა, დანარჩენების მოლოდინში მთქნარებას მოჰყვა, ეკლებივით უღვაშები გაფარჩხა და სასა და ბასრი კბილები გამოაჩინა.

მაყურებელს გული გაეწურა: ყველამ იცოდა, ამ ბასრ კბილებს, თუ რკინისბრჭყალებიან თათებს ერთ წამში შეეძლოთ, ბელურასავით გაეჭყლიტათ და ნაკუწ-ნაკუწად ექციათ ოქროსფერკაბიანი ქალი.

მის ელიანი კი იღიმებოდა, ვითომც აქ არაფერიაო.

ქალი მარტოდმარტო იყო მტაცებელთა შორის. მას არ ჰქონდა არავითარი იარაღი აბრეშუმისფუნჯიანი შოლტისა და გამგმირავი გამოხედვის გარდა.

მაგრამ ესეც კმაროდა, რომ თორმეტი ბენგალიური ვეფხვი თორმეტ მორჩილ, თვითნიერ კატად ქცეულიყო.

— მომთვინიერებლის მთელი ძალა თვალებშია, — უთხრა შვილიშვილს ცხაურს იქით მჯდომმა ხანში შესულმა კაცმა, — საკმარისია, ქალმა მზერა

მოწყვიტოს, ვეფხვებმა იგრძნონ, მწვრთნელი შეყოვნდა, ან ჩვენი შეეშინდაო, რომ იმავე წუთს ეცნენ და...

— ასე ნუ ლაპარაკობ, პაპა, მეშინია... ძალიან მეშინია! — ჩურჩულებდა გოგონა და პაპას ეკვროდა.

— სსუ... ჩუმად...

ყველა გაიტრუნა. ქერაკულულებიანი, ცისფერთვალება გოგონა უფრო მაგრად მიეკრა მოხუცს. გოგონას საკუთარი გულის ცემა ესმოდა.

ხის ბურთებზე წამომჯდარი თორმეტი ბენგალიური ვეფხვი დამაბული უცდიდა მის ელიანის თვალთა ბრძანებას.

ცირკის გუმბათიდან თვალისმომჭრელი სინათლე იღვრებოდა. გვერდიგვერდ მჯდომი ორი ათასამდე კაცი გაქვავებულიყო.

ჭრელი მაყურებელი — მოხუცები და ახალგაზრდა ქალები, მოწაფეები და მასწავლებლები, დიდი თუ პატარა ერთმანეთისაგან მხოლოდ ბილეთის ფასით და სკამთა რიგით განირჩეოდნენ; ზოგნი ქანდარაზე, ზოგნი კი ცხაურს გარშემო წითელპლუმგადაკრულ სავარძლებში ისხდნენ.

ყველას დავიწყებოდა შინაური საზრუნავი, ყოველდღიური წვრილმანი სიხარული თუ წყენა და თვალმოუშორებლივ მისჩერებოდნენ არენას.

რომელ მათგანს არ შეშინებია ქუჩაში კუდაპრეხილი ფინიის ანაზდელულ შეყეფაზე? ვინ არ შემკრთალა ავეჯის უცნაურ ჭრაჭუნსა თუ კარადის ქვეშ თავის მძივივით შავი თვალების დანახვაზე?

ეს შიში ახლა ყველას სასაცილოდ ეჩვენებოდა და თავი რაღაც საოცრების, არაჩვეულებრივის მონაწილედ წარმოედგინათ.

თორმეტი მოთვინიერებული მხეცი მორჩილებდა ერთი ქალის გამოხედვას და აბრეშუმისფუნჯიანი შოლტის ტკაცუნს.

სიჩუმეს არაფერი არღვევდა, არც პროგრამის შარიშური, არც საუბარი, არც ხველება და არც სკამთა ჭრიალი.

მის ელიანი და თორმეტი ბენგალიური ვეფხვის გამოსათხოვარი წარმოდგენა.

ასე იყო დაბეჭდილი პროგრამაში

ხვალ საცირკო კარავი აიყრება, მხეცებს თეთრი ვაგონით სხვა ქალაქს გაამგზავრებენ. შესაძლოა, უკან აღარასოდეს დაბრუნდნენ. მათ აქ ყოფნას ქალაქგარეთ ბადის მახლობლად უკაცრიელი ადგილითლა თუ გაიხსენებენ.

უფროსები ყოველდღიურ საქმიანობას და საზრუნავს მიუბრუნდებიან, ბავშვები კი — ქეჩის, პლუშისა და შედებილი ხის სათამაშო ცხოველებს.

ბიჭებს ისევ გაიტაცებს თამაშობები და ჩქარა დაივიწყებენ, რომ ამქვეყნად არსებობენ ულამაზესი გარეული ცხოველები, რომელთაც აქვთ ყვითელი, შუშისებური თვალები, ხავერდით ბეწვი და ელვისებური ნახტომი. მშიშარა გოგონები ისევ შეკრთებიან კუდაპრეხილი ფინიის შეყეფასა და თავის დანახვაზე.

ამიტომ შეიკრიბნენ დღეს აქ გოგონები და ბიჭები, რომ გამოსათხოვარ წარმოდგენაზე ერთხელ კიდევ, უკანასკნელად ნახონ სტრუცკის ცირკის ორი საოცრება:

მის ელიანი თორმეტი ბენგალიური ვეფხვით და თეთრი დათვი ფრამი.

წრედშეკრული ვეფხვები თავიანთ ხის ბურთებზე იცდიდნენ.

ბრჭყვიალაკაბიანმა ქალმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

თორმეტივე ვეფხვი ერთნაირი გრაციოზული ნახტომით ქალის გვერდით გაჩნდა. მერე მის გარშემო დაწვნენ და თავები წინგაწვდილ თათებზე დაიწყვეს, მათი შემხედვარე იფიქრებდით, ქალის გარშემო გიგანტური, შავი ხავერდისზოლებიანი მზესუმზირა აყვავებულაო.

ქალი კმაყოფილი იყო თავისი ვეფხვებით და თავზე, რბილ ყურებსა თუ ნოტიო ცხვირ-პირზე მოფერებით უსვამდა ხელს.

ხანში შესული კაცის შვილიშვილს შერცხვა იმის გახსენებაზე, რომ მას თავისი ფისო პუფელეციც არ უჯერებდა.

წინა კვირას, შუა თამაშობისას, სრულიად უმიზეზოდ ლოყა დააკაწრა.

უკანა რიგში ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალემა ბიჭუნა ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ უკეთ დაენახა ყველაფერი.

ეს პეტრუშაა, ქალაქის ერთ-ერთი ქარხნის მუშის უმცროსი ვაჟიშვილი. იგი თავის ტოლებთან ერთად მთელ კვირას იყო ატუზული ცირკის შესასვლელთან და სულ კაპიკ-კაპიკობით დააგროვა ბილეთის ფული. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ახლა ცდილობდა არაფერი გამოჰპარვოდა, რაც არენაზე ხდებოდა. ყინვასა და თოვლ-ჭყაპში ტყუილად კი არ კითხულობდა გულდაგულ აფიშას, ან შურით ამაოდ როდი შესცქეროდა ცირკში შემავალ ხალხს? ბოლოს და ბოლოს ეღირსა შემოსვლა და როგორ არ გამოისხას ასი თვალი და ყური?

ვეფხვებით გარშემორტყმულმა მის ელიანმა ხელი მაღლა ასწია, ეს იმას ნიშნავდა, ვეფხვებს წამოდგომა შეეძლოთ, მერე შოლტი გაატკაცუნა, ვეფხვები თავიანთ ადგილებს უხმაუროდ დაუბრუნდნენ, ხის ბურთებზე წამოსხდნენ და ახალი ბრძანების მოლოდინში გაირინდნენ. ოქროსფერკაბიანმა ქალმა ქალღმადგადაკრული სალტე აიღო, რკინის კონკილაზე დამაგრებულ მეორე ასეთსავე სალტეს კი ცეცხლი მოუკიდა.

ისევ გაისმა შოლტის ტკაცუნა.

მხეცები პრიალა ბურთებს სცილდებოდნენ, რიგრიგობით ჯერ ქალღმადგადაკრულ სალტეში ხტებოდნენ, მერე, თითქოს ძირს ფეხსაც არ აკარებენო, ისე ნარნარად გადაჰქონდათ დაჭიმული სხეული მეორე, აღმოდებულ წრეში.

ყველაზე ახალგაზრდა და ჭირვეულმა ვეფხვმა თვალი მოარიდა მომთვინიერებლის მბრძანებლურ გამოხედვას, თავი მოიკატუნა, გეგონება, ვერ გაიგო რა სურდათ მისგან, აღმოდებულ სალტის ქვეშ გაძვრა, თავის ბურთზე არხეინად წამოჯდა და ზანტად მოჰყვა მთქნარებას.

— ეს რაჯაა, ამას რაჯა ჰქვია! — ჩურჩულებდა გოგონა, წინა კვირასაც ხომ ვიყავი და მახსოვს, ყველაზე ბრაზიანია...

მომთვინიერებელს არც სახელი დაუმახია მისი, არც შოლტის აბრეშუმის ფუნჯით შეხებია, არც ფეხსაცმლის ცხვირი დაუბაკუნებია, მხოლოდ ერთხელ შეხედა დაშტერებით და სალტე ასწია.

ვეფხვი კბილებს აღრჭენდა.

— მეშინია, შინ წავიდეთ! — შეშფოთდა გოგონა და პაპას სახელოში ჩააფრინდა.

— სსუ...

ტყუილად შეეშინდა ცისფერთვალემა გოგონას.

მომთვინიერებლის შეუპოვარმა გამოხედვამ გატეხა ახალგაზრდა ჭირვეული ვეფხვის სიჯიუტე.

რაჯამ თვალეზი დახარა, კუნთეზი დაეჭიმა და მოქნილი მოძრაობით ელვისებურად გადაევილო ორივე წრეში.

მერე მორჩილად დაუბრუნდა თავის ადგილს. იცოდა, რაც მოელოდა და დარცხვენილი თვალეზით პატიებას თხოულობდა.

გალიაში დაბრუნებისთანავე ახლა სასჯელად ცხვირ-პირში რამდენჯერმე ლაზათიანად უთავაზებდნენ, ოღონდ ამ აბრეშუმისფუნჯიან შოლტს კი არა, ტყავის მწვავე მათრახს, ჭამის დრო რომ მოატანს, უმი ხორცის მაგივრად ერთ ვედრო წყალს მიუტანენ. ეს სასჯელი ნაცნობია მისთვის. მისთვის ნაცნობი იყო ბრჭყვიალაკაბიანი ქალის სულ სხვა სახეც, რომელიც არასოდეს ენახათ პარტერში, ლოყებსა თუ ქანდარაზე მყოფ ხალხს. კულისებში მის ელიანი ამ მზრწყინავ ტანსაცმელს იხდის, ძველი ტყავის ქურთუკსა და დალაქავებულ ქვედა კაბას იცვამს. იგი მომხიბლავად აღარ იღიმება, აღარც ჰაეროვან კოცნას გზავნის აქეთ-იქით.

რკინის წნელითა და ბოლოში ტყვიაჩაწნული მათრახით შეიარაღებული, ხრინწიანი ხმით დაჰყვირის ვეფხვებს. იგი უხეშია და შეუბრალებელი, რადგან მხეცზე უფრო დაუნდობელი და ხარბი ცირკის დირექტორი ვერ მოითმენს თავის ბრძანების მცირე დარღვევასაც კი. მას სულ ეჩვენება, რომ ყველა ზარმაცობს და ცოტას მუშაობს. უნდა, პროგრამის ნომრები რაც შეიძლება სახიფათო იყოს. ყველა მსახიობი მისთვის მუქთამჭამელია.

— ქუჩაში გაგყრით და შიმშილით სული ამოგძვრებათ! — იმუქრება ხანდახან.

მომთვინიერებლებს აგინებს და თავზე ცეცხლს ანთებს, ისინი კი შემინებულები ცდილობენ, ჯავრი ცხოველებზე იყარონ. სხვა გზა არა აქვთ, და ყველა მოთმინებით იტანს ტანჯვას. მომთვინიერებელთა მძიმე შრომა, წვალება, თუ ათასნაირი საბაბით გადახდილი ჯარიმები დღითიდღე ამდიდრებს მათ პატრონს — ცირკის ყველაზე საშიშსა და გაუმაძღარ მხეცს. მაგრამ ყოველივე ეს კულისების მიღმა, სამხეცეში ხდება, როცა სინათლე ქრება და ხალხი იშლება.

ჰო, იცის ახალგაზრდა ჭირვეულმა რაჯამ რაც მოელის, ისიც კარგად მოეხსენება, რომ ახლა შოლტის ტკაცუნით შუა არენაზე გამოუხმობენ.

მის ელიანი ხახას ძალით გაუღებს და თავის ხუჭუჭთმიან თავს ბასრ კბილებს შუა ჩაუღებს. მომთვინიერებელმა რაჯა იმიტომ აირჩია, რომ თორმეტი ვეფხვიდან მას ყველაზე ბოროტისა და დაუმორჩილებლის სახელი გაუვარდა. მის ელიანს კი სურს, ხალხს აჩვენოს, არაფრის არ მეშინიაო. ამ ნომერს სამი სადამო იმეორებს ზედიზედ. «რა იქნება, — ფიქრობს რაჯა, — რომ ცოტა, სულ ერთი ბეწოთი მოუჭიროს ყბები?» სამულველი ქალის თავი კვერცხის ნაჭუჭივით, ანდა იმ ანტილოპათა ძვლებივით დაიმსხვრევა, თავისუფლების დროს, ჯუნგლებში, შორეულ ბენგალიაში რომ ხოცავდა ხოლმე.

რაჯა პრიალა ხის ბურთზე წამომჯდარა და ამთქნარებს.

ვეფხვი გრძნობს, ამას ველარასოდეს ჩაიდენს, რადგან ახლა ადამიანთა ძალაუფლებას ემორჩილება.

მომთვინიერებლის ანთებული მწვანე თვალეზის ერთი შეხედვა უმაღლესობს ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის სურვილს. რაჯა ახლა ისეთივე არარაობაა, როგორც სამხეცის მახინჯი მაიმუნები, რომლებიც ათასნაირად თითლიბაზობენ, რომ მიწის თხილით ან მანდარინით ჩაიკოკლოზინონ ყელი.

ვეფხვმა ყვითელ, შუშისებურ თვალეზზე ქუთუთოები მძიმედ დაუშვა, — სწორედ ისე, შუადღისას რომ იციან შინაურმა კატებმა. იგი ველარ ხედავდა ველარც მის ელიანს და ვერც ცხაურს იქით მყოფ ხალხს.

ვეფხვს ახლაც, როგორც ყოველი თვალის მოხუჭვისას, ტროპიკული ტყე, გაუვალი ტევრი, მიწამდე ჩამოკიდებული ლიანები და ათასნაირი ფრინველები დაუდგა თვალწინ. აგერ, შარიშურით მიმოდიან ფარშევანგები, დაფრინავენ თითქმის მწერისხელა კოლიბრები და ვეებერთელა პეპლები, ჩიტებს სიდიდეში რომ არ ჩამოუვარდებიან. ხეზე რა ქანაობს? ტოტია თუ გველი? საიდან ისმის ფაჩიფუჩი? ქარს მოაქვს, თუ რომელიმე სხვა ვეფხვი ეპარება მსხვერპლს? ჰო, რა თქმა უნდა, იქვე ახლოს ბამბუკით შემორაგული ტბა არის... რა შესანიშნავად იცის ეს ადგილი. ანტილოპას კვალს მიდევნებული რამდენჯერ ჩასაფრებულა აქ სულგანაბული, უცდია ერთი, ორი საათი, ხან კი თითქმის შუალამემდისაც; ლოდინისას ადგილს იცვლიდა ქარის მიმართულების მიხედვით, რომ გეში არ აელოთ მასზე. ბოლოს გამოჩნდებოდა ორი ან სამი ანტილოპა, ხანდახან ერთი... დამფრთხალი, შემინებული აცეცებდა თვალებს და მიწას ყნოსავდა. ნაბიჯის ხმა რბილ ნიადაგზე არ ისმოდა. დაიხრებოდა თუ არა, ანაზდეულად შეკრთებოდა, ყურებს დაცქვეტდა და კისერს ლოტოსის ფოთლებში გამოჰყოფდა, იმავე წამს ტევრიდან ნატყორცნი ისარივით გამოქანებული რაჯა თავის მსხვერპლს ზედ ზურგზე დაახტებოდა. ვეფხვის ბასრ კბილებში მოქცეული ანტილოპა ხმის გაღებას კი არა, განძრევასაც ვეღარ ასწრებდა. ხანდახან მსხვერპლი გააწვალებდა კიდევ. ამ დროს ტოტებს ლაწალუწი გაჰქონდა და იქაურობას ღრიალი აყრუებდა. ერთხელ რაჯამ გარეულ კამეჩზე შორიდანვე აიღო გეში... დაუყარაულა, ზურგზე დაახტა, მაგრამ კამეჩმა თავზე გადმოიტარა, ფეხქვეშ მოიგდო, ეკვეთა და რქებზე უნდოდა აეცვა, ტყეში სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა. მამუნები ფულუროებში შეიკუჭნენ, დანარჩენი მხეცები მიწას გაჰკვროდნენ, ეს ჯუნგლის ბატონ-პატრონთა დაუნდობელი ორთა ბრძოლა იყო! ირგვლივ მხოლოდ მათი მძიმე ქმინვა ისმოდა, რომელსაც დროდადრო კამეჩის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბუბუნი სცვლიდა. საბოლოოდ მაინც რაჯამ სძლია... მეორედ იგი სპილოს შეება, სპილომ ხორთუმით დაიჭირა, მიწას დაახეთქა და ბოდებივით ფეხებით გაჰყლეთას უპირებდა, მაგრამ რაჯამ იმარჯვა და სპილო დაფლეთილი ხორთუმითა და დასისხლიანებული თვალებით გააქცია. იმ ღამეს კარგა ხანს ისმოდა ბრაგაბრუვი: ტოტებს ლაწალუწი გაუდიოდა, ბამბუკები და ხიდან ჩამოგლეჯილი ლიანები მიწაზე გართხმულიყო. ერთხელ შუბებით შეიარაღებულმა სამმა მონადირემ რაჯას დაჭერა მოუნდომა, მაგრამ სამივე მისი კერძი გახდა. ამის შემდეგ სახელი გავარდა, ყველას შიშის ზარსა სცემდა. ტირანს ემახდნენ, ტყეს მისი ღრიალი რომ მოედებოდა, ყველას მუხლები უკანკალებდა, ვეღარავინ ბედავდა ბილიკზე გამოჩენას. ადამიანები იმუქრებოდნენ, სამაგიეროს სიკვდილით მივუზღავთო, მაგრამ თვითონ, ვეფხვისა სიკვდილზე მეტად ეშინოდათ. ადამიანის გეშს რომ აიღებდა, რაჯა ისეთი სიფრთხილით უახლოვდებოდა, საკუთარი სუნთქვაც აღარ ესმოდა, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, შეჩერდებოდა... კიდევ ერთი ნაბიჯი... დაახტებოდა... და ამით თავდებოდა ყველაფერი! იგი იქაურობის უცვლელი ბატონ-პატრონი გახდა, მაგრამ ერთ ღამეს თავი რკინის მარწუხებში მოუყვა. რაჯამ სცადა დაედრღნა რკინის ხაფანგი, ტყე გააყრუა მისმა ღრიალმა. დიდხანს ეწვალა. რომ თავი როგორმე დაედღწია ტყვეობიდან, თუნდაც თათი ხაფანგში დაეტოვებინა, მაგრამ ამაოდ იწვალა, რკინით მიყენებული ღრმა ჭრილობა სიცივესა და წვიმიან ამინდში ახლაც გაუხსენებს ხოლმე. ტკივილისა და დაკარგული სისხლისაგან არაქათგამოცლილი მიწაზე გაიშოტა და ბედშერიგებულმა სიკვდილს მორჩილად დაუწყო ლოდინი, მაგრამ მშვიდი სიკვდილი როდი აცალეს! ერთი კვირის შემდეგ მოვიდნენ, რომ შიმშილისა და წყურვილისაგან ქანცგაწყვეტილი წაყვანათ.

და აი, ახლა არენაზეა.

ქვეყნიერებას რკინის ცხაური აშორებს.

რაჯას აქ აბრეშუმისფუნჯიანი შოლტის ტკაცუნზეც კი შიშით აცახცახებს, ყველაფერ ამას წვრთნის გრძელი და მტანჯველი თვეები უძლოდა. ახლა აბრეშუმისფუნჯიანი შოლტით შეიარაღებული ქალის ერთი გამოხედვაც თვალებს მირს ახრევინებს. და იცის რაჯამ, ვედარასოდეს დააღწევს მას თავს. გორგოლაჭებიანი გალიით რომ გაატარებენ ხოლმე, მაიმუნები ბანანისა და ფორთოხლის ნაფცქვენებს ესვრიან, გალიას ებლაუჭებიან, ათასნაირად ექყანებიან და დაუყენებელი თათებით რაღაცას ანიშნებენ. მაგრამ თუ დაიღრიალა, როგორც ჯუნგლებში იცოდა, უმაღლ შიში აიტანთ, სასაცილო მანქვას მოჰყვებიან და ცდილობენ სადმე დაიმალონ.

აბრეშუმის ფუნჯი ცხვირ-პირზე ოდნავ მიეკრა. ეს იყო საათი, ჰაეროვანი, ალერსის მსგავსი შეხება, მაგრამ ვეფხვმა იცოდა, რომ ამგვარი ალერსი მათრახსა და რკინის წკეპლას უმზადებდა.

ძალა აღმართსა ხნავსო და რაჯაც, რას იზამდა, მორჩილად ჩამოვიდა ხის ბურთიდან, როგორც წარმოდგენის პროგრამა ითხოვდა.

მაყურებელს სუნთქვა შეეკრა, ცირკში სიჩუმე ჩამოვარდა, შორეულ ქუჩებიდან მანქანათა სიგნალებსა და ტრამვაების ხრიგინსაც კი გაიგონებდით.

თორმეტი ვეფხვი შუა არენაზე გაიშოტა და წრე შეკრა. მის ელიანმა კაბის კალთა აიკრიფა, შოლტი გადააგდო, შუა წრეში ზურგზე გაწვა, ხელები გულზე დაიკრიფა და თავი რაჯას დაღებულ ხახაში ჩაუდო. კისრით ვეფხვის ბასრ კბილებს ისე ეხებოდა, გეგონება, კბილის ექიმის სავარძლის სასთუმალიაო.

ვეფხვი დიდ, შუშისებურ თვალებს ახამხამებდა. რა იქნება, ცოტა რომ მოუჭიროს! სულ ერთი ბეწოთი!.. მაგრამ ქალის თვალები ბურღავენ. ვეფხვი ვერ ხედავს, მაგრამ გრძნობს ამ თვალთა განმგმირავ გამოხედვას. ვაი, რომ ნათლად გრძნობს! და რაჯასაც გაუღია ხახა და წევს ფიტულივით გაუნძრევლად.

ვარსკვლავთვალემა პეტრუშამ მუშტები შეკრა, კისერი დაიგრძელა და უკეთ რომ დაენახა, რა ხდებოდა, უნებლიეთ წინ, არენასთან გაძვრა.

ქერაკულულებიანი გოგონა ტუჩებს იკვნიტდა, პატარა გული ისე გამალებით უცემდა, თითქოს ბუდიდან ამოხტომას ლამობსო. ზოგმა თვალები დახუჭა, ზოგმა, მომთვინიერებლის კივილი არ გავიგონო, ყურები თითებით დაიცო. ქერაკულულებიანი გოგონას პაპასაც კი ხელჯოხის სპილოს ძვლის ბუნიკზე ხელი აუკანკალდა. იგი ერთხელ უკვე შესწრებოდა, როგორ დაფლითეს ვეფხვებმა მომთვინიერებელი, იცოდა, თითქმის ყოველთვის ასეთი იყო გარეულ მხეცთა მწვრთნელების ბედი. მოხუცმა ისიც იცოდა, რომ ამ დროს ვეფხვები რკინის ცხაურს ეცემიან ხოლმე, განრისხებული ბრდღვინავენ და ერთმანეთს კბენენ.

— ჰოპ!

გრაციოზული ნახტომით ქალი ისევ შუა არენაზე გაჩნდა.

შავი ხუჭუჭა თმა თავის გაქნევით უკან გადაიყარა, კაბის შლეიფი ფეხსაცმლის წვერით გაისწორა. მოღიმარი ხალხს მადლობას უხდოდა და მქუხარე აპლოდისმენტების პასუხად ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა პარტერს, ლოჟებსა თუ ქანდარას.

წითელმაუდგადაფარებულ ფიცარნაგიდან ორკესტრმა მთელი თავისი დოლებით, საყვირებით, ფლეიტებითა და კლარნეტებით დასცხო მარში.....ძინ-ძინ!
— აწკარუნდა სამკუთხედი ვერცხლის ჩაქურჩის დარტყმაზე.

მარში საზეიმო, ცერემონიული იყო.

არენის სიღრმეში თავიანთ გალიებში ბრუნდებოდა თორმეტი ბენგალიური ვეფხვი.

დაწალიკებულები, გრძელი და მძიმე კუდების ქნევით, თვინიერი შინაური კატებივით მიდიოდნენ. დიდი, ყვითელი, შუშისებური თვალები გარინდებოდათ.

ხავერდით რბილ თათებს სილაზე მსუბუქად და უხმაუროდ აბიჯებდნენ.

II. ფრამი ჭირვეულობს

იმ საღამოს ნამდვილი გამოსათხოვარი წარმოდგენა იყო.

სტრუცის ცირკს არასოდეს არ ჰქონია ასეთი მდიდარი პროგრამა. ტანმოვარჯიშეები და მუშაითები, ცხენები და სპილოები, ლომები და მაიმუნები, ავაზები და ძაღლები. აკრობატები და ტაკიმასხარები ერთმანეთს ისე ეჯიბრებოდნენ გამბედაობასა და სიმარჯვეში, ამტანობასა და სიკვდილისადმი გულგრილობაში, გეგონებოდათ, ადრევე გადაეწყვიტათ, მაყურებელს თავი სამუდამოდ უნდა დავამახსოვროთო.

ხალხი ხან ღელავდა, ხან ხარხარებდა, ხან გაოცებას გამოთქვამდა, ხან კი ხარობდა ფართომარვლიანი ჯამბაზის გამოჩენაზე.

შავტრიკოიან ტანმოვარჯიშეთა სალტო-მორტალეს დანახვისას მაყურებელი შიშით კანკალებდა. ტანმოვარჯიშეებს მკერდზე თეთრი თავის ქალა ჰქონდათ ამოქარგული. ქვემოთ არ იყო გაბმული დამცველი ბადე და ისე დაქროდნენ ერთი ტრაპეციიდან მეორეზე

— გეყოფათ! გაჩერდით! კმარა! — ისმოდა პარტერიდან თუ ქანდარიდან სიკვდილთან უაზრო თამაშით შეძრწუნებული მაყურებლის შემახილები.

მაგრამ ტანმოვარჯიშეებმა, შავ ტრიკოებზე თეთრი თავის ქალა რომ ჰქონდათ ამოქარგული, თავები გაიქნიეს მხოლოდ: რას გვიქვია «გეყოფათ», მოითმინეთ, ბატონებო, სხვა ნომრებიც გვაქვსო.

ისინი ოთხნი იყვნენ: ორი ქალი და ორი კაცი.

ტანმოვარჯიშეები თვალისმომჭრელად გაჩახჩახებული ცირკი-შაპიტოს გისოსებზე დამაგრებულ წვრილ ტრაპეციებზე ქანაობდნენ. ერთმანეთს ემახდნენ, ჰაერში ხან სად ჩამოეკიდებოდნენ, ხან სად, ერთი წამის შემდეგ ისევ ძველ ადგილს უბრუნდებოდნენ, სრიალებდნენ, ხელებს ინაცვლებდნენ, ერთი ტრაპეციიდან მეორეზე გადადიოდნენ, ჰაერში სხეულთა ერთ შავ მტევნად იკვრებოდნენ, მერე ჯაჭვი იხსნებოდა და კვლავ მოქანავე ტრაპეციებზე ჩნდებოდნენ, შიშისაგან დამუნჯებულ მაყურებელს უღიმოდნენ და ხელისგულებზე თეთრ ფხვნილს იყრიდნენ, რომ ყველაფერი ისევ თავიდან დაეწყოთ.

ტანმოვარჯიშეები სიმარდეში ციყვებს ეჯიბრებოდნენ, ოღონდ ეგ არის, ციყვებს მკერდზე ქალა არა აქვთ ამოქარგული და პატარა შეცდომისათვის არ მოელით ხიდან ჩამოვარდნა და ადამიანებისაგან თუ ცხენთა ფლოქვებისაგან სასიკვდილოდ დაშავება.

უზარმაზარი სპილოების ჯერიც დადგა, ფერფლისფერი კანი და ოროვანდით ყურები რომ აქვთ. სპილოები დინჯად მოაბიჯებდნენ ბოძებივით ფეხებით, ხორთუმებს მალლა სწევდნენ, ზურგზე ცივ წყალს ივლებდნენ, ყალყზე დგებოდნენ და მუსიკის ტაქტზე ცეკვავდნენ. ეს გულკეთილი გოლიათები პაწაწინა წკეპლას მორჩილებდნენ და ხორთუმით სასაცილოდ უკრავდნენ ბუკს.

არენაზე გამოსვლა არც სულელ ავგუსტინს დაუყოვნებია.

როგორც ყოველთვის, ყვეეჩი დოყლაპია ალუბლისფერი ხავერდის ფარდიდან უდროო დროს გამოჩნდა, ფრაკის კალთები სილაზე მოსთრევდა, გრძელი ფეხსაცმელი თხილამურებს მიუგავდა, ძალზე მაღალი, გახამებული საყელო ისე ედგა, გეგონება, მანჟეტი გაუკეთებიაო ყელზე. ამ მორთულობას დაუმატეთ ერთმანეთზე გადაცმული ხუთი ჟილეტი და ჭრელი ჰალსტუხი. ცხვირი მწიფე პამიდორს მიუგავდა, აგურისფერი თმა შეშინებული ზღარბივით გაბურძმნოდა, სილის გაწვნა და ფიცრის თავში თხლემა აინუნშიაც არ ჩაუგდია. ანაზდად შუბლზე კოპი — წითელი ნათურა დააჯდა, თმიდან კვამლი და ალი ავარდა. ხალიჩაზე წაიბორძიკა, ძირს დაეცა, ამ დროს სადღაც უკანალთან შარვალში თავისთავად დაუკრა ტუჩის გარმონმა. მერე სამზარეულოს საათს წამოავლო ხელი, ძეწკვზე დაიმაგრა და ქალაქის მთავარ ქუჩაზე მოსეირნე ბატონივით ამაყად მოჰყვა არენაზე სიარულს. საათი მაღვიძარაც გამოდგა და ჯიბეში სწორედ მაშინ აწკარუნდა, როცა უფროსი შეეკითხა, — ხომ არ იცი, ავგუსტინ, ვინ მოიპარა ჩემი საათიო? ათასგვარი ოინის შემდეგ ტაკიმასხარებს, ტოტოს და ტენასეს, აუტეხა ჩხუბი, სიმღერაში ხელს უშლიდა და სთხოვდა, მისთვისაც ესწავლებინათ ეს ხელოვნება.

როგორც წესი, დოყლაპია ავგუსტინი ყოველთვის გასულელებული რჩებოდა.

ცისფერთვალემა, თეთრქურქიან გოგონას დავიწყებოდა ახლახან გამოვლილი შიში, სახელოზე აღარ ებლაუჭებოდა პაპას და, სიცილისაგან აწითლებული, ფეხებს აბაკუნებდა.

ფეხებს აბაკუნებდა პეტრუშიც. იგი პარტერში ზედ არენასთან იდგა და აინუნშიც არ აგდებდა ყვითელღილებიან ლურჯ ლივრეაში გამოწყობილი მებილეთის მკაცრ გამოხედვას.

უცებ ავგუსტინს უკანიდან ვირი მიეპარა, შარვალში კბილები ჩაავლო და, ფეხებში რომ არავის მობლანდებოდა, არენიდან გააბრძანა.

იაპონელი აკრობატები ვირტუოზულად ჟონგლიორობდნენ თეფშებით, ბოთლებით, ბურთებით, ფორთოხლებითა და სერსოებით. შემდეგ ცხენების პარადი დაიწყო. მოკლე ქვედაკაბიანმა ცხენოსანმა ვოლტიჟირების საოცრებანი აჩვენა. ცხენოსანი ქალი ძალოსანმა შეცვალა. მან მკერდზე წისქვილის ქვა დაიდო, ქვაზე ხუთი ათლეტი დაადგა და იქამდე არ ჩამოვიდნენ, სანამ დანარჩენმა ათლეტებმა ჩაქუჩით ქვა მკერდზე არ დაამსხვრიეს. ზოგიერთი მაიმუნი მაგიდასთან სადილობდა, ზოგი კი მანქანით დასეირნობდა. მანქანა ბავშვის ეტლის ხელა თუ იქნებოდა. შოფრადაც მაიმუნი იჯდა. მას მხოლოდ დიდი სიჩქარით შეეძლო მანქანის მართვა, ამიტომ განუწყვეტლივ იძლეოდა სიგნალს. უეცარი მობრუნებისას მანქანა ზედ შუა არენაზე გადაუბრუნდა, ხნიერი მაიმუნი ყურში სწვდა ფათერაკიან შოფერს და პანლურით გააგდო. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ერთ მაიმუნს გარმონზე დაკვრა და პაპიროსის მოწვევაც კი შეეძლო.

მაყურებელმა სიცილით გული რომ იჯერა, ისევ პროგრამებს ჩახედა. თავშეუკავებელი ჩურჩული გაისმა.

არსად ჩანდა თეთრი დათვი ფრამი.

რატომ გვალოდინებსო?

ეს არასდროს არ მომხდარაო.

ფრამი ცირკის ყველა მხეცს სჯობდა თავისი ხელოვნებით. მას სულაც არ სჭირდებოდა მომთვინიერებელი. არ უნდოდა ძალდატანება და არც იმის ჩვენება, რა უნდა გაეკეთებინა. უკანა ფეხებზე მთელი ტანით წამომართული არენაზე მარტოდმარტო გამოდიოდა. მარცხნივ, მარჯვნივ, წინ თუ უკან მაყურებელს თავს მდაბლად უკრავდა. წინა თათებს ზურგზე დაილაგებდა და ტაშის გრიალში მთელ

არენას ჩამოვივლიდა, მერე თათით ანიშნებდა, დაწყნარდითო, და თავის პროგრამას იწყებდა: ლატანზე ისე მიცოცავდა, იფიქრებდით, მეზღვაური ადის გემის ანძაზეო, უზარმაზარი ველოსიპედით სეირნობდა, დინჯად გადაივლიდა ტორტმანა ხიდებს, ორმაგ სალტო-მორტალეს აკეთებდა და ბოთლით ლუდს სვამდა.

მას შეეძლო სერიოზულიც ყოფილიყო და სასაცილოც.

პარტერიდან ან ქანდარიდან თათით გამოიხმოებდა, ვის უნდაო ჩემთან ჭიდაობა და კრივი. ქანდარაზე მოხალისე ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე. ჩვეულებისამებრ, ეს ხალხში განგებ გარეული ცირკის რომელიმე ათლეტი იყო. ორთაბრძოლა ერთსულოვან სიცილს იწვევდა, რადგან ფრამი ძლიერი, ამავე დროს კარგად მოშინაურებული და დიდი მასხარა ვინმე ბრძანდებოდა. მსუბუქი დარტყმით მოწინააღმდეგეს ნოკაუტში ჩააგდებდა, მერე თათს აიქნევდა და თვლას მოჰყვებოდა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთიო... თვლას რომ დაამთავრებდა, მოწინააღმდეგეს აიყვანდა და ბარდანასავით ისროდა სილაზე. ათლეტი მაყურებლის ფეხებთან ყირამალა გადადიოდა, მერე წამოდგებოდა და საერთო სიცილ-ხარხარში იბერტყავდა ტანსაცმელს.

ერთს რომ გაისტუმრებდა, ფრამი თათით ახლა მეორეს იხმოებდა, გინდათ გამოსვლა? მოდით, ნუ გრცხვენიათო!

მაგრამ მსურველი აღარ გამოჩნდებოდა. პასუხად სიცილს რომ გაიგონებდა, თეთრი დათვი თათებს ზიზღნარევი სინანულით ჩამოუშვებდა: რას გეცინებათ, გეშინიათ? ქანდარაზე ხომ ყველანი ვაჟკაცები ხართო?

მისი ყირა, წინა თათებზე აკრობატული ვარჯიში და არენის გარშემო გორგოლაჭებით სიარული განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევდა.

ბავშვებს ფრამი იმიტომ უყვარდათ, რომ აცინებდათ.

დიდები კი აღფრთოვანებული იყვნენ, უკვირდათ, ნეტა ასე როგორ მოშინაურდა შორეული ყინულოვანი სამეფოდან ჩამოყვანილი ვეებერთელა გარეული მხეცი, ან როგორ გახდა ასეთი ჭკვიანი და მოქნილიო? ერთი სიტყვით, ფრამი წარმოდგენის სული და გული იყო.

სულ სხვა იყო მის ელიანი თავისი თორმეტი ბენგალიური ვეფხვით. მისი ნომრები მაყურებელს აჩვენებდა, როგორ შეუძლია ქალს მხოლოდ და მხოლოდ გამოხედვითა და პაწაწინა წკეპლით დაიმორჩილოს აზიის ტყის ყველაზე მძვინვარე მტაცებელი. ამ ქალის არენაზე ყოფნისას ყველა დამაბული იყო, ვეფხვები არენიდან რომ გადიოდნენ, ხალხი შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე.

ფრამის გამოჩენას კი მაყურებელი სულ სხვანაირად ხვდებოდა. მუდმივი ყინულის ქვეყანაში დაბადებული ეს უზარმაზარი და ძლიერი მხეცი კრავივით თვინიერი და ადამიანივით გამგები იყო. მას არ სჭირდებოდა არც შოლტი და არც მბრძანებლური გამოხედვა. არც ადგილის ჩვენება უნდოდა არენაზე და არც იმის შესხენება, შემდეგ რა გაეკეთებინა. მისი ჯილდო აპლოდისმენტი იყო.

ფრამს უყვარდა აპლოდისმენტი.

იქნებ მნიშვნელობაც ესმოდა და სიამოვნებდა კიდევ.

დიახ, ფრამს უყვარდა აპლოდისმენტი. უყვარდა ხალხი, განსაკუთრებით ბავშვები. როგორც კი დაინახავდა, გოგონა ან ბიჭუნა კამფეტს ჭამსო, თათს გაუწვდიდა, გამიმასპინძლდითო, მაღლობას გადაუხდოდა, ხელს სალდათურად აუღებდა, რამდენიმე კამფეტს თუ იშოვიდა, მხოლოდ ერთს შეჭამდა, დანარჩენს სხვა ბავშვებს შესთავაზებდა, თითქოს იცოდა, ყველას ერთნაირად რომ არ შეეძლო ტკბილეულით ყელის ჩაკოკლოზინება. რომელიმე გაბედული ბიჭუნა საჩუქრის

მისაღებად არენაზე თუ ჩავიდოდა, ფრამი თავზე უზარმაზარ თათს გადაუსვამდა, რომელიც უცაბედად დედის ხელივით მსუბუქი და ალერსიანი ხდებოდა.

კამფეტით დასაჩუქრებულ ბიჭს უკან, ქანდარაზე აღარ გაუშვებდა. იქიდან ცუდად ჩანდა, თანაც სიმჭიდროვე იყო. ბარიერს გადააწვებოდა, თათით სკამს აიღებდა, ლოჯაში დადგამდა და ქუდბედნიერს მიიპატიჟებდა, დაჯექიო. თუ ბიჭი ვერ გაბედავდა, ან დაირცხვენდა, თერთი დათვი ორი თათით აიყვანდა, თვითონ დასვამდა სკამზე, თათს ცხვირ-პირთან მიიტანდა, უბრძანებდა წყნარად იჯექი და ნურაფრის შეგეშინდებო. მერე მებილეთეს მიუბრუნდებოდა, ბიჭზე აჩვენებდა, თათს გულზე მიიდებდა: იცოდე, ამას მე ვუწევ მეურვეობას და პასუხსაც მე ვაგებო.

როგორ შეიძლებოდა ამის შემდეგ არ ჰყვარებოდათ ფრამი? ან როგორ არ უნდა გაენებივრებინათ იგი?

ახლა კი რატომღაც ამდენ ხანს აცდევინებს ხალხს. პროგრამა დასასრულს უახლოვდება, მისი გამოსვლის დრო რა ხანია გავიდა, ის კი არა და არ გამოჩნდა.

ხალხი ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას.

პირველად, რა თქმა უნდა, ქანდარამ წამოიჩყო, მერე პარტერსა და ლოჯებში ბავშვებიც აჰყვნენ.

— ფრამი! — სად არის ფრამი?

— რატომ არ გამოდის ფრამი? — ფრამი!

ხმები შეერთდა და ერთხმად გაისმა ძახილი:

— ფრა-მი!

— ფრა-მი!

შეძახილში ისმოდა სულ პატარა ბავშვთა ხმებიც, ჯერ წესიერად რომ არც კი შეეძლოთ სიტყვის წარმოთქმა. საერთო სიხარულში მონაწილეობის უფლებას ისინიც ითხოვდნენ:

— ფლა-მი!

— ფლა-მი!

ქერაკულულებიან გოგონას სულ გადაავიწყდა შიშისაგან პაპას რომ ეხვეწებოდა, შინ წამიყვანეო და თავგამეტებით უკრავდა ტაშს.

— ფრამი!

— ფრამი!

— ფრამი! — ყვიროდა პეტრუშიც. განსწავლული დათვი მას მხოლოდ ქალაქში გაკრულ აფიშებზე ენახა, მაგრამ თავისკბილა ბიჭებისგან ყველაფერი იცოდა მასზე.

— ფრამი!

— ქალბატონებო და ბატონებო! პატივცემულო საზოგადოებავ!.. — სცადა დაემშვიდებინა მაყურებელი შუა არენაზე გამოსულმა დირექტორმა.

მაგრამ არავინ მოუსმინა, სიტყვა გააწყვეტინეს და ძახილი განაგრძეს:

— ფრამი!

— ფრამი!

— ფრამი!

სულელი ავგუსტინი, ტოტო და ტენასე თეთრი დათვის ტყავში გახვეულები გამოვიდნენ. ფრამი თავის ნომრებს რომ ამთავრებდა, ისინი, ჩვეულებრივ, მაშინ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ფრამს ბაძავდნენ და მაყურებელს აცინებდნენ.

მაგრამ არენაზე ჯერ ფრამი უნდა გამოსულიყო.

ფრამი ბარიერზე ადამიანივით ჩამოჯდებოდა, თავს თათზე ჩამოდებდა და დამცინავად უყურებდა ტაკიმასხარების ოინბაზობას, იგი ხვდებოდა ხუმრობას და, ვინ იცის, გუნებაში ეგებ თავისთვის იცინოდა კიდევ.

თუ ნახავდა, რომ ჯამბაზები თავიანთ როლს ცუდად თამაშობდნენ და უხეიროდ ბაძავდნენ, ადგებოდა და ისიც თამაშში გაერეოდა, ტოტოსა და ტენასეს დათვის ტყავში სტაცებდა თათს, ტომარასავით დაბერტყავდა, ძირს დაცემულებს წამოაყენებდა, ბარიერზე აქეთ-იქით შემოისხამდა და ანიშნებდათ, ახლა წყნარად ისხედით, მიყურეთ და ისწავლეთ ჯამბაზის ხელოვნებაო.

თვალსაჩინოებისათვის ფრამი საკუთარ თავს წარმოადგენდა, სასაცილო მანჭვა-გრეხით იმასვე იმეორებდა, რასაც ადრე სერიოზულად და ყურადღებით აკეთებდა. სულელი ავგუსტინი მის გარშემო ცმუკავდა, ყურამდე შეღებულ პირს ალებდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ღრიალებდა:

— ტენასე, ტოტო, ისწავლეთ, ყოჩაღ, ფრამ!

ავგუსტინი ფეხებს აბაკუნებდა, სილაში კოტრიალებდა, წამოდგებოდა, ისევ ჯამბაზობას მოჰყვებოდა, სანამ ფრამი არ მიუბრუნდებოდა და მკაცრად არ შეხედავდა, თითქოს ეუბნებოდა: «არ გეყოფა, ჩერჩეტო, ოინბაზობა?»

მაშინ ავგუსტინი ფრაკის კალთების ფართხუნით უკან-უკან წავიდოდა და სიტყვას აღარ დაძრავდა.

ახლა კი ტაკიმასხარებს აღარავინ გაუხალისებია. არც მათმა დათვის ტყავში გამოჩენამ და ფრამის წაბაძვამ უშველა საქმეს. ხალხი სტვენით და ფეხების ბრახუნით თეთრ დათვის უხმობდა:

— ფრამი!

— ფრამი!

— ფრამი!

არენის სიღრმეში ალუბლისფერი ფარდა, საიდანაც ცხოველები, ტანმოვარჯიშეები და აკრობატები გამოდიოდნენ, წამდაუწუმ ირხეოდა.

ფარდის უკან რაღაც ხდებოდა, სახელდობრ რა, არავინ იცოდა.

ღირექტორი ორჯერ კიდევ გამოჩნდა არენაზე, მაგრამ აღარც კი ათქმევინეს: «ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო საზოგადოებავ!..» «პატივცემულმა საზოგადოებამ» სიტყვა არნახული ღრიანცელით გააწყვეტინა.

— ფრა-მი!

— ფრა-მი!

ღირექტორმა მხრები აიჩეჩა და ფარდას მიეფარა.

— ვერ გამიგია, რა მოხდა, — უთხრა ხანში შესულმა კაცმა ქერაკულულებიან შვილიშვილს, — ფრამი ავად ხომ არ არის? იქნება არ შეუძლია გამოსვლა?

მაგრამ გოგონას არაფერი ესმოდა, არ უნდოდა, რომ გაეგონა: ტაშს უკრავდა, ფეხებს ატყავს და სხვებთან ერთად ყვიროდა:

— ფრამი! ფრამი!

— ამ დათვმაც რომ ჭირვეულობა დაიწყო. ძალიან გაათამამეს, გენაცვალე!... თავი ალბათ დიდ მსახიობად წარმოუდგენია, სწორედ ისე, ადამიანებს რომ სჩვევიათ, — უთხრა თავის მეზობელს ერთმა ცხვირნისკარტა და თხელტუჩა ქალმა.

— მეც მაგ აზრისა ვარ, გენაცვა, — კვერი დაუკრა მეზობელმა, პირველივით ცხვირნისკარტა და უფრო თხელტუჩება ქალმა.

ორივეს კუჭი სტკიოდა. მათ მარტო უმარყოფილი მოხარული კარტოფილი ეჭმეოდათ, ამიტომ ქვეყნად ყველაფერი მოსაბეზრებელი და საძაგელი ეჩვენებოდათ. მათთვის რომ გეკითხათ, ყველა ჭირვეულობდა. მთელი საღამო ცხვირაბზუებულები ისხდნენ, ტაში ერთხელაც არ დაუკრავთ, არც მის ელიანი მოეწონათ თავისი ბენგალიური ვეფხვებით, მათი გული ვერც შავტრიკოიანმა ტანმოვარჯიშეებმა მოიგეს, ყოველ წუთს სიცოცხლეს საფრთხეში რომ იგდებდნენ. ჩამოქურუშებულ

სახეზე ერთი ღიმილიც არ გაკრთომიათ ავგუსტინის, ტოტოსა და ტენასეს სასაცილო ოინებზე.

ნამეტანი ამპარტავანი ქალები იყვნენ. აჯობებდა, შინ დარჩენილიყვნენ და დაეძინათ, მაგრამ მეორე დღეს როგორღა მოჰყვებოდნენ ყველაფერს, რაც წინა ღამეს ნახეს და გაკილეს.

— აშკარაა, დათვი ჭირვეულობს და ხალხს მასხრად იგდებს.

თეთრქუდიანმა გოგონამ ფეხების ტყაპუნი შეწყვიტა: ლოჯაში გვერდით მსხდომი ცხვირნისკარტა ქალების ლაპარაკს მოჰკრა ყური. გოგონა გაწითლდა, სითამამე მოიკრიბა და ფრამს გამოექომაგა:

— სულაც არ ჭირვეულობს, ფრამი არასოდეს არ ჭირვეულობს!

— ერთი ამას დამიხედე! რა თავხედი ყოფილა! — შეურაცხყოფილმა ქალებმა ლორწეტით ქედმაღლურად შეხედეს გოგონას. გოგონა გაწითლდა.

იქვე მდგარმა პეტრუმმა კინადამ ხელი ხელს შემოჰკრა და დაიძახა:

— ყოჩაღ, ასე მოუხდებათ მაგ არამკითხეებსო.

— წესიერად მოიქეცი, ლილიკა! — ყასიდად დატუქსა პაპამ გოგონა, გულში კი შვილიშვილის მხარეზე იყო.

— რატომ თქვეს, პაპა, რომ ფრამი ჭირვეულობს და ხალხს მასხრად იგდებსო... ფრამი არასოდეს არ ჭირვეულობს!

პაპას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვედარ მოასწრო.

ცირკში უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა.

ბრახუნი და ყვირილი შეწყდა. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა, ასეთი სიწყნარე მაშინაც კი არ ყოფილა, ტანმოვარჯიშეები ერთი ტრაპეციიდან მეორეზე რომ დაქროდნენ, ანდა მის ელიანმა ვეფხვს ხახაში რომ ჩაუდო თავი.

აღუბლისფერი ხავერდის ფარდიდან ფრამი გამოჩნდა.

მალლაწეული თათით ფარდის კიდე ეჭირა.

ერთ წუთს შეჩერდა და ცირკს თვალი მოავლო: ლოჯებში, პარტერში თუ ქანდარაზე აუარებელი თავები და თვალები დალანდა.

დათვმა ფარდას ხელი შეუშვა.

— ფრამი!

— ბრავო, ფრამი!

— ვაშა, ბრავო, ფრამი! ვაშა!

ვეებერთელა, თოვლივით თეთრი ფრამი გაუნძრევლად იდგა შუა არენაზე. ზუსტად ასე, უკანა თათებზე წამომართული დგანან მისი თანამომძენიც მუდმივი თოვლის მხარეში მოცურავე ყინულის კუნძულებზე, როცა უკეთ უნდათ დაინახონ, როგორ მიცურავენ ყინულებით სხვა თეთრი დათვები უკიდევანო ოკეანეში.

ფრამი იდგა და სივრცეს გაჰყურებდა.

მერე ნაბიჯი წინ წადგა, თათი თვალებზე მოისვა, თითქოს ბისტის მოცლა უნდაო.

ტაში დაცხრა.

ყველა ფიქრობდა, რომ ფრამი მათ რაღაც სიურპრიზს უმზადებდა. ალბათ, ახალი ნომერი აქვს, ძველ ნომრებზე უფრო რთულიო. ფრამი, ჩვეულებრივ, თავის პროგრამას დაუყოვნებლივ იწყებდა, სიწყნარესაც თავად მოითხოვდა, ახლა კი ჩამომდგარმა სიჩუმემ თითქოს გააკვირვა.

— უყურე ერთი, როგორ თვალთმაქცობს! — დაიწრიპინა ცხვირნისკარტა ქალმა.

პეტრუში ფეხებს ინაცვლებდა, ტუჩებს იკვნიტდა და თავს ძლივძლივობით იკავებდა.

ცისფერთვალემა გოგონამ აღშფოთებული მზერით განგმირა ამპარტავანი ქალები, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია: პაპას ხელი ედო მხარზე.....

ფრამის გვერდით თეთრმაუდგადაჭიმული ფიცარნაგი იყო მოწყობილი, ფრამი, ჩვეულებრივ, ამ ფიცარნაგზე ადიოდა, საწონებს ათამაშებდა, ლატანზე აცოცებულს ხალხი ფორთოხლებს ესროდა, ფრამი ფორთოხლებს პირით იჭერდა...

ახლა კი ფიცარნაგის კიდეზე ჩამოჯდა, წინა თათები თავზე შემოიღო და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს ღრმად ჩაფიქრებულა, რაღაცას იხსენებს, ანდა რამე დაუკარგავს და დამწუხრებულაო.

— ხედავ, გენაცვალე, როგორ გვიგდებს მასხარად! — შეურაცხყოფილად ჩაილაპარაკა ერთმა ცხვირნისკარტა ქალმა, — ვერ გამიგია, რატომ გადავიხადეთ ფული? იმიტომ, რომ დათვმა მასხარად აგვიგდოს?

პაპა ნელა უჭერდა თავის შვილიშვილს მხარზე ხელს, რადგან გრძნობდა, გოგონა მზად იყო საყვარელი ფრამისათვის თავი გამოეღო.

მაგრამ ამჯერად ფრამი მართლაც უცნაურად იქცეოდა. ეტყობა, დავიწყებოდა სად იყო, ან ხალხი რას მოელოდა მისგან.

დავიწყებოდა, რომ ორი ათასი ადამიანი, ორი ათასი წყვილი თვალი მისჩერებოდა.

— ფრამ! — გაისმა ვიღაცის გამამხნეველი ხმა.

თეთრმა დათვმა აიხედა...

«აა, დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, — ამბობდა თითქოს მისი გამოხედვა, — მე ფრამი ვარ და ჩემი მოვალეობაა, გაგართოთ...»

მერე უძღურად გაშალა თათები, მარჯვენა ჯერ შუბლთან მიიტანა, მერე გულთან, მერე ისევ შუბლთან და ისევ გულთან, ჩანდა, ვერ იყო გუნებაზე, რაღაც აბრკოლებდა...

სულ რამდენიმე წუთის წინ, ალუბლისფერი ფარდა რომ გადაიწია, ფიქრობდა, ყველაფერი ძველებურად იქნებაო: ხალხმა, ბავშვებმა და აპლოდისმენტებმაც დაუდასტურეს ვარაუდი.

ახლა კი ყველაფერი ისევ დავიწყებოდა; აქ რატომია? ან ამ ხალხს რა უნდა მისგან?

— პაპა ფრამი ავად არის! — სიბრაღისაგან აკანკალებული ხმით წარმოთქვა ცისფერთვალემა გოგონამ, — ავად არის!.. თუ ავად არის, რატომ არ გაანებებენ თავს?

გოგონას დავიწყებოდა, რომ ისიც აბრაზუნებდა ფეხებს, უკრავდა ტაშს და სხვებთან ერთად უხმობდა ფრამს. ახლა მას უკვე სინდისი ქენჯნიდა და ცისფერ თვალეში სინანულის ცრემლი ჩასდგომოდა.

პაპამ კი, ყოფილმა მასწავლებელმა, რომელსაც ბევრი რამ ენახა და ბევრი წიგნი წაეკითხა, ასე განუმარტა შვილიშვილს!

— არა, ლილიკა, ფრამი ავად არ არის! აქ უფრო სერიოზული ამბავია... დადგა ჟამი და იგი ცირკისათვის უკვე გამოუსადეგარი გახდა. ასე ემართება ყველა თეთრ დათვს. ოთხ, ხუთ, ხან ექვს წელიწადს ტოლს არავის უდებენ, როგორც მსახობები, მერე კი რაღაც ემართებათ. კაცმა არ იცის, რატომ. შეიძლება ყინულოვანი უდაბნო ეძახით, სადაც დაიბადნენ... ასე თუ ისე, უძღურდებიან და ვეღარ აკეთებენ იმ ოინებს, რითაც მანამდე ყველას აკვირვებდნენ. ისინი ჩვეულებრივ თეთრ დათვებად იქცევიან ხოლმე და ცხოვრობენ დიდხანს, ძალიან დიდხანს... ხანდახან გაიხსენებენ

კიდევ, ადრე რაც იცოდნენ, მოჰყვებიან ცეკვას, იმეორებენ ადრე ნასწავლ მოძრაობებს, მაგრამ რაღაც უნებურად, შეუგნებლად და უდროოდ დროს. ფრამი დღეიდან ცირკის მსახიობად აღარ გამოდგება!..

— ეს შეუძლებელია, პაპა, ასე ნუ ლაპარაკობ!

შვილიშვილს მოხუცმა ხმაზე და აკანკალებულ მხრებზე შეატყო, გოგონა ატირდებოდა და გაჩუმდა.

ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალება ბიჭმაც ყველაფერი გაიგონა, მაგრამ არც მას სჯეროდა და საშინლად უნდოდა, რითიმე ენუგეშებინა ფრამი.

ფრამმა კი თვალებზე თათები მიიფარა და ატირებულ ადამიანს დაემსგავსა.

ბოლოს წამოდგა და გამომშვიდობების ნიშნად წინა თათები გაშალა — ასე აკეთებდა ფრამი ყოველ საღამოს, როცა მისი ნომრები დამთავრდებოდა და აპლოდისმენტების გრიალი გასასვლელამდე აცილებდა.

მერე ოთხ ფეხზე დადგა და უცბად ჩვეულებრივ ცხოველად გადაიქცა.

ფრამი თავჩალუნული გაემართა ალუბლისფერი ფარდისაკენ.

ხალხი სახტად დარჩა, ვერავის ვერაფერი გაეგო. აღარავინ ყვიროდა. აღარ უსტვენდნენ და დათვის უკან დაბრუნებასაც აღარ მოითხოვდნენ.

ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალება პეტრუშმა გულიანად ამოიოხრა.

ალუბლისფერი ფარდა გადაიწია და ფრამი გაუჩინარდა.

ვიწრო კულისებში ყველა გზას უთმობდა. მიახლოვება ვერავის გაეხედა. ფრამი თვითონ შევიდა თავის გალიაში, ყველაზე ბნელ კუთხესთან პირით კედლისკენ დაწვა და თავი წინ გაწვდილ თათებზე დადო.

— რა არის ეს, თუ არა მასხარად აგდება! — გაისმა ცხვირნისკარტა ქალის ხმა, — ფული გადავიხადეთ, პროგრამაში დაბეჭდილია: «თეთრი დათვი ფრამი. სენსაციური გამოსამშვიდობებელი საღამო!» სენსაციური სისულელეა, ხალხის სენსაციური აბუჩად აგდება!..

გოგონას თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა. პეტრუშმა ამპარტავან ქალებს აღმაცერად შეხედა და ჯავრისაგან პალტოს ღილებს დაუწყო წვალება. ღილი აწყდა.

— ახ, ეშმაკსაც წაუღიხარ!

ამპარტავანმა ქალებმა გაბრაზებით შეხედეს ბიჭს, ალბათ იფიქრეს, ეს სიტყვები ჩვენი მისამართით იყო ნათქვამიო.

არენაზე სულელი ავგუსტინი გამოვიდა. კოტრიალობდა, ცხვირით სილაში ერჭობოდა, საკუთარ ჩრდილს დასდევდა, მაგრამ აღარავის ეცინებოდა.

ალუბლისფერი ფარდის უკან დირექტორი შავ დაფაზე ჩამოწერილი ცირკის მსახიობებისა და ცხოველების სიას ათვალთვლებდა. იგი მოლუმულიყო. ხელში ლურჯი ფანქარი ეჭირა.

ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა და თეთრი დათვი ფრამი სიიდან ამოშალა.

III. ცირკის გამგზავრების შემდეგ

სტრუცკის ცირკი წავიდა.

დაკეცილი ბრეზენტის შაპიტო, გალიები მხეცებით, საჯინბოები, მუყაოს სახლივით რომ იშლება და იგება, ყველაფერი თეთრ ვაგონზე დააწყვეს და თან წაიღეს.

დარჩა სამაგელი, უკაცრიელი, მჭმუნვარე ადგილი.

ირგვლივ ისევ საჯინბოებისა და მხეცების სუნი იდგა.

ბავშვები მეორე დღეს მაინც მოვიდნენ, ცირკის კვალი ჯერ კიდევ ეტყობოდა იქაურობას. პეტრუშიც აქ იყო. ისიც დანანებით დასცქეროდა მინდორს.

დატკეპნილი მრგვალი მოედანი რომ ჩანს, აქ არენა იყო, აქეთ — შესავლელი, იქით — სამხეცე.

თოვლი ისე ბარდნის, ხვალამდის სულ დაფარავს აქაურობას, ცირკის წასვლით დანადვლიანებული ბავშვები კვლავ გამხიარულდებიან. ისინი ახლა თოვლში ითამაშებენ, გათოშილი ხელებით თოვლის პაპას გააკეთებენ.

პეტრუშმა გადაწყვიტა, თავისი ამხანაგებისათვის ეთქვა და თოვლისაგან თეთრი დათვი, ფრამი გაეკეთებინათ. ფრამი ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც მათ ნახეს და შეიყვარეს — კეთილი, ნახშირივით შავთვალეზა, უკანა თათებზე წამომართული წყნარი გოლიათი, შორიდან ნასროლ ფორთოხლებს პირით რომ იჭერდა.

დღესასწაული ახლოვდებოდა და ქალაქში ყველა თავის საქმესა და საზრუნავს მიუბრუნდა.

ერთნი ცდილობდნენ, თბილი ტანსაცმლის საყიდლად ფული შეეგროვებინათ, მეორენი თხილამურებს პოხავდნენ და მთებში წასასვლელად ემზადებოდნენ. ბავშვები მათთვის მიუწვდომელი, ათასნაირი სათამაშოებითა და წიგნებით სავსე ვიტრინებს მოჯადოებულები შეჰყურებდნენ.

პეტრუშს შინ რომ ჰკითხეს, ყველაზე დიდხანს რომელ წიგნს უცქერდიო, არც დაფიქრებულა, ისე გასცა თავისი იდუმალი სურვილი.

— ერთი წიგნი ვნახე, თურმე ყველაფერი წერია თეთრ დათვებზე, როგორ ცხოვრობენ პოლარულ ყინულებში.

მამას დამცინავად ჩაეცინა უღვაშებში.

— მომთვინიერებელი ხომ არ გინდა გამოხვიდე?

— არა, მამა, მე პოლარეთის მკვლევარი მინდა გავხდე, — უპასუხა პეტრუშმა, — ძალიან მაინტერესებს, რა წერია ამ წიგნში...

— კარგი, ვნახოთ, პეტრუშ, — უთხრა მამამ და გადაწყვიტა, რაკი ბიჭს ასე ძალიან უნდოდა, აუცილებლივ ემოვა ფული და ის წიგნი ეყიდა.

ქალაქში გრიპის ეპიდემია გავრცელდა. ბევრი ბავშვი, იმის მაგივრად, რომ ციგებით და ციგურებით ესრიალათ, ანდა თოვლის პაპა გაეკეთებინათ, ლოგინში ჩაწვა.

ავად გახდა ცისფერთვალეზა, ქერაკულულებიანი გოგონაც.

გოგონა ოცნებობდა მის ელიანივით მომთვინიერებელი გამხდარიყო. თავის კატას სახელიც კი გამოუცვალა და რაჯა დაარქვა. მერე აბრეშუმის ფუნჯიანი შოლტით გაწვრთნა დაუწყო, როგორც მის ელიანი წვრთნიდა თავის ბენგალიურ ვეფხვებს, მაგრამ ფისოს ასეთი თამაში არ მოეწონა. გოგონამაც ვერაფრით ვერ დააშინა, კატამ დაკაწრა და დივანქვეშ შეძვრა.

სადილის შემდეგ ლილიკას ხველა დააწყებინა.

სალამოთი ყელი ეწვოდა, თვალეზაში რაღაც ნემსებივით ჩხვლეტდა. დედამ გოგონას ოფლიან შუბლზე ხელი გადაუსვა და ძალზე შეეშინდა.

— ბავშვს სიცხე აქვს, ექიმს გამოვუძახოთო!..

ექიმი მოხუცი კაცი იყო, გოგონას პაპის მეგობარი. მან ბუდიდან თერმომეტრი ამოიღო, ავადმყოფს ილღიაში ჩაუდო, მერე ჯიბიდან ძეწკვზე დაკიდებული საათი ამოიღო, მაჯა მოუსინჯა და თვლას მოჰყვა.

პაპა სავრძელში იჯდა, ნიკაპით ხელჯოხის სპილოს ძვლის ბუნიკს დაყრდნობოდა. დედა კიდევ უფრო მეტად დაღვრემილიყო. გამხდარ, გაფითრებულ სახეზე და დაღლილ თვალებზე ემჩნეოდა, რომ გრიპი მასაც მოეხადა.

ექიმმა თერმომეტრს დახედა, დაბერტყა და ლითონის ბუდეში ჩადო.

საშიში არაფერია, — თქვა ექიმმა, — იოლად მოსახდელი გრიპი აქვს. გრიპი მთელ ქალაქშია მოდებული. სიცხე ცოტა კიდევ აუწევს და არ შეგეშინდეთ. ერთ კვირაში გოგონა ფეხზე წამოდგება, ათი დღის შემდეგ კი სათამაშოდაც შეგიძლიათ გაუშვათ.

დედამ და პაპამ შვებით ამოისუნთქეს.

ექიმი მართალი გამოდგა. ლილიკას მეორე დღეს სიცხემ აუწია და ვეღარ გაეგო, ეძინა თუ ეღვიძა.

თვალეზგახელილი იწვა, მაგრამ სიზმრებს მაინც ნახულობდა და თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდა. გოგონას მოეჩვენა, ვითომ ვეფხვების მომთვინიერებელი მის ელიანი ოქროსფერი კაბის შრიალით შემოვიდა ოთახში, ხელში ჯოხი ეჭირა.

— სად არის პუფელეცი? — იკითხა მის ელიანმა და შოლტი დივან ქვეშ მიატარ-მოატარა, ეგონა, კატა აქ დაიმალო.

ქვემოდან კუდამოძუებული პუფელეცი გამოძვრა.

— აა, — გაუხარდა ავადმყოფ გოგონას, — ახლა ვნახოთ, ბატონო პუფელეც, რას იზამ, ლილიკა არ გეგონოს ეგეც!

მის ელიანმა აბრეშუმის ფუნჯი გაატკაცუნა და კატა ბენგალიურ ვეფხვად, რაჯად იქცა.

— სეირი თუ გინდა, ეს არის! — წამოაბოდა გოგონას, — ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. ბატონი პუფელეცი თურმე ბენგალიური ვეფხვი, რაჯა ყოფილა, ჩვენ კი თავს კატად გვაჩვენებდა...

მის ელიანი კატას ქეჩოში სწვდა, შუა ოთახში მიიყვანა და წვრთნა დაუწყო:

— ახლა ხომ გაიგე ვისთანაცა გაქვს საქმე? ჩემთან ხუმრობა არ გაგივა. შენ კატა პუფელეცად დარჩები, სანამ სტრუცკის ცირკში წაგიყვან და რაჯას შესცვლი!.. იქამდე კი ლილიკას დაუჯერებ და კაწვრას თავს გაანებებ. კნავილიც არ გაბედო, როცა კუდით გათრევეს. თავმოყვარე ბენგალიური ვეფხვი არასოდეს არ კნავის, ეგ არ შეგეფერება. ჰოპ!

მის ელიანმა შოლტი გაატკაცუნა და გაქრა. გაქრა პუფელეციც...

ახლა ოთახის შუაგულში, ტრაპეციიდან ტრაპეციაზე ტანმოვარჯიშეები დაქროდნენ. ტრაპეცია ჭერზე ეკიდა, ჭაღის გვერდით. ტანმოვარჯიშეები ხტუნავდნენ და რატომღაც თან ტაშს სცემდნენ. უცნაურია, ერთ-ერთი პაპამისს ჰგავს... ჰგავს კი არა, პაპამისია. არასოდეს დავიჯერებდი, რომ პაპა ტანმოვარჯიშე იქნებოდა, გაიფიქრა ლილიკამ, როცა დაინახა, როგორ გადააგდო პაპამ სპილოს ძვლის ბუნიკიანი ხელჯოხი, აღარც რევმატიზმებს უჩიოდა, აღარც ახველებდა. მკერდზე თეთრქალაამოქარგული ტრიკო ეცვა და ტრაპეციიდან ტრაპეციაზე დაქროდა.

— ყოჩაღ, პაპა, ბრავო! — ტაშსა სცემდა გოგონა.

ერთი წუთით გოგონა გონს მოვიდა, თავი ტყვიასავით ჰქონდა დამძიმებული, შუბლი ოფლით გაწუწოდა. საბანი სულს უხუთავდა.

გოგონამ საბანი გადაიდრო, მაგრამ დედამ ისევ დაახურა.

მერე კვლავ ყველაფერი ერთმანეთში აირია და ლილიკა ატირდა.

— სად არის ფრამი?

— ფრამი!

— ფრამი!

— ფრამი!

გოგონას ესმის, როგორ ყვირის ხალხი. ვინც კი გამოსამშვიდობებელ სადამოზე იყო, ახლა მის გარშემო მოუყრია თავი. ტაშს უკრავენ და ფეხებს აბაკუნებენ.

— ფრამი!

— ფრამი!

— ფრამი!

ერთ-ერთი ცხვირნისკარტა, ამპარტავანი ქალი წამოდგა და ხალხს გაბრაზებულმა მოავლო თვალი. ყველაზე მკაცრად ლილიკას შეხედა. გოგონა მოიკუნტა, მაღლა ველარ აეხედა.

— მოგატყუეს თქვე სულელებო, — წრიპინებდა ქალი, — ტყუილად გადაგვახდევინეს ფული. ნულა ეძახით ფრამს. ამისთანა ტყუილი გაგიგონიათ! შეგვპირდნენ, ყველაზე ჭკვიანს, ყველაზე დიდსა და გაწვრთნილ თეთრ დათვს გაჩვენებთო და მოგვატყუეს! ფრამი სულელი დათვია და მეტი არაფერი, ჩვეულებრივი სულელი ცხოველი! ნულა ეძახით! ხომ დაინახეთ, ოთხ ფეხზე დადის ძალიან?

არ დაუჯეროთ, ცხვირნისკარტა ქალი ტყუისო, ტიროდა ლილიკა და ბალიშზე პირქვე დამხობილი ბორგავდა. მაგრამ ფრამი რატომ აყოვნებს, რატომ არ გამოდის?

— ფრამი! — სხვების ხმას თავისი ხმაც შეუერთა გოგონამ.

— ფრამი!

გოგონამ თვალი გაახილა. შუბლზე ვიღაცის მსუბუქი ხელი იგრძნო. ლილიკას მოეჩვენა, რომ ეს ფრამის თათი იყო, სწორედ ის თათი, ქანდარიდან ჩამოყვანილ ბავშვებს რომ ეალერსებოდა და ლოყაში სვამდა.

— გმადლობთ ფრამ! — თქვა ლილიკამ და თვალი გაახილა, — რა კეთილი ხარ, ფრამ!

მაგრამ ეს ფრამი კი არა, დედამისი იყო, დედა ცდილობდა, როგორმე დაეშოშმინებინა ძილში მბორგავი ლილიკა.

დედა ეფერებოდა, ჰკოცნიდა და ნანას უმღეროდა.

— რა კარგი ხარ, დედა!

— ფრამზე უფრო კარგი? — გაეცინა დედას.

— ფრამი სულ სხვაა, — უთხრა ცისფერთვალება გოგონამ, — საწყალი ფრამი, ნეტავ სად არის ახლა?

დედას გაუხარდა ლილიკა გონზე რომ მოვიდა, რაკი აზრიანად დაილაპარაკა, კრიზისი ალბათ უკვე გადაიტანაო.

— მაინც სად იქნება ახლა ფრამი? — გაიმეორა გოგონამ.

— ფრამი ახლა შორს, სხვა ქვეყანაში და სხვა ქალაქში იქნება, ლილიკა... — უთხრა დედამ.

ერთი კვირის შემდეგ ლილიკა გამომჯობინდა. რამდენიმე დღის მერე კი ქუჩაში გამოსვლის ნებაც დართეს.

როგორ ლამაზად ფარფატებდნენ ფანტელები, რა სასიამოვნოა ცივი ჰაერის სუნთქვა, ნესტოებში გაზიანი წყალივით რომ გილიტინებს!

ერთხელ გოგონა ქუჩაში კედელზე გაკრულ ძველ აფიშასთან შეჩერდა. ეს სტრუცკის ცირკის აფიშა იყო. აფიშის ცენტრში ფრამი ეხატა, სწორედ ისეთი, თავის დიდების დღეებში ხალხს მხიარულად რომ ესალმებოდა.

— საწყალი ფრამი! — მოესმა გოგონას ბავშვის ხმა.

ლილიკა მსწრაფლ შემობრუნდა. მის წინ ცხვირპაჭუა ბიჭი იდგა, ცირკში გამოსამშვიდობებელ საღამოზე რომ შეხვდა. პეტრუშმაც იცნო ცისფერთვალეა გოგონა.

— მიცანი? — შეეკითხა ბიჭი.

— როგორ არა, შენც ცირკში არ იყავი იმ საღამოს... საწყალი ფრამი!

— აქამდე რატომ ვერ შეგხვდი?

— ავად ვიყავი... ისეთი მოსაბეზრებელია საწოლში წოლა.

— ჰო, მოსაბეზრებელია, — თანაგრძნობით უთხრა პეტრუშმა, თუმცა თვითონ არასოდეს ღირსებია საწოლი და არც იცოდა, ნამდვილად მოსაბეზრებელია თუ არა.

— კიდევ კარგი, პაპაჩემმა სურათებიანი წიგნი მომიტანა. იცი? ერთი წიგნი თეთრ დათვებზე იყო.

პეტრუში უცებ გამოცოცხლდა.

— პაპაშენს აქვს წიგნი თეთრ დათვებზე? — ჰკითხა მოუთმენლად.

— ერთი კი არა, ბევრი... რატომ მეკითხები?

— რამდენი ხანია მინდა, თეთრ დათვებზე წიგნი წავიკითხო... საახალწლოდ მამაჩემმა პოლარულ ექსპედიციებზე ერთი წიგნი მაჩუქა. თეთრ დათვებზე კი აღარც ერთი წიგნი აღარ იშოვება, მაღაზიებში სულ გაყიდულა. თუმცა, რომც ყოფილიყო, ჩვენ იმის საყიდლად ფული არ გვეყოფოდა.

გოგონა ჩაფიქრდა, მას ძალზე მოსწონდა ეს ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალეა ბიჭი. ჯერ იყო და, როგორ ღირსეულად ეჭირა თავი იმ ამპარტავან, ცხვირნისკარტა ქალებთან, ახლაც საშინლად ყინავს, ის კი არაფრად აგდებს. თვალეები მხიარულად უციმციმებს, სწორედ ისე, როგორც ცირკში, ფეხებს რომ აბაკუნებდა და ფრამს ემახდა.

— კარგი, მე პაპას ვეტყვი და ხვალ მოდი. პაპა მოგცემს წიგნს და რამდენიც გინდა იკითხე.

— მართლა მომცემს?

— რატომაც არა, მე ვთხოვ... პაპას უყვარს, ბავშვები რომ კითხულობენ. იცი? პაპა მასწავლებელი იყო.

— მხეცებზე მართლა ბევრი წიგნი აქვს?

— ძალიან ბევრი. რანაირი წიგნი გინდა, რომ არ ჰქონდეს, ჩვენი თუ სხვა ქვეყნის მხეცებზე, თითქმის ყველაზე, ცირკში რაც ვნახეთ.

პეტრუშმა თვალეები მოჭუტა და მოუთმენლობისაგან თოვლზე ცმუკვა დაიწყო.

— როდის მოვიდე?

— როცა გინდა.

— ხვალ შეიძლება?

— რატომაც არა... იცი, სად ვცხოვრობთ?

— არა.

— წამო გაჩვენო... ოღონდ ძალღი გვყავს, ხომ არ გეშინია?

— მაგისი დარდი ნუ გაქვს, ძაღლის სულაც არ მეშინია, ვეცდები, დავუმეგობრდე.

ლილიკამ აღტაცებით შეხედა პეტრუშს — ძალზე დიდი და ძლიერი მოეჩვენა. აბა, მეზობელ ტურელივით მშიშარა კი არ არის, გრივეის ყოველ შეყეფაზე რომ ღრიალებს, მიშველეთო, ხანდახან შიშისაგან ბლითიც კი უვარდება, ძაღლიც უმაღლ მოავლებს ხოლმე პირს და მოჰკურცხლავს, მთელი ქუჩის ბიჭები კი სიცილისაგან იჭაჭებიან.

პეტრუშმა გოგონას გაანდო თავისი საიდუმლო, პოლარეთის მკვლევარობას რომ აპირებდა.

— მერე, შენც იქ წახვალ, სადაც თეთრი დათვები ცხოვრობენ? — გამოცოცხლდა გოგონა.

— აუცილებლად, ფრამის გულისთვის წავალ... იმ სადამოს შემდეგ სულ ამას ვფიქრობ. საწყალი ფრამი! ნეტა ახლა სად არის?

— ფრამი ახლა შორს, სხვა ქვეყანაში და სხვა ქალაქში იქნება... სიტყვასიტყვით გაიმეორა გოგონამ დედის ნათქვამი.

ფრამი მართლაც სხვა ქვეყანაში და სხვა ქალაქში იყო. სტრუცკის ცირკთან ერთად ისიც ჩავიდა უცხო ქალაქში, სადაც სულ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.

სხვა ენაზე იყო დაწერილი კედელზე გაკრული უზარმაზარი ფერად-ფერადი აფიშები. აფიშები ტანმოვარჯიშეების, თორმეტი ბენგალიური ვეფხვისა და მათი მომთვინიერებლის, მის ელიანის ამბავს იუწყებოდა.

ფრამზე კი ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი.

უკაცრიელ ადგილას გაშლილი ცირკის კარვების გარშემო ბავშვებმა უმაღლესად მოიყარეს თავი. სამხეციდან ვეფხვებისა და ლომების ღრიალი ისმოდა.

იქაური ბავშვები სულ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, თუმც სიხარული და აღტაცება ისეთივე იციან, როგორც მსოფლიოს ყველა ბავშვებმა, — მოუთმენლობისაგან ისინიც ვეღარ პოულობდნენ ადგილს. ერთი სული ჰქონდათ როდის დაბნელდებოდა, რომ წარმოდგენა დაწყებულიყო.

ვოგზლიდან ქუჩაში სქელფეხება ინდური სპილოები მოდიოდნენ, ვეება ხორთუმებს ხანდახან ტროტუარისკენ გაიშვერდნენ და გამვლელებს გულს უხეთქავდნენ. ცხოველებს წინ ჟირაფი მოუძლოდათ. მას სატელეგრაფო ბოძით გრძელი კისერი ჰქონდა. შემდეგ ლომები და ვეფხვები მოსდევდნენ რკინის გალიებით, მათ ბეწვდაბზინებული, ეჟენებიანი ჯუჯა ცხენები მოჰყვებოდნენ. ჯამბაზებივით წითელსა და მწვანე შარვლებში გამოპრანჭული მაიმუნები ათასნაირად იმანჭებოდნენ, თათებს იშვერდნენ და გამვლელებს მიწის თხილსა სთხოვდნენ.

ცირკი თითქოს მიწიდან ამოიზარდაო.

უკაცრიელსა და უღიმღამო ადგილას ვეება რუხი კარავი წამოჭიმეს. კარავზე ალამი აღმართეს. ირგვლივ სამხეცეები და საჯინიბოები ჩაამწკრივეს, საითაც გაიხედავდი, მუშები დაფუსფუსებდნენ. ზოგი კარავს კარს აბამდა, ზოგი ბოდს ასობდა, ზოგი ნათურას ჰკიდებდა. ისმოდა მტაცებელთა ბრდღვინვა. ქარს მხეცების უცნაური სუნი მოჰქონდა. შიგნით მუსიკოსები საკრავებს ამოწმებდნენ.

— გალიაში თეთრი დათვი დავინახე, — ტრახახობდა ერთი ბიჭი თავის უცხო ენაზე, — ისეთი ვებერთელაა! — მამამ თქვა სტრუცკის ცირკში ყველაზე განსწავლული თეთრი დათვიაო... კარგად არ ვიცი, რა ჰქვია, ფრამი, პრამი თუ რიამი.

— მე აფიშა თავიდან ბოლომდე წავიკითხე, მაგრამ ფრამი ნახსენებიც არ არის, არც თეთრი, არც რუხი და არც შავი, — ჯიბრში ჩაუდგა მეორე.

— შეუძლებელია!

— სანამღეო!

— კარგი.

— რაზე?

— თუ მოიგე, ორ შაქარლამას გიყიდი, თუ წააგე, შენი დანა მომეცი.

— ასეთი ნიძლავი ვის გაუგია. ნიძლავი თანაზარი უნდა იყოს: თუ მე წავაგე, დანა შენი იყოს, თუ მოვიგე — შენი ყალამქარისყდიანი რობინზონი მომეცი.

— კარგი, მოიტა ხელი... წავიდეთ ახლა აფიშა წავიკითხოთ.
ბიჭებმა ჯერ აფიშა წაიკითხეს, მერე ერთ წითელმუნდირიან ძიას პროგრამა სთხოვეს.

თეთრ დათვზე არაფერი ეწერა.

ფრამი, ფრამი, პრამი, პრამი თუ პირამი ნახესენებიც არ იყო.

— ერთხელ კიდევ ვიკითხოთ, — გულნაკლულად თქვა დანის პატრონმა.

დანა დაბადების დღეზე აჩუქეს, იგი სულ ახალთახალი იყო, მთელი სკოლის ბავშვები შურით შეჰყურებდნენ. ერთხელ გაკვეთილზე ფანქრის წვერის წასათლელად მასწავლებელსაც კი ათხოვა. მასწავლებელმა დანა კარგად გასინჯა და უთხრა, შესანიშნავი დანაა! ოღონდ იცოდე, მერხზე არ გაბედო შენი სახელის ამოჭრაო...

ჰოდა, ცხადია, ძნელი იქნებოდა ახლა ბიჭისთვის ამისთანა საუნჯესთან გაყრა.

— წავიდეთ, კიდევ ვიკითხოთ.

— კარგი, თუ გინდა, წავიდეთ, — დაეთანხმა ამხანაგი და გუნებაში დანა უკვე თავისად დაიგულა.

ბიჭები წითელმუნდირიან ძიასთან მივიდნენ. იმ ძიას ულვაშები ისე აპრებოდა, სულ ადვილად ჩამოიკიდებოდა ქუდი... ბიჭებმა შორიდან მოუარეს, მერე პირდაპირ ჰკითხეს:

— რის დათვი, რა დათვი, ჩვენს ცირკში თეთრი დათვი საერთოდ არ გამოდისო, — თქვა ცირკის მსახურმა, თან ულვაშებს იგრებდა და ზედ ცერად დაჰყურებდა, თითქოს ამოწმებდა, ერთი სიგრძისა არის თუ არაო. — არ გამოდის, არც გამოვა, არც დღეს, არც ხვალ, არც არასოდეს. ფრამის საქმე უკვე წასულია ხელიდან... აღარაფრად ვარგა, მუქთად ვაჭმევთ, მთელი დღე გალიაში სძინავს, არენაზე არ გამოვა, მაგრამ თუ გინდათ, სამხეცეში შედით და ნახეთ.

უნიფორმისტმა ზურგი შეაქცია ბიჭებს და ულვაშების გრეხით გაეცალა.

ბიჭებმა დავა ატეხეს.

დანის პატრონი ირწმუნებოდა, მე მოვიგეო:

— ცირკში თეთრი დათვი მართლაც ყოფილა ფრამი რქმევია, წააგე ნიძლავი და ეგ არის, მომეცი რობინზონი.

— არაფერიც, — ჯიუტობდა მეორე ბიჭი, — შენ არ ამბობდი, ცირკში მთელ მსოფლიოში ყველაზე განსწავლული თეთრი დათვი გამოდისო. ხომ გაიგონე, რა გვითხრა, თეთრი დათვი არც დღეს, არც ხვალ, არც არასოდეს არ გამოვაო. სულელი დათვია, ტყუილად ვაჭმევთ, კაპიკია მისი ფასიო. ცხადია, შენ წააგე. ჰოდა, გირჩევნია, დანა მომცე!

— როგორ არა, მოგართმევ.

— სიტყვის პატრონი არ ყოფილხარ!

— შენ რა, სულელი ხომ არ გგონივარ?

— გამომიხვედი შენც ჰკუის კოლოფი?

— მომეცი რობინზონი!

— ელოდე, სანამ მოგცემდე.

— ცხვირის ამომტვრევა ხომ არ მოგნატრებია.

— გირჩევნია, დანა მომცე!

— აჰა, ჯერ ავანსი მიიღე!

დანის პატრონმა რობინზონ კრუზოს მფლობელს შიგ ცხვირში უთავაზა მუმტი.

ვალში არც ის დარჩენილა.

გვარიანი ჩხუბი გაიმართა. ორივეს თავზე კოპები დაასხდა. სწორედ იმხელა, სულელ ავგუსტინს რომ დააჯდა შუბლზე, როცა თმიდან ცეცხლისა და კვამლის ბუნგალი ასდიოდა.

ბოლოს ბიჭები შერიგდნენ.

შინ ორივემ ერთნაირად თქვა: ქვას ფეხი წამოვკარი და წავიქეციო...

დანის პატრონის მამა ძალზე გაბრაზდა.

— კეთილი, სანამ შუბლზე კოპი არ გაგიქრება, შინ იჯდები. ამ საღამოსაც ვეღარ წახვალ ცირკში.

— ძალიან კარგი, — უთხრა დედამ რობინზონ კრუზოს მფლობელს, — ამ საღამოს ცირკში აღარ გაგიშვებ, იქნებ მერე მაინც დაიხედო წინ და დოყლაპიასავით აღარ იარო.

— მომისმინე, მამა...

— სიტყვის გაგონებაც არ მინდა.

— იცი, რა, დედა...

— არაფერი არ ვიცი. მიკვირს, კიდეც თავს რომ იმართლებ, შენ თვითონ უნდა გრცხვენოდეს ხალხში ასე გამოჩენა, არ იფიქრებენ, ეს რა მაჩხუბარა ბიჭი ყოფილაო?..

ერთმაც და მეორემაც სახელდახელოდ ცივი კომპრესი დაიდო. მერე თოვლით იმდენ ხანს ისრისეს შუბლი, სანამ კოპი სულ არ გაუქრათ, ვახშმად რომ დასხდნენ, ორივეს კოპის ადგილას გალურჯებულიდა ჰქონდა.

მშობლებმა, როგორც იქნა, აპატიეს თავიანთ შვილებს.

საღამოს ბიჭები დიდის ამბით გამოიპრანჭნენ, ფეხსაცმელები დაიპრიალეს, თმა ჯაგრისით დაივარცხნეს, მაგრამ სულელი ავგუსტინით ქოჩორი მაინც აბურძგნოდათ.

წარმოდგენაზე ორივე გულდაარხებულელები მოვიდნენ. სინანულით იგონებდნენ მომხდარ უსიამოვნებას, ეშინოდათ, ხალხში არ დაკარგულიყვნენ და მშობლებს ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდნენ.

ერთმანეთს ისეთი სიხარულით მიესალმნენ, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეთ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, — უთხრა დანის პატრონის მამამ რობინზონ კრუზოს მფლობელის დედას, — ჩემი ბიჭი ისეთი კოპით დაბრუნდა შინ, ვიფიქრე აღარ წავიყვან-მეთქი წარმოდგენაზე.

— ჩემი ბიჭიც! — წამოიძახა რობინზონ კრუზოს მფლობელის დედამ, — შინ კაკლის ხელა კოპით მოვიდა. დავეციო... არ ვიცი, რა მოსდის ამ ბიჭს! არასოდეს წინ არ იხედება!..

დარცხვენილი ბიჭები მიწას დასჩერებოდნენ. გუნებაში ორივემ დაიფიცა, აღარასოდეს მოეტყუებინათ მიამიტი მშობლები.

სულსწრაფი ხალხი ტაშს უკრავდა და ფეხებს აბრახუნებდა.

სასულე ორკესტრმა ფიცარნაგზე მარში დასცხო, წარმოდგენა დაიწყო.

აქაც, ქანდარაზე, პარტერში და ლოჟებში ორი ათასამდე კაცი იჯდა. სულ სხვა ენაზე ლაპარაკობდა ეს ხალხი, რადგან სხვა ქვეყანა და სხვა ხალხი იყო, მაგრამ მის ელიანმა ბენგალიურ ვეფხვს გაღებულ ხახაში რომ ჩაუდო თავი, ზუსტად ისევე ღელავდნენ, როგორც პირველ ქალაქში. ტანმოვარჯიშეების ტრაპეციიდან ტრაპეციაზე ქროლვაზეც ისევე უკანკალებდათ გული, სულელი ავგუსტინის ოინებზე კი, ბოლოს ყოველთვის თვითონ რომ რჩებოდა მოტყუებული, ისინიც გულიანად ხარხარებდნენ.

ოღონდ ამჯერად ფრამი, განსწავლული თეთრი დათვი, აღარავის გამოუძახებია, აქაურებმა არაფერი იცოდნენ და არც არაფერი სმენოდათ ფრამის შესახებ.

ფრამის უწყინარობას აქ გული არავისთვის აუჩუყებია, არც მის ჭკუას გაუკვირვებია ვინმე და არც მისი წარმოსადგობით განცვიფრებულან.

ფრამი თავის გალიაში, სამხეცის ერთ კუთხეში მიწოლილიყო, მისი მეზობლები ჩერჩეტი ცხოველები იყვნენ, რომელთაც არაფრის ათვისება არ შეეძლოთ.

— გინდათ, სამხეცე დაათვალიეროთ? — უთხრა დანის პატრონის მამამ რობინზონ კრუზოს მფლობელის დედას.

— მეც მინდოდა ბავშვები გამეხარებინა, იშვიათად ნახავენ ასე სრულად ნოეს კიდობანს.

ბავშვებს გაუხარდათ, ხელი ხელს ჩაჰკიდეს და წინ გაიქცნენ, თან უჩუმრად ერთმანეთს ათვალიერებდნენ, კოპები რა დღეში გვაქვსო.

IV. ნოეს კიდობანი

ფერადილუსტრაციებიანი რობინზონ კრუზოს მფლობელის დედა სულაც არ შემცდარა, სტრუცკის ცირკი ნოეს კიდობანს რომ შეადარა. ნოეს ლეგენდარულმა კიდობანმა წარღვნისაგან იხსნა ყველანაირი ცხოველი და ტალღებს მიწებებულნი იქამდე ატარა, სანამ მტრედმა, ნისკარტით ზეთის ხის რტო რომ ეპყრა, არ აუწყა, ზეცამ მრისხანება წყალობით შეცვალაო. მაშინ საკვირველფერება ცისარტყელა დედამიწას კიდიდან კიდემდე თაღოვან ხიდად გადაევილო, წყალდიდობამ იკლო. ნოემ კიდობანი წყლისაგან განთავისუფლებულ ხმელეთს მიაყენა და თავისუფლება უბოძა ყველა ქმნილებას — ლამაზსაც და მახინჯსაც, უწყინარსაც და ბოროტსაც, რათა დედამიწაზე ყველას თავისი შესაფერისი ადგილი დაეჭირა.

ასე მოგვითხრობს ლეგენდა, რომელიც თითქმის აღარავის სჯერა, მაგრამ სხვა უძველეს თქმულებასთან ერთად მაინც ყელა იმოწმებს ხოლმე.

სტრუცკის ცირკის პატრონმაც, სულ გამორჩენაზე რომ ფიქრობდა, საკუთარ კიდობანში ყოველნაირ ცხოველს მოუყარა თავი, მერე გალიაში ჩასხა და ერთი ქვეყნიდან და ქალაქიდან მეორეში დაატარებდა, რომ ხალხისათვის ეჩვენებინა ამქვეყნიური სასწაული. სასწაულის ნახვა ბილეთით შეიძლებოდა, ბილეთი კი ერთობ ძვირი ღირდა. მონადირეები დაეხეტებინან შორეულ ტროპიკულ ტყეებში, ქვიშიან უდაბნოებში და პოლარეთის მარადყინულოვან უდაბურ სივრცეებში; ადიან მთებზე, ჩადიან ხეობებში, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუკარგებია და ყველგან თავიანთ გამოგონებულ ვერაგ ხაფანგებს აგებენ, პოულობენ მხეცთა ბუნაგებს და თან მიჰყავთ ახალშობილი ძუძუმწოვარა მხეცები.

ცხრა მთას იქით, ზღვებისა და ოკეანეების გადაღმა, ცხელი უდაბნოებიდან თუ მუდმივი ყინულების ქვეყნიებიდან მონადირეები გემებითა და მატარებლით გზავნიან გალიებსა და ყუთებში ჩამწყვდეულ მხეცებს; ზოგი — ლომის ლეკვებს, ზოგი — პატარა ნიანგებს, ზოგი — პატარა სპილოებსა და გრძელკისერა პატარა ჟირაფებს.

ყველა ამ მხეცმა სტრუცკის ცირკში მოიყარა თავი, ისინი დანომრილ გალიებში არიან გამომწყვდეულნი. იყიდით ბილეთს — ნახავთ მხეცებს, არ იყიდით და ვერ ნახავთ.

განცვიფრებული ხალხი გალიებთან ცხრილებს კითხულობს, აქ მხეცების სახელები, სამშობლო, წლოვანება და ხანდახან მოკლედ ზნე-ჩვეულებაც არის აღნიშნული.

ცირკის სამხეცეში ჯიუტი და სულელი ცხოველიც ბევრია. ასეთია, მაგალითად, მახინჯი მარტორქა, თვალები ღილებს რომ მიუგავს. უზარმაზარი კრიალაკანიანი ჰიპოპოტამი, ვეება ჩემოდანივით თავი რომ აქვს და ამ ქვეყნისა არაფერი გაეგება; უაზრო გამოხედვაზეც შეატყობთ, რა ჩერჩეტიც არის. ნიანგები მკვდრებივით განუძრევლად წვანან, იქნებ ფიტულებიც გეგონოთ, პატარა ნაცრისფერ ცოცხალ თვალებს რომ არ აცეცებდნენ. კუები კი მდინარის რიყის ქვებსა ჰგვანან. მაგრამ ეს ქვები უეცრად გაცოცხლდებიან, გველისებურ თავსა და ოთხ ფეხს გამოჰყოფენ, გალიაში მოძრაობას იწყებენ, მერე კი სალათის ფოთლების ღრაჭუნს მოჰყვებიან ხოლმე. სძინავთ სიცხისაგან არაქათგამოცლილ გველებს. ხან ერთი ამთქნარებს, ხან მეორე და ორად გაყოფილ ენებს შავი ისრებივით გამოაგდებენ. ჟირაფი ყველაზე მაღალ, უჭერო გალიაში მოუთავსებიათ. არყის ხესავით მაღალსა და ჭრელ კისერზე წამოსკუპებულ პაწაწინა თავს აქეთ-იქით ატრიალებს და მაყურებელთა შლიაპებს ათვალიერებს. აქლემებს ქვედა ტუჩი ჩამოუშვიათ და ზანტად ახამხამებენ თვალებს. მართალია, მათ ხშირად ატყუებენ, — ბლითის მაგივრად მუყაოს ნაგლეჯს აწვდიან, მაგრამ მაინც სიამოვნებით მიდიან რკინის მესერთან. სირაქლემა უამრავ ღილსა და ლურსმანს ყლაპავს. ნეტა, რა კუჭი უძლებს ამდენ რკინეულობას? შავი ავაზა მთელი დღე მუხლჩაუხრელად დადის გალიაში, არავის უცქერის, ხანდახან რკინის მესერს თუ მოსინჯავს თავით, ეგებ რაღაც უხილავმა ძალამ ძირს ჩამოაგდოს და აქაურობას თავი დავაღწიოო. მაგრამ სამხეცეში სასწაულები არ ხდება და ავაზაც განუწყვეტლივ დადის მესერს იქით. იმის შემხედვარეს თავბრუ გეხვევა. აქ სხვა მხეცებიც არიან, ერთმანეთზე სასაცილოები. აი, თუნდაც ზღარბივით აბურძგნული ღორი, ანდა გრძელდინგიანი ჭიანჭველიჭამია. აგერ კიდევ იხვნისკარტა! ძალიან ჰგავს იხვს და ალბათ იმიტომაც დაარქვეს ეს სახელი.

არაფერს ვიტყვი თუთიყუშებზე. ისინი თავიანთ თავზე თვითონ ლაპარაკობენ... ლაპარაკობენ მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, იმ ქვეყნის ენაზე, სადაც დაუჭერიათ, ან საიდანაც გამოუგზავნიათ.

მაიმუნების გალიის ირგვლივ მუდამ ჟრიამულია. მათ დამანჭული სახეები და უთმო ხელისგულები აქვთ. იმათთან არასოდეს მოგეწყინებათ. დიდი ოინბაზები არიან. გალიას ეკიდებიან და ხელებს უშვერენ მაყურებელს, გაგვიკითხეთო. ერთს კაკლის გატეხვა და ნაჭუჭის მოცილება შეუძლია, მეორე, თუ გაბედავთ და პალტოდან აწყვეტილ ღილს მიაწვდით, მთელ ხალხში შეგარცხვინთ და იმ ღილს პირდაპირ თავში გესვრით. მესამე ხალხს ემანჭება, მეოთხეს სარკეში ყურება უსწავლია. ზოგნი კბილებს იჩიჩქნიან და სავარცხელს თხოულობენ, თმა ლომების მომთვინიერებელივით უნდა დავივარცხნოთო.

ზოგი მაიმუნი მუჭისხელაა. სამაგიეროდ გორილა გამოქვაბულის მკვიდრ პირველყოფილ ბალნიან ადამიანზე უფრო დიდია.

გორილა ერთთავად მოწყენილია, ჩაფიქრებული ფცქვნის ხოლმე ბანანს და ფორთოხალს, ნაფცქვენებს ყრის, ნაყოფს კი დინჯად შეექცევა. ალბათ ტროპიკულ ტყეებს იგონებს, სადაც დაიბადა და ველარასოდეს დაბრუნდება.

მეორე მხარეს გალიაში გაწვრთნილი ცხოველები არიან. ლომები, ვეფხვები, სპილოები, ძაღლები, ზებრები. აქ გველებიც კი ჰყავთ. ჩალმიანი ინდოელი როგორც კი ბუკზე დაუკრავს, გველები თავებს წამოსწევენ და მუსიკის ტაქტს აყოლებენ.

ეს გალიები უფრო მაღალი და ფართოა. ცხოველებს უკეთესად უვლიან და მაძღრისადაც აჭმევენ. ხალხს ხანდახან არც უშვებენ, რომ წარმოდგენის წინ ცხოველები არ გააბრაზონ ან არ გადაღალონ.

ყველაზე მაღალსა და ფართო გალიაში ოდესღაც თეთრი დათვი ფრამი ჰყავდათ. მის გალიას არ სჭირდებოდა ურდულით დაკეცვა ან კლიტის დადება. ფრამი თავად კეტავდა კარს. თუ ვინცობაა, წყლის მოტანა დაავიწყდებოდათ, კარს თვითონვე გააღებდა და იქით გაემართებოდა, სადაც წყურვილის მოკვლა შეეძლო. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გაიფანტებოდა, ფრამი კი არხეინად მიდიოდა უკანა თათებზე დამდგარი და თავის წილ წყალს ითხოვდა, მერე ისევ მშვიდად ბრუნდებოდა გალიაში.

ახლა ფრამი აქ აღარ არის. იგი შუაგულ სამხეცეში გადაასახლეს, სადაც ყველაზე ჩერჩეტი მხეცები ცხოვრობენ. იგი ხალხისაგან ზურგშექცევით წევს. ზოგიერთი მის გალიასთან ჩერდება და სახელს ეძახის. უნდათ, ფორთოხლით, ფუნთუშებით, ბლითებითა და ბანანებით მოხიბლონ, მაგრამ ყველაფერი ამაოა. ფრამი მათკენ არც იხედება. ყველაზე ბნელ კუთხეში მიგდებულა, თავი წინგაწვდილ თათებზე დაუდვია, თვალეები დაუხუჭავს და თავს იმძინარებს.

მაგრამ ფრამს არ სძინავს.

უნდა გაიგოს, რა დაემართა და ვერ მიმხვდარა. ვერ მიმხვდარა, რადგან ყველაზე ჭკვიანი ცხოველიც კი უმწეოა ჩასწვდეს იმის მეთასედს, რასაც ადამიანი შეიცნობს ან განსჯის. ფრამს ბუნდოვნად აგონდება, რომ ოდესღაც ჩინებული ტანმოვარჯიშე და მუშაითი იყო. თავადაც შეეძლო ხუმრობა და ადამიანების ხუმრობასაც ხვდებოდა. უყვარდა ბავშვები, სამაგიეროდ, ბავშვებსაც უყვარდათ იგი. უყვარდა აპლოდისმენტები და ხალხიც ყოველთვის ტაშს უკრავდა.

მაგრამ თავი ანაზღაურად დაუცარიელდა, ყველაფერი დაავიწყდა, რაც კი იცოდა. ახლა სამხეცის ყველაზე მივარდნილ, ბნელ ადგილას მიაგდეს, სადაც გამუდმებით ისმის მხეცთა ბრდღვინვა და ღრენა. ეს მხეცები ამდენი წლის განმავლობაში ვერ შეგუებიან თავიანთ ყოფას. ადამიანები, გალიებთან მათ სანახავად რომ მიდიან, თვალს არიდებენ.

ყოფილი მწვრთნელი ფრამს ახლაც მოინახულებს ხოლმე. იგი გალიაში შედის და ალერსით უსვამს ხელს აბურძგნულ ბეწვზე.

— რა დაგემართა, ჩემო კარგო? — ეკითხება თანაგრძნობით.

ფრამი ნაღვლიანი თვალეებით უყურებს, თითქოს პატიებას სთხოვს: «მეც ვერ გამიგია! გამოვშტერდი... ასეთი ბედი გვაქვს ალბათ თეთრ დათვებს».

მწვრთნელი თავს აქნევს, მერე კანფეტს აწვდის. ფრამი კანფეტს ართმევს და თავს ისე აჩვენებს, თითქოს გაუხარდაო.

მაგრამ როგორც კი მწვრთნელი გასცდება იქაურობას, კანფეტს გადააგდებს. ფრამმა ძველი ჩვეულებისამებრ გამოართვა კანფეტი, თორემ ახლა რა ჯანდაბად უნდა... ეს ამბავი ძველ დროს ახსენებს, როცა ცირკში ხანდახან რომელიმე ბიჭუნა მთელ მუქა კანფეტს მისცემდა, ის კი სხვა ბავშვებს უხმობდა და მათ უნაწილებდა. ყველაფერი გათავდა. ახლა აღარავინ უყვირის: «ფრამ!» ტაშსაც აღარავინ უკრავს — «ბრავო, ფრამ!» ცირკის მსახურნი საჭმელს ისე მიუგდებენ ხოლმე, როგორც მუქთამჭამელსა და არაფრის მაქნისს.

ძველი მწვრთნელიც ისე ეფერება, როგორც ავადმყოფს.

ფრამი ახლა მთელი დღე წევს. წარმოდგენა დამთავრდა, სინათლეები ჩაქრა, ყველას სძინავს.

მხოლოდ ფრამი ფხიზლობს.

ფრამი მისთვის უცხო ქალაქის სიჩუმეს დააყურადებს.

შორიდან დაგვიანებული ეტლების, უკანასკნელი ტრამვაების ხმაური თუ ავტომანქანების საყვირის ხმა ისმის. ისმის გალიებში მძინარე მხეცთა სუნთქვაც. ზოგიერთი ძილში კვნესის ან ზმუის. ალბათ მშობლიური მხარე ესიზმრებათ. თავი თავისუფლად წარმოუდგენიათ ქვიშიან უდაბნოსა თუ ადამიანის ფეხდაუდგმელ ჯუნგლებში. ელანდებთ, რომ ნადავლს ზვერავენ, ანდა კვალს მიჰყვებიან. თავისუფლად დანავარდობენ და თამაშობენ. ხანდახან ძილში ამოიკვნესებს ჭირვეული ბენგალიური ვეფხვი რაჯა, მას ესიზმრება, რომ თათი ხაფანგში მოჰყვას. გამოიღვიძებს, წამოვარდება და ტორს რკინის გალიას მიაჩქამს: ცხადი სიზმარზე უარესია. თათი რომ ხაფანგში მოჰყვას, შვიდი დღე და ღამე იბრძოდა, შემდეგ გაყურდა სიკვდილის მოლოდინში. ახლა ეს დამცირება სიკვდილზე უარესია. სამუდამოდ გამოუკეტავთ გალიაში და აიძულებენ, აბრეშუმის ფუნჯის ტკაცუნს უგდოს ყური. მაიმუნები გალიაში ფორთოხლის ნაფცქვენს უყრიან, ის კი იძულებულია ეს აბუჩად აგდებაც მოითმინოს. რაჯა ბრდღვინავს და ყველა მხეცს აღვიძებს. ზმანება ქრება. გამოფხიზლებული მხეცები ხვდებიან საპყრობილეში რომ არიან და აღარასოდეს ეღირსებათ მშობლიური ტყეების, მდინარეების, ტბებისა თუ მარადყინულოვანი სივრცეების ხილვა... მაგრამ ძილში თუ გაბედავენ ბედზე სამდურავს...

ნადირთა ღრიალი აყრუებს სამხეცეს.

ქალაქში შიშისაგან ბეწვებაშლილი ძაღლები ყმუილსა და ყეფას მოჰყვებიან.

ასეთი შეჯიბრი მძინარე ქალაქსაც აღვიძებს.

შემდეგ ღრიალი და კვნესა მიწყდება, ხელახლა იძინებენ მხეცები და სიზმრებს კვლავ გადაჰყავთ შორეულ მხარეში, რომლის ნახვას ცხადად ვეღარასოდეს ეღირსებიან.

ვეფხვებს ესიზმრებათ, რომ ისევ მშობლიური ბენგალიის ჯუნგლებში არიან, სადაც ხეებს მიწამდე დასთრევს ლიანები, სადაც ჩიტებზე დიდი პეპლები და მწერებზე პატარა ჩიტები ცხოვრობენ. ვეფხვებს ნესტოებში მაცდუნებლად უღიტინებს ლოტოსის სურნელებით გაჟღენთილი ტბიდან ასული ოხშივარი. თავს მაღლა სწევენ, ჰაერს ყნოსავენ და ცდილობენ, ანტილოპათა სუნი გაარჩიონ თავიანთ თანამოძმე ვეფხვთა სუნისაგან. მაგრამ ცხვირ-პირში საჯინიბოებისა და ნაგვის ორმოების მყრალი სუნი ეცემათ და ზმანება კვლავ ქრება.

შუალამის სიმყუდროვესა და სიბნელეში ფრამი უკანა თათებზე დგება და ცდილობს იმის გამეორებას, რასაც ადრე არენაზე აკეთებდა.

წინა თათებზე ამართული რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, ყირაზე გადადის, წინ, უკან, მარჯვნივ თუ მარცხნივ ესალმება უჩინარ საზოგადოებას და მადლობას სწირავს აპლოდისმენტებისათვის. თითქოს სხვა ოინებიც იცოდა, მაგრამ სახელდობრ რა, დაავიწყდა. თან ეს გალიაც ძალზე ვიწროა.

ფრამი ისევ ოთხზე დგება და გრძნობს, რომ ჩვეულებრივი მხეცია და მეტი არაფერი.

მოზღუნძული თავის კუთხეში მიეგდება და ცდილობს დაიძინოს.

ეგებ სიზმარში მაინც ნახოს მარადყინულოვანი მხარე, სადაც ქარბუქი და ყინვა მეუფებს.

მაგრამ ფრამმა მოკლე სიზმარი იცის, შორეული მოგონებანი კი ძალზე ბუნდოვანია.

V. ფრამი შორს, პოლარეთის ყინულებში დაიბადა

ფრამი თვალს მოხუჭავდა თუ არა, მაშინვე თავისი ბუნდოვანი და მივიწყებული პატარაობა ეზმანებოდა.

ესიზმრებოდა, როგორ დაიჭირეს პაწია თეთრი დათვის ბელი ესკიმოსებმა იმიერპოლარეთში, მერე იქიდან ერთმა მეზღვაურმა როგორ წამოიყვანა პორტში და მიჰყიდა ცირკს.

ეს დათვის ბელი მაშინვე გამოირჩეოდა თავისი პატარა თანამომძმეებისაგან. იგი ყველაზე უშიშარი, ძლიერი და ცქვიტი იყო. ადვილად ითვისებდა, რასაც ასწავლიდნენ. ადამიანებს დაუმეგობრდა. ხელად ხვდებოდა, რა მოსწონდათ მათ და რა სძულდათ, რა იყო ნებადართული ან აკრძალული.

წარმოდგენა წარმოდგენას ცვლიდა, ბოლოს პატარა ბელი ვეებერთელა თეთრ დათვად იქცა. იგი უკვე დამოუკიდებლად გამოდიოდა არენაზე, თავისი პროგრამა თვითონვე მიჰყავდა და ყოველთვის ახალ-ახალს იგონებდა. ფრამს ესმოდა ხუმრობა და იცოდა სიბრაღულიც.

წარსული სულ ერთიანად დავიწყებოდა, დავიწყებოდა თეთრი უდაბნო, მუდმივი ყინულები, სადაც ღამე და დღე ექვს-ექვს თვეს გრძელდებოდა და ერთი დღე-ღამე ერთ წელიწადს უდრის. ყოველივე ეს მერე აღარასოდეს გახსენებია.

ფრამი ადამიანთა შორის ცხოვრობდა, მათ საყვარელ მეგობრად იქცა, თვალეში კითხულობდა ადამიანთა სურვილებს, ხვდებოდა იმათ სიხარულსა და მწუხარებას.

ახლა კი ანაზდეულად გაახსენდა ის შორეული სამყარო და წელთა სიღრმიდან სიზმრებად მოევლინა მივიწყებული ამბები.

ერთნაირი იყო ყოველთვის სიზმარი.

იგი იწყებოდა უკუნეთით, ნოტიო ცივი ღამითა და ყინულის ბუნაგით.

ამ ბუნაგში, ყინულით გარშემორტყმულ კუნძულზე დაიბადა ფრამი. დაიბადა ღამით. ღამე კი იქ მთელ ექვს თვეს გრძელდება ხოლმე. ექვს თვეს არ ამოდის მზე. გაყინულ ცას მხოლოდ ვარსკვლავები და ხანდახან მთვარე ანათებს. უფრო ხშირად წყვდიადია გამეფებული, რადგან ვარსკვლავები და მთვარე ღრუბლებით იფარება... ქარბუქი ტრიალებს, გრიგალი ხან უსტვენს, ხან კვნესის, ხან ხარხარებს. სიცივისაგან ყინული სკდება, ასეთი გახელება ბალანს აგიშლის. სხვა დათვის ბელივით ფრამიც ბრმა დაიბადა, მხოლოდ მეექვსე კვირას აეხილა თვალეები.

ქარბუქი ბუნაგში ვერ აღწევდა. გარედან ისმოდა მისი ღმუილი, ბუნაგს ირგვლივ ყინულის კედლები ჰქონდა, ყინული იყო მაღლაც და დაბლაც, დათვის ბელს კი თბილად ეძინა ხოლმე, მუ დათვის ტყავი იფარავდა სიცივისაგან.

ხანდახან ბელი რომ გაიღვიძებდა, დედა ბუნაგში აღარ დახვდებოდა, საშოვარზე იყო წასული.

მაგრამ ბელი ვერაფერს ხვდებოდა. სიბნელეში მარტოდმარტოს რომ გამოეღვიძებოდა, წკმუტუნს მოჰყვებოდა და საცოდავად ეძახდა დედას, თან საკუთარი ხმა აკრთობდა. საბრალო, შეშინებული იწვა ბუნაგში და დრუნჩი ყინულის კედლისათვის მიედო. ციოდა. ირგვლივ ხმაურით სკდებოდა ყინული. ქარბუქი დრტვინავდა ყინულის ბელტებს შორის. ბელს დედის ფეხის ხმა ელანდებოდა.

ნახევრად გაყინული ხელახლა იძინებდა, შუა ძილში გაიხარებდა და გამთბარსა და ბედნიერს ეღვიძებოდა. თბილი ტყავი ისევ მის გვერდით იყო, იქვე იყო რძის წყარო. მსუბუქი, აბრეშუმით თათი ეალერსებოდა და მუცელზე იკრავდა. ბელი გრძნობდა, რომ დაბრუნდა დედა, დიდი, კეთილი არსება, რომელიც იცავდა, ათბობდა, კვებავდა. მადლიერების ნიშნად ცდილობდა, დრუნჩი აელოკა მისთვის.

მაგრამ ჯერ საოცრად მოუხერხებელი და სულელი იყო.

რა თქმა უნდა, ჯერ ვერც ის შეეცნო, რა საზრუნავი გასჩენოდა დედამისს და როგორ ეძნელებოდა თავის ბელთან განშორება. დათვს შიმშილისგან ილაჯი რომ გაუწყდებოდა, სანადიროდ მხოლოდ მაშინ მიდიოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ბელს თვალები აეხილა, მაგრამ კუნაპეტი სიბნელის მეტი ვერაფერი დაინახა. უკუნეთი გამეფებულიყო ბუნაგშიც და ყინულის გამოქვაბულის გარეთაც.

მხოლოდ ერთხელ ნახა სასწაული: ცა უზარმაზარმა ალმა გაანათა. მერე ცისარტყელა გამოჩნდა. სინათლეები ელაციცებოდნენ შორეულ ოკეანეში ამომართულ მოლაპლაპე ტოროსებს. ეს ჩრდილოეთის ციალი იყო, მაგრამ არაფერი იცოდა ამის შესახებ პატარა დათვის ბელმა და შიშისაგან ღრიალი მორთო, ცაზე მოკიაფე სინათლე უეცრად ჩაქრა. კვლავ უკუნეთი სიბნელე ჩამოდგა. ბელს შეეცოდა სინათლე...

სულელს ეგონა, სინათლე ჩემმა ღრიალმა შეაშინა და ამიტომ გაიქცაო, დედასაც უამბო თავისი ოინები, თან თავმომწონედ ჩაიბურტყუნა, — ნახე, რა ბიჭი ვარო. ძუ დათვს კი სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა — ბელი სადმე ახლომახლო უნდა წაეყვანა სანადიროდ და თეთრი დათვების კანონები ესწავლებინა.

ერთხელ დედამ ბელი ყინულის ტოროსზე დასვა, წყნარად იყავიო, უთხრა და თვითონ წყალში ჩავიდა. ბელს ძირს ჩახედვა ვერ გაებედა. ესმოდა, როგორ ხმაურობდა წყალი, როგორ ეხლებოდნენ ერთმანეთს ყინულები, მაგრამ ვერაფერს მიმხვდარიყო, ჯერ წყალი არ ენახა და არ იცოდა, რანაირად მიერეკება ქარი ყინულებს, ან ყინვა როგორ აკავშირებს ხანდახან წყალსა და ყინულს და როგორ წარმოქმნის უსასრულოდ გაშლილ ველს.

ძუ დათვი გასისხლიანებული ტუჩით დაბრუნდა, ეტყობოდა, თევზი, ლომვეშაპი, სელაპი ან სხვა რამ ზღვის ცხოველი დაეჭირა და გამძღარიყო. ორივე ბუნაგში დაბრუნდა. ძუ დათვი ბელს დრუნჩით წინ უბიძგებდა. თვითონ უკან მიჰყვებოდა, რომ უცნობი მტაცებლისაგან დაეცვა.

დათვის ბელი სიბნელეს შეეჩვია და ფიქრობდა, ასე იქნებოდა მუდამ. თავის დღეში არ ენახა და არ იცოდა, რას წარმოადგენდა მზე და დღის სინათლე, სიბნელეშიც შესანიშნავად გძრნობდა თავს. საიმედო დამცველი გვერდით ახლდა, თბილი რძეც საკმაოდ ჰქონდა. ხანდახან ყინულზე დიდხანს სიარულისას, მართალია, თათები ეყინებოდა, მაგრამ თეთრ დათვებს სქელი ტყავი აქვთ, რადგან ისინი მუდმივი თოვლისა და ყინვის ქვეყანაში, მსოფლიოს ყველაზე ცივ ადგილას ცხოვრობენ!

დედა დათვს ბოლო დროს მოუსვენრობა დაეტყო. ხშირ-ხშირად წამოდგებოდა, ბუნაგის შესასვლელთან მივიდოდა და სულ ერთ მხარეს იმზირებოდა, ცოტა ხანს შებრუნდებოდა უკან, მაგრამ გული არ უთმენდა და ისევ გარეთ გადიოდა.

ბელიც ლეკვივით უკან დასდევდა. გვიანლა მიხვდა, რას ელოდებოდა დედამისი. იქით, საითკენაც ძუ დათვი იყურებოდა, ცის დასალიერს თანდათანობით სილურჯე შეეპარა. ღამე თითქოს, უფრო ნათელი გახდა, შემდეგ ჰორიზონტზე მოლურჯო სინათლე გამოჩნდა, მერე, სანამ ბელი ორჯერ გამოიძინებდა და ოთხჯერ მაინც დანაყრდებოდა, ბორიზონტმა გაწითლება იწყო. ცოტა ხანიც რომ გავიდა, იმ ადგილას წითელი ზოლი გამოჩნდა. ზოლი ფართოვდებოდა, იზრდებოდა და თანდათანობით ალმა იწევდა... და აი, ერთხელაც ბელმა რომ გამოიღვიძა, ცაზე ვეებერთელა ცეცხლოვანი ბურთი დაინახა, გაოცდა, თან შიმშა აიატან. მერე დრუნჩი იმ მხარეს გაიშვირა და აყმუვლდა.

მაგრამ ბურთს ჩრდილოეთის ციალის მსგავსად არ შეშინებია და არც ჩამქრალა, პირიქით — მალლა და მალლა იწევდა. ყინულის ველი და ტოროსები ისე გაბრწყინდა, თვალეხსა სტკენდა. კარგა ხანმა გაიარა, სანამ ბელი კაშკაშა სინათლეს შეეჩვეოდა და გულდამშვიდებული გაიხედავდა იმ მხარეს.

ასე გაეცნო პირველად ბელი დღის სინათლეს და მზეს. მზეს, ამქვეყნად ყველაზე დიდი პოლარეთში რომ ჩანს და ზედიზედ რამდენიმე თვე ჩაუსვლელად ანათებს.

ასე დაიწყო ყველაზე გრძელი დღე.

ყინვა მზეს ერთბაშად მაინც არ დანებდა. კარგა დრომ განვლო, სანამ, ბოლოს და ბოლოს, შორეული, გაურკვეველი მხრიდან დაქროლილი თბილი ქარებისაგან თოვლი და ყინული ალაგ-ალაგ დნობას დაიწყებდა.

თეთრად ანათებდა და ლაპლაპებდა ირგვლივ ყველაფერი. მათი კუნძულის მთის თხემები სარკესავით ბრწყინავდა... ჰორიზონტზე უზარმაზარი ყინულის კუნძულები დაცურავდნენ. ისინი ერთმანეთს ხან სცილდებოდნენ, ხან უერთდებოდნენ და უსასრულო ხიდს წარმოქმნიდნენ. დათვის ბელი ზოგჯერ ყინულებს შორის მწვანე წყალს დალანდავდა ხოლმე. ერთხელ საკუთარი თვალით ნახა, როგორ გაცურდნენ ყინულით დედა დათვები თავიანთ ბელებთან ერთად.

ყველას ორ-ორი ბელი ჰყავდა. მარტო თვითონ იყო დედასერთა.

მუ დათვიც წასასვლელად ემზადებოდა. ბელს არ უნდოდა ბუნაგის დატოვება და ვერ გაეგო, რატომ უნდა გასცლოდნენ იქაურობას. აქაც მშვენივრად გრძნობდა თავს, ბუნაგი საიმედოდ იცავდა ქარბუქისაგან. მხოლოდ იმისლა ეშინოდა, საშინელი უკუნეთი ღამე კიდევ არ დაიწყოსო.

აბა, რა იცოდა ბელმა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა პოლარული დღე, რამდენი თვის შემდეგ ჩავიდოდა მზე. არც ის იცოდა, რომ თეთრი დათვები მცურავი ყინულის კუნძულებით იქით მიდიოდნენ, სადაც ბლომად იყვნენ ლომვეშაპები, სელაპები, თეთრი კურდღლები და თევზები.

ბოლოს ისინიც გაუდგნენ გზას. როგორც ყოველთვის, წინ ბელი მიდიოდა, მუ დათვი უკან მისდევდა.

ნაპრალს ან ყინულოვან ამოშვერილ კლდეს რომ მიადგებოდნენ, ბელი დედას მიუბრუნდებოდა და ეკითხებოდა, ახლა რა ვქნაო. დედა დათვი რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურდებოდა, იქაურობას დაზვერავდა, მერე უკანა თათებზე წამომართული ბელს წინა თათებით აიყვანდა და ფრთხილად გადასვამდა კლდის ან ნაპრალის იქით, რომლის ძირში წვრილ ნაკადად მიწანწკარებდა წყალი.

დედა-შვილი მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა თვალწინ უზარმაზარი ყინულის ველი გადაეშალათ.

ისინი დიდი სიფრთხილით გადავიდნენ ყინულის ველზე, ყინული ნაპირს მოშორდა და ოკეანის დინებას გაჰყვა. მათი მოცურავე კუნძულის ნაპრალებიდან ხანდახან მოლაპლაპე შავი თავეები გამოჩნდებოდა ხოლმე. თავეები ერთხანს გაუჩინარდებოდნენ, მერე ისევ გამოჩნდებოდნენ და ბარჯივით მოკაკული ეშვებით ყინულის ნაპირს ებღაუჭებოდნენ. ეს ლომვეშაპები იყვნენ — თეთრი დათვების რჩეული კერძი.

მუ დათვმა ბელი ერთ-ერთი ნაპრალის პირას დასვა და თათი მძიმედ დაადო, — არ გაინძრეო. ბელი მორჩილად ჩაჯდა თოვლში. დედა დათვი ყინულის ტოროსებს მიეფარა.

მუ დათვს დიდხანს დასჭირდა ცდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ნაპრალის პირას შავი მოლაპლაპე თავი გამოჩნდა. იქაურობა მოათვალიერა, საშიშროება ხომ არ მელისო, მერე წყლიდან ტანიც ამოზიდა, ვერ გაარკვევდით, პატარა ფრთები ჰქონდა თუ მოკლე ფეხები. ლომვეშაპი ყინულზე გაწვა და მზეს მიეფიცხა. მას მეორე მოჰყვა, შემდეგ — მესამე, მეოთხე...

ისინი ყინულზე დაფორთხავდნენ, ადგილს არჩევდნენ და დასაძინებლად წვებოდნენ.

ძუ დათვმა მათ ქურდულად დაუარა თავს, წყლისკენ უკან დასახევი გზა გადაუჭრა, ხელსაყრელი დრო იხელთა და განაპირა ლომვეშაპს დააცხრა; ბელს შიშისაგან ლამის გული გაუსკდა!.. ძუ დათვი მსხვერპლს თავში ჩაფრენოდა. ბელი ხედავდა, რანაირად აეტანა ზღვის საოცრება სიკვდილის ცახცახს. დანარჩენი ლომვეშაპები შეშინებულები გნისით ეცნენ წყალს.

მსხვერპლს სიცოცხლის ნიშანწყალი რომ წაერთვა, დედა დათვმა ბურდლუნით მოუხმო შვილს. ბელი დამფრთხალი უახლოვდებოდა, ორ ნაბიჯს რომ წინ გადადგამდა, ერთი ნაბიჯით უკან იხევდა. სიკვდილი ჯერ არ ენახა და არ იცოდა, მკვდარი მხეცი რომ ველარაფერს ავნებდა. ძუ დათვმა ლომვეშაპს ბრჭყალებით მუცელი გაუფატრა, თბილ ხორცსა და ცხელ სისხლს შეექცეოდა, თან ბურდლუნით შვილს უხმობდა, მოდი, გემო გაუსინჯეო.

ბელს ლომვეშაპის ხორცი პირველად არ მოეწონა, ძალიან მსუქანი ეჩვენა. სუნიც თითქოს საძაგელი ჰქონდა. ხორცს გვიან გაუგო გემო, როცა დამშეულს ეს სუნი კუჭს აუწრიალებდა ხოლმე.

ნადირობა კი ბელს უცებ შეუყვარდა...

დედა და შვილი ყინულიდან ყინულზე გადადიოდნენ და გზას განაგრძობდნენ. ბელი ლომვეშაპს ან ლომვეშაპთა მთელ ხროვას რომ დაინახავდა, დედას კბილებით ტყავში ჩააფრინდებოდა და ნიშანს აძლევდა. ძუ დათვი თათით მოიშორებდა: წყნარად იყავი, ეგლა მაკლია, ნადირობა შენ მასწავლო! ძუ დათვს ნადავლი მართლაც არასოდეს გაუშვია ხელიდან.

მაგრამ დედა დათვი მხოლოდ მაშინ ნადირობდა, როცა ძალიან მოშივდებოდა ხოლმე. თუ ლომვეშაპს მოკლავდა, მოგზაურობას კარგა ხნით გადადებდა. დედა და შვილი ძილით გულს იჯერებდნენ, მერე შემოგარენს ათვალიერებდნენ, მერე კვლავ ნადავლის ნარჩენებთან ბრუნდებოდნენ, სანამ მთლიანად არ მოუსვამდნენ ბანდს. ლომვეშაპებს ამ დროს თავისუფლად შეეძლოთ ყინულზე ამოცოცებულიყვნენ, გამძლარი ძუ დათვი იქით არც იხედებოდა.

ერთხელ მათი მცურავი ყინული კუნძულის კლდოვან ნაპირს მიადგა. კუნძულის ნაპირს თვალს ვერ გააწვდნენ.

ძუ დათვი კლდოვანი კუნძულის დანახვამ გაახარა. არც კი დაეჭვებულა, შეიძლება სადმე სიკვდილი მყავდეს ჩასაფრებულო და ყინულის ფლატეზე მხიარულად მიფოფხავდა.

ზემოთ ვიწრო ფლატეთი შუაზე გაყოფილი ზეგანი გაშლილიყო. ბელი განცვიფრდა ხავერდით ხავსისა და მწვანე კორდის დანახვაზე. ეს რაღაა, სისხლის გუბეს რომ ჰგავსო, იფიქრა და ალოკვა მოუნდომა, მაგრამ შეშინებულმა უკან დაიხია, სისხლი კი არა, პოლარული ყაყაჩოები გამოდგა.

ძუ დათვი ხავსს დრუნჩით ჩიჩქნიდა, რაღაცის ძირებს ეძებდა. კმაყოფილი ბურტყუნებდა და პირის ჩასატკბარუნებლად შვილსაც უხმობდა. ეტყობოდა, ლომვეშაპის ხორცი და ქონი მობეზრებოდა, მისი ორგანიზმი რაღაც ახალსა და არომატულს ითხოვდა.

გზა აუჩქარებლად და სიფრთხილით განაგრძეს.

თოვლზე უცნაური, უცნობი მხეცებისა თუ ფრინველების კვალი მოჩანდა. ადგილ-ადგილ, იქ, სადაც თოვლს უკვე დნობა დაეწყო, ბალახი იწვევებოდა და ყვავილები ჰყვავდა, კვალი იკარგებოდა... ძუ დათვი ბელს ერთი წუთითაც არ იშორებდა, თან ჰაერს ხშირ-ხშირად ყნოსავდა. ქარს რაღაც უცნაური სუნი მოჰქონდა. როგორც კი უცხო სუნს შეიგრძნობდა, დედა დათვი იქაურობას გაეცლებოდა, ან უკან ბრუნდებოდა და ყინულის კლდეებსა და ბორცვებს ეფარებოდა.

ბელმა აქ გაიგონა პირველად ძაღლის ყეფა. უცხო ხმის გაგონებაზე თათშემართული ერთ ადგილს გაქვავდა.

ძუ დათვი უმაღლესი შვილთან გაჩნდა, რომ უხილავი საფრთხისაგან დაეცვა. ნელა წამოიშრათა უკანა თათებზე, სმენა გაიმახვილა, თან თვალეებს ატრიალებდა და ნესტოებს ბერავდა.

ყეფა ერთ ხანს შორიდან კანტიკუნტადლა ისმოდა, ბოლოს სულ მიწყდა.

დედა-შვილი რამდენიმე წუთს გახევებული დგა. მერე ძუ დათვი უკანა თათებზე დატრიალდა. თან ჰაერს ყნოსავდა. ყეფა აღარ განმეორებულა, მაგრამ ქარს უცნაური მჟავე სუნი მაინც მოჰქონდა. ეს ადამიანისა და ძაღლის სუნი იყო. იგი მარტო ბელისთვის კი არა, დედა დათვისთვისაც უცნობი იყო.

ძუ დათვმა ბელს ბურტყუნით ანიშნა, აქედან დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთო. მართლაც, იქ დარჩენა სახიფათო იყო. უსიამო სუნი და უცხო ცხოველის ყეფა, იცოდა სასიკეთოს არას უქადდათ.

დედა-შვილმა სასწრაფოდ მიაშურა ნაპირს, მაგრამ მათი ყინულის კუნძული ნაპირს მოსცილებოდა და ოკეანის დინებას გაჰყოლოდა. თვალწინ უკიდევანო მორევი გადაეშალათ. წყლის ზედაპირი მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ლიცლიცებდა. შორს, ცისა და ოკეანის შესაყარზე ძლივსლა მოჩანდა მოცურავე ყინულის მთები.

ძუ დათვი მიხვდა, რომ კუნძულის ტყვეები შეიქნენ. იმ კუნძულისა, სადაც უცნობი ცხოველის ყეფა ისმოდა, ქარს უცხო, საძაგელი, მჟავე სუნი მოჰქონდა და წამლავდა სუფთა და კამკამა ჰაერს.

დედა დათვი ორმაგი სინაზით ულოკავდა თავის ბელს ცხვირ-პირს — თითქოს იცოდა, რომ ჩქარა დაკარგავდა შვილს და საკუთარ აღსასრულსაც გრძნობდა.

სულელი ბელი კი უზრუნველად თამაშობდა და ანცობდა.

მზე ზენიტზე იდგა. მისი სხივები ყინულზე ტყდებოდა. ყინულითა და თოვლით გარშემორტყმულ მეზობელ ფლატეზე მწვანე ზოლივით ხასხასებდა ხავსი, აქა-იქ ბალახი ამოწვერილიყო, ირგვლივ ყვავილები ყვავდა.

ბელი ხავსზე დასეირნობდა და კბილებით დამჭკნარ პოლარულ ყაყაჩოებს წიწკნიდა.

VI. ადამიანი, ძაღლი და თოფი

თოვლისა და უსასრულო ყინულის სამეფოში, სადაც დაიბადა და მთელი ცხოვრება გაატარა, თეთრ დათვს ჯერ არ ეხილა ადამიანი.

ის კი არა, ვერც წარმოედგინა ქვეყნად ასეთი უცნაური სულიერის არსებობა.

არც ძაღლის ყეფა და თოფის სროლა სმენოდა ოდესმე.

ადამიანის, ძაღლისა და დენტის სუნი მისთვის უცხო იყო. არა იცოდა რა იმის შესახებაც, რომ გარეულ მხეცთა ეს სამი დაუძინებელი მტერი განუყრელი მეგობრები არიან და არასოდეს ამბობენ უარს მსხვერპლზე, თუკი სადმე წაასწრეს.

ამიტომ ძუ დათვი არც შემკრთალა ფოლადის ლულის დანახვაზე, სადაც ტყვიაში განაბული სიკვდილი ჩასაფრებულიყო.

მის საუფლოს — დედამიწის ყველაზე უკაცრიელ, მარადყინულოვან მხარეს — იცავდა მძვინვარე ქარბუქი და ყინვა, გრძელი, ნახევარწლიანი ღამე და მწვანე ოკეანე.

იმ თვეებში კი, როდესაც მზე ზენიტზე იდგა, სამხრეთისაკენ თვალუწვდენელ სივრცეზე საიდუმლო გალერებივით უსაჭოდ, უმენიჩბეობოდ და უიალქნოდ მიცურავდნენ ყინულის მთები — აისბერგები.

შემდეგ რამდენიმე თვე ზედიზედ გრძელდებოდა პოლარული ღამეები. ოკეანის უკიდევანო სივრცე ყინულის ვაკედ გადაიქცეოდა და მილიონი კვადრატული კილომეტრი თოვლის საბურველით იფარებოდა.

ირგვლივ ყოველივეს თეთრი მდუმარება მოიცავდა ხოლმე.

ამ მიუსაფარი უდაბნოს სამხრეთით მდებარე ყველა ქვეყანაში მზე ანათებს და დანავარდობენ მერცხლები, იალაღებზე დგას ცხვრების ზანზალაკების წკარუნი და კუნტრუმობენ ყურებზე ფუნჯშებმული ბატკნები.

მძვინვარე ყინვა, პოლარულ ღამეთა საშინელება იცავს თეთრ დათვთა მეუფებას და მას დანარჩენი სამყაროდან ყველაზე მიუდგომელ ციხე-სიმაგრეზე უფრო საიმედო კედლით მიჯნავს.

ამ საზღვარს იქით ვერ შეაღწევს ვერც ერთი სულიერი სამხრეთიდან, სადაც ზურმუხტის ხალიჩასავით გადაშლილა გაზაფხულის სამოვრები, საამო სურნელს აფრქვევს იასამანი და ცაში ტოროლები დასრიალებენ.

ხანდახან იქაურობას შორეული მხრიდან თბილ ქარებთან ერთად თეთრ მკვიანა ფრინველთა გუნდი თუ გადაუვლის.

ჩიტები ატლასივით აშრიალებენ ფრთებს.

შიძლება მათ ენახათ გემები, ქალაქები და ნავსადგურები, სამრეკლოიანი ეკლესიები და ვოგზლები, მატარებლები და სატელეგრაფო ხაზები, თაღოვანი ხიდები და ავტოსტრადებზე მქროლავი ავტომანქანები, პარკები სასულე ორკესტრებით, ვარდით სავსე ბაღები, მოედნები ცად ასული ძეგლებით და ადამიანის მიერ გამოგონილი კიდევ სხვა მრავალი საკვირველება. იქნებ კიდევ უწყოდნენ, რომ ადამიანის ხელმა შექმნა სხვა საოცრებანიც წყლის, მინდვრისა თუ ტყის ბინადარ მხეცთა სავაგლახოდ, ეგებ სროლის ხმაც გაეგონათ და ისიც იცოდნენ, რომ წვრილი ფოლადის ლულაში ჩასაფრებულია შეუცნობელი, საოცარი სიკვდილი, ანაზდეულად რომ წამოგეწევა, როგორც კი ადამიანი თოფს თვალთან მიიტანს.

მაგრამ ჩიტებს არ შეეძლოთ ძუ დათვისა და მისი ბელისათვის ეთქვათ ყოველივე ეს.

თეთრი უდაბნოს სამარისებურ მდუმარებას არღვევდა ჩიტების გულისგამგმირავი კვილი და, ვინ იცის, იქნებ რაღაცას წინასწარმეტყველებდნენ კიდევ თავიანთ ენაზე.

ნახევარწლიანი ღამის მაცნე საძაგელი ცივი ქარები რომ დაუბერავდა, თეთრი ფრინველები გუნდ-გუნდად იკრიბებოდნენ და კვლავ იქით ეშურებოდნენ, სადაც გაზაფხულობით იასამანი ჰყვავის.

პოლარეთში რჩებოდნენ მხოლოდ მუდმივი თოვლის ერთგული მხეცები: თეთრი ძელები, ნამქერიდან რომ ვერ გამოარჩევთ, და თეთრი კურდღლები, მცირე ხმაურზე თავქუდმოგლეჯილი რომ გარბიან. კუნძულის კლდოვან ნაპირებსა და მოცურავე ყინულების კიდებზე კი თეთრი დათვების რჩეული კერძი, სელაპები და ლომვეშაპები დაბლოტავდნენ.

თოვლის თეთრ საბურველს მხოლოდ ისინი აჩნდნენ შავ წერტილებად. სხვა ყველაფერი თეთრი იყო...

თეთრი იყო ნამქერი და ყინვა, თეთრი იყო დათვები და მელიები, კურდღლები და პოლარული ფრინველები, რომლებიც თევზით იკვებებიან და არ ძალუძთ შორს გაფრენა თავიანთი პატარა ფრთებით.

ამით ამოიწურებოდა თეთრი დათვისათვის ცხოველთა სამყარო. მისთვის უცხო იყო ნოეს კიდობნით წარღვნას გადარჩენილი სხვა ქმნილებანი.

პოლარეთის ბინადართა შორის არავინ იყო თეთრი დათვის ღირსეული მეტოქე. კურდღლები თავს გაქცევით შველოდნენ, — ისინი ისე მოკურცხლავდნენ ხოლმე, გეგონებოდათ, ფეხსაც არ აკარებენ ყინულის გლუვ ზედაპირსო; თეთრი მელიები კი თოვლს გაეკვრებოდნენ და ცდილობდნენ მის სითეთრეს შერწყმოდნენ.

დათვისათვის თეთრი მელიები და კურდღლები ნამეტანი ღარიბული კერძი იყო — მჭლე ხორცი ჰქონდათ, თანაც ძალზე უკმარი დათვის ვეება სტომაქისათვის.

ნადირობა მხოლოდ ლომვეშაპებსა და სელაპებზე ღირდა.

საშინელი შესახედაობის იყვნენ ლომვეშაპები. ვეება, სამაგელი, პრიალაკანიანი მხეცები ყინულზე ერთმანეთის გვერდით იწვნენ. მათი ხრინწიანი ხმა, ულვაშები, ყეყეჩი ცხვირ-პირი, ქვემოთ გადაღუნული ეშვები შეგზარავდათ. მიუხედავად ამისა, ლომვეშაპები ხეირიან ჩხუბს ვერ ახერხებდნენ, სელაპები ხომ უწყინარზე უწყინარნი იყვნენ.

ზღვის მხეცებს არც გაქცევით შეეძლოთ თავის გადარჩენა. — ყინულზე რამდენიმე ნაბიჯზე თუ გაბობლდებოდნენ. მთელი მათი უნარი წყალში ღრმად ჩასვლითა და თევზზე ნადირობით ამოიწურებოდა.

ძუ დათვი ყინულის ტოროსებს ამოეფარებოდა, მსხვერპლს ნიშანში ამოიღებდა, მერე მთელი სიმძიმით დააცხრებოდა მოლაპლაპე ქონისა და ხორცის ზვინს და აღმასივით კბილებს მრგვალ თავში ჩაასობდა. ქალას ჭახაჭუხი გაჰქონდა. დანარჩენი მხეცები წყალს ეცემოდნენ.

ამით მთავრდებოდა ბრძოლა. რამდენიმე წამს ამ თოვლიან მხარეს ყოვლისშემძლე იყო ძუ დათვი. მას ვერც ერთი სულიერი ვერ გაუტოლდებოდა ღონით.

მისგან მოშორებით სხვა ძუ დათვი მბრძანებლობდა. ისინი არ ჩხუბობდნენ, არ მტრობდნენ ერთმანეთს. არც სხვის სამფლობელოს საზღვრებს ლახავდნენ. როდესაც ზღვის ცხოველები შეთხელდებოდნენ, ან გაურკვეველი მიზეზით ადგილს ინაცვლებდნენ, დედა დათვები თავიანთი ნაშიერებით ყინულზე გადაბარგდებოდნენ და ჰორიზონტზე დაღანდული კუნძულისკენ გასწევდნენ.

ყინული უსაჭეო და უაფრო გემივით სერავდა ოკეანის სივრცეს, სანამ სხვა ყინულოვან ნაპირს არ მიადგებოდა.

აქ თვალწინ ახალი მოლაპლაპე უდაბნო გადაეშლებოდათ, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაედგა, სამაგიეროდ, მრავლად იყვნენ ლომვეშაპები და სელაპები.

თეთრი დათვები ნაკვალევზე ძვლების ხროვას ტოვებდნენ.

თოვლი მაშინვე ფარავდა ძვლებს.

ყველაფერი ეს ხდებოდა მოწმეთა გარეშე, ოკეანეს, ცასა და ყინულებს შორის.

მაგრამ იმ კუნძულზე, სადაც ჩვენი ძუ დათვი მოხვდა თავისი ბელით, თოვლზე უცხო კვალი მოჩანდა და ქარსაც უცნაური, შიშის აღმძვრელი სუნი მოჰქონდა. ეტყობოდა, საფრთხე კარზე მოსდგომოდათ.

დათვის ბელი დედის გვერდით მოიბლუნმა, დედასთან თბილად, თან უშიშრადაც იყო. დრუნჩი ხშირ ბალანში ჩაუყო, კბილები ააკაპუნა და ისე ძლივს გასაგონად მოჰყვა წკმუტუნს, რომ ორ-სამ ნაბიჯზეც ვერ გაიგონებდით.

ყეფა მიწყდა. ქარმა გაფანტა სამაგელი მძაფრი სუნი... ისევ ჩამოდგა მაცდური დუმილი. ყინულისა და კლდეთა ნაპირებიდან მწვანე ტალღების ბუტბუტი ისმოდა მხოლოდ. ყინულებს შორის სადღაც ნაკადული მოედინებოდა.

დუმილით მოტყუებულმა ბელმა თამაში და ხტუნვა დაიწყო, ნამქერში მალაყს გადადიოდა. ძუ დათვმა ბელი თათით უკან დააბრუნა, გვერდით მოიწვინა და დრუნჩი დააფარა.

მერე უკანა თათებზე წამოიმართა, ჰორიზონტზე მტერი ხომ არ გამოჩნდაო.

დათვებს პატარა თვალელები აქვთ, თანაც ძალზე შორიშორს უსხედან: ასეთი თვალელებით შორს ვერ ხედავენ. მხედველობისა და სმენის მაგივრობას ყნოსვა უწევთ, მაგრამ ამჯერად დედა დათვი ყნოსვამ მოატყუა. ქარმა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი და აღარ მოჰქონდა უცნობ ცხოველთა სამაგელი, შემაშფოთებელი სუნი.

ეგებ მოელანდა...

კმაყოფილმა ძუ დათვმა ჩაიბურტყუნა: მით უკეთესი! როცა თან უმწეო ბელი ახლავს, ურჩევნია, არ ემუქრებოდეს გაურკვეველი საფრთხე.

დათვმა იფიქრა, შეიძლება ნორმალურ მდგომარეობას დავუბრუნდეთ და ოთხზე დადგა.

მაგრამ სწორედ იმ წუთში, როცა გადაწყვიტა, საშიში აღარაფერიაო, გეგონება, მიწიდან ამოძვრნენო, თვალწინ თოფიანი კაცი და ძალღი დაუდგა.

ისინი ძალზე ახლოს იყვნენ.

ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით განგებ წამოსულიყვნენ, სუნს რომ არ გაეცათ.

მონადირემ იფიქრა, ტყვია მსხვერპლს ადვილად მისწვდებაო, და სამზეოზე გამოვიდა.

ძუ დათვი ზვიადად წამოიმართა უკანა თათებზე.

ფიქრობდა, უძლური მოწინააღმდეგე ედგა წინ და გული საგულეს ჩაუდგა. გამოცდილებითაც იცოდა, საშიში არაფერი იყო, ბუნებას სიცილის უნართით რომ დაეჯილდოვებინა, მისი ხარხარი იმიერპოლარეთს შესძრავდა. სულ ეგ არის?! ეს დალეულები ღირდნენ კი შეშფოთებად?

ძუ დათვი უდიდესი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა უცნობებს, გულში მტრობის ნატამალიც არ ედო. ახლოს მისვლა უნდოდა, რომ უკეთესად ენახა ეს საკვირველი ცხოველები.

ტყავსა და ქურქში გახვეული ადამიანი დათვს არარაობად მოეჩვენა. მაგას ხომ თათის უბრალო შეხებით დავანარცხებ მიწასო!.. ძალღი? ეს აბურძგნული, უჯიშო ცხოველი ტყუილად აქცევს იქაურობას: ყეფს, იღრინება, წინ გამოქანდება, ბრჭყალები ყინულზე უსხლტება და ისევ უკან გავარდება. არც ეგ ბრძანდება დიდი ვინმე, თათის მსუბუქი დარტყმით ხერხემალს გადავუმტვრევ და სულს გავაფრთხობინებო. ადამიანს ხელში შაშხანა ეჭირა. დათვს მთელ პოლარეთში ამაზე უფრო სასაცილო და უბადრუკი ჯერ არა ენახა რა, ამ ჯოხსა თუ წკირსაც თათით შუაზე გადავტყავ და კბილებითაც იოლად გადავლუნავო.

დედა დათვი წინ გაემართა, ბელიც გვერდით მიჰყვებოდა.

ადამიანიც მათკენ გაემურა. მიდიოდნენ ერთმანეთის შესახვედრად.

დათვი ბურტყუნებდა და მძიმედ ქანაობდა უკანა თათებზე. მუქარა არ ისმოდა მის ბურტყუნში. ცნობისმოყვარეობის წადილი ეწეოდა წინ — უნდოდა ახლოს მისულიყო ამ საკვირველ არსებებთან, დრუნჩით თოვლში წამოექცია ისინი, რომ მერე მის დაუდევარ ბელს ეთამაშა.

სწორედ ამ წუთში მოხდა რაღაც სასწაული. საზარელი, უბოროტესი სასწაული.

შავი ლულიდან, არაფრის მაქნის ჯოხს რომ ჰგავდა, ალი გამოვარდა. გაისმა სუსტი ბათქანი.

ძუ დათვს დამაბრმავებელმა სინათლემ მოსჭრა თვალი. მწვავე ტკივილმა მთელ ტანში დაუარა, ასეთი რამ არასოდეს განეცადა.

მერე ირგვლივ ჩამოზნელდა...

კვლავ გაისმა ბათქანი და ახლა ყურის ძირში იგრძნო საშინელი ტკივილი.

მერე სამარისებური სიჩუმე და სიცარიელე ჩამოდგა. დათვს სისხლთან ერთად სიცოცხლეც ხელიდან ეცლებოდა...

ძუ დათვი ყინულის სარეცელზე დაეცა და გაქვავდა.

სიკვდილი ისე ეახლა, გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რა მოხდა.

იქნებ თან წაიღო საოცარი კითხვა, რამდენიმე წუთის წინ მის გაკვირვებულ შავ თვალეებში რომ იხატებოდა. ეგებ უკანასკნელ წამს, მშობლიური გუმანით მიხვდა, რომ ბელსაც მისი ხვედრი ელოდებოდა.

მონადირე ილღიაში თოფამოჩრილი მივიდა დათვთან, თან ძაღლს რაღაც განკარგულებას აძლევდა.

ბელს დრუნჩი დედისთვის მუცელში, თბილ ბალანში ჩაეყო.

ვერაფერს მიმხვდარიყო, რა მოხდა.

კაცმა ყურში ჩაავლო ხელი და სცადა დედისთვის აეგლიჯა, ბელმა ინსტიქტურად დაკრიჭა კბილები, მაგრამ დრუნჩი იმწამსვე თასმით გაუკრეს. თასმით შეუბორკეს ფეხებიც. ბალანაშლილი ძაღლი გულისგამაწვრილებელი ყეფით იკლებდა იქაურობას. კაცმა ძაღლს ჯერ ფეხი და მერე თოფის კონდახი უთავაზა, რომ ბელი არ დაეკბინა ან არ დაესახიჩრებინა.

ამ წუთიდან თეთრი ბელის ცხოვრება ჭეშმარიტად გაუგონარი თავგადასავლებით აივსო.

გამოჩნდნენ ტყავსა და ქურქში გახვეული სხვა ორფეხა ცხოველებიც. მათ თამბაქოს სამაგელი სუნი ასდიოდათ, ფართო სახეები, მომწვანო-მოყვითალო კანი, ირიბი თვალები და ჯაგარივით გაფშეკილი წვერები ჰქონდათ. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ.

ბელს აშინებდა მათი ხმის გაგონება.

ადამიანები გარს შემოერთყნენ მიწაზე დაგდებულ დათვის გვამს, დანა ამოიღეს და მუცელი შუაზე გაუფატრეს. მერე ტყავი გააძვრეს და ხორცი გაიყვეს. თბილ-თბილი შიგნეული კი, ჯერ ისევ ორთქლი რომ ასდიოდა, ძაღლებს გადაუყარეს.

თასმით შებოჭილი ბელი უმწეოდ წკმუტუნებდა.

ორფეხა მხეცები ხან პანღურს ამოარტყამდნენ და თოვლში გადააგორებდნენ, ხან ცდილობდნენ ხელში აეყვანათ და გაეგოთ რამდენს იწონიდა.

ერთ-ერთმა ყველაზე სულწასულმა, პირში მხრჩოლავი ყალიონი რომ გაეჩარა, ქამარში გარჭობილი დანა ამოიღო და ტყავის შარვალზე გაიწმინდა.

ბელმა არ იცოდა, რომ დანაში სიკვდილი იმალებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, დაიღრინა და კბილებიც დაკრიჭა. კაცმა გაიცინა და დანა დრუნჩხზე სიბრტყით მიართყა...

ბელთან მეორე კაცი მივიდა. სწორედ ის მონადირე, ძუ დათვი რომ მოკლა. ხელებს იქნევდა, რაღაცას ყვიროდა. გაბრაზებულები ხმამაღლა კამათობდნენ. მერე ვაჭრობა დაიწყო.

დრუნჩ და თათებგაკრული ბელი ზურგზე იწვა. პატარა, მაყვალავით შავ თვალებს არ აცილებდა მოკამათეებს და ვერ გაეგო, რა უნდოდათ მისგან.

ხანდახან თვალებს დახუჭავდა, უნდოდა ყოველივე იმ ცუდ სიზმრად მოსჩვენებოდა, თავის ცხოვრების პირველ თვეს რომ ხედავდა ხოლმე ყინულის ბუნაგში. მაშინ გაეღვიძებოდა თუ არა, საცოდავად აწკმუტუნდებოდა, ჩქარობდა, ცხვირი რბილ ბალანში ჩაეყო და თბილ რძის წყაროსთან ახლოს მოეკალათებინა. ფაფუკი თათი ეალერსებოდა მას, ენით ულოკავდა დედა თვალებსა და ცხვირს, ისე უშიშრად გრძნობდა თავს. არც საზრუნავი ჰქონდა რამე და არც საფრთხე ელოდა.

ახლა კი აღარ მთავრდებოდა ცუდი, გაურკვეველი სიზმარი.

ყურებში უხეში, ბოროტი ხმა ედგა. ყალიონის საშინელი მწვავე სუნიც არ გაქრა. სულ ახლოს ისმოდა თოვლის ჭრიალი. — ეს ადამიანები მიმოდრიოდნენ.

მერე ორმა კაცმა გაკრულ თათებშუა ძელი გაუყარეს და სადღაც წაიყვანეს. სხვები ძუ დათვის მრგვალად დახვეულ ტყავს მოათრევდნენ, მარხილებით ხორცის ზვინი მოჰქონდათ. გადმოიარეს ყინულოვანი მთები და ნამქერები.

ბელი წკმუტუნებდა, ძვლები ტეხდა, ვერაფერი გაეგო, რა მოხდა, და ორმაგად იტანჯებოდა. მაგრამ არავის ენაღვლებოდა მისი ჩივილი: უცხო იყო ესკიმოსებისათვის ასეთი თანაგრძნობა. თეთრი დათვები მათთვის ყველაზე სასურველი ნადავლი იყო. ისევე როგორც თეთრი დათვებისათვის სელაპები და ლომვეშაპები. ანდა, რის მაქნისია მონადირისათვის სიბრალული! ნანადირევი ნანადირეია! განსაკუთრებით იქ, ყინულოვან უდაბნოში, სადაც ნადირობა გართობა როდია! თეთრი დათვის ხორცი მთელ ტომს კარგა ხანს ჰყოფნის საკვებად.

ბოლოს, ესკიმოსების ბინას მიღწიეს, სადაც ყინულისა და თოვლისაგან გაკეთებული რამდენიმე ქოხი იდგა. ვიწრო და ბნელი კარით გზა თითქმის უფსკრულს ჩადიოდა.

ქალები და ბავშვები მამაკაცთა შესახვედრად გამოიშალნენ. დაუძლურებული, წელში მოხრილი მოხუცები ახალგაზრდებს მოჰყავდათ. ყველამ სიხარულის ყიჟინა დასცა. როგორც იქნა, ბედნიერი გამოდგა ნადირობა! მათ ტომს ერთ კვირაზე მეტია, არ ჰქონია ახალი ხორცი. მარილიანი თევზით იკვებებოდნენ. ეს კი ცუდია, უხორცოდ კაცს სულ იოლად შეეყრება ყინულოვანი ქვეყნის უბედურება — სურავანდი.

ბინაზე თავშეუკავებელე მხიარულება გაჩაღდა.

ბელი ქოხის კუთხეში მიაგდეს.

აქ მან პირველად ნახა ცეცხლი; ეს სელაპის ქონის ჭრაქი ბჟუტავდა, მაგრამ ბელს იგი საოცრებად, მზის ნაწილად მოეჩვენა, თან სიკვდილის მომტანი ცეცხლი გაახსენდა, თოფიდან რომ იელვა, ამიტომ კუთხეში მიიკუნჭა და აყმუვლდა.

გარშემო ადამიანთა ბავშვები — პატარა ესკიმოსები შემოეხვივნენ. დიდებივით მათაც ტყავის და ბეწვის ტანსაცმელი ეცვათ. სახეც მელიისა და კურდღლის ტყავით დაებურათ.

ერთმა მათგანმა ბელს ძვალი გაუწოდა. ბელმა თავი მიიბრუნა. პატარა ადამიანს გაეცინა.

რომელიდაც ბავშვს ტყვე შეეცოდა და თასმები მოხსნა.

ბელი კრუსუნით მიბაჯბაჯდა კუთხეში გაფენილ დედის ტყავთან, ზედ წამოწვა და ძებნა დაუწყო თბილი რძის წყაროს. ნესტიან ცხვირსა და ენას, რომელიც თავ-პირს ულოკავდა, მაგრამ დედას ცხვირი გაშრობოდა, ტყავი გაყინულიყო და რძის წყაროც დამშრალიყო.

ბელს ვერაფერი გაეგო ამ საშინელი სასწაულისა.

ყველაფერი შეცვლილიყო.

სუნი დარჩენილიყო მხოლოდ უცვლელი. ნაცნობი სუნი უზარმაზარი, ძლიერი და კეთილი არსებისა, რომლის გვერდით ბელი ყოველთვის პოულობდა თავშესაფარსა და ალერსს.

ახლა ეს არსება დათვის უბრალო ტყავი იყო, ესკიმოსების ქოხის შემამკობელი უბრალო, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ტყავი.

ბელი აწკმუტუნდა და მოიკუნტა. იგი ელოდა, რომ ტყავი გაცოცხლდებოდა, კვლავ მოეფერებოდა ფაფუკი თათით, სველი ენა მობანდა შემინებულსა და ნაღვლიან თვალებს, ძუძუები კვლავ თბილი, გემრიელი რძით გავესებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, რული მოეკიდა. სელაპის ჭრაქის გარშემო დაეძინა ყინულის ქოხის ყველა ბინადარს: მობინადრეებს, ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს.

ჭრაქი საძაგლად ხრჩოლავდა.

დაღლილ ადამიანებს მკვდრებივით ეძინათ.

გარედან ძაღლების ღავღავი ისმოდა, მაგრამ აღარავინ ეპასუხებოდა.

VII. შენ გერქმევა «ფრამი»

ამის შემდეგ მომხდარი ამბები ბელისათვის არანკლებ რთული და გაუგებარი იყო.

ბელმა გვიან გამოიღვიძა და ნახა, რომ ქოხში კი არა, სელაპის ტყავშემოკრულ ნავში იმყოფებოდა. ხოფზე ადამიანები ისხდნენ, გუშინდელისაგან განსხვავებით, მათ უფრო გრძელი და თეთრი სახეები ჰქონდათ.

ისინი ვეშაპებზე და სელაპებზე სანადიროდ შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულიყვნენ. ზაფხულში ერთი კუნძულიდან მეორეზე გადადიოდნენ, ახლა კი იცოდნენ პოლარული ღამეები დაიწყებოდა, ქარბუქი ამოვარდებოდა და შინისკენ აელთ გეზი. გამგზავრების წინ რამდენიმე გახვევა თამბაქოში ესკიმოსებისაგან თეთრი ბელი ეყიდათ.

ასე დაიწყო ბელისათვის ახალი ცხოვრება.

მაგრამ დათვის ჯერ იმდენი ჭკუა არ ჰქონდა, რომ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა.

ნავი ყინულებისგან მოშორებით, ღია ზღვაში ღუზაჩაშვებული გემისკენ მიცურავდა. ბელმა სცადა განძრეულიყო, მაგრამ თათებში ტკივილი იგრძნო. ისევ თასმით იყო შებორკილი. ამ თასმით კაუჭზე დააბეს, მერე მაღალ გემზე აიყვანეს. ტროსი ქანაობდა, ბელი ხან დრუნჩითა და ხან ნეკნებით ეხეთქებოდა გემის ქიმს. ამოდ იღრინებოდა და იკრუნჩხებოდა, მაღლა გემბანზეც და დაბლა ნავშიც ადამიანები მის საქციელზე იცინოდნენ.

ჯერ ასე გაკოჭილი მიაგდეს ბაგირებზე, მერე, ვეშაპისა და სელაპის ტყავით გემის დატვირთვას რომ მორჩნენ, ვიღაცამ თასმა მოხსნა. ბელმა გაქცევა მოინდომა, მაგრამ უცნობის ხელი ქეროში სწვდა. ბელმა კბილები დააღრჭინა და ხელზე უნდოდა ეკბინა, იმ ხელმა ჩასარტყმელად მაინც არ გაიმეტა, პირიქით, ნაზად და ალერსიანად

მოეფერა. ამ მოულოდნელმა ალერსმა ფაფუკი, ბანჯგვლიანი თათი გაახსენა, გაახსენა შორს, მშობლიურ ყინულებში დარჩენილი დედა.

უცნობმა ცხვირთან ჯამით რძე დაუდგა. ბელი ახლოს არ მიეკარა, თუმცა რძის სუნი ნესტოებში უღიტინებდა და საღერდელს უშლიდა.

მერე, როცა დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, გაუბედავად დაიწყო ალოკვა. პირველად არ მოეწონა, მერე კი სიამოვნებისაგან უნებლიეთ აწკმუტუნდა.

რძე დედის რძეზე უფრო თბილი და ტკბილი გამოდგა.

ასე შეიტყო ბელმა, რომ ადამიანებს სასიამოვნო სასწაულებიც ჰქონიათ. რძე ძირამდე ამოსვლიპა, მერე მადლიერი თვალებით იქვე მდგომ კაცს შეხედა, რომელიც ჩიბუხს სწევდა და უცდიდა, როდის მორჩებაო.

მაღალმა, გამხდარმა, ცისფერთვალება კაცმა გულითადად გაუღიმა, მერე დაიკუზა და ბელს ზურგსა და ყურებს შორის ხელი მოუთათუნა. ბელი კბილებს აღარ აღრჭყენდა, აღარც ბრდღვინავდა, პირიქით, სიამოვნებით წკმუტუნებდა.

— მე არ გითხარით! — მიმართა კაცმა თავის ამხანაგებს, — ორი დღის შემდეგ ბატკანივით მორჩილი გახდება და ლეკვივით კუდს უკან დაგვიწყებს-მეთქი დევნას!

— მაშინ, ალბათ, ხუთ ბოთლ რომზე გადაცვლი, არა, ლარს? — გაეცინა მეორე კაცს, თან ჩიბუხს ქაჩავდა და ზღვაში აპურჭყებდა.

ლარსს არ უპასუხნია; გამხდარ სახეზე ნაღველი დაეფინა.

იცოდა, არ ტყუოდა ამხანაგი, რადგან მართლაც ძალიან უყვარდა ღვინო.

ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, ახალგაზრდობისას, იგი სულ სხვა კაცი იყო; სახე სუფთა და კრიალა ჰქონდა, თვალები ნათელი, ხმაში ხრინწის ნასახიც არ ერია. ლარს მაშინ მონაწილეობის მიღება მოუხდა ისეთ წამოწყებაში, რასაც მის ცხოვრებაში სამუდამოდ ნათელი კვალი უნდა დაეტოვებინა.

თავის რწმენის გამარჯვებაში დარწმუნებული ერთი გაბედული ყმაწვილი იმ დროს ნორვეგიაში ექსპედიციას ამზადებდა. ექსპედიცია ყინულოვანი ოკეანით ჩრდილოეთ პოლუსზე უნდა გამგზავრებულიყო. ყმაწვილმა საკუთარი ნახაზების მიხედვით გემი ააგო და ეკიპაჟი ახალგაზრდა, უშიშარი მეზღვაურებისაგან შეადგინა. ეს არ იყო გასართობი რეისი, იდუმალ პოლარულ უდაბნოში ცოტა ვაჟკაცი როდი დალუპულა ასეთ მოგზაურობისას!

ზოგიერთი ყმაწვილს ყვავივით დასჩხაოდა, თქვენი ექსპედიციაც სიცვიისა და შიმშილისაგან დაილუპებაო.

ახალგაზრდა ქერათმიან ნანსენს ასეთ წინასწარმეტყველებაზე ეცინებოდა.

მეზღვაურთა შორის, რომელთაც გადაეწყვიტათ ნანსენთან ერთად გაეყოთ მუდმივი ყინულისა და პოლარული ღამის საშინელება, იმყოფებოდა ლარსიც. შინ საცოლუ და ავადმყოფი დედა უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ცდუნება, მონაწილეობა მიეღო გაბედულ ექსპედიციაში, ადამიანის მიერ ფეხდაუკარებ მხარეში, სიყვარულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ლარსს კარგად ახსოვს მზიანი დღე, როცა ნავებით გარშემორტყმული საექსპედიციო გემი ატორტმანდა ლურჯსა და ღრმა ფიორდში

ელოდებოდნენ ნანსენის ცოლს, მაღალსა და ნაზ ქალს, რომ გემი მოენათლა.

ნანსენის ცოლმა, ჩვეულების მიხედვით, გემის ქიმზე შამპანურის ბოთლი გატეხა, ქაფიანი სასმელი გემზე მოაპკურა და წარმოთქვა: — შენ გერქმევა «ფრამი».

«ფრამი» ნორვეგიულად ნიშნავს «წინ».

იგრილა ვაშამ. გაისმა სიმღერები. ყველა აღტაცებისა და გამარჯვების რწმენით შეჰყურებდა მამაც ზღვაოსნებს, რომლებიც უხილავი ხიფათისა და ეგებ სიკვდილის შესახვედრადაც კი მიემგზავრებოდნენ.

ლარსის საცოლე თავსაფარს იქნევდა ნავიდან — ბედნიერ ნაოსნობას და სიკეთით დაბრუნებას უსურვებდა საქმროს:

— გაუმარჯოს «ფრამს!» წარმატებას გისურვებ «ფრამ»!

«ფრამმა» სავსებით გაამართლა თავისი სახელწოდება. სამი წლის განმავლობაში მიიწევდა წინ გაშლილ ლურჯ ზღვასა და ყინულებს შორის.

მიაპობდა მწვანე წყლის უდაბნოს, არ უშინდებოდა მოცურავე ყინულებს და შეუჩერებელი მიიწევდა წინ.

ლარსი ვერაფერს დაადარებდა ასეთ ცხოვრებას — მოთმინება, ვაჟკაცობა და კეთილი სწრაფვანი შერწყმოდა სტიქიასთან ბრძოლასა და დიდ, სასიკეთო საქმეთა გამარჯვების ურყევ რწმენას. «ფრამმა» აღმოაჩინა აქამდე უცნობი ადგილები, მრავალ ხიფათს გადაეყარა, მაგრამ ყოველთვის ლახავდა დაბრკოლებებს და გამარჯვებული გამოდიოდა.

სამი წლის შემდეგ, გემი რომ დაბრუნდა, ნორვეგიაში ყოველ სახლზე ალამი ფრიალებდა. ხალხს გამარჯვების სიხარული ჩასდგომოდა თვალებში. «ფრამის» დაბრუნების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო.

ყველას ნანსენისა და «ფრამის» სახელი ეკერა პირზე.

მეზღვაურთა შორის, ვის პატივსაცემდაც გაემართათ ეს ზეიმი, იყო ლარსი, უცნობი ყმაწვილი მეთევზეთა დაბიდან. მისი სახელი არავის უხსენებია, მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუწულებია წარმატების სიხარული თუ ლარსის ერთგულება კაპიტნისადმი.

სულ სხვა მიზეზთა გამო ელოდა ლარსს ტანჯვა და სიმწარე.

შინ რომ დაბრუნდა, არავინ გამოგებებია და გადახვევია მას.

დედას და საცოლეს მარადიული ძილით ეძინათ კლდეთა შორის, მყუდრო სასაფლაოზე. მოარულ ჭირს მოეუკაცრიელებინა მეთევზეთა დაბა, რომლის ბინადრებზე არავის შეუწუხებია თავი, არავის მიეშველებინა ექიმი თუ წამალი. ხალხი ბუზივით იხოცებოდა. მდიდრებს არ ანაღვლებდათ მათი ბედი. ლარსს ორი საფლავი დაუხვდა ერთმანეთის გვერდით.

ყმაწვილს ცხოვრების ხალისი დაეკარგა. იმედები გაუცრუვდა. არ ეყო ძალა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ებრძოლა უსამართლობასთან.

მიჰქროდა წლები. ლარსს სმა შეუყვარდა. შემდეგ, როცა შემთხვევა მიეცა, რიგით მეზღვაურად წავიდა ყინულოვან ოკეანეში მიმავალ ვეშაპებისა და სელაპის ტყავის მწარმოებელ გემზე.

იგი ცხოვრებისაგან აღარაფერს ელოდა.

აღარც მას ელოდა შინ ვინმე.

ხანდახან გვიან ღამით, თანამეინახეთა შორის რომ იმყოფებოდა, მაგიდაზე დაარტყამდა მუშტს, ყურადღებას მოითხოვდა და ჰყვებოდა გარდასულ დღეთა ამბებს.

ერთნი იცინოდნენ, მეორენი მდუმარედ ისმენდნენ, სინანულით აქნევდნენ თავს და გუნებაში იხსენებდნენ საკუთარი ცხოვრების ამბებს, იმედის ფრთებს რომ ასხამდა მათ ახალგაზრდობას, როცა ისინი ძლიერნი, მამაცნი და უბიწონი იყვნენ სულითა და ხორციით.

ყველა ადამიანის ცხოვრებას ამკობს ლამაზი და ნათელი ფურცელი, ვაჟკაცობაზე, ერთგულ სიყვარულსა და თავდადებაზე მეტყველი რაღაც განსაკუთრებული, რაინდული საქციელი.

გადიან წლები. ასეთ მოგონებებზე მარტოოდენ გულქვა ადამიანები თუ გაიცინებენ.

იმ დღეს გემის ერთ-ერთ კაიუტაში ლარსი, ძველი მეზღვაური და ლოთი, ვინ იცის, მერამდენედ ჰყვებოდა თავის ამბავს.

ვიღაც გარმონს უკრავდა, დანარჩენები ხმამაღლა ხარხარებდნენ, ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ და სვამდნენ.

თამბაქოს კვამლით გავსებულ კაიუტაში სუნთქვა ჭირდა. თევზისა და ცხოველთა ტყავის სუნი უარესად ამძიმებდა დახუთულ ჰაერს.

ლარსის ამბით გატაცებულმა მეზღვაურმა გარმონის დაკვრას თავი მიანება, დანარჩენებმაც შეწყვიტეს სიცილი.

ბელი ახალი პატრონის ფერხთით მოკუნტულიყო. ხანდახან წამოიწვმტუნებდა ძილში, ამ დროს ლარსი დაიხრებოდა და ყურებშია ხელს მოუთათუნებდა.

ქარბუქი ამოვარდა. გემი მწვანე ტალღებზე ტორტმანებდა და ჭრიალი გაჰქონდა.

ასე ჭრიალებდა ოდესღაც «ფრამიც», მაგრამ ეს სულ სხვა განედზე იყო, აქედან გაცილებით შორს, პოლარულ ოკეანეში. ახალგაზრდა იყო მაშინ ლარსი და მოუთმენლად ელოდა მშობლიურ დაბაში დაბრუნებას, სადაც საცოლე და დედა დაეტოვებინა. დიახ, სწორედ ასე ჭრაჭუნებდა მაშინაც გემი და ქარბუქიც სწორედ ასე უსტვენდა.

ლარსმა თხრობა შეწყვიტა და ნიკაპით მუშტს ჩამოეყრდნო, თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა.

მერე გამოფხიზლდა და წამოდგა:

— გვეყოფა მოგონებანი! ახალგაზრდობას, სულ ერთია, მაინც ვერ დავიბრუნებთ! სჯობია, ერთი ჭიქა დამისხათ კიდეც!

მან სავსე ჭიქა ასწია, ბელს გადაასხა და იმ ძველი ამბის სახსოვრად დაანათლა სახელი:

— შენ გერქმევა ფრამი!

ნამძინარევი ბელი შეშინებული წამოვარდა.

— მართალია, ფრამი დავარქვით! — ბანი მისცეს მეზღვაურებმა. — ფრამი! გაუმარჯოს ფრამს!

შერქმეული სახელი ბელს თითქოს მოუხდა.

გემი ნორვეგიაში რომ დაბრუნდა, ბელი თავის მეტსახელიანად პირველსავე პორტში გადაცვალეს ათ ბოთლ რომში. უფრო მოგვიანებით კი, ამ შერქმეული სახელით სტრუცკის ცირკმა იყიდა. ბოლოს მისი სახელი აფიშაზეც გამოჩნდა.

ბელი მიეჩვია ადამიანთა საზოგადოებაში თავის დაჭერას, ცდილობდა, ყველაფერი მათსავით განეცადა, მათსავით ემხიარულა და დაემჩნია ნაღველი. ისწავლა ტანვარჯიში და აკრობატიკა, გარმონზე დაკვრა, ბურთით თამაში, შეიყვარა ბავშვები და ახარებდა აპლოდისმენტები.

შვიდ წელიწადს მოგზაურობდა ქვეყნიდან ქვეყანაში და ქალაქიდან ქალაქში, ართობდა ბავშვებს, ანცვიფრებდა დიდებს.

თეთრი დათვი ფრამი!.. ფრამი სტრუცკის ცირკის სიამაყე!

ესკიმოსებს, მიუვალ ყინულოვან კუნძულებზე, რა ხანია დაევიწყებინათ ოდესღაც რამდენიმე გახვევა თამბაქოში გადაცვლილი ბელი. გემი, იმიერპოლარეთიდან რომ ჩამოიყვანა იგი, ეგებ ჩაიძირა, ანდა დამძველდა და მიაგდეს სადმე. მოხუცი, გალოთებულ მეზღვაური ლარსი, ვინ იცის, იქნებ დიდი ხანია მოკვდა კიდეც. ცხოვრება წინ მიდიოდა, ფრამის დიდება დღითიდღე იზრდებოდა.

მის ჩასვლას ყველგან წინასწარ გეზულობდნენ და პირზე ეკერათ განსწავლული თეთრი დათვის სახელი.

და ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად და უმიზეზოდ აგდია ცირკის სამხეცის ერთ-ერთ გალიაში. დაღონებული და გამოშტერებული ვერ მიმხვდარიყო, რა დასტყდომოდა თავს, ისევე, როგორც ბელობის დროსაც ვერ გაეგო, რანაირად ჩაუვარდა ხელში ადამიანებს.

ღამით მხეცები თავ-თავიანთ გალიებში რომ იძინებდნენ, სიზმარში მშობლიურ მხარეს ხედავდნენ. ამ დროს ფრამის მეხსიერებაშიც ცოცხლდებოდა წარსული. ხანდახან სიზმრად ელანდებოდა, ზოგჯერ კი ცხადლივაც იგონებდა თავის სამშობლოს. სიზმარი მტანჯველად გადახლართოდა სინამდვილეს.

ფრამს წარსული ამჯერად გაცილებით ცხადად წარმოუდგა თვალწინ. ყველაფერს თითქოს ხელახლა განიცდიდა.

დიდი ხანია დავიწყებოდა ცისფერთვალეზა მეზღვაური ლარსი, ბელს პირველად რომ მოეფერა და ყურებშია მეგობრულად მოუთათუნა ხელი, დავიწყებოდა ის გემიც, სადაც ფრამი ადამიანებს დაუმეგობრდა, რაკი მიხვდა, საშიშნი არ იყვნენ.

მშობლიურ ყინულებს სამუდამოდ მოწყვეტილი ფრამი იზრდებოდა ადამიანთა შორის. ისწავლა ცეკვა, გარმონზე დაკვრა, აკრობატული ნომრები და ახარებდა აპლოდისმენტები.

ახლაც უცებ იმ შორეული მოგონებების თითოეული წვრილმანი გაახსენდა, თვალწინ დაუდგა დიდი, უწყინარი არსება, პაწაწინას და უმწეოს რომ კვებავდა და ათბობდა ყინულის ბნელ ბუნაგში.

თვალი მოხუჭა თუ არა, კვლავ უნაპირო მწვანე ოკეანე დალანდა.

დალანდა ცაზე მოგიზგიზე ჩრდილოეთის ციალი.

დაინახა მცურავი ყინულებიც.

უკანა თათებზე წამომართული თეთრი დათვი ანიშნებდა: «ჩვენთან წამოდი, ფრამ!»

ფრამს პოლარული ყინვისაგან თითქოს ნესტოებიც კი აეწვა.

და მაშინ დათვი ძილში ზუსტად ისე აწკმუტუნდა, როგორც ერთ დროს პატარა ბელი წკმუტუნებდა მკვდარი დედის ძუძებს რომ მოაშორეს.

აკანკალებულსა და შეძრწუნებულს გამოეღვიძა.

თოვლისა და ყინულისაგან გაწმენდილი სუფთა ჰაერის ნაცვლად ცხვირ-პირში გალიებში გამომწყვდეული მხეცების, დამპალი, ნაყარ-ნუყარი საჭმლისა და მაიმუნების საძაგელი სუნი ეცა.

სცადა, გულიდან გადაეგდო ყოველივე, უკანა თათებზე წამოდგა და თავისი პროგრამის ნომრების გამეორება მოინდომა. დაეცა. ისევ თავიდან დაიწყო. ბოლოს ოთხზე დადგა, მერე გალიის იატაკზე გაიშოტა და დრუნჩი ყველაზე ბნელი კუთხისაკენ წაიღო. თვალის მოხუჭვისთანავე ისევ მზეზე მოლიცლიცე ოკეანე დაუდგა თვალწინ. თეთრად ანათებდა თოვლის ქათქათა სივრცე, რომლის გამჭვირვალეზას და სხივმოსილებას არაფერი შეედრებოდა ამ ქვეყანაზე.

ფრამს ენაღვლებოდა თავისი ყინულოვანი სამყაროსი.

VIII. უკან ყინულოვანი ოკეანისაკენ

იმ ქალაქში, სადაც სტრუცკის ცირკი მართავდა წარმოდგენებს, ცხოვრობდა ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც დათვებზე რამდენიმე წიგნი დაეწერა. ახლა იგი

ხელჯობზე დაყრდნობილი ძლივძლივობით დადიოდა. ერთთავად ახველებდა, სიბეცის გამო ველარაფერს ხედავდა და სქელი ამობურცულმინიანი სათვალე ეკეთა. ხელები ძალზე უცახცახებდა.

მოხუცი მარტოდმარტო ცხოვრობდა თავის ძაღლებთან და კატებთან ერთად. მას არ ჰყავდა ცისფერთვალეა შვილიშვილი, როგორც პენსიონერ მასწავლებელს მეორე ქალაქში, სადაც გამოსათხოვარ წარმოდგენაზე ასეთი მღელვარებით ეძახდნენ ფრამს. მოხუცს არა ჰქონდა ოჯახი და საერთოდ არავინ გააჩნდა ამ ქვეყანაზე.

მსოფლიოში სახელგანთქმულ მონადირეს ახალგაზრდობისას იშვიათი და საშიში მხეცების ძებნაში მრავალი ქვეყანა მოეწვლო. იგი ამაცობდა, რომ მსხვერპლი ხელიდან არასოდეს გაუშვია და ტყვიას ყოველთვის მიზანში ახვედრებდა. დათვებზე მონადირეთა შორის იგი სამართლიანად ითვლებოდა ყველაზე გამოცდილ მონადირედ.

მოხუცს ბინა ახლაც თავის მიერ დახოცილ მხეცთა ტყავებით ჰქონდა მოფენილი. ტყავები ზოგი საწოლთან ეყარა იატაკზე, ზოგი კედელზე იყო გაკრული, ზოგი კი დივანს ეყარა.

აქ ნახავდით მურა დათვების ტყავს, ჩრდილოეთ ამერიკის მთებში რომ ცხოვრობენ და არაჩვეულებრივი მძვინვარებით გამოირჩევიან. ვაი იმისი ბრალი, ვისაც მათი ტორები მოხვდება! ნახავდით ინდონეზიის, სუმატრისა და იავის კუნძულების მკვიდრ კატისხელა ჯუჯა დათვებისა თუ კარპატების მურა დათვების ტყავებსაც, გამოქვაბულში დამალვა და თაფლით პირის ჩატკბარუნება რომ უყვართ. მათ ხანდახან თაფლით სავსე მთელი ფიჭები მიაქვთ ხოლმე თან. აქ იყო ტყავები ალიასკის, ციმბირის, გრენლანდიის და იმ კუნძულთა თეთრი დათვებისა, სადაც ფრამი დაიჭირეს, აქ შეხვდებოდით აგრეთვე მაიმუნებივით მოხტუნავე პირენეის შავი დათვის ტყავსაც.

მრავალი წლის მანძილზე მონადირეს დათვი წარმოედგინა საუცხოო და სახიფათო ნადავლად, რომელზეც ღირდა შეემოწმებინა გამჭრიახოზა თვალისა და სიმარჯვე მიზნისა.

ასე გრძელდებოდა, სანამ კანადის შორეულ ტყეებში მურა დედა დათვს მოკლავდა.

მონადირე ძუ დათვს მთელი დღე მისდევდა კვალზე. ამხანაგებთან ნიძლავი ჰქონდა დადებული, რომ დათვს ერთი გასროლით დააწვენდა. სანამღეო მოიგო. მხეცი პირველივე ტყვიამ წააქცია. სულის ამოხდომის წინ ძუ დათვმა ბელი თათებით ახლოს მიიზიდა და ცდილობდა მკერდით დაეფარა.

პაწაწინა იყო ბელი! სულ რამდენიმე კვირის, თვალეები ახალი ახელილი ჰქონდა. ფეხზე ძლივს დგებოდა, საცოდავად წკმუტუნებდა და მკვდარ დედას არ სცილდებოდა.

მონადირემ ბელი თან წამოიყვანა. თვითონ აჭმევდა. ბელი პირველად პირს არაფერს აკარებდა, არც რძეს, არც თაფლს და არც ხილის წვენს. ისიც სითბოს ეძებდა ფრამივით; ფრამიც ხომ ესკიმოსების ქოხში სასწაულს ელოდა, იქნებ დედის ტყავი გაცოცხლდეს და კიდევ მომეფეროსო თათით.

ბელი მონადირესთან მანამდე ცხოვრობდა, სანამ იგი კანადიდან არ გაემგზავრა და დათვი უღრან ტყეში არ გაუშვა. შემდეგ მონადირემ კვლავ განაგრძო ხეტიალი, შეისწავლა დათვთა ზნე, ცხოვრება და მათზე რამდენიმე წიგნი დაწერა. წიგნებში დაწვრილებით აღწერდა ყველა ჯიშის დათვთა ჩვეულებებს.

ეს საქმიანობა მხოლოდ მოხუცობაში შეწყვიტა, როცა ყოფილი მონადირე უძლურ, ნახევრად ბრმა, ჯოხზე დაყრდნობილ ბატონად იქცა. სწორედ ამ დროს შევიდა იგი სტრუცკის ცირკის სამხეცეში და ფრამის გალიის წინ შეჩერდა.

მას თან დირექტორი ახლდა და უყვებოდა, რა დაემართა გალიის ბინადარს.

— უკვე მესამე თეთრი დათვი მალაატობს. საოცარია პირდაპირ, რა ემართებათ! რამდენიმე წელს ყველაზე ჭკვიან მოშინაურებულ მხეცეებივით იქცევიან, ნომრების შესრულებისას მწვრთნელები არ სჭირდებათ, არენაზე მარტონი გამოდიან, მერე კი სრულიად უმიზეზოდ გამოშტერდებიან, ყველაფერი ავიწყდებათ, ამ ქვეყნის არაფერი გაეგებათ, წვანან გალიაში და დღითიდღე ილევინ. მათი ჯიუტობა ვერაფრით გაგვიტეხია. როგორც გითხარით, ეს მესამე შემთხვევაა. პირველ ორ დათვზე მაინცდამაინც არ მინაღვლია. ბევრი არაფერი დამიკარგავს, ისინი ჩვეულებრივი თეთრი დათვები იყვნენ, დანარჩენებისაგან არაფრით გამოირჩეოდნენ. ფრამი კი სულ სხვა არის. ფრამი შესანიშნავი, შეუდარებელი არტისტი იყო! სანაძლეოს დავდებ, რომ ფრამმა იცოდა სხვადასხვა ქვეყნის მაცურებლის გემოვნება. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის გემოვნებაც ესმოდა და შეემლო კიდევ, მისთვის ანგარიში გაეწია: გრძნობდა, ვის რა მოსწონდა, მისი გამოსვლის ჯერი რომ დადგებოდა, საქმეს მივატოვებდი და კულისებიდან მაცურებელზე არანაკლები ცნობისმოყვარეობით და აღტაცებით ვუცქეროდი. ვერასოდეს ვერ გავითვალისწინებდი, რას მოიგონებდა ექსპრომტად. მე სამაგალითოდ მყავდა. — შეხედეთ და ისწავლეთ მისგან, მაცურებელს ის თქვენზე უკეთესად იცნობს-მეთქი, — ვუბნებოდი ტაკიმასხარებს, ახლა კი თავადაც ხედავთ: დრუნჩი კედლისკენ მიუშვერია და სრულიად ჩვეულებრივ დათვად ქცეულა. რამდენი წელიც არ უნდა ვიცხოვრო, ამისთანა არტისტს ვეღარასოდეს მოვესწრები...

ხელჯოხზე დაყრდნობილი ყოფილი მონადირე ბეცი თვალებით დიდხანს უცქერდა თეთრ დათვს, მერე სუსტი, აცახცახებული ხელი გალიაში შეყო და წყნარად დაუძახა:

— ფრამ, ეი, ფრამ! რა დაგემართა? მითხარ, რატომ ხარ ასეთი მოწყენილი, შე უხიაკო, ჰა?

ფრამს თავიც არ მოუბრუნებია, კუთხეში უფრო ღრმად მიიკუნჭა და დრუნჩი ხის ტიხარს მიაბჯინა. მოხუცმა, ათობით დათვი რომ დაეხოცა და შემდეგ მათზე სიყვარულით წიგნებიც დაეწერა, სათვალე გაწმინდა და ჩაახველა.

— ძალიან გიყვარდათ ფრამი? — შეეკითხა მოულოდნელად დირექტორს.

— მე საქმოსანი ვარ, ცირკის დირექტორისათვის ნაზი გრძნობები უსარგებლო რამაა, მისგან შეიძლება მხოლოდ წაგება ვნახო. კარგ არტისტებს, ხალხს რომ იზიდავს, გულუხვად ვუხდი გასამრჯელოს. სამაგიეროდ მუშაობით ტყავს ვაძრობ. ცხოველებს კარგი მოვლით და საკვებით უზრუნველვყოფ, რადგან მაცურებელს ლამაზი და ბეწვდაბზინებული მხეცები უყვარს და არა ძვალტყავად ქცეული.

— მაშასადამე, თქვენ მხოლოდ ნაღდი გაინტერესებთ?

— რა თქმა უნდა, სხვას არაფერს დავეძებ.

— გასაგებია, მაშინ კითხვას სხვანაირად შევატრიალებ. ბევრი ფული გამოვინათ ფრამმა?

— ცოცხა იქნება, ცოტა-მეთქი რომ ვთქვა! — გამოტყდა დირექტორი, — შვიდი წელია ჩვენი მთავარი ატრაქციონი იყო, უმაგისოდ არც ერთი პროგრამა არ დგებოდა. აფიშაზე საკმარისი იყო მაგისი სახელის გამოჩენა, რომ ყველა ბილეთი გაყიდულიყო და ხალხი ცირკს მოსწყდომოდა.

— მაშასადამე, დავალებული ყოფილხართ!

— უეჭველად, რასაც მთხოვდნენ, მივცემდი, ოღონდ ძველებური ფრამი მენახა.

მოხუცს გაეცინა და მიწას ჯოხით ჩიჩქნა დაუწყო.

— თქვენ ვერ გამიგეთ! მე იმას კი არ გეუბნებით, რას მისცემდით ძველი ფრამი რომ დაგიბრუნდეთ-მეთქი, ფრამს ეს არაფერს არგებს, ამას ისევ თქვენი ცირკისა და მოგებისათვის გააკეთებდით. თქვენ, რა თქმა უნდა, მზად ხართ გაიღოთ გარკვეული თანხა, რომ ფრამი კვლავ მაყურებლის რჩეულად იქცეს და მოგება მოგიტანოთ, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, დათვების ცხოვრებაში ასეთი რამ არა ხდება. მე გეკითხებით, თვითონ ფრამისათვის, ფრამის ძველი დამსახურების საზღაურად თუ დახარჯავდით ცოტაოდენ თანხას ისე, რომ ცირკმა არავითარი სარგებლობა არ ნახოს? თანახმა იქნებოდით ასეთ ხარჯზე?

— დიახ! — ძლივგასაგონად უპასუხა დირექტორმა, — ფრამმა ეს დაიმსახურა. ოღონდ არა მჯერა, რომ ფულმა უშველოს...

— ამ წუთში ირწმუნებთ, — გაეღიმა ყოფილ მონადირეს, — ფრამი სამშობლოს სევდას შეუპყრია, ეგ არის და ეგ! გული მშობლიური ყინულებისა და თოვლისაკენ მიუწევს. ძველი, მივიწყებული გახსენებია. რაკი მზად ხართ, ცოტაოდენი თანხით შეეწიოთ, მე მგონია, — უკან, ჩრდილოეთში უნდა გაამგზავროთ.

სტრუცის ცირკის დირექტორმა მოხუცს უნდობლად შეხედა, მასხარად ხომ არ მიგდებსო.

— რა უნდა ვქნა მერე, რკინიგზის ბილეთი ვუყიდო?

ყოფილმა მონადირემ უკმაყოფილოდ აიჩქრა მხრები.

— თავადაც მშვენივრად იცით, რომ ასეთი რამ არ მიფიქრია. მე არა ვხუმრობ. იოლზე იოლია ფრამის უკან გამგზავრება. ეგებ ძვირი დაგიჯდეთ, მაგრამ სულაც არ არის ძნელი ამბავი. ყინულოვან ოკეანეში ახლა ყოველწლიურად ასობით გემი მიდის, აიღეთ და ერთ-ერთი მათგანით გააგზავნეთ. ვინმეს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვით, რომ სადმე კუნძულზე მიიყვანენ და თავისუფლად გაუშვებენ, ამით დამთავრდება ყველაფერი!.. უფრო სწორად, დამთავრდება კი არა, ფრამის ნამდვილი ამბავი მაშინ დაიწყება. ავადმყოფობასა და სიბერეს რა ვუთხრა, თორემ მარტო იმისთვის წავიყვანდი, რომ მენახა, რას გააკეთებდა, როგორ იგრძნობდა თავს მშობლიურ ყინულებში... ეს იქნებოდა ჩემი დაუმთავრებელი წიგნის ახალი თავი, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ექსპერიმენტი!

დირექტორი ჩაფიქრებულიყო. გუნებაში ანგარიშობდა, რა დაუჯდებოდა. იცოდა, რაც ღირდა ამგვარი მოგზაურობა, მაგრამ იმასაც ვარაუდობდა, რომ ჩრდილოეთში ფრამის გამგზავრების ამბავი თავისებური რეკლამა იქნებოდა ცირკისათვის. როგორც გამჭრიახ საქმოსანს, დირექტორს აზრი დაეზადა, რამდენიმე წარმოდგენა ისე გაემართა, რომ ბილეთებისათვის ფასი წაემატებინა და ფრამის სასარგებლოდ ხელისმომწერთა ფურცელი გაეხსნა. თვითონ ამით არაფერს დაკარგავდა!

— რამდენიც უნდა დამიჯდეს, ამას გავაკეთებ! — მტკიცედ თქვა დირექტორმა.

— მომეცით ხელი, თქვენ უადრესად მასიამოვნეთ, — გაუხარდა ძველ დათვებზე მონადირეს, ახლა კი მათ მოსარჩლეს და ეჭვიც არ შეპარვია, რა იდუმალ ანგარებას შეეპყრო დირექტორი.

მოხუცი ფრამისკენ შეტრიალდა და აკანკალებული ხელი დაუქნია:

— ბატონო ფრამ, დროა, სამგზავროდ გაემზადო. ვიცი, არც ჩემოდანი გაქვს და არც კბილების ჯაგრისი, მაგრამ ეგ არ არის დიდი უბედურება! გისურვებ, კვლავ გარეულ, თავისუფალ მხეცად ქცეულიყავ, დამტკბარიყავ ყინულებით, ქარბუქით,

პოლარული მზითა და ჩრდილოეთის ციალით... მოგენახოს შენი ტოლი ძუ დათვი და შენი თვისტომთა დამამშვენებელი პატიოსანი ოჯახის მამა გამხდარიყავ!

ფრამმა თათებზე ჩამოდებული თავი ნელა ასწია და პატარა ნაღვლიანი თვალები მხიარულსა და კეთილ, მაგრამ ცოტა არ იყოს, ლაპარაკის საღერღელაშლილ მოხუცს შეავლო.

თითქოს მიხვდაო, რასაც ეუბნებოდნენ.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მადლობას არ გადამიხდი? — შეეკითხა ყოფილი მონადირე, — ამას შენგან არ მოველოდი!

ფრამი უკანა თათებზე წამოიმართა და სამხედრო სალამი მისცა — ჩვეულებრივ ასე პასუხობდა ხოლმე აპლოდისმენტებზე.

— ეგ სხვა საქმეა! ოღონდ ეცადე, არ დაგავიწყდეს ამ ცერემონიების ჩვენთვის, ადამიანებისათვის დატოვება. ყინულოვან უდაბნოში მაგიტ შორს ვერ წახვალ. იქ არაფერი გაეგებათ ჩვენებური მისაღმებისა. ახლა კი ნახვამდის! ბედნიერ მგზავრობას გისურვებ!

ფრამი ერთხელ კიდევ მიესალმა.

მერე ოთხზე დაემვა, ხელახლა მიეგდო თავის კუთხეში, დრუნჩი ტიხარს მიაბჯინა და თვალდახუჭული მოჰყვა ოცნებას ყინულოვან მთებზე, უაფროდ, უსაჭიოდ და უმენიჩბებოდ საიდუმლო გაღერებევით რომ ცურავენ მწვანე ოკეანეში.

ეულად დარჩა ფრამი.

მაგრამ ცირკის დირექტორმა სიტყვა შეასრულა. აფიშები დაბეჭდა და ფრამის სასარგებლოდ რამდენიმე წარმოდგენა გამართა. ხელისმომწერთა ფურცელიც გახსნა. იმაზე მეტი ფული მოაგროვა, ვიდრე სჭირდებოდა... მერე რამდენიმე წერილი და ტელეგრამა გაგზავნა. ორი კვირის შემდეგ სასურველი პასუხიც მიიღო.

ერთ საზღვარგარეთულ პორტში მსხვილი ფირმა მუშაობდა. იგი სხვადასხვა ქვეყნის მონადირეებს აუარებელ ფულს უხდიდა, რომ ცირკებისათვის, სამხეცეებისა და ზოოპარკებისთვის მხეცები, ჩიტები და ქვეწარმავალნი დაეჭირათ. ამ ფირმის დირექტორმა ითავა ფრამის სამშობლოში გამგზავრება.

მალე ერთ-ერთ გემს ექსკურსანტები უნდა წაეყვანა იმიერპოლარეთში, გემზე ორი გამოცდილი მონადირე იმყოფებოდა. მათ ფირმისგან ევროპული ცირკებისათვის, სამხეცეებისა და ზოოპარკებისათვის თეთრი დათვების ჩამოყვანა ჰქონდათ დავალებული. ასე, რომ ფრამის გამგზავრება თითქმის არაფერი ჯდებოდა.

ახალი ამბავი უცებ მოედო ცირკს და დიდი სენსაციაც მოახდინა.

გამგზავრების დღეს ტაკიმასხარები და ტანმოვარჯიშეები, აკრობატები და მოჯირითეები გამოსამშვიდობებლად მივიდნენ თეთრ დათვთან.

ზოგი ეფერებოდა, ზოგი ხილით, კანფეტითა და ხილის წვენით უმასპინძლებოდა. ყველაზე დიდხანს გალიაში სულელი ავგუსტინი დარჩა.

ამჯერად მას არც მწიფე პამიდორევით ცხვირი ჰქონდა, არც აგურისფერი აბურძგნული პარიკი, ქანდარაზე ხარხარს რომ იწვევდა.

დილა იყო, წარმოდგენის დაწყებამდე კარგა ხანი დარჩენილიყო. სულელი ავგუსტინი ჯერ კიდევ არ იყო გამოწყობილი ჯამბაზევით. ამ საათებში საერთოდ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ადამიანს ჰგავდა. ღარიბულად ჩაცმულს დაღლილი სახე და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ასეთი იყო ცხოვრებაში, როცა არ ეცვა კოჭებამდე ჩაფართხუნებული ფრაკი და თხილამურებევით გრძელი წაღები, როცა არ ჰქონდა გაკეთებული სასაცილო ცხვირი და აგურისფერი პარიკი.

მოხუცმა, ავადმყოფმა და ეულმა ტაკიმასხარამ იცოდა, მისი სიცოცხლე საავადმყოფოში ან დავრდომილთა თავშესაფარში დასრულდებოდა.

ფრამივით ისიც საშინლად მოქანცულიყო.

მობეზრებოდა ტაკიმასხარობა, სალტო-მორტალეს კეთება და მანჭვა-გრება ქანდარის გასართობად. მაგრამ სხვაფრივ ვერც მოიქცეოდა, უნდა ეცინა, თავში დაფის თხლეშა და პანდურიც უნდა მოეთმინა, რადგან მხოლოდ ასეთი საზღაურით შეეძლო ლუკმა-პურის შოვნა. თუ არა და, დირექტორი, დაუნდობლობით მხეცივ რომ ვერ შეედრებოდა, შეუბრალებლად გააგდებდა ქუჩაში.

ახლა მოხუცი, ავადმყოფი ტაკიმასხარა გამოსამშვიდობებლად მისულიყო ფრამთან.

შვიდ წელიწადს განუყრელად მოგზაურობდნენ ისინი ერთი ქალაქიდან და ერთ ქვეყნიდან მეორეში, ჯილდოდ აპლოდისმენტებსა და ხალხთა მოწონებას იმსახურებდნენ მხოლოდ.

ბოლოს ისინი ბედისწერამ გაჰყარა.

ბედისწერა დათვისთვის უფრო მოწყალე გამოდგა, რადგან თავისუფლება ელოდა, ადამიანი კი არ დაინდო და ლუკმაპურისთვის სიკვდილამდე ცირკს მიაჯაჭვა.

სულელი ავგუსტინი გალიაში შევიდა.

ფრამმა კეთილი და უწყინარი თვალებით შეხედა. ძველი მეგობრები იყვნენ ისინი. დათვმა თითქოს იცოდა, რა ფასად უჯდებოდა ჯამბაზს დღიური ლუკმაპურის შოვნა, ან რად უღირდა ყოველდღე საზოგადოების გართობა.

— მაშ მიდიხარ? — შეეკითხა ტაკიმასხარა და ბალანზე ხელი გადაუსვა.

დათვს არ შეეძლო პასუხის გაცემა.

ამას გარდა, არ იცოდა, რომ მიემგზავრებოდა. არ იცოდა, რა სიურპრიზი მოუმზადა მოხუცმა მონადირემ.

გაკვირვებული იყო, ყველა მასთან შედიოდა, ეფერებოდნენ და ტკბილუღით ანებივრებდნენ. ვერაფერი გაეგო სიყვარულის ასეთი გამომჟღავნებისა. გრძნობდა კი რაღაც უჩვეულო რომ ხდებოდა. ადამიანთა მღელვარება იმასაც გადაედო, მაგრამ დათვის გონება ვერ განსჯიდა მიზეზს. — მაშ მიდიხარ? — გაუმეორა კითხვა სულელმა ავგუსტინმა, მშურს შენი, მეგობარო, დამენაღვლება, ცირკი უშენოდ დაცარიელდება. დიდებული, ნამდვილად რიგიანი დათვი იყავი, ბევრად უფრო რიგიანი, ვიდრე ადამიანის სახით მოვლენილი ჩვენი ხარბი დირექტორი!..

ტაკიმასხარამ თეთრი დათვის აბურმგნულ ბალანში ჩარგო თავისი დანაოჭებული, ბებერი სახე.

ფრამი თათით ოდნავ შეეხო, თითქოს მიხვდა, რომ რაღაცას მწარედ განიცდიდა ტაკიმასხარა.

ჯამბაზმა იგრძნო, სადაც იყო ატირდებოდა და გაეცალა. არ უნდოდა, სხვებს დაენახათ, იცოდა, მასხარად აიგდებდნენ — ტირისო სულელი ავგუსტინი! გალიის კარი გამოაღო, გაიქცა და უკანმოუხედავად უქნევდა ხელს.

— კეთილ მგზავრობას გისურვებ, ფრამ! კეთილ მგზავრობას!

იმავე დღეს ფრამი მატარებელზე მიბმული ბოლო ვაგონით გაამგზავრეს. თან საგანგებოდ მიჩენილი კაცი მიჰყვებოდა.

ერთი დღე და ღამე, მერე კიდევ ერთი დღე მიჰქროდა მატარებელი სხვადასხვა ქვეყნის მიწაზე, მეორე დღეს, საღამოთი მივიდნენ იმ ნავსადგურში, საიდანაც მონადირეები გემით ყინულოვანი ოკეანესაკენ უნდა გამგზავრებულიყვნენ.

ფრამი გამოცდილი მოგზაური იყო და სულაც არ გადაუქანცავს ხედების, ქალაქებისა და ადამიანების წამდაუწუმ შეცვლას.

იგი მიჩვეული იყო ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობას, ათასგვარ ენაზე საუბრის მოსმენას, ნაირ-ნაირად ჩაცმული ადამიანების ყურებას. გზად ბევრი ქალაქი შემოხვდათ, სადაც კედლებს მივიწყებული, წვიმისა და მზისაგან გახუნებული აფიშები შემორჩენოდა. აფიშებზე მისი სურათი ეხატა და ქვეშ დიდი ასოებით ეწერა:

«ფრამი, თეთრი დათვი».

გემი ნავსაბმელიდან რომ აუშვეს, ფრამი მაშინღა მიხვდა. მის თავს უჩვეულო რაღაც ხდებოდა.

ფრამი კაიუტის კარს ბრჭყალებით ფხოჭნიდა, საჭმელს პირს არ აკარებდა, არაფერს სვამდა და უზომოდ შემფოთებული იყო.

გემის ქიმზე წყლის ტყლაშუნი დიდიხნის წინანდელ, ძალიან შორეულ ამბავს ახსენებდა.

დიახ, ყოველივე ეს აგონებდა ოკეანეზე პირველ მოგზაურობას, როცა ცისფერთვალება ლოთმა მეზღვაურმა ლარსმა თბილ ქვეყანაში ჩამოიყვანა და ათ ბოთლ რომად გაყიდა.

იმიერპოლარეთში ექსკურსიის მონაწილე მგზავრებში ელვისებურად გავრცელდა ხმა — გემზე გაწვრთნილი თეთრი დათვი, სტრუცკის ცირკის სახელგანთქმული ფრამი იმყოფებაო. არენაზე გამოსვლა მობეზრებია და უკან აბრუნებენ მუდმივი ყინულის სამეფოშიო.

ფრამთან სანახავად იწყეს მოსვლა. ფუნთუშები, კანფეტები, ხილი და სასმელი მოჰქონდათ. მათში ისეთებიც ერია, ვისაც იგი ცირკში ენახა, ტაშიც დაეკრათ და მშვენივრად ახსოვდათ, როგორ ხსნიდა ლუდის ბოთლებს, როგორ უკრავდა გარმონს და ბავშვებს როგორ ურიგებდა კანფეტებს.

ახლა უკვირდათ, ამჯერად რომ ვეღარ ხიბლავდნენ ტკბილეულით, ხილით და ლუდით.

— ეგებ მოსწყინდა აქ? — თქვა ერთმა ახალგაზრდა ქალმა, — შეხედეთ როგორ დაღონებულა! ცირკში რომ ვნახე, ამ ქვეყნად ყველაზე უფრო მხიარულ დათვად მომეჩვენა, ნამდვილი ბუფონი იყო! სიცილისაგან ცრემლები მდიოდა... მოდი, კაპიტანს მოველაპარაკოთ, იქნებ გამოუშვას გემბანზე, სანაძლეოს დავდებ, მაგას ადამიანივით შეუძლია დატკბეს და გაიხაროს ზღვით...

ახალგაზრდა ქალი კეთილი იყო და სიტყვა საქმედ აქცია, კაპიტანი დაიყოლია.

ფრამს კარი გაუღეს და მგზავრებთან ერთად თავისუფლად დასეირნობდა გემბანზე.

თეთრი დათვი მართლაც ადამიანივით იქცეოდა.

უკანა თათებზე დამდგარი ცრუქიმს დაეყრდნობოდა ხოლმე და კარგა ხანს იმზირებოდა ჩრდილოეთისაკენ, ზღვის დასალიერისაკენ, სადაც ყინული და თოვლი გადაშლილიყო.

მერე სხვა მგზავრებივით გასართობის ძებნაში გემბანზე მოჰყვებოდა სიარულს. ცნობისმოყვარენი გარს შემოეხვეოდნენ, ბავშვები ბურთს ესროდნენ და კალათით კანფეტებს უწვდიდნენ. ფრამი გახალისდა. ბურთით თამაშობდა, კალათას ხსნიდა და ბავშვებს ტკბილეულს ურიგებდა. სადამომდე თითქმის ყველას დაუძმეგობრდა.

მაგრამ დროდადრო ცრუქიმს მიადგებოდა, შორეთს გახედავდა და დრუნჩს მარილიანი ჰაერისაკენ იწვდიდა.

დაბინდებისას კაიუტაში თავისით დაბრუნდა.

— ხომ გეუბნებოდით?! — ალტაცებით ამბობდა გულკეთილი ქალი, — არაჩვეულებრივი მხეცია! მე რომ კაპიტნის ადგილას ვიყო, მგზავრების გასართობად ყოველთვის მეყოლებოდა გემზე დათვი!

მეოთხე დღეს ზღვას ფერი ეცვალა, თითქოს გამწვანდა. ქარს ჩრდილოეთის მკაცრი სუნთქვა მოჰქონდა. ღამე უფრო საჩინო და ნათელი გახდა.

ფრამმა თავი გაანება გართობას, ბურთის სროლას და დაჭერას, ცრუქიმს აღარ სცილდებოდა, გაუნძრევლად იდგა უკანა თათებზე, ნესტოები დაებერა და ყნოსავდა მშობლიურსა და ნაცნობ ცივ ჰაერს.

ერთხელ დილით ჰორიზონტზე პირველი აისბერგი დაინახა.

გემმა სვლა შეანელა, ფრთხილად აუარა გვერდი მოცურავე ყინულის მთებს.

ფრამმა ხარბად ჩაისუნთქა მარილიანი ნოტიო ჰაერი.

იმ საღამოს აღარ დაბრუნებულა გემის კუნჭულში მივარდნილ თავის კაიუტაში, მთელი ღამე მოჯადოებული იდგა ცრუქიმთან და მზერა ცისფერი შორეთისათვის მიეპყრო.

ვიღაცამ უცებ ბეწვზე ხელი გადაუსვა. ფრამს ფეხის ხმა არ გაუგონია.

ეს გულკეთილი ახალგაზრდა ქალი იყო. თბილი ქურქი ეცვა. პირველად მოგზაურობდა პოლარული ყინულების მხარეში და ეტყობოდა, მასაც არ ეძინებოდა.

რომ გაიგო, მონადირეები დილით დათვის კუნძულზე დატოვებას აპირებენო, ჩაეცვა და გემბანზე გამოსულიყო.

— მაშ უნდა დაგვეტოვო, ჩემო მეგობარო? — ჩაილაპარაკა ქალმა, — ნუთუ არაფერი დაგენანება? არ დაგენალვლება ადამიანების? ან არ მოგბეზრდება მარტო უკაცრიელ, უდაბურ ყინულებში?..

ქალი ხელს უსვამდა თეთრ, ზღვის მარილიანი ქარისაგან დანოტიებულ ბალანზე.

ფრამმა თავი მოაბრუნა და მშვიდად შეხედა კეთილ არსებას, რომელსაც ხვალიდან ველარასოდეს ნახავდა. დათვი თითქოს მიხვდა, რას ეკითხებოდა ქალი, ისიც იცოდა, რა პასუხი უნდა გაეცა, ბუნებას მეტყველების უნარით რომ დაეჯილდოვებინა. ფრამმა თათი მოღუნა და ქალს ფრთხილად მოხვია მხრებზე, როგორც ოდესღაც ცირკში ეხვეოდა ხოლმე თავის მეგობრებს.

ქალს შეეშინდა და ძლივსგასაგონად წამოიკივლა. ელვასავით გაუარა აზრმა, რაც არ უნდა იყოს, ფრამი მაინც მხეციაო, თანაც თავის თავს საყვედურობდა, წინდაუხედავად რომ მოიქცა, შუადამისას გემბანზე კაცის ჭაჭანება არ იყო, ის კი მარტოდმარტო გამოვიდა და დათვთან ასე ახლოს მივიდა.

ფრამმა თათი უცბადვე შეუშვა. თვალეში საყვედური გაუკრთა, თითქოს უნდოდა ეთქვა: «რამ შეგაშინა, ნუთუ კიდეც არ გჯერა, რომ მოშინაურებული ვარ და ადამიანს არამც და არამც არაფერს არ ვავნებო».

ქალს სიცივისაგან გააკანკალა, ქურქი მაინცდამაინც ვერაფერს შველოდა. დათვს ხელთათმნიანი ხელი დაუქნია.

— ღამე მშვიდობისა, ფრამ!.. წადი, დაიძინე, ხვალიდან შენთვის ახალი ცხოვრება დაიწყება. აქამდე სულ სხვა გარემოს იყავი მიჩვეული და, იცოდე, ახალი ცხოვრება არცთუ ისე გაგიიოლდება.

ფრამი მარტო დარჩა. ცისფერი ღამე არაფრით არ გავდა მგზავრებისათვის ნაცნობ ღამეებს: აქაურ ღამეს თითქოს შემორჩენოდა ჯანლით მოსილი მზის ნათელი.

გემი იმ განედს უახლოვდებოდა, სადაც დღე ღამეში არეულა და ერთი დღე-ღამე მთელ წელიწადს გრძელდება.

IX. უდაბური კუნძული ქვეყნის დასალიერს

კუნძული საზარლად უკაცური და ნამქერითა და ყინულით დაფარული აღმოჩნდა.

გამჭვირვალე ყინულებს შორის ალაგ-ალაგ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევების მსგავსი წვეტიანი კლდეები ისე ამოშვერილიყო, თითქოს, აქაურობა სტიქიურ უბედურებას მოუოხრებიაო. იფიქრებდით, ყინულოვანი ოკეანის მწვანე ტალღებში არეკლილი ნანგრევები კეთილ ჯადოქარს ელოდება რომ სიცოცხლე დაუბრუნოსო.

ჯერხნობით კი ამ უდაბურ კუნძულზე ყოველივე გაყინულიყო. გრანიტის ფრიალო კლდეებზე სულიერის ჭაჭანება არ ჩანდა. არსაიდან არ ამოდიოდა ცისფერი კვამლი, ცას არ ახმიანებდა ფრინველთა ფრთების ფართქუნი. ნიავიც კი არ ქროდა.

გემმა ღია ზღვაში ჩაუშვა ღუზა.

ქურქებში გამოწყობილი მგზავრები ამ ცივ პოლარულ დილას, გემბანზე უკლებლივ გამოშლილიყვნენ, ყინვა სახეებს უწვავდათ, მგზავრები გააოცა სილურჯემერეულმა უმზეო დილამ, მათ სადღაც უკან, თბილ ზღვაზე დარჩენოდათ მზე. აქ მზე კიდეც დიდხანს არ გამოჩნდებოდა, მის არსებობას მხოლოდ მეწამული აღმოსავლეთი მიგანიშნებდათ.

ეს მეწამული სინათლე იუწყებოდა თავისებური გაზაფხულის დადგომას. პოლარეთის გაზაფხული სულ არ ჰგავდა მგზავრების მიერ შინ დატოვებულ გაზაფხულს, მის საზეიმო ფერებსა და საღებავებს, როცა იასამნები ჰყვავიან და ყვითელი ბაბუაწვერათი მოიფინება ხოლმე ზურმუხტოვანი ველები, მდელოებზე კი ყურებზე პატარა ფუნჯებმებმული ბატკნები დაკუნტრუმობენ.

სულ სხვანაირია აქაური გაზაფხული. აქ ვერ ნახავთ კეთილსურნელოვან სუმბულს, მერცხლებს, ტოროლებს, ვერ გაიგონებთ ბატკანთა ბლავილს და არც წეროთა გუნდი სერავს ცას.

ერთი კვირის შემდეგ მზე ნელ-ნელა მოიწვერება, მერე კი რამდენიმე თვე აღარ ჩავა.

დადგება გრძელი, თითქმის ნახევარწლიანი დღე.

სწორედ ამ დროს ჰქვია პოლარული ზაფხული. ნათელსხივოსანია ეს ზაფხული, მზე თოვლის ნამქერზე თვალისმომჭრელად ელავს, მაგრამ უნიათოა იმ მზესავით, დიდი ყინვებისას რომ ანათებს მგზავრების მშობლიურ ქვეყნებში.

ყინული პოლარეთში არასოდეს არ დნება მთლიანად. ყინულთა შორის ძლივძლივობით წამოვა ხოლმე წყალი წანწკარით, ძლივს გამოჩნდება თოვლის ქვეშ მწვანე ხავსიანი კლდეები და აქა-იქ დაგვაჯული, უსუნო, მჭკნარი ყვავილებიც გაიშლებიან, სწორედ ამაზე საუბრობდნენ გემბანზე თავმოყრილი მგზავრები.

გაკვირვებული იყვნენ უკიდევანო ყინულოვან ოკეანეში ეულად დარჩენილ უდაბურ კუნძულს რომ უცქერდნენ. ყველა დუმდა. მჭმუნვარე შესახედავი იყო მთელი სამყაროსა თუ ყველა სულიერისაგან განცალკევებული, წყლით შემორტყმული ეს ერთი ნაგლეჯი მიწა!

ოკეანის უძრავ მორევში არეკლილი შიშველი, ყინულით გადაჯაჭვული კლდეები კაცს გულზე სევდად შემოაწვებოდა.

ჭემმარიტად უდაბური იყო აქაურობა.

მნელი წარმოსადგენი იყო, რომ სადღაც არსებობდა ხალხით აჟრიაშლებული ქალაქები, ბალები. ვერ იფიქრებდით, რომ ბუნებისა და ადამიანის წყალობით შექმნილი ეს საოცრებანი, ზამთარსა და ზაფხულს, შემოდგომასა თუ გაზაფხულს, დღითა თუ ღამით კვლავ განაგრძობდნენ არსებობას, ელოდებოდნენ მოგზაურთ, და მათაც ყოველივე ისე დახვდებოდათ, როგორც დატოვეს, მარტო იმის გაფიქრებამაც კი, რომ შტორმს შეეძლო გემი დაემსხვრია და ასეთ ნაპირზე გაერიყა ისინი, ყველას სუნთქვა შეუკრა და ძარღვებში სისხლის გაუყინა. ნუთუ ამ უკაცრიელ ადგილას იდუმალებით მოცულ ყინულოვან კლდეთა შორის უნდა ჩავრჩეთო!

საშინელება იყო ამაზე ფიქრი.

— მე შიშით პირველსავე დღეს მოვკვდებოდი, — წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა.

წინა დღით მან გულადობა გამოიჩინა, ახლა კი დამფრთხალიყო და რაიმე უბედურების წარმოდგენაც ფერს უცვლიდა.

ქალი გონების თვალთ ხედავდა, თითქოს ამ დაწყევლილი კუნძულის ნაპირას მარტოდმარტო იყო გარიყული. მას ნათლად ესახებოდა, როგორ მოჰყვებოდა ყინულზე ფორთხვას, რანაირად ააშენებდა თოვლის თავშესაფარს, რის ვაივაგლახით დაანთებდა ცეცხლს, როგორ შეაწუხებდა შიმშილი. ეგებ ამ კუნძულზე უსასრულო პოლარულმა ღამემაც მოუსწროს, ოკეანეს ყინულის ველად რომ გადააქცევს, მაშინ ყოველგვარ ხსნაზე ლაპარაკი ამაო იქნება, დასახმარებლად გამოგზავნილი გემი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოაღწევს...

— ნამდვილად შიშით მოვკვდებოდი, — გაიმეორა თავისივე ფანტაზიით შემინებულმა ქალმა.

— შემდეგ მონადირეებს მიუბრუნდა, ფრამს ნაპირზე გადასასვლელად რომ ამზადებდნენ.

— დიდ სიმკაცრედ მიმაჩნია, რასაც თქვენ ამ ჭკვიანსა და კეთილ დათვის უპირებთ!.. როგორ უნდა იცოცხლოს ასეთ უკაცრიელ ადგილას? რაც გინდათ ისა თქვით, ეს მეტიმეტია, რა დააშავა საამისო!

— რას ბრძანებთ, ქალბატონო! თქვენ ცდებით! — გაეცინა ერთ მონადირეს... — ისე ლაპარაკობთ, თითქოს ფრამი ადამიანი იყოს... გავიწყდებათ, რომ ის მხეცია, თეთრი დათვია, რომელიც აქვე, პოლუსთან ახლოს დაიბადა, თანაც ამისთანა კუნძულზე კი არა, რომლის ახლომახლო გემები ხანდახან მაინც ჩაივლიან და ადამიანებიც მოინახულებენ ხოლმე, იგი უფრო ჩრდილოეთით, პოლუსთან ახლოს, სრულიად უდაბურ კუნძულზე დაიბადა!

— არაფერი ექნება საჭმელი... გაიყინება! — შეწუხდა გულჩვილი ქალი.

— ფრამი არ დაიკარგება, — დარდი გაუქარწყლა მონადირემ, — ისევე იცხოვრებს, როგორც ათასწლობით უცხოვრიათ და ცხოვრობენ მაგისი თვისტომნი. მაგისი სტიქია აქ არის. თეთრ დათვებს მხოლოდ აქ შეუძლიათ იცხოვრონ თავისუფლად... ადამიანებმა ვცადეთ ჩვენც კენკენ გადმოგვებირა, ბუნება გამოგვეცვალა მაგისთვის, მაგრამ, ეტყობა, ვერ მოვახერხეთ. ტანვარჯიში და აკრობატიკა ვასწავლეთ, ფრამიც თითქოს შეეგუა, ეგებ მოსწონდა კიდეც ყოველი ეს!.. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მაინც აეშალა დარდი ყინულებზე, სადაც პირველად იხილა ნათელი ცისა და სადაც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, თავისი ბავშვობა გაატარა.

— რა უნდა ჭამოს? აქაურობა ისეთი უდაბურია! — განაგრძობდა აღელვებული ქალი.

— ნურც მაგაზე ინაღვლებთ! — უთხრა მონადირემ, — ზღვა ამჯერად გაყინული არ არის. ორიოდ დღის ან ერთი კვირის შემდეგ კი იქნებ იმისთანა

ყინვები დაიჭიროს, აქაურობა სულ ერთიანად ყინულით დაიფაროს. მაშინ ქარი ყინულს ნამსხვრევებად აქცევს, ფრამი ერთი ყინულიდან მეორეზე გადაინაცვლებს და ყრდილოეთისკენ, თეთრი დათვების სამშობლოსაკენ გასწევს... ინსტინქტი უკარნახებს, ამხანაგებსაც იპოვის... დავიწყებულს გაიხსენებს, იმის სწავლასაც მოახერხებს, რაც თავის დროზე არ სცოდნია... საინტერესო იქნებოდა, გვენახა, როგორ მოიქცეოდა, მაგას ხომ დათვებისათვის თანდაყოლილი სიმაჯვის გარდა, ადამიანებისაგან ათასნაირი რამ აქვს ნასწავლი... თუმც, რა თქმა უნდა, ყველა სასიკეთოდ არ გამოადგება.

— იქნებ უკეთესი ყოფილიყო, სადმე დასახლებულ კუნძულზე რომ გადაგვეყვანა, აი, თუნდაც იქ, ესკიმოსები რომ ცხოვრობდნენ, ადამიანებთან ახლოს იქნებოდა, — ახალი ვარაუდი გამოთქვა ქალმა.

მონადირემ თავი გააქნია.

— სწორედ ეგ არ გვინდოდა. ფრამის უდაბურ კუნძულზე გადასმა ჩვენ განგებ გადავწყვიტეთ. კარგია, ესკიმოსებისაგან შორს რომ იქნება. ფრამს ადამიანებისა არ ეშინია, იქ კი შეიძლება მონადირეს შეხვედროდა, თოფი დაემიზნებინა, ფრამი გაქცევის ნაცვლად ალბათ თათებზე წამოიმართებოდა და ტყვიას მკერდს შეუშვერდა. საცოდაობა იქნებოდა მაგის სიკვდილი. ჩვენ ახლა მაგას გაველურების საშუალებას ვაძლევთ.

— არა, თქვენ ვერ დამარწმუნებთ, — არ ცხრებოდა ფრამის მფარველი. — უბრალოდ ვერ დამიჯერებია, რომ ფრამს აქ, ამისთანა უკაცრიელ ადგილას შეუძლია ბედნიერად იგრძნოს თავი.

— მე რომ მკითხოთ, ქალბატონო, აუცილებლად არც მიმაჩნია, დაგიმტკიცოთ ჩვენი გადაწყვეტილების სისწორე. შეხედეთ ფრამს! ჩემზე უკეთესად ის დაგარწმუნებთ! ხედავთ, როგორ არის აღელვებული? ადგილს ვერ პოულობს! იცის, გემი მაგის გულისათვის რომ გავაჩერეთ და უნდა გავათავისუფლოთ. ნახეთ, როგორ გვევედრება თვალებით, იჩქარეთო!..

ფრამი ნამდვილად ვერ პოულობდა ადგილს.

ერთ ხანს უკანა თათებზე წამომართული ცივ ჰაერს ისუნთქავდა და დაჟინებით უმზერდა კუნძულს, მერე ოთხზე დამდგარი მეზღვაურთა ახლოს მოჰყვებოდა ტრიალს, მეზღვაურებს ჯაჭვები და თოკები მოჰქონდათ და წყალში ჩასაშვებად კარჭაპს ამზადებდნენ.

ფრამი მათ ღრუნჩით უბიძგებდა, ბურდლუნებდა, უკანა თათებზე დამდგარი ჯერ კუნძულს მიაშტერდებოდა, მერე ისევ ოთხზე დგებოდა. იგი დაგვიანებული მატარებლის მომლოდინე მოთმინებადაკარგულ მგზავრს ჰგავდა, ხან ბაქანზე რომ გავარდებდა, მოდის თუ არა მატარებელიო, ხან საათზე იყურება და სადგურის უფროსს ათასნაირი შეკითხვებით აბეზრებს თავს.

როგორც იქნა კარჭაპი ჩაუშვეს.

გამოცდილი და მარჯვე აკრობატი ფრამი თვითონ ჩავიდა ტრაპზე.

— ბატონი ფრამი არც ისე თავაზიანი გამოდგა, — გულგატეხილად ჩაილაპარაკა ახალგაზრდა ქალმა. — არც კი დაგვემშვიდობა, მაგისგან ამას არ მოველოდი!

— რას ერჩით, ქალბატონო? — თავი გამოიღო კაპიტანმა, — დადგა დრო და უნდა მიატოვოს ადამიანებისაგან ნასწავლი კარგი მანერები, ანდა რაში გამოადგება ისინი ამ უკაცრიელ კუნძულზე!

ფრამს მართლაც დავიწყებოდა თავაზიანი მოქცევა. აღარც მგზავრებთან დამშვიდობება გახსენებია, არც გემბანიდან ხალხის შემახილზე გაუცია პასუხი, კარჭაპშიც გემისკენ ზურგშექცევით დამდგარიყო.

რამდენიმე მგზავრმა ფოტოაპარატი მოამზადა. გემზე კინოოპერატორიც აღმოჩნდა. მან სახელდახელოდ მომართა აპარატი, რომ ფირზე აღებეჭდა ადამიანებთან და ცივილიზაციასთან ფრამის განშორების მომენტი.

ხალხი ცხვირსახოცებს უქნევდა და ეძახდა.

ფრამისათვის კი ყველაფერი სულერთი იყო. თითქოს არ ესმოდა ყვირილი და არაფერი გაეგებოდა ადამიანთა ხმისა.

მისი ყურადღება დაეპყრო კუნძულს, ყინვას და პოლარულ მზეს...

ფრამი წყნარად და კმაყოფილად ბურდღუნებდა, მისი ბურდღუნნი გამამდარი და განებივრებული კატის კრუტუნს მოჰგავდა რაღაცით.

კარჭაპი შვეული, მოყინული კლდის ძირას გაჩერდა.

— ციცაბო კლდეა, მაღლა როგორ უნდა აბობლდეს? — თქვა ერთმა მენიჩბემ.

— ნუ გენაღვლება, — უპასუხა მონადირემ, ფრამის ზურგზე ხელი მოუშორებლად რომ ედო, შენ ის ახალგაზრდა ქალი ხომ არ გამიხდი... რატომ გავიწყდებათ, რომ ფრამს დათვისათვის თანდაყოლილი სიმარჯვის გარდა, ადამიანისაგან ათასნაირი რამ აქვს ნასწავლი!..

მონადირე ფრამს ქეჩოში სწვდა და დრუნჩი თავისკენ მიუბრუნა.

— ჩემო მეგობარო, აი, უკვე მოვედით დანიშნულ ადგილას, შეგიძლია მადლობა მითხრა... ეგებ ხანდახან ღია ბარათიც გამოგიგზავნო ხოლმე ყინულოვან ოკეანის ხედებით, ახლა კი კეთილ მგზავრობას გისურვებ, ნუ მოგვიგონებ ავად! მომეცი თათი!

ფრამმა თათი გაუწოდა.

მერე ერთი ნახტომით კარჭაპიდან გაყინულ კლდეზე გადახტა, დაბარბაცდა, წონასწორობა უცბადვე აღიდგინა და ვეება მხეცისათვის გასაოცარი სიმკვირცხლით საფეხურიდან საფეხურს ებლოტინებოდა, სანამ კლდეს თავზე არ მოექცა.

— რას გეუბნებოდი?! — აღტაცებით წამოიძახა მონადირემ, — ახლა თავს ალბათ ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

გემბანიდან გამოსამშვიდობებელი შემახილი გაისმა.

ფრამი კლდის თავზე უკანა თათებზე დამდგარიყო და მისჩერებოდა გემსა და მგზავრებს, ცხვირსახოცებს რომ უქნევდნენ.

მის ცნობიერებას ეგებ ახლავდა მისწვდა, რომ სამუდამოდ შორდებოდა ადამიანებს.

ამასობაში მონადირეებმა და მეზღვაურებმა ფრამს ცოტაოდენი სანოვაგეც გადაუყარეს ნაპირზე.

— სისულელეს კი ვაკეთებთ, — დარცხვენით აღიარა მონადირემ, — მასხარად აგვიგდებენ, რომ გაგვიგონ. ჩემი ამხანაგი, გემზე რომ დარჩა, ისიც დამცინის, რაც ამ დათვის გადაეყარე, გამოსულელდიო! არ დავეძებ, რაც უნდა ისა თქვას! მე მგონია, თავისუფლების პირველ დღეებში, სანამ ფრამი საკვების შოვნას მიეჩვევა, ნამდვილად ცუდ დღეში ჩავარდება საცოდავი, დიახ, დიახ, ტყუილად გეცინებათ!

სურსათის გადატვირთვას რომ მორჩნენ, მონადირემ ჩიბუხს მოუკიდა, თავი ასწია და კლდეს ახედა.

ფრამი უკანა თათებზე ისევ ისე იდგა და გემსა და მგზავრებს მისჩერებოდა.

მისი სწორი, უძრავი, ყინულოვან კლდეს შერწყმული თეთრი ფიგურა მკვეთრად იხატებოდა მუქ ლურჯ ცაზე — გეგონებოდათ, ყინულებს შორის ყინული აღმართულაო.

ხალხის შემახილმა ფრამის სმენას მიაღწია. გემიდან ბინოკლებით უცქერდნენ, სწრაფად ბრუნავდა კინოგადამღები აპარატის სახელური, რომ არაფერი გამორჩენოდათ. სენსაციური იქნება ეს ფირი. თეთრი დათვის უკანასკნელი გამოსვლა! დამშვიდობება ადამიანებთან და ცივილიზაციასთან!

— ფრამ, უკანასკნელად მაინც გამოიჩინე ზრდილობა! დაგვემშვიდობე, მოგვესალმე როგორც წესია, — შეეხვეწა მისი მფარველი ახალგაზრდა ქალი.

საყვედური ისე ხმადაბლა ითქვა, რომ გვერდით მდგომმა მგზავრმაც ძლივს გაიგონა.

მაგრამ ფრამის სმენას თითქოს მისწვდა ეს სიტყვები. თათი თავთან მიიტანა და ისევ ისე სასაცილოდ მიესალმა, როგორც სტრუცკის ცირკში აკეთებდა ხოლმე და გულიანად ახარხარებდა ბავშვებს.

მერე ოთხზე დადგა და კლდეთა შვერილებს მიეფარა.

X. პირველი შეხვედრა

უეცრად ქარბუქი ამოვარდა.

ჩრდილოეთიდან ტყვიისფერი ღრუბლები წამოიშალა, ქარი სტვენდა და ღმუროდა, ირგვლივ თოვლიანი ქარბორბალა ტრიალებდა. მალე ცასა და დედამიწას შორის ზღვარი წაიშალა, გაერთიანდა ყინვა და წყალი.

ყველაფერი მწვანე ფერმა შთანთქა. არც დღე იყო და არც ღამე ეთქმოდა. აღმასივით მბრწყინავი თოვლი გრიგალთან ერთად დაქროდა.

მძაფრი ყინვისაგან ყინულს ტკაცატკუცი გაუდიოდა. ქარბუქი ამსხვრევდა კლდეებს. ჰაერი გუგუნებდა. ცის თალი თითქოს ოკეანეში აპირებდა ჩაქცევას.

ფრამმა ყინულის ნაპრალი იპოვა და შიგ დაიმედებული მოიბღუნა. მაგრამ მოტყუდა; ბუნაგს ყოველი მხრიდან უბერავდა, ნაპრალი თოვლით გაივსო. ქარისაგან ნამსხვრევებად ქცეული ყინული ფრამს ჯერ თავზე გადაეყარა, მერე თათში მოხვდა მტკივნეულად.

რალაც უცნაური და გაუგონარი რამ ხდებოდა, პოლარული თეთრი დათვი კანკალმა აიატანა.

კარგად დამთბარ ცირკს მიჩვეული, სიცივეს ვეღარ ეგუებოდა. გაყინული თათებიდან ყინულის ნამსხვრევებს იცლიდა და სულის შებერვით ითბობდა. თოვლს იბერტყავდა, ცდილობდა, თავი მუცლის სქელ ბალანში ჩაემაღა, მაგრამ ახლა ზურგი ეყინებოდა; გვერდს ინაცვლებდა, მაინც არაფერი შველოდა, ყინვისაგან ცხვირპირი ეწვოდა.

რამდენიმე საათს, სანამ ქარბუქი მძვინვარებდა, ძალზე გაწამდა საცოდავი.

ბოლოს, როგორც იქნა, ქარი ჩადგა, ფრამი ნაპრალიდან გამოძვრა. საკმაოდ ნაღვლიანად გამოიყურებოდა, სულელ ავგუსტინს რომ დაენახა, თანაუგრძნობდა უეჭველად, სტრუცკის ცირკის მაიმუნები კი მხიარულად დაემანჭებოდნენ. — ჰა, ჰა, ჰა! თეთრი დათვი სიცივისაგან კანკალებსო!

დაბუჟებული თათები რომ გაემართა, ფრამი ცეკვას მოჰყვა. არა, ეს ცეკვა კი არა, ადამიანთა მიერ ნასწავლი ტანვარჯიში იყო. ფრამი წინ და უკან მაღაყს გადადიოდა, სალტო-მორტალეს აკეთებდა, ბურთივით დამრგვალებული თოვლში გორაობდა, მერე უკანა თათებს მალლა აიქნევდა და წინა თათებით დადიოდა.

ეს იყო უფასო წარმოდგენა.

ადრე ორი ათასი კაცი მაინც დაუკრავდა ტაშს, ტაშს დაუკრავდნენ ქანდარებიდანაც და გამოპრანჭული, ხელთათმნიანი მაცურებელი ლოჟებიდანაც.

ამ წუთში ფრამს მთელი მსოფლიოს აპლოდისმენტებიც ვერ მოიყვანდა გუნებაზე.

მწარე იყო მისი შეცნობა, რომ იგი, პოლარული დათვი, სიცივისაგან კინალამ გაიყინა და შეარცხვინა თეთრ დათვთა ჯილაგი!

ცოტა რომ გათბა, ფრამი ყინულის ბელტზე მოეწყო, გუნება გაუფუჭდა, აშკარად წარუმატებელი იყო თავისუფალი ცხოვრების პირველი ნაბიჯები.

ისე უთავბოლოდ იქცეოდა, გეგონება, ვინმე ზრუნავდა მის დასაპურებლად. იმის მაგივრად, რომ კარგად აეწონ-დაეწონა თავისი მდგომარეობა, კუნძულზე ანდეზე დაეხეტებოდა, კლდეებზე ებლოტებოდა და სრიალებდა. არც ბუნაგი მონახა და ხვალინდელ საზრდოზეც ნაკლებად ფიქრობდა. ანაზდეულად მოუსწრო ქარბუქმა, უპატრონო, მაწანწალა ძალივით გაიყინა და აკაწკაწებდა კბილებს.

უდაბური გეგონებოდათ კუნძული. თოვლზე კვალის ნასახიც არ ჩანდა. სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა ირგვლივ. ფრამმა აღარ იცოდა, რით დაეოკებინა შიმშილი.

ჯერჯერობით ყველაზე ჭკვიანურად ამ მიუსაფარი კუნძულის მიტოვება მიაჩნდა. შორეული ბუნდოვანი მოგონებებიდან გაახსენდა, როგორ ზრუნავდა მასზე დიდი, კეთილი არსება. მსხვერპლს თუ ვერ მოიხელთებდა, ოკეანის ნაპირს მიადგებოდა, მცურავ ყინულს დაუდარაჯდებოდა და სხვა ადგილს მიცურავდა, ან ყინულის ველს გაჰყვებოდა და, უფრო გულუხვი კუნძულის ძებნაში, ფეხით გაუყვებოდა გზას.

გონივრული იყო მიებაძა დედის საქციელისთვის.

ფრამი ნაპირს დაუყვა და იმ კლდეს მიადგა, სადაც გადმოსვეს.

კლდის ნაპირთან შეჩერდა, შემოგარენს მოავლო მზერა. მის თვალწინ ოკეანის უდაბური სივრცე გადაშლილიყო.

გემი თვალს მიფარებოდა.

ფრამს ახსოვდა, სადაც ჰქონდა გემს ღუზა ჩაშვებული, აღარც იქ ჩანდა რაიმე კვალი: მოსაწყენი და უკაცრიელი იყო წყლის ზედაპირი

შორს, ძალიან შორს მოჩანდა ჩრდილოეთის ქარისაგან სამხრეთით დარეკილი გამჭვირვალე ყინულის მთები, უსაჭოდ, უიალქნოდ და უმენიჩბეებოდ, საიდუმლო გალერებივით რომ მიცურავდნენ.

მაგრამ ძალიან შორს იყვნენ ისინი. ხან გაქრებოდნენ, ხან ისევ გამოჩნდებოდნენ ჰორიზონტზე, მათ ჭოგრიტითაც ძლივს გაარჩევდით.

იქვე, მაღალი კლდის ძირში კი წყნარად ტლაშუნობდა წყალი და ნაკუწ-ნაკუწებად აქცევდა თავის მოცახცახე სარკეში უკუღმა არეკლილ კლდის გამოსახულებას.

უდაბური კუნძულის მიტოვება ამჟამად შეუძლებელი იყო.

ის-ის იყო ფრამი უკან უნდა გამობრუნებულიყო ხეირიანი ბუნაგის მოსანახად, რომ უცებ შეკრთა.

წყლის მწვანე ზედაპირზე თითქოს რაღაც შეირხაო, სელაპის ზურგი შავ, მბრწყინავ ლაქად გამოჩნდა.

ნადავლი!.. მსხვერპლი!.. საჭმელი!..

ფრამი კლდეს მოეფარა და დაელოდა.

იგი აღარ იყო სტრუცკის ცირკის განსწავლული დათვი, მაყურებლის გასართობად აკრობატიკისა და ტანვარჯიშის ნომრებს რომ აკეთებდა. ამ წუთში ის ნამდვილ პოლარულ დათვად ქცეულიყო და შიმშილს ცოცხალი მსხვერპლისათვის დაედარაჯებინა.

სელაპი ფარფლების ცემით ღრმად ჩავიდა წყალში, შემდეგ; ხელახლა გამოჩნდა. სცადა კლდეზე აბლოტება. ჩაცურდა, ახლა სხვა ადგილი მოძებნა. ფრამს გული ლამის საგულედან ამოუხტა, ნეტა მტრის სუნი არ იგრძნოს და მსხვერპლი ხელიდან არ გამომეცალოსო.

როგორც იქნა სელაპმა შესაფერისი ადგილი მონახა, მოკლე ნახტომით ნაპირზე გადმოვიდა და გაიშხლართა.

ფრამი იცდიდა.

წყალში სხვა სელაპთა თავებიც ბრწყინავდა. ისინი ხან ღრმად ჩადიოდნენ წყალში, ხან ისევ ზედაპირზე გამოჩნდებოდნენ. ერთი სელაპი კიდეც ამოვიდა წყლიდან, მას მესამე და მეოთხე მოჰყვა. ფრამმა ადამიანებისაგან ისწავლა დათვლა.

ნაპირზე ხუთი სელაპი იყო. ორი მათგანი დედალი იყო, თან პატარებიც ახლდნენ.

ფრამი ფრთხილად მიფოფხდა, ყინულოვან კლდეზე ისე გადადიოდა, ცდილობდა, ვერ შეემჩნიათ.

სელაპები უკვე სულ ახლოს იყვნენ.

დათვს შიმშილით მუცელი ეწვოდა.

საჭმელი კი აქვე ორ ნაბიჯზე იყო: საკმარისია დააცხრეს და ბასრი კბილებით დაუმსხვრიოს თავის ქალა.

მაგრამ სელაპები დიდი, უწყინარი თვალებით იყურებოდნენ და ფრამს ანაზდეულად მათი თვისტომნი — სტრუცკის ცირკის გაწვრთნილი სელაპები გაახსენდა.

ისინი თავად ამოდიოდნენ აუზიდან, ბურთს ცხვირით იჭერდნენ და ცმუკავდნენ. თვითეული ნომრის შესრულების მერე, ეს ყველაზე უფრო მოშინაურებული მხეცები, მწვრთნელებისაგან ალერსსა და ტკბილეულს — ხილს ან ნამცხვარს ელოდნენ. სელაპები ფრამს მეგობრობდნენ. ერთ ხანს ერთადაც კი გამოდიოდნენ, და განა შეუძლია ახლა იმათი თანამომძე გაწიროს, თავის ქალა დაუმსხვრიოს და იგრძნოს კბილებში როგორ დაილეწება მათი ძვლები?

ერთ-ერთი სელაპისა და ფრამის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

მასაც სტრუცკის ცირკის სელაპივით კეთილი, მრგვალი და უდარდელი თვალები ჰქონდა.

სელაპი და დათვი ერთ ხანს ერთმანეთს უმზერდნენ. მერე ფრამმა ზურგი შეაქცია. შიმშილის ძახილი რომ ჩაეხშო, სცადა, სელაპები იქიდან გაერეკა.

სელაპებმა კი ყურიც არ გამოიბერტყეს. ისინი ამ კუნძულის ახლომახლო გაზრდილიყვნენ, აქ კი თეთრ დათვს დღემდე ფეხი არ დაედგა, ამიტომ არ ეშინოდათ მისი. ბრტყელ ქვაზე წამოწოლილნი გაკვირვებულნი უცქერდნენ თეთრ საოცრებას, მუქარით რომ უღრენდა მათ და რაღაცით ძალზე გაჯავრებული ჩანდა.

ფრამი სელაპებს ცხვირით უბიძგებდა, თათით აბრუნებდა როგორც იქნა ჩაყარა წყალში. პატარა სელაპი კი თავზე ხელუკუღმა ბურთივით გადაიგდო.

ადგილი რომ მოასუფთავა, ქვის კიდეზე ადამიანივით ჩამოჯდა. თავი თათზე ჩამოდო და ჩაფიქრდა, თითქოს ცდილობდა გარკვეულიყო, რა მოხდაო.

მაშასადამე, სიბრალულის გამო ვერ მოკლა სელაპი? და რა ეშველება, საერთოდ, სასიკვდილოდ რომ ვერ გაიმეტოს ცხოველები?

ისინი ხომ ცირკის გალიებში ერთად ცხოვრობდნენ?

ფრამი მშვენივრად იცნობს მათ. მოუსმენია, როგორ ოხრავდნენ ძილში დაკარგულ თავისუფლებასა და მშობლიურ მხარეზე.

ჰო, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ფრამს რაღა ეშველება, შიმშილი ხუმრობა საქმე როდია?!

ფრამმა ამ ქვეყნად ყველაზე უბედურ თეთრ დათვად წარმოიდგინა თავი. ძალზე გვიან და თანაც უიარაღოდ დაუბრუნდა თავის მშობლიურ იმიერპოლარეთს.

სამაგელ გუნებაზე დადგა, კუდი ამოიძუა და მზად იყო ისევ მაღალ კლდეზე აბლოტებულყო. მაგრამ უეცრად ნაცნობი სუნი იგძნო, თავი მაღლა ასწია. სუნმა კლდის ძირამდე მიიყვანა, სადაც მონადირეების მიერ დატოვებული სანოვაგე — ხორცი, ყინულის ნატეხებივით პური და რძის ქილები ელაგა. ფრამმა რძის ქილა, როგორც ადამიანებისაგან ესწავლა, გასახსნელად ჩამოართვა ქვას, რძე გაყინულიყო. ფრამმა გაყინული რძე დაამტვრია და ისე შეექცა. ამასობაში, ილღიაში ამოჩრილ მეორე ქილაში რძე გამთბარიყო. ფრამმა ისიც დალია, ცხვირ-პირი მოილოკა. მერე პური და ხორცი დააყოლა. ჯერჯერობით დანაყრდა. მართალია, ხვალინდელ ნადიმზე არ ექნებოდა ერთი ბოთლი ლუდი და ერთი ულუფა ტორტი. მაგრამ უამისოდაც იოლად გავიდოდა... დღეს კი გადარჩა წვალეზას, სანოვაგე ხვალისთვისაც საკმაოდ დარჩა.

ფრამმა სანოვაგე ქვის საკუჭნაოში დამალა, ზემოდან კი თოვლი წააფარა.

ხვალზევით, ან საერთოდ ამის შემდეგ რაღას იზამს?

ფრამმა თათით ფიქრიანად მოიფხანა კეფა. ასე სულელმა ავგუსტინმა იცოდა ხოლმე, როცა კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირდა, რაკი იმ კითხვებზე პასუხის გაცემა საერთოდ არ შეიძლებოდა.

ფრამმა გადაწყვიტა, ზევით ასულიყო, რომ ხეირიანი ბუნაგი მოენახა.

იპოვა კიდეც გამოქვაბული, სადაც ძნელად შეაღწევდა ქარი.

სასადილოს ბარათის შოვნაღა აკლდა.

საუბედუროდ, ბარათის შოვნა ვერ მოახერხა ვერც მეორე დღეს და ვერც მეორე კვირას.

სამაგიეროდ, ერთი კვირის მერე, ყინვამ ერთიანად შებოჭა ოკეანის ვეებერთელა სივრცე. როგორც იქნა, მზეც ამოვიდა. უზარმაზარი მეწამულის ფერი მზე ჯერ ისევ ჰორიზონტზე მოჩანდა აღმოსავლეთით. ჰაერი მინასავით გამჭვირვალე გახდა. მძაფრი სუსხისგან, უსასრულო დილას რომ ახლდა, ფრამს ცხვირ-პირზე ყინულის ლოლუები ჩამოეკიდა.

საითაც უნდა გაგეხედათ, ყინულის ველი იყო გადაშლილი.

ფრამმა წინდახედულად მოსინჯა ყინული. იგი საკმაოდ სქელი და გამძლე აღმოჩნდა. ამრიგად, დრო იყო გასდგომოდა გზას ჩრდილოეთისაკენ, სადაც ინსტიქტის კარნახით, მისი მოდგმის თეთრი დათვები უნდა ყოფილიყვნენ.

იგი არ ჩქარობდა; შიმშილისაგან გაწამებული ყინულებს შორის ხანდახან სელაპის მრგვალ თავებს მოჰკრავდა თვალს. დედები თავიანთ პატარებს ცხვირით უბიძგებდნენ და მზეზე გასათბობად მაღლა ასვლაში ეხმარებოდნენ. ფრამს ცთუნების ემინოდა და სელაპებს თვალს არიდებდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთხელ ჰქონდა ბედნიერება, ეპოვა რაიმე საჭმელი, ეს ლომვეშაპის გაყინული ხორცი იყო, რომელიც, ალბათ, თეთრ დათვებს დარჩათ, ანდა, შესაძლოა, მკვდარიც გამოორიყა წყალმა და დღემდე შეინახა ბუნებრივ მაცივარში.

ფრამმა ხორცს ყინული შემოაცალა, ჭამისაგან ისე იკრა ინთილა, ადგილიდან ველარ დაიძრა, მერე იქვე გაიშლართა და დაეძინა. გამოღვიძებისთანავე ბანდი მოუსვა ნარჩენებს და ახალი ენერგიით გაუდგა გზას.

დროის საზომი მას არც ცირკში და არც აქ არა ჰქონია.

დღითა და ღამით დროის ანგარიში ძნელი იყო, რადგან არც ღამე იცოდა აქა და არც დღე. ამიტომ ფრამი ხანდახან მთელი ოცდათექვსმეტი საათი მიდიოდა გადაბმულად, ხანდახან კი არაქათგამოცლილს ოცდაათხი საათი ეძინა ზედიზედ. ფრამი ძლივძლივობით მიეჩვია ამ უსასრულო დილას. არც მძვინვარე პოლარული სიცივის შეგუება იყო ეგრე იოლი.

ერთი თუ ორი კვირის შემდეგ, როცა მზე ზენიტს ცოტა უფრო მიუახლოვდა, ყინულის ველზე ნისლით მოცული ხმელეთის ზოლი გამოჩნდა.

ეს იყო კუნძული, პირველზე უფრო დიდი, თანაც ნაკლებად კლდოვანი, და, შესაძლოა, ნაკლებად უდაბურიც.

ყინვასა და თოვლზე კვალი მოჩანდა.

ათასწიერი იყო ეს კვალი.

ფრამმა უცებ იცნო დათვების ფართო, მძიმე თათების ანაბეჭდი, ასეთი კვალი ჰქონდა მასაც. კვალი ზოგი მწყობრი ნაბიჯისა იყო, ზოგი ნახტომის, ზოგან წყვილ-წყვილი ანაბეჭდი იყო, ზოგან არეული. იქნებ თეთრი მელიები არიან? ან მგლები? ან კურდღლები? ან ეგებ სულაც ძაღლები არიან?

არ იცოდა ფრამმა კვალის გამოცნობა, ასეთი მეცნიერება ადრე არაფერში გამოადგებოდა.

მან ნაბიჯი ააჩქარა, ნესტოები დაბერა და დათვის კვალს მიჰყვა. კვალს პირდაპირი გზით მიჰყავდა, ეტყობოდა, ეს გზა კვალის პატრონისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ნაცნობი. ჩანდა, მის თანამოძმეს აქ სრულუფლებიან ბატონ-პატრონად ეგულებოდა თავი. ფრამივით უთავბოლოდ კი არ უხეტიალია, პირდაპირ უვლია, რაკი წინასწარ სცოდნია საითაც უნდა წასულიყო.

ღიახ, კვალი გარკვეული მიზნისკენ მიდიოდა. შეიძლება იგი ბუნაგთან წყდებოდა, შეიძლება სადმე მოფარებული ადგილისაკენ მიემართებოდა, საიდანაც უფრო სახერხოდ ჩაუსაფრდებოდა მსხვერპლს. ეგებ დათვთა საკუჭნაოსაც მისდგომოდა!

ფრამს შიშითა და სიხარულით უჩვეულოდ უცემდა გული.

როგორც იქნა, დადგა უცნობ, თავისუფალ ძმებთან შეხვედრის სანეტარო წუთები... მუდმივი ყინულის მხარეში დაბადებულები და გაზრდილნი ასწავლიან, ალბათ, თავიანთ თვისტომს ყველაფერს, რაც დაავიწყდა, ანდა რაც ადრეც არა სცოდნია.

კვალი სულ ახალი იყო და თოვლზე თანდათან უფრო აშკარად მოჩანდა. ჰაერში კვალის პატრონის სუნიც იგრძნობოდა უკვე. ალბათ, სადღაც ახლომახლო იმყოფებოდა.

და აი, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ:

პოლარული უდაბნოს ბატონ-პატრონი, გარეული დათვი და ადმიანებიდან სამშობლოში დაბრუნებული თეთრი დათვი უკანა თათებზე წამომართულნი შეეგებნენ ერთმანეთს.

გარეული აბურტყუნდა და კბილები დააღრჭინა.

ფრამმა მეგობრულად უპასუხა. ახლოს მივიდა უცნობთან და დრუნჩი მიუშვირა.

იმან კბენა მოუნდომა, წინ გაექანა, თათები გაშალა, რომ ფრამი ჩაებლუჯა და დაეწყო შეუბრალებელი ორთა ბრძოლა, როცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ძვლებს უმტვრევენ და ყინულზე იქამდე გორაობენ, სანამ ერთ-ერთს სული არ ამოხდება.

გარეული რომ დაემგერა, ფრამი გვერდზე გახტომით მოხერხებულად დაუძვრა.

საყვედური და გაკვირვება ჩასდგომოდა თვალეზში

ეწყინა, რომ პირველივე დათვი ასეთი ბრიყვი და სულელი გამოდგა. თან ეცოდებოდა, რაკი ხედავდა, ბრძოლა ამკარად უთანასწორო იქნებოდა. ადამიანთა საზოგადოებაში იმისთანა მოხერხებული ილეთები ისწავლა, რომ ამ თავნება სულელს ძილშიაც არ მოელანდება. მერე გადაწყვიტა, სერიოზულად კი არ წასჩხუბებოდა, ჭკუა ესწავლებინა მხოლოდ.

გარეული ოთხზე დაეშვა და ვეებერთელა თავის ქნევას მოჰყვა. როგორც უკიდურესად გაგულისებულ დათვებს სჩვევიათ. მერე მოემზადა, რომ მოწინააღმდეგისათვის ერთი დარტყმით ჩაემტვრია ნეკნები. მაგრამ ფრამი შესანიშნავი სალტო-მორტალეთი თავს გადაევლო და ისევ უკანა თათებზე დადგა. უცნობმა გაკვირვებისაგან ხახა დაალო. ამისთანა რამ თავის დღეში არ ენახა და ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა.

მაინც ხელახლა ემგერა.

ფრამი ისევ თავზე გადაახტა. მოწინააღმდეგეს ფეხი დაუსხლტა და დრუნჩით ყინულს დაეჯახა. ფრამმა დრო იხელთა, წამოეწია, წინა თათებით ზურგსა და ქეჩოში სწვდა და ჯანჯღარი დაუწყო, სწორედ ისე, როგორც ცირკში აჯანჯღარებდა ხოლმე დათვის ტყავს, როცა მას ჯამბაზები ბამავდნენ. მერე შეეშვა გაშტერებულ უცნობს, უკანა თათებზე დადგა და წინა ერთი თათით დოინჯი შემოიყარა.

თვალეზი მხიარულად და გულითადად უბრწყინავდა, გეგონებოდა, ამბობდა: «ახლა რაღას იტყვი, დიდად პატივცემულო, გეყოფა? როგორც ხედავ, შენსავით კი არა ვარ, რაღაც გამეგება ხუმრობისა. ოღონდ არ გეგონოს სულ ეგ იყო ყველაფერი. სხვაც ბევრი ვიცი, გიჯობს, ჭკუით იყო და შემირიგდე! რას მიღრენ? რას ნიშნავს შენი «ღრრ-ღრრ?!» რა სასაცილო ხარ, ტყუილად ბრაზდები, გიჯობს, თათი მომცე, დავმეგობრდეთ, ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა მყავდეს ამხანაგი ამ უკაცრიელ ადგილას!..»

ფრამი მეგობრულად უყურებდა და იცდიდა; ერთი თათით დოინჯი შემოეყარა, მეორე წინ გაეწვდინა, შევრიგდეთო!

უცნობმა ნამდვილად ვერაფერი გაიგო ამ ხუმრობისა, და არც უფიქრია, ეპატიებინა გადამთიელისათვის თავხედობა. იგი უკანა თათებზე დადგა და ღრიალით გაქანდა წინ.

ფრამმა ფეხი დაუდო, სწორედ ისე, სულელმა ავგუსტინმა რომ ასწავლა. ეს ფანდი ყოველთვის გამოუდიოდა და ქანდარაზე ერთ სიცილ-ხარხარს იწვევდა ხოლმე.

გარეული დათვი დრუნჩით ყინულს დაეჯახა.

ფრამი დამცინავად მიესალმა.

გარეული ქშენით წამოდგა და ისევ საჩხუბრად გაემზადა. ფრამი ორმაგი სალტო-მორტალეთი გადაევლო თავს. ასეთი სალტო-მორტალე ცირკის არენაზეც კი არასოდე გაუკეთებია.

გარეულ დათვს ჩხუბი არ გამოსდიოდა.

ფრამი დაუსხლტებოდა, თავზე გადაახტებოდა, მასხარად იგდებდა, თათს დრუნჩში ამოჰკრავდა, ბოლოს მისი უჯრატობით და ყეყეჩობით გაჯავრებული ზემოდან დააჯდა:

ესეც სულელმა ავგუსტინმა ასწავლა.

ამოდ ცდილობდა გარეული ჩამოეგდო ზურგიდან მხედარი — ღრიალებდა, ბრდღვინავდა, დარბოდა, უკანა თათებზე დგებოდა, მერე ისევ ოთხზე დაეშვებოდა, კბენასა და კაწვრას ლამობდა, იკლავებოდა, ნამქერში გორაობდა.

დათვი ძრწოლამ აიტანა.

შტერმა და დოყლაპიამ გადაწყვიტა, გადარეულ დათვს, არნახულ ურჩხულს, ან დათვის სახით გამოცხადებულ ეშმაკს გადავეყარო.

ერთ რამეხელა ფიქრობდა — როგორმე დაეღწია თავი ამ უბედურებისაგან და სადმე შორს გაქცეულიყო.

ამიტომ, როგორ კი ფრამი ზურგიდან ჩამოხტა, გარეულმა მოკურცხლა... იგი მირბოდა, თან წამდაუწუმ უკან იცქირებოდა: ელანდებოდა, სადაც არის ურჩხული დამეწევაო. ელდანაცემი ოთხით მიქროდა, თეთრი დათვი დაჭედული რომ ყოფილიყო და პოლარული ყინვა — კაჟით დაფარული, გაქცეული ცეცხლს დააფრქვევდა უეჭველად ტერფებიდან.

ფრამი სინანულითა და სიბრაღულით მისჩერებოდა: უსიამოვნოდ დამთავრდა თავისიანებთან მისი პირველი შეხვედრა.

ძმისა და მეგობრის ნაცვლად, უჯრატსა და მოჩხუბარ ყეყეჩს გადაეყარა.

თუ იმიერპოლარეთის დათვთა მთელი მოდგმა ამნაირია, მათ გასაცნობად ამ სიშორეზე ტყუილად ჩამოვსულვარო.

გულნატკენი და სასოწარკვეთილი ფრამი უმიზნოდ დაეხეტებოდა ყინულებს შორის, იქაურობა უკვე მტრული და უცხო ეჩვენებოდა.

როგორ გაახარებდა ახლა ადამიანის მოალერსე ხელი რომ ეგრძნო ტყავზე, განსაკუთრებით ყურებშია. ეს ანუგეშებდა. გაახსენდა, უკანასკნელ ხანს როგორ ხშირად მიდიოდნენ მასთან ადამიანები და ეკითხებოდნენ: «რა დაგემართა, ფრამ, რატომ ხარ მოწყენილი? რატომ გამოიყურები ასე საცოდავად, გვიპასუხე, გაგივიდა განა ყავლი, თუ ბედი აღარა გწყალობს?..»

აქ კი არავისგან ელის ნუგეშს.

აქეთ-იქით გაიქცნენ დამფრთხალი მეღიები, თეთრი კურდღლები, თავზე ფრთების ფართქუნით გადაუარა თეთრი ფრინველების გუნდმა.

ამ კუნძულზე, თუმცა იგი გაცილებით ჩრდილოეთით იყო, უფრო იგრძნობოდა სიცოცხლე, ვიდრე იმ უდაბურ კუნძულზე, სადაც ფრამი გადმოსვეს. მაგრამ ფრამს არავითარ სიხარულს არ ანიჭებდნენ ეს თავისუფალი მკვირცხლი ქმნილებანი, მათი თამაში და ნავარდი; გული უკვდებოდა, რომ ყველა სულიერი მტრად თვლიდა და გაურბოდა. მისმა ღვიძლმა ძმამ, თეთრმა დათვმაც კი, იმის მაგივრად რომ ეძმო, ჩხუბი დაუწყო. ეს რა ჯანდაბაა! ნუთუ თეთრ დათვებს იმიერპოლარეთში ადგილი აღარ ჰყოფნით?

ფრამმა რამდენჯერმე კიდევ მოჰკრა თვალი თავის მოწინააღმდეგეს.

ჯიუტი თანამომძე კლდეებს ამოფარებული დადარაჯებოდა. თავი მოუჩანდა მხოლოდ. შეშინებული თვალებით შეცბუნებული და გამოთაყვანებული იმზირებოდა. როგორც კი ფრამი მიუახლოვდებოდა, გარეული მაშინვე მოკურცხლავდა.

ფრამი მოთმინებიდან გამოყავდა გარეულის სასაცილო სირბილს: მე ამხანაგს ვეძებ, იმას კი მარტო ღრენა უსწავლია და სათოფეზე არ მიკარებსო.

კარგა დრომ გაიარა, ერთხელ კიდევ გადაეყარა უჯრით დათვს. გარეული წყლის პირას მისგან ზურგმექცევით იდგა, ხარბად სანსლავდა ლომვეშაპს, იღრინებოდა და მუცელს ახალი ხორციით იყორავდა.

თოვლზე ნაბიჯის ხმა რომ გაიგონა, თავი მოაბრუნა და ფრამს თვალი ჰკიდა.

ფრამი მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე.

იმის მაგივრად, რომ ღრენას მოჰყოლოდა და მუქარით კბილები დაედრჭინა, ფრამმა მოჩვენებით აიშალა ბალანი, თითქოს საჩხუბრად ემზადებოდა, ორიოდ სალტო-მორტალე გააკეთა და ბზრიალასავით დატრიალდა.

გარეულმა ნადავლი მიატოვა და უკანმოუხედავად გაიქცა, რომ ჩქარა გასცლოდა ამ «გადარეულს».

ფრამმა მდაბალი სალმით გააცილა იგი, თვითონ კი დამშვიდებული შეუდგა ჭამას. მან იპოვა უფასო სასადილო, სადაც არც ბარათი იყო საჭირო და არც ფეხის ქირას თხოულობდნენ.

საარსებო პური სტრუცკის ცირკში გაწვრთნის წყალობით მოიპოვა.

XI. ყინულოვანი ოკეანის ბუფონი

გასაჭირი ბევრ რამეს ასწავლის ადამიანს, მითუმეტეს ნადირს. ფრამმაც მწარე გამოცდილებიდან თუ ადამიანებისაგან ნასწავლი ბევრი რამ გამოიყენა.

მას შეეძლო აემუნებინა ისეთი ლამაზი და მკვიდრი თავშესაფარი, როგორსაც ვერ აიშენებდა ვერც ერთი თეთრი დათვი მთელი მათი ჯილაგის არსებობის მანძილზე. და ახლა, როცა ქარბუქი ბობოქრობდა, იგი უკვე აღარ კანკალებდა ყინულის ნაპრალში უპატრონო ძაღლივით. თუ ვინცობაა, მზამზარეულად არ დაუხვდებოდა ბუნაგი, თვითონ იშენებდა: უკანა თათებზე დამდგარი ეზიდებოდა ყინულის ბელტებს, ერთმანეთზე აწყობდა, ზემოდან ბრტყელი ყინულით ხურავდა და ნაპრალებს თოვლით ავსებდა, რომ ქარს შიგნით ვერ შეეღწია, ქარბუქის დროს კი შესასვლელს, ყინულის კარით გმანავდა.

ასე იქცა ფრამი «ოსტატ-კალატოზად».

ამისათვის მას დიდი დავიდარაბა არ დასჭირვებია. რამდენჯერ უთვალთვალია ცირკის ხელოსნებისთვის, რომელთაც ერთ დღეში უკაცრიელ ადგილას კარავიც დაუციათ და საჯინბო და რეკვიზიტებისათვის საწყობიც წამოუმართავთ. აქ კი საშური არაფერი იყო, დღე რამდენიმე თვეს გრძელდებოდა და ფრამს დრო თავსაყრელი ჰქონდა.

კედელზე გაკრული აფიშა არ იუწყებოდა რაიმე წარმოდგენის გამართვას და ფრამიც გულარხეინად მუშაობდა.

ფრამს ცირკი გაახსენდა...

— გაანძრით ხელი! — უყვიროდა ხოლმე დირექტორი მუშებს.

— დავუჩქაროთ!... — ერთმანეთს აშურებდნენ ხელოსნები.

— როდის იქნება მზად? — კითხულობდნენ ტანმოვარჯიშეები და მუშაითები.

— ჩქარა, ჩქარა! — ყვიროდნენ ტაკიმასხარებიც და ყველას ფეხებში ებლანდებოდნენ.

ფრამს კი არავინ აჩქარებდა, ზოზინით, წინდახედულად და ანგარიშიანად მუშაობდა.

თუმცა მას არ ჰქონია ხელსაწყოები და საშენი მასალა.

ფრამმა არ იცოდა რობინზონ კრუზოს ამბავი, არ იცოდა, როგორ მოხვდა იგი გემის დაღუპვის შემდეგ უკაცრიელ კუნძულზე, როგორ მარჯვედ აიშენა ქოხი,

როგორ ამზადებდა ნემსსა და ძაფს, ნადირთა ტყავისაგან როგორ იკერავდა ტანსაცმელს, იშინაურებდა გარეულ თხებს და თესავდა ხორბალს. ფრამიც ახლა თავისებური რობინზონი იყო; საზრიანიობისა და გამჭრიახობის წყალობით ისიც თავს აღწევდა ყოველგვარ გასაჭირს.

ფრამს ყველაზე მეტად ლუკმა-პურის შოვნა უძნელდებოდა.

რობინზონს თოფიც ჰქონდა, ანკესიც; ნადირობდა, თევზაობდა და საჭმელს ყოველთვის ადვილად შოულობდა.

ფრამს კი რა უნდა ექნა?

ნადირობა არ ეხერხებოდა, დამშეულსა და გასაცოდავებულს სასიკვდილოდ მაინც ვერ გაემეტებინა ცხოველები.

თვალწინ მაშინვე ცირკის სელაპები წარმოუდგებოდა, დიდი, მრგვალი და მორჩილი თვალებით რომ შესცქეროდნენ.

ეჩვენებოდა, თითქოს რაღაცას საყვედურობდნენ.

ფრამმა მოუსვენარი თეთრი მელიები გაუგონარი თავხედობისათვის ლაზათიანად მიტყიპა. ერთი თქვენცა თქვით, რა საქციელია, — ფრამს ეძინა, ისინი კი მის ბუნაგში დასუნსულებდნენ, წკმუტუნებდნენ. ფრამს შეეძლო თათის ერთი მსუბუქი დარტყმით გადაემტვრია მათთვის ხერხემალი, მაგრამ ებრალებოდა.

თათს მსუბუქად ჩაუტყაპუნებდა, ზუსტად ისე, როგორც ავად შემოჩენილ სულელ ავგუსტინს; ახლაც ახსოვს პამიდორივით ცხვირი როგორ მიეჭყლიტებოდა ხოლმე სახეზე და ამის შემხედვარე ქანდარა რა აღტაცებული იყო.

ფრამის სილაქებით შეწუხებული მელიები უკანმოუხედავად მირბოდნენ, თან უხაროდათ, რომ ასე იოლად გადარჩნენ.

ფრამი ერთხანს თავის უჯრათ თანამომძმის ხარჯზე ცხოვრობდა.

მან ადამიანებისაგან იცოდა, რომ დედამიწის ზურგზე ყველა სულიერს თავისი სახელი ერქვა, ვეფხვებს სტრუცკის ცირკში რაჯას ან კიმს ეძახდნენ, თუთიყუშებს — კოკოს ან ჯეკს, მაიმუნებს — ნიკის ან პიკის.

ყველას თავისი სახელი ან მეტსახელი ერქვა და თავისი თავგადასავალი ჰქონდა.

მის გარეულ თანამომძმეს ვეება თავში, ეტყობოდა, ჭკუის ნატამალი არ ედო. ამიტომ ფრამმა «თავცარიელად» მონათლა. ფრამი პირველი შეხვედრიდანვე მიხვდა, რომ იგი დიდი მოუშველებელი ვინმე ბრძანდებოდა.

თავცარიელი სანადიროდ რომ მიდიოდა, ფრამი ცდილობდა, ხელი არ შეეშალა, სანაპიროზე გადიოდა და ოკეანის ცქერით ტკბებოდა — გამდნარი ყინულის ველს იქით, იდუმალ შორეთში ცურავდნენ აისბერგები — უსაჭო, უიალქნო და უმენიჩბეებო საიდუმლო გალერები, — მერე აუჩქარებლად თავცარიელის კვალს დაადგებოდა. სისხლიან კვალს ეტყობოდა, გარეულ დათვს წარმატებით ენადირა და ნადავლს, ალბათ, სადღაც მოფარებულ ადგილას მიათრევდა.

ფრამი ზედ შუა ნადიმობაზე წაადგებოდა თავს, უკანა თათებზე დამდგარი ეშმაკურად მიესალმებოდა, თითქოს ეუბნებოდა: შეგარგოს ღმერთმა, თავცარიელო! სტუმრებს არ ღებულობო?

გარეული ისე მოკურცხლავდა, ცხვირ-პირის მოლოკვასაც ვერ ასწრებდა, ფრამი კი როგორც საკუთარ სახლში, ისე მოშინაურდებოდა, ყველაფერს ერთიანად ბანდს მოუსვამდა, მერე გამძღარი თათს მუცელზე იტყაპუნებდა და მოსასვენებლად მიდიოდა. სხვის კმაყოფაზე უცერემონიო ცხოვრება ოდნავაც არ უშფოთებდა სინდისს.

თავცარიელს სასოწარკვეთა ემატებოდა, რომ ამ მუქთამჭამელისთვის წვალობდა.

ბოლოს ყველაფერი მიატოვა და ყინულით სულ სხვა მხარეს წავიდა, სადაც არ ეგულებოდა გადარეული დათვები, მალაყს რომ გადადიან, თუ დასჭირდათ, რეზინის ბურთად იქცევიან და თან უსირცხვილოდ, მასხარადაც გიგდებენ.

ფრამი მარტოდ დარჩა. კვლავ მოეძალა შიმშილი.

უფასო სასადილო დაიხურა. მეპატრონე გაქრა და სტუმარი საშიმშილოდ გაწირა.

ფრამს დრუნჩი დაუგრძელდა, ფერდი ფერდს მიეკრა. დაწოლისას გრძნობდა, რომ ჩონჩხად ქცეულიყო.

— ეს რა ცხოვრებაა? — ბურდღუნებდა თავისთვის. — ძნელია, ფრამ, ძალზე ძნელი ასეთი ყოფა! როგორ მოვიქცე? რა ვქნა?

გადაწყვიტა, ნაპირიდან შორს წასულიყო. მაგრამ რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო უდაბური ხდებოდა კუნძული. ყველა სულიერი ნაპირისაკენ ისწრაფვოდა. აქ თევზით მაინც შეიძლებოდა თავის გატანა.

ფრამი უკან დაბრუნდა. დრუნჩი უფრო დაგრძელებოდა, ძვალ-ტყავად ქცეულს ფერდი ფერდს უარესად მიჰკვროდა. გადაწყვიტა, მოქმედების გეგმა შეეცვალა და კუნძულისთვის გარშემო შემოევიწროებინა.

მზე უკვე შუბის ტარზე იდგა. თოლი და ყინვა თვალისმომჭრელად ელვარებდა.

თვალსაწიერამდე გადაშლილი ოკეანის მომწვანო ზედაპირი ჭრელი ტალღებით დაფარულიყო.

ხანდახან ნაპირთან ყინულები მოცურდებოდნენ, ერთხანს ღუზაჩაშვებულად გაჩერდებოდნენ და მერე დაწალიკებულები ისევ შორს მიემურებოდნენ.

ასეთი ყინულის გამჭვირვალე ტივებით ოკეანის ერთი ნაპირიდან მეორემდე ხშირად მოგზაურობდნენ მზეს მიფიცხებული ლომვეშაპები და სელაპები.

ერთხელ კი, მხოლოდ ერთადერთხელ, ფრამმა გემსაც მოჰკრა თვალი.

გული აუძგერდა, მღელვარებისაგან სული ლამის შეეხუთა. გემი!.. ადამიანები!.. ეგებ ის მონადირეა, უკაცრიელ კუნძულზე რომ გადმოსვა ფრამი, მზრუნველობა გამოიჩინა და ბუნებრივ მაცივარში სანოვავის მარაგიც კი დაუტოვა. იქნებ ის ახალგაზრდა ქალიც იქ არის, ბალანზე ალერსით რომ უსვამდა ხელს. გემი!.. ადამიანები!.. მეორე სამყარო... შორეული სამყარო... იქ მისი ესმოდათ, არ იცოდა რა იყო მარტობა, შიმშილი და თავიც არასოდეს უგრძნია ისე უცხოდ, როგორც ამ მიყრუებულ ადგილას, სადაც თავცარიელი ან კბილებს აღრქენს და ბრდღვინავს, ანდა, როგორც კი მიუახლოვდება, გარბის.

ფრამი უკანა თათებზე წამოიშრებოდა და მისალმების ნიშნად წინა თათების ქნევას მოჰყვა.

მაგრამ გემმა ვერ შენიშნა და ჰორიზონტზე გაუჩინარდა.

შესაძლოა, გემი რუკაზე აღნიშნულ მეორე კუნძულისკენ მიდიოდა, სადაც მონადირეების ან მეთევზეთა ქოხები ეგულებოდა.

ან ეგებ მოელანდა და გემი სულაც არ გამოჩენილა.

ოკეანის უკიდევანო ზედაპირზე კვლავ მოცურავე ყინულებილა მოჩანდა.

ფრამი კუნძულის კლდოვან ნაპირს გაუყვა. მოულოდნელად თავის ახალ თვისტომს წააწყდა, ოღონდ ამჯერად თეთრ დათვს თან ორი ბელი ახლდა.

თავცარიელთან შეხვედრის შემდეგ ფრამმა გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო, რომ მოწინააღმდეგისათვის თავიდანვე გაეფანტა ეჭვი. ახალმა შეხვედრამ გაახარა.

ფრამს მეგობარი ენატრებოდა, თანაც ბელები ეგებ მამით ობლები არიანო. იგი მზად იყო მფარველობა გაეწია ბელებისათვის და ათასნაირი გასართობი რამ ესწავლებინა.

ამიტომ რანაირადაც კი შეეძლო, შორიდანვე ანიშნა ძუ დათვს, მეგობრული განზრახვა მაქვსო.

უკანა თათებზე წამოდგა, მიესალმა, სალტო-მორტალე გააკეთა, მერე ერთს, ორ, სამ, ოთხ, ხუთ თოვლის გუნდას ერთდროულად ისროდა მაღლა და ჯერჯერით იჭერდა წინა თათებით, ბოლოს ვალსის ცეკვით მიუახლოვდა უცნობს.

ადამიანი რომ ყოფილიყო ძუ დათვი, ალბათ გაკვირვებისაგან პირჯვარს გადაიწერდა. მოხდენილი ცეკვით ფრამი რაც უფრო ახლოს მიდიოდა, დედა დათვი მით უფრო მეტად იხევდა უკან.

ვერაფერი გაეგო, რა უნდოდა ტაკიმასხარა დათვს. ეგებ ფრამი იმანაც თავცარიელივით გიჟად და მოჩვენებად ჩათვალა.

სამაგიეროდ, ბელებმა უცბად გამოხატეს თავიანთი აღტაცება. ფრამის ფანდები, ეტყობოდათ, მოეწონათ. მათ არ ეშინოდათ, არც უკან იხევდნენ და არც გამოშტერებულად აჭყეტდნენ თვალეხს. პირიქით, წინ გაიქცნენ შესახვედრად.

გაბრაზებულმა დედა დათვმა ბელები თათით მკერდზე მიიკრა და ბურღუნით ანიშნა ურჩობისათვის მკაცრად დაისჯებითო. ჯერჯერობით კი ამ მასხარისათვის უნდა მოევლო.

ფრამი ხუთიოდე ნაბიჯით იყო მისგან დაშორებული.

მას საოცრად მოუნდა, მოფერებოდა ფუმფულა ბელებს; როგორც ადამიანთა ბავშვებს ეფერებოდა ცირკში. ახლაც ახსოვს, როგორ გადაუსვამდა ხოლმე თავზე თათს, როცა ეძახდნენ, რომ ფრამს მათთვისაც შეეხვედრებინა კანფეტები, ანდა, როცა ლოჟებში წითელხავერდგადაკრულ სავარძლებში სხამდა.

ძუ დათვს აზრადაც არ მოსდიოდა ფრამის ასეთი კეთილგანწყობილება. თავცარიელივით ბრიყვი და უმადური ჩანდა. უკეთესი ვერც მას მოესაზრებინა ვერაფერი, ბრდღვინავდა და აღრჭენდა კბილებს. ბელები თათით უკან მიაყენა, საჩხუბრად ადგილი გაანთავისუფლა და ბალანაშლილი თავის ქნევითა და ღრიალით ეკვეთა მოწინააღმდეგეს.

ფრამი მოხერხებულად დაუსხლტა, ცარიელი მუცლის წყალობით ეს ისე მარჯვედ გამოუვიდა, თვითონაც არ ელოდა. იგი სინანულით მისჩერებოდა ძუ დათვს, როგორ გადადიოდა ყირაზე და ცხვირით როგორ ეჯახებოდა ყინულს.

სცადა წამოდგომაში მიხმარებოდა; თავაზიანობა გამოიჩინა და გალანტურად გაუწოდა თათი. ძუ დათვმა ბალანი უფრო აიშალა, დაიძაბა და გამოწვდილ თათში კბილები ჩაასო, ეგებ თათი მოეწყვიტა კიდევ, ფრამს ადამიანთა მიერ ნასწავლი ხერხი რომ არ გამოეყენებინა. — თავისუფალი თათი ცხვირზე მოუჭირა, დათვს სუნთქვა შეეკრა. დარეტიანებულმა დედა დათვმა კბილები შეუშვა, ფრამმა ცხვირში ხელჩავლებული ბელებთან მიიყვანა, თვითონ კლდეზე აბობლდა და ჭრილობის ლოკვას მოჰყვა. ძუ დათვმა მრისხანე ღრიალით გააცილა იგი.

კლდის თავზე მჯდომმა ფრამმა თავი მოიკატუნა, თითქოს არაფერი ესმოდა, მას აღარც ჩხუბი უნდოდა და აღარ მაიმუნობა ეხალისებოდა.

მოწინააღმდეგეები ერთმანეთს თვალით ზომავდნენ. ფრამი — მაღლიდან დაბლა, ძუ დათვი კი — დაბლიდან მაღლა.

მაგრამ ამ წუთში შეურაცხყოფასა და ტკივილზე უფრო ძლიერი ცირკში განსწავლულობა გამოდგა. ჭრილობა რომ მოილოკა, ფრამი დაიჭყანა, ასე იცოდა სულელმა ავგუსტინმა, როცა რამისადმი ზიზღის გამოხატვა ეწადა. მერე კლდის

თავზე ბრწყინვალე სალტო-მორტალე გააკეთა. აღშფოთებულმა ძუ დათვმა მცურავ ყინულზე ისკუპა და ბელებიც თან წაიყოლა.

არ უნდოდა ჯამბაზთან ჰქონოდა საქმე და ბრძოლის ველი მიატოვა.

კლდის უკან ფრამი თითქმის ხელუხლებელ მკვდარ ლომვეშაპს წაადგა. ისევ იშოვა უფასო სასადილო! ფრამი ძუ დათვის წყალობით გემრიელად გამოძღა, თან იმას წუხდა, რომ სასადილოს დიასახლისმა, თავცარიელივით სტუმარი მიატოვა და იძულებული იყო, მარტო ენადიმა.

ამ ამბის შემდეგ ფრამი ერთ-ორ დათვს კიდევ შეხვდა. ცდილობდა მათთან დამეგობრებას, სიფრთხილით უახლოვდებოდა, მხიარულად აღარ ესალმებოდა და არც ცირკში ნასწავლ ფანდებს იყენებდა, მაგრამ გარეული თანამომძენი მაინც კბილების ღრჭენით ხვდებოდნენ და ფრამიც ჩხუბს რომ გადარჩენოდა, ძალაუნებურად იყენებდა სულელი ავგუსტინისა თუ ნიკისა და პიკის ილეთებს. იგი ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა, რომ ანცვიფრებდა და აშინებდა გარეულ თანამომძემებს! საკმარისი იყო თავისი საცირკო ნომრები დაეწყო — გაეკეთებინა სალტო-მორტალე, ეცეკვა ვალსი, ყირაზე დამდგარიყო, რომ მისი თანამომძენი თვალებს დააჭყეტდნენ და ველარ ბედავდნენ ბრძოლას ასეთ არაჩვეულებრივ მოწინააღმდეგესთან. — ნადავლს ტოვებდნენ და გაქცევით შველოდნენ თავს.

კლდეზე აბლოტებულნი გაკვირვებულები და შეშინებულები უცქერდნენ მხეცს, რომელიც გარეგნულად თითქოს მათი მსგავსი იყო ყველაფრით, მაგრამ განსხვავებული მიხრა-მოხრა ჰქონდა.

ფრამი უკანა თათებზე დგებოდა, წინა თათებით და თავით კი მეგობრულსა და შემარიგებელ ნიშანს აძლევდა. თან ბურტყუნებდა, თითქოს ამბობდა:

— ჰა, მოდი თუ გინდა, ეს შენი ნადავლია, შენი მონაგარი... გეპატიჟები შენს საკუთარ ნადიმზე!.. რა ეშმაკი დაგემართათ! გეტყობათ, ყველა იმ თავცარიელის ღვიძლი ძმები ხართ, კუნძულიდან რომ გაიქცა. მობრძანდით სუფრასთან! სამწუხაროდ, ჩაციებული ლუდი არა მაქვს და ვერ გაგიმასპინძლდებით, როგორც სტრუცკის ცირკში ვუმასპინძლდებოდი ხოლმე სულელ ავგუსტინს...

მაგრამ არავინ ღებულობდა მის მეგობრულ მიწვევას.

დათვები კლდეს მიეფარებოდნენ, ანდა, უკანმოუხედავად გარბოდნენ. ფრამი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ სამუდამოდ მარტოობისათვის იყო განწირული.

რალაც ბოროტი, შეუცნობი საიდუმლოება ფუმავდა მისსა და იმიერპოლარეთის დათვთა მეგობრობას.

ყველას უცხოდ, გადამთიელად და დაუპატიჟებელ სტუმრად ეჩვენებოდა.

რალა დარჩენოდა აქ?

ცხოვრება აბუჩად იგდებდა თითქოს, აბა, სხვა რა უნდა ეფიქრა.

ფრამი კლდეებს შორის შუა ნადიმზე გამოჩნდებოდა, გარეული თავს მალლა ასწევდა, კბილებდაღრჭენილი საჩხუბრად გაემზადებოდა, მაგრამ მალაყის, სალტო-მორტალეს, მხიარული სამხედრო მისალმებისა და ვალსის დანახვაზე ნადავლს ტოვებდა და უკანმოუხედავად გარბოდა, ფრამი კი ნარჩენებს შეექცეოდა.

ფრამი არ კარგავდა იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს შეხვდებოდა ვინმე გონიერს, ვინც მეგობრობას გაუწევდა. ამ იმედით ყინულის ხიდებითა და ტივებით ერთი კუნძულიდან მეორეზე დახეტიალობდა, მაგრამ მტრული ღრენითა და დაღრჭენილი კბილებით ხვდებოდნენ ყველგან.

ირგვლივ თანდათან ჩამოხნელდა. ვეებერთელა მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა.

მოახლოვდა პოლარული ღამე.

ფრამმა ოკეანის ნაპირზე ზამთრისათვის ბუნაგი გაიკეთა.

მტრედისფერი ბინდბუნდი ჩამოდგა, ოკეანე სქელი ყინულის ქერქით დაიფარა, ყინულებს შორის აღარ ჩანდა მომწვანო წყალი. თვალსაწიერამდე გადაშლილიყო გამჭვირვალე ყინულის ველი. თეთრი ფრინველები თბილ ქვეყნებში გაფრენილიყვნენ. ვერცხლისფერი თოლიები და სხვა ფრინველები გუნდ-გუნდად ისწრაფვოდნენ სამხრეთისაკენ.

ცა დაცარიელდა.

ბოლოს მზეც ჩასცილდა ჰორიზონტის ხაზს.

ერთხანს დასავლეთის ცის კიდე მაინც შეწითლებული იყო, მაგრამ ვარდისფერი ხაზი თანდათან გაბაცდა, ბოლოს კუნაპეტმა სიბნელემ მოიცვა ირგვლივ ყოველივე. ჩრდილოეთიდან ამოვარდნილმა ქარბუქმა თოვლისა და ნამქერის კორიანტელი დააყენა. სიცივისაგან ჭახაჭუხით სკდებოდა ყინულის ველი.

დაიწყო პოლარული ზამთრისა და პოლარული ღამის მეუფება.

ვინ იფიქრებდა, რომ ახლა, სადაც შორს, არსებობდა თბილი, განათებული ქალაქები, ბულვარზე მოფუსფუსე ხალხი? ვინ იფიქრებდა, რომ ერთ-ერთ ქალაქში ქარი ისევ აფრიალებდა კედელზე შერჩენილ საცირკო აფიშას, რომელზედაც თეთრი დათვი ფრამი იყო გამოხატული? ან ვიღაც ცხვირპაჭუა ბიჭი მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი გვიანობამდე კითხულობდა წიგნებს პოლარულ ექსპედიციებზე.

XII. შორეულ ქალაქებში ფრამი არ დაივიწყეს მისმა მეგობრებმა

დიახ, პოლარეთიდან შორს, თავის მშობლიურ ქალაქში პეტრუმს, ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალემა ბიჭუნას არ დავიწყებია ფრამი. მასაც გაეგო, რომ ცირკის დირექტორმა განსწავლული თეთრი დათვი სამშობლოში, მუდმივი ყინულების ქვეყანაში გაამგზავრა, და თავის ქალაქიდან, სადაც ქარს საცირკო აფიშები ჯერ არც კი ჩამოეხია, ფრამს ისიც გონების თვალს ადევნებდა უკან.

განსწავლული თეთრი დათვი, უეჭველია, სხვა ბავშვებსაც ახსოვდათ, დიდსა თუ პატარა ქალაქებში, სადაც ნოეს კიდობნის ცხოველები — სპილოები, ვეფხვები, ლომები, გველები, მაიმუნები — ჩაუყვანია სტრუცკის ცირკს. შესაძლოა, ბავშვებს დღემდე არ დავიწყებიათ ფრამის ოინები, ეგებ ვინმე ცელქი ბიჭი ახლაც ბამავდა, როგორ უკრავდა თეთრი დათვი გარმონს, ანდა არენაზე როგორ იწვევდა მსურველებს, რომ ერთმანეთის ძალა მოესინჯათ პატიოსან ორთაბრძოლაში.

მაგრამ პეტრუმში არ სჯერდებოდა მხიარულ მოგონებებს, არც მარტოდენ სიცილისა და ცელქობის საბაბით იხსენებდა ყოველივეს.

ფრამის სიყვარულის გამო თეთრ დათვებსა და პოლარულ ექსპედიციებზე უამრავი წიგნი წაიკითხა.

ერთს რომ დაამთავრებდა, სულმოუთქმელად იწყებდა მეორეს, შემდეგ ორივეს ისევ თავიდან კითხულობდა.

მეორე დღეს წაკითხულ ამბავს აღფრთოვანებული უყვებოდა მეგობრებს.

ყოფილი მასწავლებლის შვილიშვილმა, ქერათმიანმა, ცისფერთვალემა გოგონამ დაპირება შეასრულა და პაპას მოელაპარაკა. ოღონდ ეშმაკობა იხმარა და შორიდან დაიწყო.

— პაპა, გახსოვს, გამოსათხოვარ წარმოდგენაზე ცირკში ჩვენს გვერდით ბიჭი რომ იდგა?

— მახსოვს, მერე რაო?

— საშინლად იყო შეწუხებული ფრამის გამო!

— დათვი მაშინ მეც შემეცოდა... მერე?

— ჰოდა, იმ ბიჭზე მინდა გითხრა...

— რაო, რა იყო?

— იმ ბიჭს ძალიან უნდა წიგნების წაკითხვა, სადაც თეთრი დათვებისა და პოლუსზე მოგზაურობის ამბები იქნება აღწერილი.

— ძალიან კარგი, მე მაშინვე შევნიშნე, რომ ჭკვიანი ბიჭი იყო.

— ჭკვიანი კი არის, მაგრამ წიგნები არა აქვს!

პაპამ გაკვირვებით შეხედა და ჭადარა ულვაშებში ჩაეცინა. შვილიშვილის პირველსავე სიტყვებიდან მიხვედრილიყო, რომ იმ ბიჭზე ტყუილად არ ჩამოუგდია სიტყვა.

— მაშ, წიგნები არა აქვს? შენ რა იცი, რომ არა აქვს წიგნები?

— ცირკის ძველ აფიშებს ვათვალიერებდით ერთად და მაშინ მითხრა. აფიშაზე ფრამი იყო გამოხატული. ჯერ შემეკითხა, ნეტა სად იქნება ახლა საწყალი ფრამიო, მერე ისიც მითხრა, წიგნები სულ არა მაქვსო. მე შევპირდი, პაპა გათხოვებს-მეთქი. ცუდი მიქნია?

— არა, კარგად მოქცეულხარ! ძალიან კარგად!.. რა ჰქვია იმ ბიჭს?

— პეტრუში.

— რა გვარია?

— პეტრუშს მეძახიანო, მეტი არაფერი უთქვამს.

— არც ის იცი, სად ცხოვრობს?

— არც ეგ ვიცი, ან ეგ რა საჭიროა?

— აბა, როგორ შეატყობინებ, როდის უნდა მოვიდეს წიგნებისათვის?

— მოვა თვითონ. ვუთხარი, ხვალ სადილობის მერე მოდი-მეთქი. ცუდად ხომ არ მითქვამს?

— არა, კარგად გითქვამს, ძალიან კარგად, ეშმაკის ფეხო! მაგრამ მე რაღას მეკითხებოდი?

— მეშინოდა, არ გამბრაზებოდი!

— როდის იყო, ამისთანა რამეზე ვბრაზდებოდი?

მოხუცი მასწავლებლისაგან მართლაც ბევრნი თხოულობდნენ წიგნებს. ამჯერად მოხუცს გაუხარდა, რომ პატარა ბიჭს თეთრი დათვების ცხოვრება და პოლარეთის მკვლევართა თავგადასავლები აინტერესებდა.

პეტრუში, როგორც დათქმული ჰქონდათ, მეორე დღეს მოვიდა. მოხუცმა პენსიონერმა ერთხანს საუბარი გაუბა, მერე უთხრა თან გაჰყოლოდა.

— ზევით ავიდეთ, ბიბლიოთეკაში, და ერთად ავარჩიოთ რაც მოგეწონება.

თეთრ დათვებსა და პოლარულ ექსპედიციებზე პეტრუშმა პირველად ორი წიგნი წაიღო. ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ იგი «სპეციალისტად» მონათლა მამამისმა — მიხაი სტოიკანმა.

სალამობით წიგნში თავჩარგულ ბიჭს რომ დაინახავდა მამა, ნახევრად სერიოზულობით და ნახევრად ხუმრობით, ეტყოდა ხოლმე:

— როგორ არის საქმე, პეტრუშ, პოლუსს მიაღწიე თუ ვერა?

— ვერა, მამა, კარგა ხანს ვერ მივალწევ... ჯერ ნანსენის დღიურებს ვკითხულობ...

— მეც მიაძმე, რა წაიკითხე, ბატონო სპეციალისტო, — ეტყოდა ხადახან.

პეტრუშიც, ერთი სული რომ ჰქონდა, როდის სთხოვდნენ წაკითხულის მოყოლას, ბევრს არ დააყოვნებდა.

ამდენი კითხვის მერე ბიჭი ისე იყო მოხიბლული წარმტაცი ამბებით, რომ არაერთხელ უთქვამს შინაურებთან, რაც გინდა მოხდეს, მუდმივი ყინულების მხარეს როდისმე მაინც წავალო.

- გვიანია, დაიძინე, პეტრუშ, — ეტყოდა ხოლმე დედა.
- ცოტა ხანს დამაცა, დედა, ამ თავსაც დავამთავრებ.
- სინათლის ჩაქრობა არ დაგავიწყდეს!
- ჩავაქრობ, დედა, ნუ გეშინია!

მეორე დღეს, პეტრუშში საშინაო დავალებასა და გაკვეთილებს რომ მოამზადებდა, კვლავ გვიანობამდე იჯდა მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი და ლამპის შუქზე კითხულობდა პოლარეთში მოგზაურობის ამბებს. კითხვის დროს თამაშიც ავიწყდებოდა, სხვა წიგნებიც და იქვე ღუმელზე შემოდგმული ჭიქა ჩაიც. ირგვლივ ყველაფერი ზღვაში მცურავი ყინულებივით უჩინარდებოდა ჰორიზონტზე.

აღარ ესმოდა ქარის ქროლა და ფანჯარაზე წვიმის წვეთების წკაპუნი; აღარც ეზოს დარაჯი ძაღლის, ლუბუშას ყეფა თუ ქვაფენილზე დაგვიანებით ჩავლილი ეტლის რახრახი.

მისი ფიქრი და ოცნება სადღაც ცხრა მთას იქით დაჰქროდა.

პოლარულ ექსპედიციასთან ერთად ისიც ოცნებით მუდმივი ყინულის მხარეს მოგზაურობდა. მათთან ერთად კანკალებდა სიცივისაგან, შიმშილობდა, ქარბუქში, ნამქერებსა და ყინულის ტოროსებს შორის დახეტიალობდა, მათთან ერთად დასტიროდა ყინვასა და გაჭირვებასთან ბრძოლაში დამარცხებული ამხანაგის ყინულის სამარეს; მათთან ერთად აღმოხდებოდა ხოლმე მკერდიდან სიხარულის კივილი, როცა ბოლოს და ბოლოს ამდენ ჭირგადაყრილი ექსპედიცია უცნობ, ადამიანის მიერ ფეხდაუდგამ ნაპირს მიაღწევდა და კლდის თავზე თუ ყინულის ველზე დროშას აღმართავდა.

ბიჭს თავის მაგიდასთან კედელზე გვერდიგვერდ ორი რუკა ჰქონდა თვითონვე გაკრული.

ატლასზე მისთვის საინტერესო მხარეები მოენახა და ეს რუკები თვითონვე გაედიდებინა.

ერთ რუკაზე ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე იყო გამოხატული თავისი ზღვებით, ნაპირებითა და კუნძულებით, მეორეზე კი — ანტარქტიდა.

ამ რუკებზე წაიკითხავდით მდინარეების, კუნძულების, ზღვების, სრუტეებისა და ყურეების უცნაურ სახელებს: ობი, ენისეი, ლენა, ახალი მიწა, კარის ზღვა, შპიცბერგენი, გრენლანდია, ნორდენშელდის არქიპელაგი, ბაფინის ზღვა, ბერინგის სრუტე, გუძონის ყურე და ა. შ. მეორე რუკაზე კი აღნიშნული იყო — როსის ზღვა, დრეიკის სრუტე, შარკოს კუნძულები, ჰორნის კონცხი... ერთი რუკის ცენტრში ეწერა — ჩრდილოეთ პოლუსი (6 აპრილი, 1909), მეორეზე — სამხრეთ პოლუსი (14 დეკემბერი, 1911).

რას ეტყოდა ეს რუკა თავისი ნიშნებითა და დასახლებებით სხვა ბავშვებს? ისინი წარბს შეჰყრიდნენ და მხრებს აიჩეჩავდნენ ალბათ. ძალიან შორია ეს ადგილები და მათი სახელებიც ნამეტანი უცხოოდ ჟღერსო! პეტრუშს კი ისინი მოუთხრობდნენ პირველ აღმომჩენთა სიმამაცესა და ტანჯვაზე, მოუთხრობდნენ ადამიანის ნების გამარჯვებაზე მტრულ სტიქიასთან, ყინულოვან უდაბურებასთან, სიცივესა და შიმშილთან, გრიგალსა და ქარიშხალთან ბრძოლაში.

მან უკვე იცოდა, რომ ამქვეყნად არსებობდა სრულიად სხვა «ფრამი», ცნობილი გემი, რომლითაც ნანსენმა გადაკვეთა ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე და მისი ზღვები, ხოლო შემდეგ ამავე გემით რაულ ამუნდსენმა აღმოაჩინა სამხრეთ პოლუსი.

არც ერთი ადგილი თუ სახელწოდება ამ ორ რუკაზე მისთვის აღარ იყო იდუმალეობით მოცული.

ამ აღმოჩენებზე პეტრუშმა თავდაპირველად მოკლე გადმოცემანი წაიკითხა. ერთი წლის შემდეგ კი მოხუცმა მასწავლებელმა რამდენიმე სქელტანიანი ტომი მისცა, რომლებშიც ნანსენისა და ამუნდსენის დღიურები იყო დაბეჭდილი. დღიურები ან «ფრამის» კაიუტაში იწერებოდა, ანდა ყინულის ქოხებში — ორმოცგრადაუსიანი ყინვის დროს.

ირგვლივ სიმყუდროვე სუფევდა, ქარიც ჩადგა. ღამის მდუმარებას ჭრიჭინობელათა ძლივსგასაგონი ჭრიჭინილა არღვევდა.

პეტრუში თავზეხელშემოდებული კითხულობს ნანსენის დღიურებსა და ფიქრებს შორის, მშობლიური ქალაქიდან მრავალი ასეული კილომეტრით დაშორებულ უდაბურ პოლარეთში გადაჰყავს.

5 დეკემბერი, 1893. ტემპერატურა დღეს ყველაზე დაბალია: — 35.7°. ჩვენ ვიმყოფებით ჩრდილოეთის განედის 78°50' -ზე, ექვსი მილით უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე 2 დეკემბერს ვიყავით.

ნასადილევს ვნახეთ დიდებული ჩრდილოეთის ციალი: ცა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმული ცეცხლოვანი რკალით განათდა. შემდეგ ამინდი გაფუჭდა: ცაზე მხოლოდ ერთი — სამშობლოს ვარსკვლავი შეინიშნება, როგორ მიყვარს ეს მანათობელი წერტილი, იგი რატომღაც ჩვენს მფარველად მესახება. გემბანზე სვლისას ნიადაგ მის თვალთვალში ვარ, ისიც მშვიდად მოკიაფე, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას დამხვდება ხოლმე.

8 დეკემბერი... დილის 7-დან 8 საათამდე ყინვა მოეძალა გემს. ნასადილევს კაიუტაში ვხატავდი, უეცრად ზემოდან სასტიკი ბიძგი ვიგრძენი. ამას საშინელი ჭახანი მოჰყვა, გეგონებოდათ, გემსართავს ვეება ყინული მოსწყდა და გემბანს დაეცაო. ყველანი სწრაფად წამოვცვივდით... ჭახანი შეწყდა, «რამი» დაზიანებას გადარჩა. გვარიანად ყინავს, სჯობს ისევ კაიუტაში დავბრუნდე.

6 საათზე ყინვამ ხელახლა შემოგვიტია. ოცი წუთის განმავლობაში კიჩოდან ისეთი საშინელი ტკაცანი და ხმაური ატყდა, რომ ჩვეულებრივი ხმით ერთმანეთისა აღარა გვესმოდა რა. ვყვიროდით რაც ძალი და ღონე გვქონდა. ამ ჯოჯოხეთური ხმაურის დროს, კინალამ ყურის აპკები დაგვისკდა, ორლანი კი კიერულფის მელოდისა უკრავდა — «ვერ შევძელ ძილით დამევიწყე, ბუღბული მიშლიდა».

13 დეკემბერი... საღამოდან მოკიდებული გაუთავებლად ყეფდნენ გაავებული ძაღლები. გუშაგებმა გემის შემოგარენი რამდენჯერმე მოათვალიერეს, მაგრამ ძაღლების შეშფოთების მიზეზს ვერა და ვერ მიხვდნენ.

დილით გაირკვა, სამი ძაღლი სადღაც გამქრალიყო. ნასადილევს მუგეტამ და პედერმა გემის გარშემო თოვლზე გაქცეულთა კვალს დაუწყეს ძებნა.

— თოფი წაგეღოთ თან! — უყვიროდა მათ იაკობსენი.

— უთოფოდაც იოლას გავალთ! — უპასუხა პედერმა.

გემის ტრაპის ქვეშ უეცრად დათვის კვალი და სისხლის წვეთები შენიშნეს, ჩვენმა გულადმა მეგობრებმა კუნაპეტ ღამეში მაინც მხნედ გააგრძელეს გზა. თან მხოლოდ ფარანი ჰქონდათ, მათ ძაღლების მთელი ხროვა აცილებდათ.

რამდენიმე ასეული ნაბიჯით რომ დაგვცილებოდნენ, სიბნელიდან ვეება დათვი გამოსულიყო, მის დანახვაზე ჩვენს ბიჭებს გემისკენ მოესვათ.

მუგეტას მსუბუქი ფეხსაცმელი ეცვა და სწრაფად მორბოდა თურმე, პედერს კი გასჭირვებია მძიმე ხისძირიანი ფეხსაცმლით გამოქცევა.

ამაოდ ჩქარობდა. სიბნელეში გემი მაინც არ ჩანდა. საცოდავი დაბნეულა და იმის ცდაში, დათვს როგორმე გადავურჩეო, გზა არევია, საბედნიეროდ, დათვი მის კვალს აღარ მოჰყოლია და, თითქოს საშიშიც აღარაფერი ყოფილა.

ორიოდე ნაბიჯის მერე პედერს ფეხი დასხლტომია და ყინულის ბელტის ახლოს გაშხლართულა. ძლივძლივობით მოულწევია გემამდე, რამდენიმე ნაბიჯიც და სამშვიდობოს იქნებოდა, სწორედ ამ დროს მის ახლოს რაღაც შენძრეულა, პედერს უფიქრია, ძაღლიაო. სანამ გონს მოვიდოდა, დათვი სცემია, პედერს დათვისათვის ცხვირპირში ფარანი ისეთი თავგამეტებით უთხლემია, რომ მინა ნამსხვრევებად ქცეულა.

დათვს შიშით უკან დაუხევია. პედერს დრო უხელთია და გემბანზე ამობობდებულა.

შევიტყვეთ თუ არა ეს ამბავი, წამოვხტით და თოფს ვეცით. რამდენიმე წუთის მერე დათვი მკვდარი ეგდო ჩვენს წინ.

დაკარგული ძაღლების საძებნელად გავემართეთ. ჩქარა ვიპოვეთ დაფლეთილები. ეტყობა, დათვი ტრაპით შეუმჩნევლად ამოსულა გემზე, პირველივე ძაღლისთვის, რომელიც მოხვედრია, პირი უტაცნია და უკანვე გაბრუნებულა.

ჩვენს გასახარად კვიკმა ზუსტად ამ დღეს დაადგო თორმეტი ლეკვი. ეს მშვენიერი რეზერვი იყო, რადგან ძაღლების ხროვა ოცდაექვსამდე შეგვიმცირდა.

პეტრუში კითხულობს, გვერდი გვერდს მისდევს. ნანსენის დღიურის თარიღის მიხედვით ჩანს, რომ ამ ამბის შემდეგ ერთ წელზე მეტი გავიდა. ნანსენმა ყინულებში ჩაჭედილი გემი მიატოვა, თანამგზავრებიდან მხოლოდ იოჰანსენი გაიყოლა და ძაღლებშებმული ნარტებით ჩრდილოეთ პოლუსის საძებნელად გაემურა. სანოვაგე ელეოდათ. ლომვეშაპების ტყავადაკრული, ესკიმოსების კაიაკის ყაიდაზე გაკეთებული ნავებიც წამდაუწუმ უფუჭდებოდათ და შესაკეთებელი ხდებოდა.

მაგრამ ორივე მაინც გაბედულად მიიწევდა წინ. ნანსენი დღიურების წერას განაგრძობდა.

14 ივნისი, 1895. სამი თვე, წელიწადის მეოთხედი გავიდა ზუსტად, რაც «ფრამი» მივატოვეთ. ამ ხნის განმავლობაში სულ ყინულის ველზე დავეხეტებით. კაცმა არ იცის, როდის მოეღება ბოლო ჩვენს ტანჯვას...

15 ივნისი... მდგომარეობა თანდათან უიმედო ხდება. გზის გაგრძელება ამ თოვლსა და ყინულებში თითქმის უაზროა. ვეჭვობ, უკანასკნელი ძაღლების გაწირვა მოგვიხდება, რომ ხორციით თავი გავიტანოთ, ნარტები კი ალბათ ჩვენ თვითონ უნდა ვათრიოთ.

19 ივნისი... ღარიბული ვახშმის შემდეგ (54 გრამი პური და 27 გრამი კარაქი) დავწექით. ძილი, როგორც ცნობილია, სადილის მაგივრობასაც ეწევა ხოლმე. ახლა მთავარი ისაა, რომ უჭმელად რაც შეიძლება გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე. მდგომარეობა გაუარესდა: აღარავითარი ნანადირევი. სანოვაგეც გამოგველია.

მთელ ღამეს თავს ვიმტვრევ, ეგებ როგორმე გამოსავალი ვიპოვო-მეთქი, მაგრამ ხსნა არსაიდან ჩანს!..

20 ივნისი... რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ გზას ყინულებს შორის დამდგარი წყალი გვიღობავს. მეტი ჩარა არაა, მეორე მხარეზე გადასასვლელად კაიაკები უნდა გამოვიყენოთ.

კაიაკები წყალში ჩავუშვით, ერთმანეთზე თხილამურებით გადავავით და ზედ დატვირთული ნარტები დავაწყვეთ.

მერე ძაღლებს მივეხმარეთ, რომ ზედ გასულიყვნენ.

ამ მზადებისას ჩვენს გარშემო სელაპები შევნიშნეთ. თოფი მოვიმარჯვე და მოხერხებულ დროს ვუცდიდი, რომ მესროლა. მაგრამ როგორც კი თოფს მოვიმარჯვებდი, სელაპები თვალსა და ხელს შუა გაქრებოდნენ სადღაც.

ცურვა განვაგრძეთ.

7 ივლისი... მხოლოდ ორი ძაღლიღა დაგვრჩა. როგორც კი სამხრეთით ჰორიზონტი განათდება, მცურავი კუნძული უნდა დავტოვოთ, ამ სათვალთვალ კომპივით ამართულ ყინულის მთაზე იმ იმედით გადავედით, რომ ხმელეთს დავინახავდით, მაგრამ საითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან თეთრი სივრცე ჩანს მხოლოდ...

10 ივლისი... ამ ქვეყანაზე ჩემთვის ყველაფერი უკვე სულ ერთია. ერთ რამესღა ველი სულმოუთქმელად, როდის დაიძვრება ყინული. მაგრამ ყინული უძრავადაა. რა ჩავწერო დღიურში? არაფერი არ იცვლება...

სადილობისას ერთმა ძაღლმა, კაიასმა ყეფა ატეხა, კარვიდან თავი გამოყვავი თუ არა, დათვი დავინახე...

თოფს დავავლე ხელი, დათვი გამოშტერებულივით მომჩერებოდა, ტყვია შიგ შუბლში მივაჭედე, დათვი ატორტმანდა, სასიკვდილო ჭრილობის მიუხედავად, გაქცევა სცადა.

სანამ ჯიბეში მეორე ვაზნას მოვძებნიდი, მხეცმა მოასწრო ყინულის ტოროსებს მოფარება. ფიქრის დრო აღარ იყო... არ შეიძლებოდა ნადავლის ხელიდან გაშვება, ჩვენი სიცოცხლე და ხსნა მასზე ეკიდა. დავედევნე. რამდენიმე ნაბიჯის იქით უკანა თათებზე დამდგარი ორი მშვენიერი ბელი შემფოთებული უცდიდა დედას. — ჩანდა, ძუ დათვი დამეჭრა!

ჩემს დანახვაზე მთელმა ოჯახმა მოკურცხლა. მირბოდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ და მეც თავგამეტებით მივდევი უკან. ვერა ძალა ვერ შეგვაკავებდა, ვერც ყინულის ტოროსები და ვერც ნაპრალები. ყირამალა გადავდიოდით ყინულის ბორცვებზე, ნაპრალებს ვახტებოდით, ყინულის ხიდებზე გადავდიოდით... მძიმედ დაჭრილი დათვი ფეხებს ძლივს მიათრევდა, მაგრამ ჩვენც გვიჭირდა მისი დაწევა... როგორც იქნა წამოვეწიე:

ბელები დედას გარს დასტრიალებდნენ, ხან წინ გაიქცეოდნენ, თითქოს ამხნეებდნენ და გზას უჩვენებდნენ საით უნდა გაქცეულიყო...

2 აგვისტო... ჩვენს ტანჯვას ბოლო არ უჩანს, ერთ უბედურებას მეორე მოსდევს.

4 აგვისტო... ამაზრზენი გზები გავლიეთ, ისევ ყინულთა შორის დამდგარ წყალს მივადექით. მეორე ყინულზე კაიაკებით უნდა გადავსულიყავით. ზედ ნარტები დავაწყე, თან ხელით მეჭირა, არ გადაცვივდეს-მეთქი. ზურგს უკან უცებ მძიმე სუნთქვა შემომესმა.

— თოფი აიღე, ჩქარა! — მიყვიროდა იოჰანსენი, რომელიც თავის თხილამურების მოსატანად მიტრიალდა უკან.

მოვიხედე და რასა ვხედავ! — ვეება დათვი დასწოლია იოჰანსენს, ძლივსღა იგერიებს. მიწოდდა ჩემი პაწია ნავიდან თოფი ამელო, მაგრამ კაიაკი დამისხლტა. პირველად გადავწყვიტე, კაიაკში ჩავხტები და იქიდან ვესვრი-მეთქი, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, ვიცოდი, მიზანში ამოლება გამიჭირდებოდა. კაიაკი სწრაფად გამოვათრიე ნაპირზე, მარტო იმასღა ვფიქრობდი, როგორმე თოფი ამელო, უკან არც კი ვიხედებოდი.

— იჩქარე და ეცადე კარგად დაუმიზნო! — ყვიროდა საცოდავი იოჰანსენი.

როგორც იქნა თოფს მივწვდი, დათვი რაღაც ორიოდ ნაბიჯზე იყო. სადაცაა გაგლეჯდა ჩემს მეგობარს. გულდადებით ვუმიზნებ. როგორც იოჰანსენმა მთხოვა და დათვს ტყვიას შიგ ყურის ძირში ვარტყამ.

დათვი უსულოდ ეცემა მიწაზე.

31 დეკემბერი... ეს არაჩვეულებრივი წელიწადიც დამთავრდა.

საბოლოოდ, საყვედური არ გვეთქმის მაინცდამაინც.

ახლა ჩემს სამშობლოში ზარების მხიარული რეკვა იუწყება ძველი წლის გასვლას, აქ კი ქარის ზუზუნის გარდა არაფერი ისმის.

თოვლის ღრუბლები გაშმაგებით დანავარდობენ ტოროსებსა და ყინულის ველზე, დანისლულ ცაზე სავსე მთვარე მიცურავს. იგი არაფრად აგდებს დროის სვლას, მდუმარედ მიჰყვება თავის გზას და სულაც არ ენაღვლება ადამიანთა ტანჯვა.

ძვირფასი ადამიანებისაგან ათასობით კილომეტრებით დაშორებულნი, შემზარავ ყინულოვან უდაბნოში გზადაბნეულნი დროდადრო საყვარელ სამშობლო მხარეს ვიხსენებთ.

საუკუნის ერთი ფურცელი ბოლომდე დაიწერა, გადაიფურცლა მეორე. ვნახოთ, რა ჩაიწერება შიგ!

1 იანვარი, 1896. ტემპერატურა ნულის ქვემოთა 41,5°. ყინვა მძიმვარებს. ამ ზამთარს ასეთი სიცივე ჯერ არ ყოფილა. ეს განსაკუთრებით გუშინ სალამოს ვიგრძენ, როცა თითქმის ყველა თითი წამეყინა.

8 იანვარი... საშინელი ქარბუქი ამოვარდა... საკმარისია ყინულის ქობიდან თავი გამოჰყო, გააფთრებული ქარი გაგიტაცებს და, ღმერთმა იცის, საით გადაგაგდებს... გაყინულ ფეხებს ერთმანეთს საათობით ვუტყაპუნებთ, მაგრამ ჩვენს გათბობას საშველი არ ადგება.

არა, ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ ამ საშინელ ღამეებს! ვერავითარი ტანჯვა ვერ გვიშლის სამშობლოსა და ახლობლებზე ფიქრს.

დრო კი გარბის... ლივი, ჩემი ქალიშვილი დღეს სამი წლისა სრულდება. ალბათ როგორ გაიზარდა, საბრალო ბავშვი! არა, ლივი, შენ არ დაობლდები! მომავალ წელს, შენს დღეობაზე ერთად უნდა ვიყოთ. მე მოგიყვები დათვების, ლომთევზების, ძაღლებისა და ყველა იმ საოცარი ცხოველის ამბავს, უდაბურ პოლარეთში რომ ბინადრობენ

1 თებერვალი... საინტერესოდ კი ვცხოვრობთ ყინულის ბუნაგში! რაიმე წიგნი მაინც გვქონდეს წასაკითხი! ლოცია და კალენდარი იმდენჯერ გადავიკითხეთ, ზეპირად ვიცით, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ნაბეჭდი მაინც ნუგეშს გვგვრის — ესლა გვაკავშირებს ცივილიზაციასთან.

16 მაისი... დათვები ისევ გამოჩნდნენ... დედა დათვი ბელით. მათ მოკვლას აზრი აღარ აქვს, წინა ნანადირევიდან ისეც ბლომად გვაქვს მარაგი, მაინც ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, ახლოდან შევათვალიეროთ, თან დავაშინოთ, რომ ღამე მყუდროება არ დაგვირღვიონ.

ჩვენს გამოჩენაზე ძუ დათვი ბრდღვინავს, მერე იმავე წუთს უკან ბრუნდება, ბელს წინ გაიგდებს და დრუნჩით უბიძგებს. ხანდახან ჩერდება, უკან იყურება და გვითვალთვალებს, რას ვაკეთებთ.

ნაპირს რომ მიაღწიეს, ყინულებს შორის განაგრძეს გზა. დედა დათვი წინ მიდიოდა და გზას უკაფავდა თავის პატარას. ამასობაში რამდენიმე ნაბიჯზე წამოვეწიე.

მუ დათვი წამსვე მოტრიალდა და მუქარით წამოვიდა ჩემკენ. ახლოს მოვიდა, საშინლად ბრდღვინავდა, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. როცა დარწმუნდა, ბელი დაწინაურდაო, თვითონაც აჩქარებული აედევნა უკან. მეც მივდიე.

მუ დათვმა მანვერი რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ბელისათვის უკან დახევის საშუალება მიეცა. აშკარად ემჩნეოდა, ერთი სული ჰქონდა, მცემოდა და ნაკუწ-ნაკუწად ვექციე, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ბელის დაცვას ცდილობდა; მუ დათვი მაშინდა იხევდა უკან, როცა ბელი კარგა მანძილით დაწინაურდებოდა და შვილს გზას უჩვენებდა, პატარას თოვლში ჩქარი სიარული უჭირდა, დედა თან ბელს უბიძგებდა, თან ჩემს თვითეულ ნაბიჯს და მოძრაობას უთვალთვალებდა.

ოღონდაც, გულისამაჩუყებელია ასეთი დედობრივი სიყვარული.

პეტრუშმა კედელზე გაკრულ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის რუკას ახედა და ცდილობდა, მოედებნა ის ადგილი, სადაც ნანსენი ამ სტრიქონების დაწერისას უნდა ყოფილიყო.

შუალამე გადავიდა, მაგრამ ბიჭი არც დაღლას გრძნობდა და ძილიც სულ არ ეკარებოდა. ნანსენის დღიურები დასასრულს უახლოვდებოდა. პეტრუშს ერთხელ უკვე წაუკითხავს და იცის რით მთავრდება ყველაფერი, მაგრამ მაინც არაფრის გულისთვის არ დაწვება, სანამ სულ არ დაამთავრებს.

განცდილი პერიპეტეიები როგორც ნანსენს შთააგონებდა დღიურების წერისას, ასევე შთააგონებდა იგი ახლა პატარა მკითხველს. ბიჭი მთელი არსებით მონაწილეობდა ამ ამბებში და რმუნდებოდა, რომ ადამიანის ნება და შეუპოვრობა ძლიერია ყოველგვარ მტრულ სტიქიაზე.

არც სიცივეს, არც ქარიშხალსა და არც შიმშილს არ შეუძლია ადამიანის დაჯაბნა.

ადამიანი ყოველთვის გაიმარჯვებს. ამისათვის საკმარისია, მუდამ მზად იყოს ბრძოლისათვის, ფხიზლად აზროვნებდეს, იყოს გულგრილი, და არ დაკარგოს საკუთარი ძალის რწმენა.

პეტრუში ისევ წიგნს მიუბრუნდა და ნანსენის დღიურის უკანასკნელი სტრიქონები ჩაიკითხა.

12 ივნისი... დილის ოთხ საათზე გავედით, მარხილზე აფრები ავუშვით. ღამე ყინვამ თოვლი გაამაგრა. ზურგის ქარით დაიმედებულნი ვფიქრობდით, აფრიანი ნავის მსგავსად წინ მსუბუქად და სწრაფად წავიდოდით.

სამხრეთის მოქურუშებული ცა იუწყებოდა, წყალი ყინულისაგან უკვე თავისუფალიაო. ჩვენს გასახარად ჩქარა შემოგვესმა ტალღების გამშაგებული ღმუილი ექვს საათზე შევჩერდით.

ისევ თავისუფალი და მაცოცხლებელი ზღვის წინაშე ვიდექით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ გვესმოდა მისი ნაცნობი ღმუილი და აღარ ვუყურებდით მძიმე მინის ჯავშნით შებორკილს!

ერთმანეთზე გვერდიგვერდ მიკრული კაიაკები წყალში ჩავუშვით, აფრები აღვმართეთ... ახლა უკვე შეგვეძლო წინ წასვლა!

საღამო ხანს ზღვის ნაპირთან ერთ-ერთ ყინულზე გადავედით, რომ კაიაკით ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ გასიებული ფეხები დაგვეზილა და მუხლი გაგვემართა.

კაიაკის მახლობლად წინ და უკან დავდიოდით... ზღვის ქარი ჩადგა; ემჩნეოდა, ქარს ახლა დასავლეთისაკენ ებრუნა პირი. მახლობელი ყინულის

ტოროსზე ავედი და ჰორიზონტს გავხედე... მინდოდა, გამერკვია, შევძლებდით თუ არა ასეთ ქარში გზის გაგრძელებას.

— კაიაკები წაიღო, — შემომესმა იოჰანსენის ყვირილი. რაც ძალი და ღონე გვექონდა ნაპირისაკენ გავრბოდით, მაგრამ თოკებდაწყვეტილი კაიაკები უკვე კარგა შორს მიცურავდნენ გაშლილ ზღვაში.

— დაიჭირე საათი! — ვეუბნები იოჰანსენს.

თვალის დახამხამებაში ვიხდი ტანსაცმელს, რომ ცურვაში არ დამაბრკოლოს. ყველაფრის გახდას ვერ ვბედავ, კრუნჩხვებისა მეშინია. ერთი ნახტომით წყალში აღმოვჩნდი.

ხმელეთიდან ქარი უბერავს და კაიაკებს სწრაფად ერეკება. წყალი ყინულივით ცივია, ტანზე შემოტმასნილი სამოსი მოძრაობას მიშლის, კაიაკები უფრო და უფრო მშორდებიან.

არამცთუ ვეწევი, პირიქით, ჩამოვრჩი, მათი დაჭერა შეუძლებელი მეჩვენება.

მაგრამ კაიაკებს თან მიაქვთ გადარჩენის იმედი და ყველაფერი, რაც კი გვებადა. დანაც კი აღარ გაგვაჩნია. ჩავიძირები თუ უკაიაკებოდ დავბრუნდები, სულ ერთია — სიკვდილი გარდუვალი იქნება ორივესთვის.

ვჯიუტობ და თავგანწირული ვატან თავს ძალას. მხოლოდ თავგანწირვას შეუძლია გადაგვარჩინოს. როგორც კი ვიღლები, ზურგზე ვწევი, ამ დროს ვხედავ იოჰანსენს; იგი მოუთმენლობისაგან ფეხებს ყინულზე ატყაპუნებს. საცოდავი ადგილს ვერ პოულობს — ნამდვილად საშინელ მდგომარეობაშია — დახმარება არაფრით შეუძლია; არადა, თითქმის გადაწყვეტილი აქვს იმედი, რომ ბოლომდე მეყოფა ძალ-ღონე. წყალში იმის ჩამოსვლას აზრი არა აქვს. მერე მითხრა — ეს ლოდინის წუთები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მტანჯველი იყო.

ცურვა რომ განვაგრძე, დავინახე კაიაკები არც თუ ისე შორს იყო ჩემგან. ამან ძალა შემმატა და უფრო თავგანწირულად გავწიე წინ, მაგრამ ფეხები ისე დამბუჟებოდა, ვეღარ ვანძრევდი.

ამასობაში ჩემსა და კაიაკებს შორის მანძილი კიდევ უფრო შემცირდა. რამდენიმე წამიც თუ გავუძელი, გადავრჩები. წინ!.. აი, მივუახლოვდი კაიაკებს, ერთხელ კიდევ რომ მოვიკრიბო ძალა, ზედ ასვლასაც შევძლებ!

როგორც იქნა თხილამურს ხელი ვტაცე, რაზეც კაიაკის უკანა ნაწილი იყო დანდობილი. გადავრჩით. ვცდილობ კაიაკზე ავბლოტდე, მაგრამ ამაოდ, გაფიჩხებული ტანი არ მემორჩილება. ერთ წამს ყველაფერი ამაოდ მეჩვენება — თითქოს მიზანს მივალწიე, ის კი ხელიდან მისხლტება.

ამ საშინელი დაეჭვების წუთების შემდეგ მაინც მოვახერხე ნარტზე აბლოტება და უმაღ ნიჩბებს მოვავლე ხელი, მაგრამ სხეული ისე მქონდა დაბუჟებული, ძლივს ვინძრეოდი.

მარტოს გამიჭირდა ორი კაიაკის წაყვანა. ნიჩბის მოსასმელად წამდაუწუმ ვბრუნდებოდი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. რა თქმა უნდა კაიაკების გაცალცალკება რომ შემიძლებოდა, — ერთი მემართა, მეორე კი ბუქსირით გამეყოლებინა, — საქმე გაცილებით უფრო გამიიოლდებოდა. მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფისათვის ასეთ მანევრზე ფიქრიც ზედმეტი იყო, სანამ ამის გაკეთებას მოვახერხებდი, ყინვა უმაღ გამთოშავდა. ვიფიქრე, ცოტათი მაინც გავხურდები-მეთქი და ენერგიულად მოვუსვი ნიჩბებს.

მაგრამ არაფერი მშველოდა. ზღვიდან ქარი რომ დაუბერავდა, მეგონა, ათასობით მახვილი ერთად დამემგერა-მეთქი. სიცივემ ამიტანა; კბილს კბილზე მაცემინებდა, მთელი ტანით ვცახცახებდი, მაინც გადავწყვიტე, ფარ-ხმალი არ

დამეყარა — რაც ძალი და ღონე მქონდა, ვუსვამდი და ვუსვამდი ნიჩბებს. ამ თავგანწირვამ გადამარჩინა!

უეცრად წინ ორი კაირი შევნიშნე. ცთუნება ძალზე დიდი იყო. თოფს ვტაცე და ორივე ფრინველი ერთი გასროლით მოვკალი.

იოჰანსენმა მერე მითხრა, თოფის ხმა რომ გავიგონე, ვიფიქრე, რაღაც უბედურება მოხდა, ვერ გამეგო, რას აკეთებდიო. მერე რომ დამინახა, ნიჩბებს ვუსვამდი და თან ნადავლს ვუჩვენებდი, გადაწყვიტა, ალბათ გაგიჟდაო.

როგორც იქნა, ნაპირს მივადწიე, საიდანაც წყალში გადავხტი. იოჰანსენმა ყინულის ბელტებზე ხტუნვა-ხტუნვით მოირბინა ჩემთან.

არაქათგამოლეული მივჩანჩალებდი, ფეხზე ძლივძლივობით ვიდექი.

იოჰანსენმა გამხადა, დამაწვინა და რაც კი გვებადა, ყველაფერი ზედ დამაყარა. მაინც კანკალმა ამიტანა. სანამ იოჰანსენი კარავს დადგამდა და კაირს შეწვავდა, ჩამეძინა. რომ გავიღვიძე სადილი უკვე მზად იყო. დამბინდავმა ცხელმა წვნიანმა და მშვენიერმა მოხრაკულმა საშინელი თავგადასავალი მაშინვე დამავიწყა...

15 ივნისი... ღამის პირველ საათზე გზა განვაგრძეთ. საოცრად წყნარი ამინდი იდგა. ზღვაში ლომვეშაპები ირეოდნენ...

ნაპირს სწრაფად მივყვებოდით, სამწუხაროდ, ბურუსი ფარავდა ყველაფერს და გვიჭირდა ტოპოგრაფიაში გარკვევა... ჩვენს პირდაპირ ლომვეშაპი გამოჩნდა, იოჰანსენი დაწინაურდა თავისი კაიაკით და მცურავ ყინულებს მიეფარა.

სანამ მე იოჰანსენის კვალზე ადევენებას მოვისაზრებდი, ზღვის ურჩხული ჩემს კაიაკს ეცა და ცდილობდა, ეშვებით გადაებრუნებინა. ნიჩაბი ვთხლიშე თავში, მოვიგერიე, მაგრამ იერიში ხელახლა მოიტანა, ახლა თოფს ვტაცე ხელი, ლომვეშაპი ამასობაში სადღაც გაქრა.

მიხაროდა, საფრთხეს თავი დავადწიე-მეთქი, სწორედ ამ დროს ვიგრძენ, რომ ფეხები დამისველდა. ეტყობოდა, ლომვეშაპს ეშვით კაიაკის ძირი გაეხვრიტა და იგი წყლით ივსებოდა. ძლივს მოვასწარი მცურავ ყინულზე გადახტომა. კაიაკი ყირავდებოდა, იოჰანსენის დახმარებით, როგორც იქნა, იგი ყინულთან მივათრიე...

მთელი ჩემი ავლადიდება წყლით სავსე კაიაკში ცურავდა. მეშინოდა, არ გამფუჭებოდა ძვირფასი ფოტოგრაფიული ფირფიტები.

ნახვრეტის სიგრძე 15 სანტიმეტრი აღმოჩნდა. კაიაკის შეკეთება იმ იარაღით, რაც ხელთ გვქონდა, არცთუ ისე იოლი იყო....

17 ივნისი... ნაშუადღევს გამეღვიძა, წვნიანისათვის წყალი მოვიტანე, ცეცხლი დავანთე, ხორცი დავჭერი; ერთი სიტყვით, სადილის თადარიგს შევუდექი.

მერე მეზობელი ყინულის ტოროსზე გადავედი და იქაურობას ვათვალიერებდი.

მახლობელი ხმელეთიდან ქარს კლდეთა ბინადარი ფრინველების ჟრამული მოჰქონდა. ვუსმენდი ამ ხმებს, თვალს ვაყოლებდი კაირების გუნდს, თავს რომ დამტრიალებდა და ვტკბებოდი კლდეებით, შავად დაწინწკლული თეთრი ნაპირით.

უცებ ხმელეთიდან ძაღლის ყეფის ხმა მომესმა. ეგებ მომეჩვენა? შემკრთალმა მივაყურადე, ფრინველთა ხმამაღალი კივილის გარდა, ვედარაფერი გავიგონე. თუმცა არა, ყეფა განმეორდა, საეჭვო აღარაფერი იყო!

მაშინვე გამახსენდა, რომ წინა დღით ორჯერ შემომესმა თოფის სროლის ხმა, მე კი ვიფიქრე, ყინული სკდებოდა.

იოჰანსენს გავძახე, ხმელეთიდან ძაღლების ყეფა ისმის-მეთქი.

— ძაღლების? — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ნამძინარევმა.

იოჰანსენი მაშინვე იქაურობის დასაზვერად გაეშურა,

არ მიჯერებდა, ეგონა, მომეჩვენა. თუმცა ძაღლის ყეფისათვის თითქოს იმასაც მოეკრა ყური, მაგრამ მერე ფრინველთა ჟრიაშულმა დაფარაო. მე კი დარწმუნებული ვიყავი, არ ვცდებოდი.

ნაჩქარევად ვისაუზმეთ, თან ათასნაირ რამეს ვვარაუდობდით, იქნებ ამ არემარეში ექსპედიციაც არის ვინმესიო, თუ ასეა, ნეტავი იქნებიან, ინგლისელები თუ ჩვენი თანამემამულენი? იქნებ სულაც ინგლისელთა ის ექსპედიციაა, ჩვენი გამომგზავრების ხანს ფრანც-იოსების მიწის გამოსაკვლევად რომ ეშურებოდნენო? ასე რომ იყოს, რას ვიზამთო.

— არაფერს, — ამბობს იოჰანსენი, რამდენიმე დღე მათთან დავრჩებით, მერე კი შპიცბერგენისაკენ ავიღებთ გეხს, სხვანაირად, ღმერთმა უწყის, შინ როდის მივაღწევთ!..

ეს აზრი მომეწონა. ინგლისელებს სანოვაგეს გამოვართმევთ და გზას განვაგრძობთ-მეთქი.

ნასაუზმევს მე დასაზვერად წავედი, იოჰანსენი კი კაიაკებს დავუყენე დარაჯად.

ახლა მარტო ფრინველთა ჟიჟივი და კაირების გულისგამაწყალებელი კივილი მესმოდა.....იოჰანსენი მართალია, ნამდვილად მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე.

უეცრად თოვლზე კვალი შევნიშნე. იგი თეთრი მელიების კვალზე გაცილებით დიდი იყო. ჩვენი ბანაკიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, ჩანს, ძაღლებს ჩაუვლიათ. მაგრამ რატომ არ ყეფდნენ, ან ჩვენ როგორ ვერ დავინახეთ? იქნებ თეთრი მელიების კვალია..?

თავი დომხალით მერევა. რწმენა და ეჭვი ერთმანეთს გადახლართვია. დაუჯერებლად მეჩვენება, რომ ბოლო მოედება ჩვენს არაადამიანურ შრომას, ტანჯვასა და გაჭირვებას. თუმცა, ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია.

ყევა უკვე გარკვეულად გავიგონე. გარშემო კვალიც გახშირდა. არა, ეს მხოლოდ ძაღლების კვალი შეიძლება იყოს. ახლა ისევ ფრინველთა გუნდის ხმაური მესმის, ეჭვი მომეძალა, სიზმარში ხომ არ ვარ-მეთქი.

არა, ეს ნამდვილი კვალია ნამდვილ თოვლზე. საკუთარი თვალით ვუყურებ და ხელითაც ვსინჯავ...

თუ ექსპედიცია აქ არის დაბანაკებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გილისის მიწაზე, ან ახალ ხმელეთზე კი არ უნდა ვიყოთ, როგორც ვვარაუდობდით, არამედ ფრანც-იოსების მიწის სამხრეთ სანაპიროზე, ეს რამდენიმე დღის წინ რატომ ვერ მოვისაზრეთ?

ყინულიდან მიწაზე რომ დავადგით ფეხი, თითქოს ადამიანის ხმა შემომესმა.

სამი წლის შემდეგ პირველად გავიგონე უცხო ხმა! გული ლამის საგულედან ამომივარდა.

კლდეს თავს მოვექეცი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ყვირილი მოვრთე.

ყინულოვან უდაბნოში გაგონილი უცხო ადამიანის ხმა ჩემთვის გახმინდა, როგორც ცხოვრების ძახილი, როგორც შორეული მიწისა და თვით სამშობლოს მოსალმება.

ჩქარა სხვა ხმაც ჩამესმა. ყინულის ტოროსებს შორის შავი ლანდი შევნიშნე, მერე მეორე ლანდიც დავინახე... ადამიანი, ადამიანი!..

იქნებ ჯონსონია, ან მისი ერთ-ერთი თანამგზავრი? ან ეგებ ჩემი თანამემამულეც არის? ერთმანეთის შესახვედრად გავემართეთ: ორივე ქუდს ვაქნევთ. მესმის ძაღლს ელაპარაკება. არა, ნორვეგიელი არ არის. რამდენიმე ნაბიჯიც

გადავდგი და ასე მეგონა, ვიცანი უცხოური ექსპედიციის მეთაური, რომელსაც ჩვენს გამომგზავრებამდე ერთხელ უკვე შევხვედრივარ.

მივესალმე. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

ჩვენს მალა შავი ღრუბლებია, ფეხით კი მქისე, უსწორმასწორო ყინული. ირგვლივ ხმელეთის წვრილი ზოლიც თოვლითა და ყინულითაა დაფარული. გვერდიგვერდ მივდივართ, ეტყობა, პეწენიკ მკვლევარს ვერ გაუბედავს პოლარულ უდაბნოში ხიფათებთან შებმა. მას გალაპლაპებული მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, ირგვლივ საპნის სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდა, რომლის მიმართ უაღრესად მგრძნობიარე აქვს ყნოსვა ჩემსავით პრიმიტიულ ადამიანს. მე კი ისე ვიყავი სელაპის ქონითა და ჭუჭყით გაზინთული, ჩამოძონძილი და წვერგაბარჯლული, რომ ამ ყოფაში ეშმაკიც ვერ მიცნობდა.

— ბედნიერი ვარ თქვენთან შეხვედრით — მითხრა უცნობმა.

— გმადლობთ, მეც დიდი მოხარული ვარ.

— თქვენი გემი ახლომახლოა სადმე?

— არა.

— რამდენი ხართ?

— ორნი ვართ, ამხანაგი აქვეა, ყინულზე დავტოვე.

საუბრიF ნაპირს მივყვებოდAთ, უეცრად უცნობი შეჩერდა, დაკვირვებით შემომხედა და წამოიძახა:

— თქვენ, შემთხვევით ნანსენი ხომ არა ხართ?

— დიახ, ნანსენი ვარ!

— ღმერთო ჩემი, როგორ მიხარია თქვენი ნახვა!

მეგობრულად გამიღიმა, ხელი მაგრად ჩამომართვა.

— საიდან მოდიხართ?

— ორ წელიწადს გემით ვცურავდით, მერე ჩრდილოეთ განედის 84°-ზე მე და ჩემმა ამხანაგმა «ფრამი» მივატოვეთ, ქარსა და დინებას მივენდეთ და 86° 13'-მდე მივალწიეთ. იქიდან ფრანც-იოსების მიწამდე მივედით, იქ გამოვიზამთრეთ, ახლა კი შპიცბერგენისაკენ ავიღეთ გეზი...

— თქვენი წარმატების მოსმენა მახარებს. დიდებული შედეგისთვის მიგილწევიათ. ალტაცებული ვარ, რომ წილად მხვდა ბედნიერება პირველმა მოგილოცოთ!

უცხოელმა ისე ჩამომართვა ხელი. ამ ხელის ჩამორთმევაში უბრალო თავაზიანობაზე გაცილებით უფრო მეტი იგრძნობოდა, მან თავიანთ ბანაკში მიმიწვია, მითხრა, ექსპედიციისათვის დღე-დღეზე ველოდებით სანოვაგესო, მე ჩემი ოჯახის ამბავი ვკითხე, შევიტყვე, ორი წლის წინათ, მათი გამომგზავრებისას, ჯანმრთელნი ყოფილიყვნენ ჩემი ცოლი და ქალიშვილი, მერე ჩემი ნორვეგიაც მოვიკითხე.

ბოლოს იოჰანსენის გასაგონად თოფები ორ-ორჯერ ვისროლეთ.

მცირე ხნის შემდეგ ექსპედიციის მონაწილე მთელ ჯგუფს შევხვდით. ერთმანეთს გავეცანით დაიწყო მილოცვები, მალე ექსპედიციის დანარჩენი წევრები — სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები, მათ შორის ბოტანიკოსებიც შემოგვიერთდნენ: ბოტანიკოსმა ფიშერმა მითხრა შორიდან უცნობი კაცი რომ დავინახე, მაშინვე გადავწყვიტე, ეს მხოლოდ შენ შეიძლება ყოფილიყავ, მაგრამ ხელში კუპრით შავთმიანი კაცი რომ შემრჩა, ვიფიქრე, შევცდიო. ყველამ თავი მოიყარა. ექსპედიციის უფროსმა აცნობათ, რომ ჩვენ 86°13' მივალწიეთ.

ახალ ამბავს სამგზის ვაშას შეძახილით შეხვდნენ.

საუბარში შეუმჩვენვლად მივდგომოდით ექსპედიციის ბინას, რუსული ყაიდის ხის სახლს.

უკაცრიელ ყინულოვან უდაბნოში მიკარგულ თბილ თავშესაფარში შევედით. ჭერსა და კედლებზე მწვანე მაუდი გაეჭიმათ კედლებზე ფოტოსურათები და ფეხსაცმელი გასაშრობად გამოეფინათ, შუაში ღუმელი ენთო. ჩვენთვის თითქმის უცხოდქცეულ საგანთა შორის საოცარი სიხარულისა და სამყაროს შეგრძენების უჩვეულო განცდა დამეუფლა, სამი წლის მძიმე პასუხისმგებლობა და მუდმივი შიში სადღაც გამიქრა. ყინულებს შორის თავი პირველად ვიგრძენ უშიშრად. ბრძოლის ამ წლებში ჩემს ხვედრადქცეული მოლოდინის სიმწარე ლამაზმა ზმანებებმა შეცვალა. მოვალეობა მოვიხადე, საქმე კეთილად დაგვირგვინდა.

ისღა დამრჩენოდა, დამესვენა და სამშობლოში დასაბრუნებლად გემის მოსვლამდე მეცადა.

ჯეკსონმა საგულდაგულოდ დალუქული კოლოფი გადმომცა. შიგნორვეგიიდან გამოგზავნილი წერილები აღმოჩნდა. ჯეკსონს ეს წერილები ჩემთვის გადმოსაცემად ალაღბედზე წამოეღო, ეგებ განგებამ შეგვახვედროსო. ავი გამართლდა მისი ვარაუდი. გულამგერებულმა კოლოფი აკანკალებული ხელებით გავხსენი. ყველა წერილი მხოლოდ კეთილის მაცნე გამოდგა.

მაგიდაზე თავსაყრელად ელაგა საჭმელი: პური, კარაქი, რძე, შაქარი, ყავა. მათი გემო წელიწადნახევარზე მეტია დავიწყებული მქონდა.

მაგრამ ცივილიზაციის ყველაზე დიდი კეთილყოფილობა მაშინ შევიცან, როცა ძონძმანძი გადავყარე და დავიბანე. ჭუჭყი იმ სისქედ გვედო, სანამ ზედიზედ არ ვიბანავთ, ვერ მოვიშორეთ. ბოლოს, სუფთა, თბილი ტანსაცმელი რომ ჩავიცით, გავიპარეთ და გრძელი გაბარჯღული თმა გავიკრიჭეთ, ველურები საბოლოოდ ვიქცით ცივილიზებულ ადამიანებად. და ეს მოხდა გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე საწინააღმდეგო ფერისცვალება, რომელიც 18 თვის წინათ დაიწყო, როცა მე და იოჰანსენი მარტოდმარტო აღმოვჩნდით ყინულის უდაბნოში.

მშვიდად და მყუდროდ ვცხოვრობდით გემის მოლოდინში და სამეცნიერო ექსპედიციასთან ერთად ჩვენი ხანგრძლივი მოგზაურობის შედეგად დაგროვილ დაკვირვებებს ვამოწმებდით.

26 ივლისი... როგორც იქნა გემი «ვინდვორდი» სანოვაგით დატვირთული ნაპირს მოადგა! გადმოვტვირთეთ. გემბანზე ავედით... აქ ჩვენი წამოსვლის შემდეგ მომხდარი ახალი საოცარი ამბები შევიტყვეთ — რენტგენის სხივების დახმარებით შეიძლება რამდენიმე სანტიმეტრის სისქის კარის ხის იქიდან ადამიანის ფოტოსურათი გადაიღონ, დაჭრილის სხეულში კი — ტყვიას! შპიცბერგენისაკენ გზა ხსნილია ტურისტებისათვის! ნორვეგიის გემთა საზოგადოება რეგულარულად ამყარებს კავშირს ჩვენს ქვეყანას და პოლარეთის ამ მხარეს შორის. აქ სასტუმროც აუშენებიათ და საფოსტო განყოფილებაც მუშაობსო. შვედ ანდრეს გადაუწყვეტია, საჭაერო ბუშტით პოლუსს მიაღწიოს და ზურგის ქარსღა ელოდებო. შპიცბერგენამდე რომ მიგვეღწია, თურმე დარბი მეთევზეები კი არა, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, კომფორტაბელური სასტუმრო და ტურისტები დაგვხვდებოდნენ.

კარგი ამბავი კი იქნებოდა, ტურისტებთან ჭუჭყიანი და ჩამოფლეთილები რომ გამოვჩენილიყავით!

7 აგვისტო... უკანასკნელი ხანმოკლე შესვენების შემდეგ დადგა განშორების წუთები... «ვინდვორდს» სამშობლოში მივყავართ. დრო სწრაფად გადის, მოგზაურობა სასიამოვნოდ გვეჩვენება.

12 აგვისტოს, სადამოს, ჰორიზონტზე შავი ზოლი შევნიშნე. ეს მიწა! ნორვეგიის მიწა! მოჯადოებულებით საათობით მივჩერებივარ. მთელ ღამეს თითქმის გემბანზე ვატარებ და ვნეტარებ იმ შავი ზოლივით. მერე ციებიანივით კანკალი მიტანს. ნეტა რა ამბავი დაგვხვდება შინ?

21 აგვისტო... ღუზა ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყველაზე ჩრდილოეთ ქალაქ ჰამერფესტში ჩავუშვით. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება მოსალოცი დეპეშები. «ფრამის» შესახებ კი არაფერი ისმის. მისი დაყოვნება მეუცნაურება და ცოტა არ იყოს მაშფოთებს.

26 აგვისტოს, დილით გამაღვიძეს. ვიღაც კაცი დაჟინებით მოითხოვს ჩემთან საუბარს.

ჩავიცვამ და ამწუთს გამოვალ-მეთქი.

არა უჭირს, ჩაუცმელი გამოდიო.

ნაჩქარევად ვიცვამ; საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილების გამგე დამიხვდა. დეპეშა ეჭირა.

— მეტად საყურადღებო დეპეშაა სკიურვიედან, ამიტომ გადავწყვიტე, თავად ჩამებარებინა თქვენთვის.

ამ წუთში აღარაფერი მახსოვდა ქვეყანაზე, მხოლოდ «ფრამსა» და ჩემს თანამგზავრებზე ვფიქრობდი.

დეპეშა აკანკალებული ხელით გავხსენი.

დოქტორ ნანსენს.

დღეს «ფრამი» დაბრუნდა. ყველაფერი რიგზეა.

ყველანი ჯანმრთელად ვართ. ტროსიეში გავდივართ. მოგესალმებით სამშობლოს მიწაზე.

ოტო სვერდრუპი.

აღელვებისაგან კრიჭა შემეკრა.

— «ფრამი» ჩამოსულა, — ამოვდერღე როგორც იქნა.

თვალებისთვის ვერ დამეჯერებინა, დეპეშა რამდენჯერმე გადავიკითხე. ახლა მთელი ნორვეგიის ქალაქებში ალბათ საყოველთაო ზეიმი დაიწყება.

მეორე დღეს ტრომსიეში ჩავედი. «ფრამი» უკვე ღუზაჩაშვებული დაგვიხვდა. უკანასკნელად რომ ვნახე ჩვენი გემი, ნახევრად ყინულებში იყო ჩაფლული. იგი ჩემს თანამგზავრებთან ერთად მოდრეიფე ყინულის მეუფებას მივანდე, რომ ოკეანის დინება შეემოწმებინათ. ჩვენი ექსპედიციის მთავარი ამოცანაც სწორედ ეს იყო. მე და იოჰანსენი კი ყინულებითა და ყინულებს შორის დამდგარი წყლებით შორს გავუყევით, სხვა უდაბურ მხარეთა გამოსაკვლევად. წელიწადნახევარი ვიხეტიალეთ თითქმის. ახლა «ფრამი» ამაყად მთარღვევს სამშობლოს წყლებს. ყველგან «ვაშას» მახილით ხვდებიან, ჩვენც ავედით გემზე და გზა განვაგრძეთ.

სადაც გავიარეთ, სანაპიროზე თავმოყრილი ხალხი გვხვდებოდა ყველგან. თითქოს თავად ნორვეგია ამაყობდა ჩვენით და გადატანილი ჭირვარამის სამაგიეროდ დედასავით ხელებგაშლილი გულში ჩასაკრავად გვეგებებოდა... თუმცა ჩვენ მარტოდენ ჩვენი მოვალეობა მოვიხადეთ და ბოლომდე შევასრულეთ დასახული მიზანი.

ხელახლა დავუბრუნდით ცხოვრებას, სინათლითა და იმედით სავსე რომ გვესახებოდა. მოსალამოვდა. მზე ლურჯი ზღვის იქით გადაიწვერა. წყლის მშვიდ

ზედაპირს შემოდგომის მწუხრი დაეფინა! რა სილამაზეა!.. ეგებ სიზმარია? არა. მზის უკანასკნელმა სხივებმა გაანათა საყვარელი ნაცნობი სილუეტები, საიდანაც ქრის ცხოვრების რწმენისა და მშვიდობის ქარი.

ყინულის უდაბნო და პოლარული ღამის გამჭვირვალე მთვარის შუქი ახლა მიღმა სამყაროს შორეულ ზმანებად მეჩვენებოდა, მაგრამ რას ემგვანებოდა ცხოვრება ასეთ ზმანებათა და ოცნებათა გარეშე.

ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალეზა ბიჭმა წიგნის უკანასკნელი ფურცელი გადაშალა.

თავი უკან გადასწია და დაკვირვებით შეათვალიერა კედელზე გაკრული ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის რუკა. ძილი სულ აღარ ეკარებოდა, იდაყვები საშინლად დაბუყებოდა.

დრო შეუმჩნევლად გასულიყო.

პეტრუში აგზნებული და აღელვებული იყო. ოცნებამ მუდმივი ყინულების მხარეს გაიტაცა და გამირული გემის, «ფრამისა» და მისი სეხნია თეთრი დათვის კვალს აადევნა.

შორეულ ზღვებსა და მთებს რაღაც უჩინარი ძაფებით დაეკავშირებინა ერთმანეთთან ადამიანები, ცხოველები თუ მოვლენები, რომელთა ერთ ადგილას და ერთ დროში თავმოყრა, თითქოს შეუძლებელი ჩანდა.

ამ უხილავმა კავშირმა ბევრის ცხოვრებას დააჩინა ღრმა კვალი: მოხუცმა ლარსმა, ნანსენის «ფრამის» ყოფილმა მეზღვაურმა, ოდესღაც მონადირეთა მიერ მუდმივ ყინულთა სამეფოში შეპყრობილ დათვის ბელს ფრამი შეარქვა. ეს ბელი შემდეგ სტრუცკის ცირკის ცნობილ თეთრ დათვად იქცა. მარვალი წლის შემდეგ გამოსათხოვარ წარმოდგენაზე ქალაქში, სადაც აღარასოდეს ეწერა ფრამს უკან დაბრუნება, თეთრმა დათვმა პატარა ბიჭს, სხვებთან ერთად რომ ყვიროდა ფრამის სახელს, დაუოკებელი ინტერესი აღუძრა პოლარული ექსპედიციის მიმართ.

და ახლა ეს ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალეზა ბიჭი მთელი არსებით განიცდის ნანსენის მიერ გადატანილ ამბებს, ყველაფერს განიცდის ისევე, როგორც დიდ მკვლევარს განეცადა თავისი დღიურების წერისას მრავალი წლის წინათ შორეულ, თეთრ უდაბნოში მოდრეიფე ყინულებს შორის.

პეტრუში მასთან ერთად იტანჯებოდა, მასთან ერთად კანკალებდა, სიცივისაგან და შიმშილისაგან ღამის სულიც კი ამოხდა. მასთან ერთად კინაღამ ჩაიძირა ყინულებს შორის დამდგარ წყალში და გადარჩა, რომ ბოლოს ეზეიმა გამარჯვების სიხარული.

პეტრუშმა წიგნი დახურა. მზერა რუკას მიაპყრო. ისევ თეთრი დათვი ფრამი გაახსენდა.

— ნეტავი სად არის ახლა ჩვენი ფრამი?.. თავის თავს ჰკითხა ბიჭმა დასაძინებლად რომ წვებოდა, — საინტერესოა, რას აკეთებს ახლა თავის ყინულოვან უდაბნოში.

მეორე დღეს გონებაგახალისებული ბიჭი თანატოლებს ხელების ქნევით, აღფრთოვანებული უყვებოდა თეთრი დათვებისა და პოლარული მხარის ათას უცნაურ ამბებს. უყვებოდა, როგორ ავიდა ერთხელ თეთრი დათვი გემზე, და როგორ წაიყოლა თან სამი ძაღლი, როგორ გადარჩა ნანსენი ყინულივით ცივ წყალში დახრჩობას და სამშობლოში დაბრუნებულს რა დიდი ზარზეიმით შეხვდნენ.

ზამთრობით ბავშვები თოვლისაგან განსწავლულ თეთრ დათვს, ფრამს აკეთებდნენ.

— მოიცათ, მოდი ნახშირის თვალეები გავუკეთოთ! — წამოიძახა პეტრუშის ერთმა მეგობარმა და გაიქცა, მაგრამ წაიბორძიკა, დაეცა და თოვლის დათუნიაც გადააყირავა.

ყველა ახარხარდა. დამნაშავე ნამქერში აკოტრიალეს, შიგ თავდაყირა ჩააყუდეს, მერე ისევ თოვლის დათვს მიუბრუნდნენ.

უპეტრუშოდ საქმისათვის თავი ვერ მოებათ. დათვი ფეხზე ძლივს იდგა, თან ხეირიანად არცა ჰგავდა დათვს: თავი ვეებერთელა ჰქონდა, ფეხები — ნამეტანი გრძელი.

— პეტრუშ, პეტრუშ, შენ ნამდვილი ოსტატი ხარ! დაგვეხმარე!.. — ეტყოდნენ ხოლმე ბავშვები.

პეტრუშიც მაშინვე იქ გაჩნდებოდა. ფრამს თავ-პირს მოუმრგვალებდა, მშვენივრად იცოდა, როგორ უნდა გაეკეთებინა ნახშირის თვალეები, ნამდვილ თეთრ დათვს რომ დამსგავსებოდა.

ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხევდა, შეათვალიერებდა, თავს გააქნევდა, და რამეს შეუსწორებდა ან მიუმატებდა.

— უჰ! რა სიცივია, გავიყინე... თითები სულ დამიბუჟდა! — აწუწუნდებოდა რომელიმე და თან ხელეებზე იორთქლებდა.

— შენცა ხარ რა, ორ გრადუს ცინვაზე კანკალებ! — დაუცაცხანებდა პეტრუში, — პოლუსზე ორმოცსა და ორმოცდაათ გრადუსზე რაღას იზამდი?

— არაფერსაც არ ვიზამდი. მე იქ რა მინდა. შენა ხარ პოლარული ექსპედიციის სპეციალისტი და თუ გინდა, შენ წადი.

— რატომაც არ წავალ!

— მერე ორმოცგრადუსიან ცინვას გაუძლებ? — გავუძლებ! ნანსენმა ან სხვებმა როგორ გაუძლეს? ვერა ხედავ სულ არა მცივა?

მართლაც პეტრუში პოლარეთში სამოგზაუროდ ემზადებოდა და სხეულის გაკაჟება ამთავითვე დაეწყო. დილდილობით თავით ფეხებამდის ტანს თოვლით იზელდა. აღარ ახველებდა, აღარც აცემინებდა. ავადმყოფობა და გაციება რა იყო, არ იცოდა.

ჯანმრთელი და მხიარული ბიჭი გახდა. ბოლო ხანებში ტანიც აიყარა. ამხანაგებს და თანაკლასელებს უფრო მეტად შეუყვარდათ, მასწავლებლებმაც სხვა თვალით შეხედეს. პოლარულ ექსპედიციებზე წაკითხულმა წიგნებმა საღად აზროვნებას და საქმის დროულად გადაწყვეტას მიაჩვიეს. ისიც ასწავლეს, რომ კარგს არას მოუტანდა უპასაუხისმგებლობა ან შემთხვევითობაზე დანდობა.

ქალაქგარეთ ტყეებისა და ტბების სანახავად ექსკურსიებზე რომ მიდიოდნენ, ხელმძღვანელად ყოველთვის პეტრუშს ირჩევდნენ, ისიც თავს არასოდეს ირცხვენდა.

შინაც ღარიბ ოჯახს ათასი თავსატეხი რომ გამოუჩნდებოდა, უფროსი დები და ძმები წინანდებურად უთავბოლოსა და დოცლაპიას კი არ ეძახდნენ, მას უკვე ენდობოდნენ და ხანდახან რჩევისთვისაც მიმართავდნენ.

— პეტრუშ, შენ რაღას ფიქრობ, ეგებ შენ უკეთესად გააკეთო, ტყუილად ხომ არ სწავლობ ათას რამეს.

პეტრუშს ყველაფერი ეხერხებოდა, თოვს ისე დაგრებდა, კბილებითაც ვერაფერს დააკლებდით, ქარბუქი რომ ამოვარდებოდა, კარისა და ფანჯრის ჭუჭრუტანებს ისე ამოგმანავდა, ოთახში ოდნავადაც აღარ უბერავდა, მარხილები, ციგურები და ძველისძველი თხილამურები ახლომახლო ქუჩების ბავშვებს სულ მასთან მიჰქონდათ შესაკეთებლად. იგი გამომგონებელიც გახდა, წნელისაგან ისეთი

«თოვლსასიარულოები» დაწნა, რომ თოვლზეც შეიძლებოდა სიარული და ყინულზეც.

პოლარული ამბების მოყოლაში ხომ ბადალი არ ჰყავდა.

ხმა შეეცვლებოდა, სახე წამოენთებოდა, თვალები კიდევ უფრო გაუბრწყინდებოდა და სხვებსაც განაცდევინებდა, რაც თავად განეცადა მკვლევართა თავგადასავლების კითხვისას.

— პეტრუმ, შენ, მგონი, რაღაც-რაღაცებს უმატებ, — უნდობლად ეტყოდა ხანდახან მოსაუბრე... — ნამეტანი ალამაზებ შენს გმირებს.

— ვუმატებ და ვალამაზებ? — აღშფოთდებოდა პეტრუმში, გინდა, მოგიტან წიგნს და შენ თვითონ წაიკითხე, ბოლომდე მაინც არ მოვყოლივარ! კარგი?

ხანდახან პეტრუმში წიგნს რომ კითხულობდა, თვითონაც არ უჯერებდა საკუთარ თვალს. ყველაფერი ნათელი მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა წიგნს თავიდან ბოლომდე გულმოდგინედ მეორედ გადაიკითხავდა.

ერთხელ პეტრუმს გზაში პენსიონერი მასწავლებელი შეხვდა. ბიჭი მიესალმა და წასვლა დააპირა, მაგრამ მოხუცმა შეაჩერა.

— მოიცა, პეტრუმ, — უთხრა ქერაკულულებიანი ლილიკას პაპამ, — შენ რაო, რატომ აღარ მოდიხარ ჩვენთან?

— არ მინდა შეგაწუხოთ. მე ხომ თეთრ დათვებსა და ექსპედიციებზე თითქმის ყველა წიგნი წავიკითხე თქვენს ბიბლიოთეკაში?

მასწავლებელს გაეცინა და ხუმრობით თითით დაემუქრა:

— ძალიან კარგი! მაშ, შენ მარტო წიგნების გამო მოდიოდი? წიგნები აღარა გვაქვს და დაგვივიწყე ხომ?

პეტრუმში დაიბნა.

— არ მინდოდა, თავი მომეხერებინა... — ჩაიბურტყუნა დარცხვენილმა.

— ეგ რა სათქმელია, — კეთილი ღიმილით დატუქსა მოხუცმა, — განა როდისმე გაგრძნობინე, გავბეზრდი-მეთქი? პირიქით, წაკითხულ წიგნებზე შენთან დავა ყოველთვის მსიამოვნებს.

ბიჭს აღარაფერი ეთქმოდა, პასუხი ვერ იპოვა და თვალები დახარა.

პეტრუმში თავს დამნაშავედ გრძნობდა და ნამდვილად ვერ გაეგო, როგორ დაემართა, რომ ერთ თვეზე მეტ ხანს აღარ მოინახულა მოხუცი მასწავლებელი და მისი ქერაკულულებიანი შვილიშვილი.

— არა უშავს, პეტრუმ, მე სულაც არ გიწყრები. აი, ლილიკა კი ნამდვილად ნაწყენია. თუმცა ყველაფერი მოგვარდება. ისე მენანება ახალი წიგნი რომ ვერ წაიკითხე.

— ახალი წიგნი? — გამოცოცხლდა პეტრუმში.

— ჰო, ახალი წიგნი...

— თეთრ დათვებზე და პოლარულ ექსპედიციებზეა?

— ჰო, თეთრ დათვებსა და პოლარულ ექსპედიციაზეა. მაგრამ იმათზე საინტერესოა, რაც აქამდე წავიკითხავს. ეს წიგნი ცნობილ რუს მკვლევარზეა დაწერილი, რომელთაც შორეული ჩრდილოეთის უკიდურეს სივრცე შეისწავლეს.

— წიგნი თქვენა გაქვთ თუ ათხოვეთ ვინმეს, — ჰკითხა აღელვებულმა პეტრუმმა.

— მსურველები ბევრნი გამოჩნდნენ, მაგრამ არავის არ მივეცი...

— მე მათხოვებთ?

— კანონით პირველად იმათთვის უნდა მიმეცა, შენამდე ვინც მთხოვა, — უპასუხა მოხუცმა მასწავლებელმა, — შენ თავს დააბრალებ, — იმის ნაცვლად, რომ ეს წიგნი ორი კვირის წინათ წაგეკითხა, მხოლოდ ხვალ დაიწყებ.

— დღეს, დღესვე წავიკითხავ! — სხაპასხუპით უთხრა პეტრუშმა.

— კარგი, პეტრუშ, თუ ასეა, მიმაცილე შინამდე და მოგცემ წიგნს.

— ამ საღამოსვე წავიკითხავ და ხვალ დაგიბრუნებთ, — შეჰპირდა პეტრუში.

— დაპირებისას ნუ აჩქარდები, — დამრიგებლურად უთხრა ყოფილმა მასწავლებელმა, — იცოდე, სულაც არ გაჩქარებ! ეს ისეთი წიგნია, რაც შეიძლება დაკვირვებითა და გულმოდგინედ უნდა წაიკითხო.

მართლაც სულ სხვანაირი იყო ეს წიგნი და, რა თქმა უნდა, პეტრუშმა ერთ ღამეში ვერ წაიკითხა.

ჯერ სულმოუთქმელად სამი დღე ზედიზედ ნასადილევს კითხულობდა.

მერე ერთი კვირა აუჩქარებლად ხელახლა გადაიკითხა.

სქელი წიგნი წვრილი შრიფტით იყო დაბეჭდილი, შიგადაშიგ სურათები და რუკები ჰქონდა ჩართული. მკვლევართა თავგადასავალი დაწვრილებით იყო აღწერილი. თითოეული ფურცელი, თითოეული ფოტოსურათი გაბედული რუსი მკვლევარებისა და პირველ აღმოჩენთა გაუგონარი გმირობის ამბებს ჰყვებოდა.

ერთნი დღემდე გამოუკვლეველ კუნძულზე ნავთის, ქვანახშირისა და ლითონთა საბადოებს ეძიებდნენ, მეორენი სწავლობდნენ ჩრდილოეთის ზღვის ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს. იყვნენ ისეთებიც, გადაშენებულ გოლიათ ცხოველებს რომ ეძებდნენ ყინულის ქვეშ. ასე იპოვეს ბუნებრივ «მაცივარში» მამონტები, რომელთაც ათეულ ათასობით წლის წინათ უცხოვრიათ. ეს ურჩხულები სტრუცკის ცირკის სპილოებზე გაცილებით დიდები და მძიმეები ყოფილან, ისინი ყინულს ისე კარგად შეენახა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ძაღლები, როგორც ცოცხლებს ისე დაემგერებოდნენ ხოლმე.

პეტრუში მაგიდაზე გაშლილ რუკას დაჰყურებდა და გონებაში აღადგენდა რუსი მკვლევარების მიერ გავლილ გზას.

დაძინების წინ კვლავ ჰკითხა თავის თავს: «ნეტავ, ყინულოვანი უდაბნოს რომელ მხარესაა ფრამი და რას აკეთებს ახლა?»

XIII. ფრამმა იპოვა პატარა მეგობარი

ზამთრის პირველი ქარბუქის მერე ცამ გადაიკარა. ქარი ჩადგა. ცის ლურჯი თალი უთვალავი ვარსკვლავით გაბრწყინდა. დადგა ცივი, არაამქვეყნიური, ზღაპრული პოლარული ღამე.

თეთრად გაშლილ თვალუწვდენელ სივრცეს ხანდახან მთვარე ანათებდა. სადაფისფრად ელავდა ოკეანის ყინულის საფარველი, სადაფივით ბრწყინავდა თოვლი, სადაფისებურად აფრქვევდა სხივებს ყინულადქცეული ფრიალო კლდეებიც.

მხოლოდ ვარსკვლავები ანათებდნენ ხანდახან.

მერე ცაზე იელვა ჩრდილოეთის ციალმა.

თავდაპირველად ნაირფრად მბრწყინავი სამი ცისარტყელა გამოჩნდა. ისინი ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდებოდნენ და ისევ ქრებოდნენ, გაიყოფოდნენ და ისევ ერთდებოდნენ. ცაზე იდუმალად გადაჭიმული რკალის ქვეშ კი ცეცხლი ფანტასტიკურად როკავდა, კრთოდა და ციალებდა. ცისფერი, თეთრი, მწვანე, იისფერი, ყვითელი, ალისფერი და ნარინჯისფერი ერთმანეთში ირეოდა, ცას ეფინებოდა, ხან გაიშლებოდა და ხან მოულოდნელად ისევ ერწყმოდნენ ერთმანეთს.

უეცრად გაქრებოდა ყოველივე.

მერე ისევ დაიწყებოდა ჯადოსნური როკვა.

სინათლეები საახალწლო ნაძვის ხის სანთლებივით ანათებდნენ, ლივლივებდა ოქროსფერი ძაფები. მაღლა ტრიალ-ტრიალით იწევდა შუშხუნები. მოედინებოდა გამდნარი ოქროსა თუ ვერცხლის მდინარეები, ირგვლივ ნაპერწკალთა ფეიერვერკი იფანტებოდა. უეცრად მთელი ეს ფერია ცისარტყელის თაღის ქვეშ დაკიდებულ გამჭვირვალე ფარდას ემსგავსებოდა, რომელზეც ცისფერი, ალისფერი, იისფერი, მწვანე, ყვითელი და ნარინჯისფერი ფრანები დაცურავდნენ.

ჰაერში ხმიანობდა შორეული, ძალზე ნაზი და ძლივსგასაგონი მუსიკა. იგი ხან ვერცხლის ზანზალაკების რეკვას მოჰგავდა, ხან კი უჩინარი სიმებიანი ორკესტრის ხმაურს. ეს თავად ზეცის სუნთქვა იყო.

მაღალ კლდეებზე აფოფხებული ფრამი უყურებდა ცეცხლთა ფანტასტიკურ როკვას და უსმენდა დღემდე არგაგონილ მუსიკას.

ადამიანური განსჯა რომ ჰქონოდა, ალბათ ჰკითხავდა თავის თავს: რაში სჭირდება ამ ყინულოვან უდაბნოს ეს ბუნების მშვენიერებანიო?

ვის მოუტანს სიხარულს პოლარული ღამის ეს დიდებულება და მომხიბვლელიობა? ყინულის სარკით დაფარულ ოკეანის უსასრულო სივრცეს ხომ არა?

ფრამი თავის ყინულის ბუნაგში შეძვრა, მოიბღუნა, დრუნჩი მუცლის ბალანში ჩაიყო და სცადა დაეძინა.

მოულოდნელად ქარიშხალი ამოვარდა, მთვარე შავმა ღრუბლებმა დაფარეს. ვარსკვლავები ჩაქრნენ, ჩრდილოეთის ნათება შეწყდა.

ირგვლივ თოვლის ქარბუქი დანავარდობდა, იქცეოდა კლდეები, ჭახანით სკდებოდნენ ყინულები. ნათელ ღამეს წყვილიანი ჩამოაწვა.

ჩაქრა ჯადოსნური სინათლე,

ფეერული წარმოდგენა დამთავრდა.

ქარიშხალი გადარეულივით ღრიალებდა, კვნესოდა და უსტვენდა.

ფრამმა თვალები დახუჭა და ოცნებას მოჰყვა თბილ ქვეყნებზე, სადაც ყოველ საღამოს ანთებენ სინათლეს, გახურებულ ღუმელს შემოსხდომიან მხიარული ბავშვები და მოხუცებს ეხვეწებიან, ყინულოვან პოლარეთზე მოუთხრონ საინტერესო თავგადასავლები.

ოცნებაში ჩაეძინა.

ფრამი ძილში აწკმუტუნდა, სწორედ ისე, როგორც სტრუცკის ცირკის გალიაში წკმუტუნებდა, მშობლიური მხარე რომ ეზმანებოდა ხოლმე. მაშინ იგი ყინულოვან უდაბნოზე ნაღვლობდა, ახლა კი სიცივისაგან აკანკალებული იქაურ ცხოვრებას ნატრობდა.

ქარბუქი რომ ჩადგა, დამშეული გამოძვრა ბუნაგიდან.

დათვები სადღაც გამქრალიყვნენ. ფრამს ძველებურად აღარ უცდიდა მზამზარეული სადილი, როცა აქაურ მკვიდრთ ანცვიფრებდა და აფრთხობდა თავისი სალტო-მორტალეთი, იქნება დათვებმა ნაცნობ ადგილს მიაშურეს, სადაც ბლომად იყვნენ ლომთევზები და სელაპები? ან ეგებ ბუნაგში ხორცი საკმაოდ მოიძარაგეს და ჰორიზონტზე პოლარული მზის გამოჩენას არხეინად უცდიან?

შიმშილისაგან გაწამებული ფრამი მარტოდმარტო ჩხრეკდა იქაურობას. მთვარის შუქზე საკუთარი ჩრდილი მისდევდა მხოლოდ. ყველა კვალი თოვლს დაეფარა. თუმცა სულ ერთია, ახალი მაინც არც ერთი არ იყო.

ირგვლივ უდაბურება და სამარისებური სიმყუდროვე სუფევდა.

ზემოდან უმოძრაობა და ყინულივით ცივი მთვარე დაჰყურებდა იქაურობას.
ფრამს მოუნდა დრუნჩი ზემოთ აეშვირა და მგელივით აყმუვლებულიყო.

დროც რომ ვერაფრით ეანგარიშნა — ვერ გაეგო, კიდეც რამდენ ხანს უნდა ეცადა ამ უსასრულო ღამისთვის.

სასოწარკვეთილი დაადგა გზას და უთავბოლოდ მოჰყვა ყიალს. მისთვის სულ ერთი იყო, სად წავიდოდა, ოღონდ როგორმე თავი დაეღწია შემზარავი მარტოობისთვის. იქნებ ამ კუნძულს ყინულის ხიდი სხვა კუნძულთან აერთებს? ან ეგებ სადმე კიდეც არსებობს კუნძული, სადაც სიცოცხლის ნიშანწყალი უფრო მეტად იგრძნობაო?

ქარბუქი რომ ამოვარდებოდა, თოვლის თავშესაფარს გაიკეთებდა და საათობით ელოდებოდა ქარის ჩადგომას, მერე ჩრდილოეთის ციალს ზურგს შეაქცევდა და დიდხანს იზელდა დაბუჟებულ ფეხებს, რაკი ბუნების ეს საოცრება ვერც ათბობდა და ვერც შიმშილს უკლავდა.

არავინ იცის რამდენ ხანს დაეხეტებოდა ყინულებს შორის. ისე იყო ქანცგაწყვეტილი, რომ ხანდახან ყინულის სარეცელზე რომ დაწვებოდა, თავს ველარ სწევდა და წამოდგომა აღარ უნდოდა.

მაგრამ შერჩენილი ნებისყოფის ნატამალი მოძრაობისკენ უბიძგებდა. ფრამმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, უკანა ფეხებზე დადგა და ჰაერი დაყნოსა. ეგებ ქარს მიწის სუნთქვა, ცოცხალი სულიერის ან ადამიანის სუნი მოაქვსო... ცივი ქარი ნესტოებში ჩხვლეტდა, მაგრამ სასიკეთო არსაიდან არაფერი მოჰქონდა.

ფრამს ფეხები ებლანდებოდა, მაგრამ მაინც მიიწევდა შეუცნობი მიზნისაკენ.

თავჩაღუნული ისე მიდიოდა, წინ სულ არ იყურებოდა.

ამიტომ მთვარის შუქზე ჰორიზონტს იქით ლურჯი ზოლის გამოჩენა არ შეუნიშნავს და არც ნაბიჯი აუჩქარებია, იქ რაღა ელის სანაპიროსა და ახალ კუნძულზე? ალბათ კვლავ დათვები, რომლებიც ფრამის დანახვაზე კბილებს დააღრჭენენ და გაიქცევიან. ნუთუ აღარ დადგა ჟამი, რომ მონახოს ამხანაგი და მეგობარი? ფრამი იმედს მაინც არ კარგავდა.....

აქეთ-იქით არ გაუხედავს. ციცაბო ყინულოვან ნაპირზე აბობლდა. მთვარის შუქი ირიბად ეცემოდა, გვერდით თავის ჩრდილი მიჰყვებოდა, იგი ერთადერთ თანამგზავრად ჰქცეოდა ამ უდაბურ ადგილას.

თავის ერთგულ ჩრდილთან ერთად მას მრავალი თბილი ქვეყანა შემოევლო, მხოლოდ მან უწყის, სად ყოფილან და რა ხალხი ცხოვრობს ამ პოლარული ღამეების საზღვრებს მიღმა, როგორი ხავერდით სილა და ბალებია იქ, ამ ბალებში ჰყვავიან იასამნები და ამოდის აბრეშუმით რბილი, ხასხასა ბალახი. სწორედ ამ ბალახზე უყვარდა ფრამის ფეხთით მოსვენება მის დაქანცულ ჩრდილს.

ირიბად ეცემოდნენ მთვარის სხივები.

ფრამის გვერდით მოაბიჯებდა მისი განუყრელი და ერთგული ჩრდილი.

ფრამმა თავი გვერდით მიიბრუნა და ყინულზე თავისი ჩრდილის მოძრაობასლა უყურებდა. ის რომ თათს ასწევდა, ჩრდილიც თათს ასწევდა, თუ ფრამი ნაბიჯს აუჩქარებდა, ჩრდილიც აჩქარდებოდა, ფრამი თავის ქნევას რომ მოჰყვებოდა, ისიც თავს აქნევდა.

მაგრამ აი, თათაწეული ჩრდილი შეჩერდა.

იგი მეორე ჩრდილს შემოეყარა.

მეორე პატარა, შავი ჩრდილი ხტუნავდა და ცეკვავდა.

ფრამი მთვარისაკენ შებრუნდა, რომ შეეხედა ვის ეკუთვნოდა ეს მოცეკვავე ჩრდილი.

მაღალი კლდის თავზე მთვარის შუქზე ხტუნაობდა თეთრი ბელი.

ფრამი მაშინვე მიხვდა, რომ კლდის თავზე მოქცეულ ბელს საქმე არცთუ ისე სამხიარულოდ ჰქონდა. მაღლა, ვინ იცის, რისთვის აბლოტებულს დაბლა ჩამოსვლისათვის აღარ ყოფნიდა გამბედაობა. ბელი ძირს ჩამოსვლას რომ დააპირებდა, თათები ყინულზე უსხლტებოდა, შეშინებული ბრჭყალებით კლდეს ებლაუჭებოდა და ისევ უკან ბრუნდებოდა, მერე შიშისაგან აკანკალებული წკმუტუნებდა და ძლივძლივობით იბრუნებდა წონასწორობას.

უბედურებაში ჩავარდნილ პატარას რომ შეხედა, ფრამი გამხიარულდა.

უკანა თათებზე დადგა, მხრით კლდეს მიეყრდნო და ბელს გასამხნეველად თათით ანიშნა:

— აი, შე სულელო, რამ დაგაფეთა? გადმოხტი, აბა, ჰე! ნუ გეშინია, მე უარეს დღეში ვყოფილვარ!

ბელს ვერ გაებედნა.

ეტყობოდა, ფრამისა სულაც არ ეშინოდა, პირიქით, აშკარად უხაროდა და ცდილობდა, ჩქარა ჩამოსულიყო მის გასაცნობად. ბელს სიმაღლე აფრთხობდა.

ფრამმა ახლა ორივე თათით ანიშნა:

— ყოჩაღ, შე ჭინკა, რისი გეშინია, ძია ბურთივით დაგიჭერს, ფრამმა თათები შეაშველა, თოვლზე დასვა, მერე ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რომ შეეხედა, ვისთან არგუნა ბედმა შეყრა.

ბელი ქვემოდან შესცქეროდა.

ფრამი ზემოდან დაჰყურებდა.

— მგონი, საკმაოდ სიმპათიური შესახედაობა გაქვს, — მეგობრულად ჩაიბურტყუნა ფრამმა.

— შენ კი გეტყობა, კარგი ძია ხარო, — მხიარული ბურტყუნით უპასუხა ბელმა.

მერე, დათვების ჩვეულებისამებრ, დრუნჩები მიუახლოვეს და უკეთ გასაცნობად ერთმანეთი დაყნოსეს.

პატარამ დრუნჩი ფრამს ლამის ზედ შეაწმინდა, უფრო უარესიც ჩაიდინა, — ზედმეტი აღფრთოვანებისაგან ცხვირი აულოკა.

მათი ჩრდილები თოვლზე ერთმანეთში აირია.

პატარა ჩრდილი დიდი ჩრდილის ირგვლივ ხტოდა, ტრიალებდა, ხან მიუახლოვდებოდა, ხან ისევ შორდებოდა.

ფრამი თავის ახალ მეგობარს კეფაზე ალერსით უსვამდა თათს, როგორც ოდესღაც ადამიანის ბავშვებს ეფერებოდა ხოლმე, როცა კანფეტებზე ეპატიჟებოდა.

ბელი ღრენას არ მოჰყოლია, არც უკან დაუხევია, პირიქით, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ალერსით.

გულაჩუყებულმა ფრამმა ბელს თათი ყელთან მოუთათუნა, მერე აიყვანა, რომ თვალეში უკეთესად ჩაეხედა. ყველა სიმწარე დავიწყებოდა, როგორც იქნა, მიაგნო თვისტომს, რომელსაც მის დანახვაზე არც კბილები დაუღრჭენია და არც გაქცევა უცდია!

ფრამმა ბელი თოვლზე დასვა, ალერსით შეათვალა და ჩაიბურტყუნა:

— ახლა შენს სახელზე ვიფიქროთ, — გეტყობა, დიდი მოუსვენარი ხარ, სადაც არა მგონია, იქ ებლოტები, ამიტომ «აღლაბიჯას» დაგიძახებ. ლამაზად არა ჟღერს, მაგრამ სამაგიეროდ შენთვის ზედგამოჭრილია, ძვირფასო აღლაბიჯა! არ გეწყინოს, აღლაბიჯა თავცარიელს მაინც სჯობია...

ბელი ვერ მიხვდა აღლაბიჯად რომ მოინათლა, რადგან არაფერი გაეგებოდა დათვის ბურტყუნისა, თუმცა სახელის გამართლებას მაშინვე შეეცადა — ახალ ძიას

ზედ ეკანჭურებოდა, ისევ «ხელში ამიყვანეო» — ეტყობოდა მოეწონა თავის სიცოცხლეში პირველად განცდილი სიამოვნება.

— არა, ძმობილო, ასეთ რამეებს ვერ მიგაჩვენე, — ჩაიბურტყუნა ფრამმა, — უკვე დიდი ხარ, თანაც ბელისათვის სირცხვილია ხელში აყვანა. ცოცვა თუ გინდა, აგერ ყინულის ბელტები, არადა, აიმ კლდეზე ებლოტე.

ბელი მიხვდა, ხელში არ აიყვანდა და ძუნძულით აედევნა.

ფრამმა ბელი ნაღვლიანად შეათვალიერა, ადამიანებისაგან ისწავლა სიფრთხილე — შეიძლება, მათი შეხვედრის სიხარული ნაადრევი გამომდგარიყო, მეგობრობა კი — ხანმოკლე, ყოველ წუთს შეიძლებოდა კლდიდან ძუ დათვი გამოჩენილიყო და ღრიალით სცემოდა. მაშინ ფრამი თავის დასაცავად ისევ გააკეთებს აკრობატულ ნახტომებს, ფეხსაც გამოსდებს, სანამ ძუ დათვი ცხვირით არ ჩაეფლობა თოვლში და უარს არ იტყვის ცირკის ოინბაზთან ბრძოლაზე.

მერე ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც წინა შეხვედრებში.

გაათრეული ძუ დათვი ბელს მიუბრუნდება და ჭკუის სასწავლებლად ერთ-ორს ლაზათიანად უთავაზებს, მერე უკანიდან თათს მიატყვამს, ბელი გადაკოტრიალდება, ძუ დათვი კი ბურტყუნით მიაყოლებს: «ამ წუთში დამეკარგე აქედან, მეც ახლავე დაგეწევი და ცალკე მოგელაპარაკები!..»

ფრამი კი ისევ მარტო დარჩება თავის ჩრდილთან და ჭირიანივით კვლავ მარტოდმარტო მოჰყვება ბორიას.

აი, რა მწარე ფიქრები აკვიატებოდა ფრამს უკანა ფეხებზე დამდგარი რომ შეჰყურებდა ბელს.

აღლაბიჯამ თათი ჩაავლო და თავის ენაზე უთხრა:

— ეი, ძია, რას ჩაფიქრებულხარ, უკვე თავი მოგაბეზრე?

ფრამმა სიბრაღულით შეხედა:

— შენ რას გაიგებ, პატარა სულელი ხარ!..

ბელი თითქოს მიუხვდაო. უცებ მოიწყინა და აწკმუტუნდა.

— დიახ, მართალია, ჯერ პატარა ვარ, პატარა და თანაც უბედური, ნახე, თავზე როგორი ნაჭრილობევი მაქვს... მაგრამ, გეფიცები, სულაც არა ვარ ისეთი სულელი, შენ რომ გგონივარ!

იგი მთვარის შუქზე ფრამის წინ დამდგარიყო და თათით თავზე ჯერ კიდევ მოუშუშებელ ნაჭრილობევს ისინჯავდა.

ფრამმა ჭრილობაზე დახედა. ადამიანებისაგან ბევრი რამ გადაელო, მაგრამ სტრუცკის ცირკის ვეტერინარებისაგან იარის მკურნალობა არ ესწავლა. ამიტომ მხეცების ჩვეულებისამებრ ჭრილობა აულოკა და ჩაიბურტყუნა.

— ახლა შენ ერთი წვეთი იოდი გიშველიდა, ბატონო აღლაბიჯა! ცოტა აგეწეებოდა, კანიც დაგესვრებოდა ოდნავ, სამაგიეროდ, ერთ კვირაში ნაიარევის კვალიც არ დარჩებოდა... უიოდოდ ვერ მოგიჩვენებ ასე მალე. ახლა თვითონვე გაგიხმება. ბრჭყალებით არ გაიარჯლო, თორემ უმალ სახელს გამოგიცვლი და აღლაბიჯას მაგივრად «კაწრიას» დაგარქმევ...

ბელისთვის სულ ერთი იყო, აღლაბიჯას დაუძახებდნენ თუ კაწრიას. ფრამის ბურდუნისა ვერაფერი გაიგო. ეს ძია რაღაც საოცარ, იმიერპოლარეთისათვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკებოდა. თან უცნაურად ეჩვენებოდა ფრამის მიერ ადამიანებისაგან გადმოღებული ჩვეულება — ყველასათვის თავისი სახელი შეერქმია. ბელისთვის ყველა დათვი, დიდიც და პატარაც, თავცარიელიც და ჭკვიანიც, დათვი იყო და მეტი არაფერი, მელია, მელია იყო, კურდღელი კი —

კურდღელი. ან რა მაგისი თავი ჰქონდა ახლა, ბელს ჭრილობა აწუხებდა და თათიც წამდაუწუმ უნებურად იქით მიუბრუნდა.

ფრამმა თათი დაუჭირა და დატუქსა:

— ხომ გითხარი, ხელი არ ახლო-მეთქი! სჯობია, მითხრა, რა დაგემართა?.. ჭრილობა ძალზე ღრმა არის, ბრჭყალების ნაკვალევს ჰგავს. სანადღეოს ვლებ, დათვის ბრჭყალებია, ჰო, მომიყევი, როგორ იყო?

ადლაბიჯა ძალზე უბედურად გრძნობდა თავს, დაღონებული იდგა ფრამის წინ, ვერაფერი გაეგო დიდი და კეთილი დათვის ბურღლუნისა. საშინელი უბედურება დაატყდა თავს, ძლივძლივობით გადარჩა... მაგრამ როგორ უთხრას ეს ყველაფერი? ეგებ სჯობდეს, წაიყვანოს და თავის თვალითა ნახოს, რაც მოხდა.

დიდი, კეთილი დათვი თვითონ მიხვდება, როგორ დარჩა ბელი ობლად, ან ამ ვეება კლდეს რატომ მოექცა თავს.

ბელმა ფრამს თათი ჩაავლო და გასწია. ზუსტად ისე, ბავშვები თავიანთ ძიებს რომ ჩაავლებენ ხოლმე ხელს პალტოს კალთაში და საშაქარლამოსკენ გასწევენ.

ფრამი მიუხვდა.

მიუხვდა, მაგრამ არაფერი უკითხავს. ადლაბიჯა წინ მიუძღოდა, ფრამი უკან მიჰყვებოდა, კლდეთა შორის მთვარის კაშკაშა სინათლეზე კვალი მოჩანდა. კვალი ნამდვილად დათვებისა იყო. — ორი, თითქმის ერთნაირი კვალი — დიდი დათვისა, პატარა კი — ადლაბიჯასი, მისი კვალი იმ კლდესთან მიდიოდა, საიდანაც ფრამმა ჩამოსვა ძირს.

ბელი წინ გაექანა.

ფრამი შედგა.

მათ წინ თოვლეზე ვეება თეთრი დათვა იწვა.

ბელი მივარდა, დრუნჩი ბალანში ჩაუყო, მერე აწკმუტუნდა და გარშემო დაუწყო ტრიალი.

ფრამი სიფრთხილით მიუახლოვდა, პირველად იფიქრა, ძუ დათვი თოვლეზე ისვენებსო. ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, კარგად იცოდა. წამოხტებოდა, გააფთრებული დაიღრიალებდა და აიძულებდა, გაეკეთებინა თავისი ცნობილი სალტო-მორტალე, რომელიც ძუ დათვს ზიანს არ მოუტანდა, მარტო ჭკუას ასწავლიდა და გააგებინებდა, ფრამთან ბრძოლა არ გამოადგებო. ფრამს ჩხუბი სულაც არ უნდოდა, ადლაბიჯას დედა ყინულივით ცივი იყო. ჩანდა, დათვთან ორთა ბრძოლას ემსხვერპლა. ეს კვალზეც ეტყობოდა.

ბელი მკვდარ დედას ბანჯგვლიან მუცელში უყოფდა დრუნჩს. იქ თბილი რძის წყარო ეგულებოდა. მაგრამ წყარო დამშრალიყო, პატარას ვერაფერი გაეგო ამ საშინელი სასწაულისა, ისევე როგორც ოდესღაც ვერ მიხვდა ობლად დარჩენილი ფრამი, რა საშინელება დაატყდა დედამისს ასეთსავე მკაცრ ყინულებს შორის.

პატარა საწყალობლად წკმუტუნებდა, თოვლზე გორაობდა და ხანდახან კეთილ დიდ დათვს შეხედავდა, გეგონება, მისგან ელისო ხსნას.

ფრამს ბუნდოვნად, რაღაც შორეულად გაახსენდა ობლად დარჩენის სიმწარე და ბელს თავზე თათი გადაუსვა.

— წავიდეთ, ვედარაღერს ვუშველით, — ჩაიბურტყუნა ფრამმა და ბელს თათი ჩაავლო, — ახლა ყველაფერს მივხვდი. დედაშენი შენს გადასარჩენად მომკვდარა. მკვლელი მერე შენ გამოგდევნებია და ალბაც შენც მოგინარიკლებდა, კლდეზე რომ არ აბლოტებულებიყავი. აი, მაგას გადაურჩენიხარ. შემახვედრა იმ წყეულს, ნახავს, რა დღესაც დავაყრი...

ბელი ვერ მოშორებოდა დედის გვამს.

ფრამმა ხელში აიტატა და ისე წაიყვანა. ბელს მაინც თვალები უკან რჩებოდა და საცოდავად წკმუტუნებდა.

— კარგი, გეყოფა. ვაჟკაცი არა ხარ! — ალერსით დატუქსა ფრამმა, — ცრემლებით ვერაფერს უშველი. ურიგო არ იქნება, ახლა რითიმე დავნაყრდეთ. მე კი შერვეული ვარ მარხულობას, მაგრამ შენ სხვა ხარ!

ბელი მაინც განაგრძობდა წკმუტუნს და ერთთავად უკან იცქირებოდა.

ფრამი გაბედულად დაადგა მკვლელის კვალს.

XIV. ფრამი თავისი ნებით დაშორდა პატარა მეგობარს

მცირე ხნის მერე ბელს მოუსვენრობა და შიში დაეტყო.

თავისუფალმა მხეცმა, რომელსაც ადამიანთა და ცირკის ბინადართა შორის ცხოვრებით არა ჰქონდა ყნოსვა დაჩლუნგებული, რაღაც საფრთხის მოახლოება იგრძნო. ადლაბიჯამ იცნო დედამისის მკვლელი დათვის სუნი. ფრამმა ნაბიჯი შეანელა.

ირგვლივ მთვარის იდუმალი, ცივი, სუფთა და გამჭვირვალე სხივები იღვრებოდა, სწორედ ისეთი, როგორც მხოლოდ პოლარულ მხარეში იცის.

მოცისფრო თოვლზე გარკვევით აღბეჭდილიყო თითოეული კვალი.

კვალს ალაგ-ალაგ სისხლის წვეთები აჩნდა.

ბელმა წყნარად დაიწკმუტუნა. ფრამმა თათით პირი დაუმუწა. პატარა მიუხვდა სათქმელს და გაჩუმდა.

ფრამი ბენგალიური ვეფხვებივით გრძელი და უხმაურო ნაბიჯით ფრთხილად ეპარებოდა მოწინააღმდეგეს.

ბელი თოვლზე დასვა. ცხვირი დრუნჩთან მიუტანა და ყურში ჩუმად ჩაუბურტყუნა, რაც ადამიანთა ენაზე დაახლოებით შემდეგს ნიშნავდა:

— წყნარად იჯექი, ხმა არ ამოიღო! აქ დამელოდე!.. რასაც ახლა მოიხილავ, ვიცი, ნამდვილად მოგეწონება.

ბელმა, ცხადია, ვერ გაიგო მხოლოდ ადამიანებისათვის გასაგები ენით ნათქვამი. ეგებ არც ფრამს უთქვამს ზუსტად ასე, ამ სიტყვებით. თავისი განსწავლულობის მიუხედავად, იგი ვერც სიტყვების თქმას ახერხებდა და არც განსჯა შეეძლო ადამიანურად.

ბელი მაინც ადგილზე გაქვავდა.

სუნთქვაშეკრული თავის გულის ცემას უსმენდა.

ფრამმა, ნიავს რომ არ გაეცა, შვეულ კლდეს ქარის მხრიდან შემოუარა და უკანა თათებზე წამომართული მკვლელს მოულოდნელად წაადგა თავს.

დათვმა გაბრაზებით კი არა, გაკვირვებით შეხედა, რაღაც ჩაიბურტყუნა და გეგონება, ზიზღის გამოხატვა უნდაო, თავის ქნევას მოჰყვა.

მის წინ გამხდარი და გამვალტყავებული ფრამი იდგა. თვითონ კიბეწვდაბზინებული და ძლიერი იყო — ძუ დათვთან ორთა ბრძოლაში აკი კიდევ გამოსცადა თავისი ძალა, და ახლა ზიზღსა ჰგვრიდა ამ მიკნავებულ დათვთან გადაკიდება.

მის ყრუ ბრდღვინვაში ისმოდა ბრძანება: შენი თავისთვის სიკეთე თუ გინდა, ამ წუთში დამეკარგე აქედან, ბედი შენი, რომ კარგ გუნებაზე ვარ და იოლად გადამირჩებიო.

ფრამი თითქოს ვერ მიუხვდა მუქარას. ჩუმად, აუჩქარებლად უახლოვდებოდა და შიშის ნატამალსაც არ იმჩნევდა. მერე თათები ერთმანეთს შემოჰკრა, როგორც ცირკის არენაზე აკეთებდა ხოლმე, საჭიდაოდ ან კრივში რომ იწვევდა მოწინააღმდეგეს.

ფრამს ასეთი თვითდაჯერებული მკვლელი თავის დღეში არ ენახა. ამიტომ გადაწყვიტა თავხედი უმაღლესი დაესაჯა.

მკვლელი გამოქანდა და ფრამს თავი პირდაპირ მუცელში უსისწვრივა. ამ ნაცად ილეთს მოწინააღმდეგე ვერასოდეს ვერ უმაგრდებოდა, ამჯერად კი წინ რატომღაც არ დახვედრია მოწინააღმდეგის მუცელი, ფრამი მოიბლუნმა და იცდიდა, რა მოხდებოდა.

მკვლელი ცხვირით თოვლში ჩაერჭო, მერე წამოდგა, დაიბერტყა და უკანა თათებზე წამომართულმა მოწინააღმდეგისკენ მრისხანე ღრიალით გაიწია, რომ ქვეშ მოეგდო და ყელი გამოეღაღრა.

ფრამმა სულ ახლოს მიუშვა, მერე ცოტა უკან დაიხია, ქვედა ყბაზე ცირკში რომ ასწავლეს, ზუსტად ისე, დანდობილად ამოჰკრა თათი, მკვლელს ენა მოეკვნიტა და მრისხანებისა და ტკივილისაგან თვალთ დაუბნელდა.

დათვმა დაიღრიალა და თათები წინ გაიშვირა, რომ ფრამისათვის ყელზე შემოეჭდო, მაგრამ ფრამმა სარმა გამოსდო, მუცელში ამოარტყა და მკვლელი ცხვირით ისევ თოვლში ჩაერჭო. ფრამი ზურგზე მოაჯდა, ორივე თათით ქეჩოში ჩააფრინდა და ცხვირი ყინულზე არტყემევინა: ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ათჯერ, ოცჯერ...

მოწინააღმდეგე ამაოდ იკლაკნებოდა, ბრდღვინავდა და ცდილობდა, ფრამი ზურგიდან ჩამოეგდო, თვალეები აუცრემლდა, თავბრუ დაეხვა, ძალ-ღონეც თავის ყოველ დარტყმაზე უფრო და უფრო ელეოდა.

კლდეს ამოფარებული ბელი შიშით შესცქეროდა იმიერპოლარეთის კანონებისათვის უცხო, არნახულ ორთა ბრძოლას, ბოლოს ვერ მოითმინა, მკვლელს ეცა და ერთიანად დაუკბინა თათები და ტყავი. უნდოდა, ისიც დედამისივით ჩქარა ენახა ყინულზე ფეხებგაჭიმული და თვალეებამოღამებული.

ფრამს ამისთანა მკაცრი განზრახვა არ ჰქონია. მას მხოლოდ მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანა და მისთვის კბილების ჩამტვრევა ეწადა, მიაღწია კიდეც საწადელს.

მერე იფიქრა, ჩემი მოვალეობა უკვე მოვიხადეო, და მკვლელს ჩამოეხსნა.

გარეული დათვი ფრამისაკენ გაექანა. ფრამმა ქეჩოში სტაცა თათი, შემოიქნია და ცხვირი გრანიტის კლდეს მიახლევინა. მკვლელი გონს რომ მოვიდა, ისევ გაიწია ფრამისაკენ.

ფრამმა თავისი ფანდი გაიმეორა. სამჯერ დაეტაკა მკვლელი და ფრამმაც სამჯერ მიახლევინა ცხვირი გრანიტის კედელს. ბოლოს და ბოლოს გარეულს დაეკარგა ბრძოლის ხალისი.

ერთ ადგილს მოიბლუნმა, გასისხლიანებულ ცხვირ-პირს თათებით იწმენდა, ბრდღვინავდა, ვერ მიმხვდარიყო, რა დაემართა.

ფრამმა ადლაბიჯა იხმო და გზა განაგრძეს.

ღამის მყუდროებაში კვლავ დიდხანს ისმოდა კბილებჩამტვრეული დათვის კვნესა და ღრიალი.

ფრამი აინუნშიც არ აგდებდა. ფიქრობდა, სამართლიანად მოვიქეციო.

ბელს, გვერდით რომ მიჰყვებოდა, გაოცება ჩასდგომოდა თვალეებში.

— რატომ შენც არ მოჰკალი, როგორც მაგან მომიკლა დედა? ეს რა ჩხუბი იყო? ამის შემდეგ რაღა დათვი ხარ? არასოდეს მინახავს ასეთი ჩხუბი და ასეთი დათვი!..

ადლაბიჯამ დრუნჩი ასწია, ჰაერი დაყნოსა და სიხარულით აწკმუტუნდა.

— რა მოხდა, რა მოგელანდა? — შეეკითხა ფრამი თავის ენაზე და დრუნჩით ალერსიანად უბიძგა.

— რაღაც გემრიელია... ხორცი... ან ქონი! — ბურტყუნით უპასუხა ადლაბიჯამ.

ყინულოვან უდაბნოში თავისუფალი და სახიფათო ცხოვრებისათვის ბელი ფრამზე მომზადებული აღმოჩნდა. იგი უფრო ადრე იღებდა ხოლმე ქარის მოტანილი რაიმე საკბილოს გემს და უფრო მალე გეზულობდა საფრთხეს.

ფრამს სამხეცის ათასნაირ ცხოველთა სუნისაგან ყნოსვა ისე ჰქონდა დაჩლუნგებული, რომ ყოველ ნაბიჯზე ტყუვდებოდა. ამის გამო, და კიდევ სხვა მრავალ მიზეზთა გამო, მწარედ იტანჯებოდა შიმშილით და ძალზე უბადრუკად გრძნობდა თავს იმიერპოლარეთში.

ფრამი თავის ქნევით რაღაცას ბურდლუნებდა. ბელი კბილებით ტყავში ჩაფრენოდა და აჩქარებდა:

— ჩქარა, მია! თორემ სხვები მიგვასწრებენ, პირდაპირ ვერ გამიგია, რა დათვი ხარ!..

საკბილოს რომ მიუახლოვდნენ, ადლაბიჯა წინ გაიქცა, ფეხები ებლანდებოდა, ეცემოდა და ისევ დგებოდა.

მახვილ ყნოსვას არ მოეტყუებინა...

სანაპიროს კლდოვან ფერდობზე, პირდაღებულ გამოქვაბულთან ვეება გაყინული ლომვეშაპი ეგდო. გამოქვაბულში მეორე ლომვეშაპიც იპოვეს, ორივე თითქმის ხელუხლებელი იყო. — თავ-კისერი ჰქონდათ ოდნავ შემოდრღნილი. ეს სარჩო ალბათ თადარიგიან დათვს ზამთრისათვის გადაენახა.

— მგონი «კბილებჩამტვრეულის საწყობს მივადექით, ბედიც ამასა ჰქვია! — მხიარულად ჩაიბურტყუნა ფრამმა, — მთელ ღამეს, ესე იგი, მთელ ზამთარს თავზე საყრელად გვეყოფა ორივეს.

ბელმა თავპატიჟი არ დაიდო, ეცა ერთ ლომვეშაპს და ცდილობდა, ჯერ კიდევ გაუმაგრებელი კბილებით დაეგლიჯა მისი გაყინული ტყავი. მაგრამ სარკესავით გაკრიალებულ ტყავზე კბილები უცურდებოდა, გადაკოტრიალდებოდა, ისევ წამოდგებოდა და ღრენითა და ქშენით ხან ერთ ლომვეშაპს დაეჭიდებოდა, ხან მეორეს. — თავის მეტსახელს მართლაც რომ ამართლებდა.

გაბრაზებული და გახარებული იყო... მისი შემხედვარე იფიქრებდით, ეს პაწაწინა ბელი ორივე ლომვეშაპის, ამ ასობით კილო ხორცისა და ქონის გადასანსვლას ერთად აპირებსო. მაგრამ ამოდ ეწვალა და თოვლში კოტრიალი შერჩა.

ბოლოს თოვლზე წამოსკუპებულმა ფრამს შეხედა და ჩაიბურტყუნა, — ამისთანა რამე არ მინახავს, მასწავლე, როგორ მოვიქცე, მეტი აღარ შემიმძლიაო!

ბელი ისე საცოდავად და ნაღვლიანად იყურებოდა, უტიფარი თავ-პირი ისეთი სიმპათიური ჰქონდა, რომ ფრამმა გადაწყვიტა, გაენდო ადამიანებისაგან ნასწავლი ერთი ხერხი. ვინ იცის, როდის და სად გამოადგესო პატარა სულელს.

ფრამმა ერთ ლომვეშაპს ბრჭყალებით მუცელი გაუფატრა, ორი ქვასავით მაგარი, გაყინული ნაჭერი გამოაგლიჯა და გასალხობად ზედ დააწვა. ბელს ვერაფერი გაეგო, — კრუხად დამჯდარი თეთრი დათვი თავის დღეში არ ენახა.

ცოტა ხნის შემდეგ ფრამმა მორბილებული, შემთბარი ხორცი გამოიღო და ადლაბიჯა იძულებული გახდა გულახდილად ეღიარებინა, რომ მისი უფროსი

მეგობარი არა მარტო ძალზე გულკეთილი დათვი და პირველი კლასის ფალავანი იყო, მან მთელი იმიერპოლარეთის დათვებისათვის გაუგონარი, ათასნაირი, ერთმანეთზე მზაკვრული ოინიც იცოდა.

ჭამისაგან ორივემ სიყმე იტკინა. ადლაბიჯამ ტუჩები მოილოკა, უკანა თათებზე წამოდგა და თვალებით იკითხა:

— ახლა საით წავიდეთ, ძია?

ფრამს სწავლება ჯერ არ მოეთავებინა. კიდევ უნდოდა პატარასათვის ეჩვენებინა რაღაცა...

გამოქვაბული გულმოდგინედ მოათვალიერა. იქაურობა საიმედო თავშესაფრად მოეჩვენა, სურსათის შესანახად ივარგებდა. ლომვეშაპი რის ვაივაგლახით შეათრია შიგ, მერე ყინულის ბელტი მიიტანა და გამოქვაბულს მიაყუდა.

კარი საიმედოდ იყო დაგმანული.

— ახლა კი დავისვენოთ... ხედავ, მთვარე ჩასვლაზე!

— მე სულაც არ მეძინება! — განაცხადა თავის ენაზე ადლაბიჯამ.

— ერთხელ და სამუდამო დაიმახსოვრე, გინდა თუ არ გინდა, სანამ ჩემთან ხარ, ჩემი სიტყვა შენთვის კანონი უნდა იყოს!..

ფრამმა ესა თქვა თუ არა, ბელს ქეჩოში სწვდა, ბუნაგში შეათრია და კარი ისევ ყინულის ბელტით დაგმანა.

ფრამის ბალნიან მუცელში თავწარგული ბელი ხუთი წუთის შემდეგ უკვე ხვრინავდა.

მათი მეგობრობა მთელი პოლარული ღამის განმავლობაში გაგრძელდა.

სურსათი საკმაოდ ჰქონდათ, ძლიერი ქარიშხალი რომ ამოვარდებოდა, ბუნაგის შესასვლელს ყინულის ბელტით გმანავდნენ, ცაზე მთვარის გამოჩენისთანავე კი იქაურობის დასაზვერად ისევ გარეთ გამოდიოდნენ.

მკვლელ დათვს ორჯერ გადაეყარნენ. გამხდარი და დალეული დაეხეტებოდა. ორჯერვე ფრამსა და ბელს თვალი შეასწრო თუ არა, უმაღლ კლდეს ამოეფარა.

ფრამს მეორედ აღარ დასჭირვებია მკვლელისათვის ჭკუის სწავლება. ეგებ კბილებჩამტვრეულს ამ ხნის განმავლობაში სხვა დათვებთანაც მოუვიდა ჩხუბი და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კბილებთან ერთად ძალღონეც სამუდამოდ დაკარგვოდა.

ცას თანდათან ნათელი შეეპარა. ვარსკვლავები ზედიზედ ქრებოდნენ. აღმოსავლეთით ცეცხლისფერი ზოლი გამოჩნდა. მოახლოვდა პოლარული დილა. გაზაფხული.

ადლაბიჯა წამოიზარდა და მომაგრდა. ჩამრგვალებული, სულ ერთთავად ცელქობის გუნებაზე იყო, მაგრამ თავის ჭკვიანსა და კეთილ მეგობარს ყოველთვის უჯერებდა.

როგორც კი გაიგონებდა ფრამის ძახილისმაგვარ ბურტყუნს, ბელი მოკლე, სასაცილო კუდის ქნევით უმაღლ მასთან გაჩნდებოდა.

იგი საოცრად საზრიანი აღმოჩნდა. — ეტყობოდა, კარგი მონადირე დადგებოდა. დათვების ბუნაგს სუნზე რამდენჯერმე მოაგნეს მელიებმა. ბელმა მათი მოსვლა უმაღლ იგრძნო და გაბედულად შეება კიდევ. მათალია, მელიებმა გვარიანად მიჩეჩქვეს, მაგრამ არც იმათ დაყრიათ სიკეთე. ასე იყო თუ ისე, მელიები აღარ გამოჩენილან.

ერთ დილას, გაზაფხულის პირს ქარი ამოვარდა და მთელ კვირას მძვინვარებდა.

ქარი რომ ჩადგა და შორეთი დაიწმინდა, ჰორიზონტზე შუბის ტარზე ამალღებული მზე გამოჩნდა. თბილმა ქარმა დაჰბერა. ოკეანის ყინულოვანი საფარი დამსხვრეულიყო, ყინულებს შორის მწვანედ მოჩანდა წყალი.

მოფრინდნენ პირველი პოლარული ფრინველები, ვერცხლისფერი და ვეჟანი თოლიები. გამოჩნდნენ «როსის თოლიებად» წოდებული ცისფერზურგიანი, ვარდისფერმუცლიანი, ყელზე შავი ხავერდის ზოლშემოვლებული იშვიათი ფრინველებიც.

სანაპიროდან დაბრუნებული ფრამი და ბელი მესამედ შეხვდნენ მკვლელ დათვს.

იგი მოჩვენებას ჰგავდა. ძლივძლივობით მილასლასებდა, ეცემოდა, წამოდგებოდა, ერთ-ორ ნაბიჯს გადადგამდა და ისევ ეცემოდა.

ფრამისა და ადლაბიჯას დანახვაზე აღარ შეშინებია, არც გაქცევა უფიქრია.

მისთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო.

ეტყობოდა, თავის ძველ ბუნაგში მიათრევდა გაწამებულ სხეულს, რომ საუკუნო ძილს მისცემოდა.

ბელი მრისხანე ბრდღვინვით ეცა და კბენა დაუწყო, ძველი ანგარიში ისევ გასასწორებელი ჰქონდა. კბილებჩამტვრეულს თავდაცვაზე არც უფიქრია, შეტორტმანდა და თვალებით ადგილს ეძებდა, რომ მიწოლილიყო.

ფრამის საქციელი ადლაბიჯას სამუდამოდ გამოცანად ექცა — მან გაბრაზებული ბურღუნით მოაშორა ადლაბიჯა მსხვერპლს, ქეროში სწვდა, მისთვის მიჩენილ კლდეზე დასვა და ანიშნა, წყნარად იჯექი, თორემ ტყავს გაგადრობო.

მერე კბილებჩამტვრეულს მიუბრუნდა.

მკვლელს თვალები დაეხუჭა და დრუნჩი წინგაწვდილ თათებზე დაედო. იცოდა ამ ახირებულის ბრძოლის ხერხები და იცდიდა, როდის სწვდებოდა ქეროში, როგორ დაახლევიებდა ცხვირ-პირს ყინულზე.

მაგრამ ფრამმა ოდნავ უბიძგა მხოლოდ. კბილებჩამტვრეულმა დაიკვნესა და პატიება სთხოვა.

— ადექი, — ჩაიბურტყუნა ფრამმა, — აქამდე როგორ ვერ მიხვდი, — რომ აღარაფერს გერჩი, ადექი და გამომყე.

კბილებჩამტვრეული თვალებს არ ახელდა, აკანკალებული საწყალობლად წკმუტუნებდა. ფრამმა იგი ზურგზე მოიკიდა (ასე იკიდებდა ხოლმე იგი სულელ ავგუსტინს და ქანდარის სიცილ-ხარხარში მთელ არენას შემოატარებდა) და იმ ბუნაგში შეიყვანა, სადაც ლომვეშაპის ნარჩენები ეგულებოდა. პირი გაყინულ ხორცზე დაადებინა. კბილებჩამტვრეულმა კვნესით გაახილა თვალები. დაფლეთილი ნესტოები დაებერა, დაჩეჩქვილი დრუნჩი მოილოკა და სცადა შეექამა ხორცი. უკბილო ღრძილები ხორცზე უსხლტებოდა, ძველებურად აღარ შეეძლო ფეხზე წამომდგარიყო და თავის ქნევით მიერთვა გემრიელი ლუკმა.

ფრამმა განზე გასწია. კბილებჩამტვრეული შეშინებული გადავარდა და აკვნესდა, ველარაფერი გაეგო, რა ხდებოდა.

განსწავლულმა დათვმა ლომვეშაპს ხორცის ნაჭერი მოაგლიჯა, და გასალხობად მუცლის ქვეშ ამოიღო; ხორცი რომ მორბილდა, კბილებჩამტვრეულს ცხვირ-წინ დაუდო. ისიც ნელა მოჰყვა ღეჭვას, როგორც უკბილო მოხუცებს სჩვევიათ. რა ელოდა შემდეგ, არ იცოდა, მაგრამ, ახლა სასწაული მომხდარიყო — ლომვეშაპის ხორცით უმასპინძლებოდა ის, ვისი ხელითაც სიკვდილს ელოდა.

ჭამას რომ მორჩა, ფრამს დაფეთებულმა შეხედა.

— მეტი რაღა გინდა, — ჩაიბურტყუნა მოთმინებადაკარგულმა ფრამმა, — ხომ არ გგონია, თან გადაგყვე. ისწავლე გაყინული ხორცის გალხობა, ჭამე და მოლონიერდები.

ფრამი ბუნაგის გასასვლელისაკენ გაემართა.

კბილებჩამტვრეული გაოგნებული მისჩერებოდა უკან. ფიქრობდა, ეს ალბათ მორიგი ეშმაკობაა საოცარი დათვისა, რომ დაბრუნდეს და მერე ყელი გამომლადროსო.

გამოსასვლელში ფრამს ბელი შეეფეთა. იგი ცდილობდა დაენახა, რა ხდებოდა შიგნით. ფრამს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია — დავიწყებოდა რომ უბრძანა, წყნარად მჯდარიყო კლდეზე. მშვენიერ გუნებაზე დამდგარმა ბელს ანიშნა, გზას გასდგომოდნენ.

კბილებჩამტვრეული ბუნაგში დატოვეს.

გაზაფხული დადგა. ადგილი ყველას ეყოფოდა. მათთვისაც მოიძებნებოდა სადმე თავშესაფარი.

ისინი ჯერ გვერდიგვერდ მიდიოდნენ, მაგრამ ბელი დროგამოშვებით უკან იცქირებოდა, მერე ჩამორჩა კიდეც. ფრამმა ეს დიდხანს ვერ შენიშნა, როცა გაახსენდა, ბელი უკვე იქ აღარ იყო, ფრამი შეჩერდა... გაბრაზებულმა დაუწყო მოხმობა, ხმა არავის გაუცია! მაშინ ფრამი უკან მიბრუნდა და პატარას ნაკვალევს დაადგა; მიხვდა კვალს საით მიჰყავდა და შეშინებულმა ნაბიჯს აუჩქარა.

კვალი ბუნაგის შესასვლელთან იკარგებოდა.

ფრამმა ყური მიუგდო, შიგნიდან ბაიბური არ ისმოდა... ამან უფრო ააფორიაქა და გამოქვაბულში შევარდა.

ბელი მშვიდად ილოკავდა ტუჩებს. კბილებჩამტვრეული ყელგამოლადრული და თვალეზღაყეტილი ეგდო. ბელს მკვლელისათვის ანგარიში გაესწორებინა იმიერპოლარეთის გარეულ დათვთა კანონით.

ძველი ვალი ეზღვევინებინა და კმაყოფილი ცხვირ-პირს ილოკავდა.

ფრამს მოუნდა ბელი ერთი ლაზათიანად მიეტყვიპა, რომ თავის დღეში დამახსოვრებოდა... თათიცი კი ასწია, მაგრამ ბელმა ისეთი მიამიტი სიამაყით შეხედა, რომ ფრამს თათი ჰაერში გაუშეშდა.

თავისი მომავალი ბელმა თვითონვე აირჩია. იგი სწორედ ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო ამ მკაცრსა და უდაბურ ადგილას. მისი ცხოვრება ეს-ეს არის იწყებოდა და მთელი სიცოცხლე პოლარული კანონებით უნდა ეცხოვრა მუდმივი ყინულების მხარეში.

ფრამმა უკანიდან თათი წამოართყა და კუმტად ჩაიბურტყუნა...

— ხომ დაწყნარდი, ახლა წამოდი...

ბუნაგიდან რომ გამოდიოდნენ, ორივემ ლომვეშაპის ნარჩენების ახლოს გაჭიმული მკვლელის გვამს შეხედა.

ფრამის გამოხედვაში ადამიანური სიბრალოლი იხატებოდა.

ბელს კი სიამაყით უბრწყინავდა თვალეზღა.

ისინი კარგა ხანს დახეტიალობდნენ კუნძულზე, გზად არა ერთხელ შემოხვდათ სხვა დათვებიც, რომელთაც ყინულებს შორის დამდგარ წყალში სელაპები დაეჭირათ. ფრამი ნაცადი ილეთებით ჩხუბსა და დავიდარაბას ყოველთვის გადარჩებოდა ხოლმე და იქაურობის გამგებლად ერთთავად თვითონ რჩებოდა. იგი უკანა თათებზე დადგებოდა, მოწინააღმდეგეს სალამს აძლევდა, ყირამალა გადადიოდა, სალტო-მორტალეს აკეთებდა. მათი შემხედვარე გარეული დათვები

კუდამოძუებულები მირბოდნენ. ცოტა მანძილს რომ გაირბენდნენ, შეჩერდებოდნენ და განცვიფრებულები უყურებდნენ ამ ოინზაზს.

ბელი არანაკლებ გაკვირვებით მისჩერებოდა ფრამს. ეს ყველაფერს აღემატებოდა, რაც დღემდე ესწავლა უცნაური ზნე-ჩვეულების უფროსი მეგობრისაგან.

ფრამის ჩვევები ბელს მოსწონდა. ჯერ ერთი, რაღაც არნახული მხიარული სანახაობა გამოდიოდა, თანაც რაიმე ჯაფის დაუტანებლად იგი ყველაზე ძლიერ თეთრ დათვებსაც შიშის კანკალს ჰგვრიდა. ეს ჯადოქრობასა ჰგავდა, საკმარისი იყო ფრამს მისალმების ნიშნად თათი თავთან მიეტანა, სალტო-მორტალე, ან ვალსის რამდენიმე ნარნარი მოძრაობა გაეკეთებინა, იმ წუთში სადილიც მზად იყო!

დანაყრებულები ნარჩენებს პატრონს უტოვებდნენ, თვითონ კი გზას განაგრძობდნენ; კუნძულზე დათვები ბლომად იყვნენ და იცოდნენ, არ შემოაკლდებოდათ იაფფასიანი სადილი.

კუნძულზე, ეტყობოდა, ყველა დათვი გამოცდილი მონადირე იყო, ასე რომ, მეგობრებს შიმშილის საფრთხე არ ემუქრებოდათ.

ბელი ჰაერს დაყნოსავდა, პირველი ანიშნებდა საკბილოს სიახლოვეს. მერე ცერად გადახედავდა ხოლმე ფრამს და უნდოდა ამოეცნო მისი იდუმალი ძალა, ყველაზე ძლიერსა და დიდ დათვსაც რომ გააქცევდა ხოლმე. ადლაბიჯას სასაცილოდ ეჩვენებოდა ეს ამბავი.

მხიარულად მისჩერებოდა, როგორ მირბოდნენ ყელში ლუკმაგაჩხირული დათვები, მერე როგორ შეჩერდებოდნენ და გაკვირვებულები უცქერდნენ საშინელ, უცნაურ არსებას.

ამასობაში მზე აუჩქარებლად უახლოვდებოდა ზენიტს.

ყინულის საფარველისაგან თავისუფალი ოკეანის ზედაპირზე კვლავ გამოჩნდა სამხრეთისაკენ უაფროდ, უსაჭოდ და უმენიჩბეებოდ საიდუმლო გალერებით მცურავი ყინულის მთები.

ხანდახან ფრამი რომელიმე ფრიალო კლდის ნაპირზე დადგებოდა და დიდხანს იცქირებოდა შორეთისაკენ. მერე მზერას მის გვერდით მდგარ ბელსა და დათვებითა და ნადირით სავსე კუნძულზე გადაიტანდა და გულს საშინელი, გაურკვეველი სევდა შემოაწვებოდა ხოლმე.

ერთხელ მათ წყლით გადარეცხილ ბრტყელ ქვაზე მზეს მიფიცხებული პატარა, ჩამრგვალებული სელაპი დაინახეს. ჩანდა იქ დედას დაესვა, თვითონ კი შვილისთვის საჭმლის საშოვნელად იქვე, მორევში ჩაეყვინთა.

ადლაბიჯამ ფრამს შეხედა, მერე ქვემოთ დაიწყო ცქერა და მოუსვენრად აწრიალდა.

პატარა სელაპის უწყინარ, მრგვალ თვალებში გაკვირვება რომ შენიშნა ფრამმა, ზურგი შეაქცია, მან უკვე იცოდა, რაც მოხდებოდა, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

ადლაბიჯა თავისი თეთრი შარვლით კლდიდან ისე მარჯვედ ჩამოცურდა, გეგონებოდათ, ციგაზე ზისო. ქვემოდან ერთი ნახტომით მოულოდნელად პატარა სელაპთან გაჩნდა და ალმასივით კბილებით მსხვერპლს თავის ქალას ხრამახრუმი აუტეხა.

წყლის ნაპირას ბებერი სელაპი გამოჩნდა. ერთ ამბავში იყო, წყლიდან ამოსვლას ლამობდა, რომ მიხმარებოდა თავის პატარას. როცა ამობლოტება მოახერხა, ადლაბიჯა უკვე კლდეზე მიათრევდა ნადავლს.

დედამ საცოდავად დაიკვნესა. ბელი კი კმაყოფილი ბურტყუნით ილუკმებოდა — იგი ნადირობაში პირველ წარმატებას ზეიმობდა.

მერე ტუჩები მოილოკა და ამაყი და მამლარი, ფრამის გარშემო მოჰყვა ტრიალს.

ფრამს არ უნდოდა ზედ შეეხედა ბელისათვის, ამ წუთში იგრძნო, რომ პატარა დაუნდობელი მეგობრისაგან რაღაცამ სამუდამოდ გათიშა, თუმცა იცოდა, დაუნდობლობას ყინულოვანი უდაბურება მოითხოვდა.

ჩქარა ფრამს ახალი და, ამჯერად, გადამწყვეტი მიზეზი გაუჩნდა სერიოზული ფიქრისათვის.

ერთხელ ფრამი მზეზე გამოტილიყო და, როგორც ამ ბოლო დროს დასჩემდა, მიტოვებული, შორეული სამყარო ესიზმრებოდა.

ადლაბიჯა ამასობაში გამქრალიყო. ფრამმა დაძინება რომ დააპირა, ისიც გვერდით მიუწვა, რომ გაიღვიძა, ბელი იქ აღარ დაუხვდა. გაუკვირდა, სად უნდა წასულიყო.

ფრამი ბელის საქმენელად გაეშურა, მაგრამ ვერსად ნახა. მერე ყინულებს შორის დამდგარი წყლისკენ გაემართა და შეძრწუნებული შეჩერდა.

განმარტოებული ადლაბიჯა გულმოდგინედ სწავლობდა ფრამის საცირკო ნომრებს. თათი თავთან მიჰქონდა, ცეკვავდა ვალსს, გულდაგულ ცდილობდა სალტო-მორტალეს გაკეთებას. ხან ცხვირით ეცემოდა, ხან ზურგზე, მაგრამ წარუმატებლობას არად აგდებდა, ყველაფერს ისევ თავიდან იმეორებდა და ყინულზე კოტრიალობდა.

ფრამის დანახვაზე სიხარულით აბურტყუნდა, ალბათ ქებასაც ელოდა და უკანა თათებზე წამომართული ვალსის ცეკვითა და თავის სასაცილო ქნევით გაემართა მისკენ. მერე შეჩერდა, ხელი თავთან მიიტანა, მიესალმა, თითქოს ეუბნებოდა, — ჩემი უფროსი მეგობარი არ შეიძლება არ გაახაროსო ასეთმა ნიჭიერმა და მუყაითმა მოწაფემ.

მაგრამ მისი უფროსი მეგობარი ქეროში სწვდა, ჰაერში აიტაცა და უმოწყალოდ ცემა, — ათიოდე მაინც უთავაზა პატარა ბელს.

ბელი იგრიხებოდა, ბრდღვინავდა, წკმუტუნებდა, მაგრამ ფრამი იქამდე სცემა, სანამ არ დაიღალა. მერე პირისპირ დაიყენა და ზედიზედ რამდენიმე სილა გააწნა.

ბოლოს, როგორც იქნა, შეეშვა, ადლაბიჯა მიწაზე ტომარასავით დაეცა, წკმუტუნის თავიც აღარ ჰქონდა.

— ახლა გაიგე? — მრისხანედ ბურტყუნებდა ფრამი. — რაც გენებოს, ის გააკეთე, აქაური კანონებით როგორც გინდა, ისე იცხოვრე, ოღონდ ჩემსავით ტაკიმასხარად ნუ გადაიქცევი, ამას ვერ გაპატიებ, პოლარეთს ერთი ჯამბაზიც ეყოფა!

ბელი ფეხებში ედებოდა, ზედ ეტმასნებოდა და პატიებას სთხოვდა, თვითონაც არ იცოდა, რისთვის.

მერე შეშინებული ფრამის კვალს აედევნა. ფრამი როგორც კი შეჩერდებოდა, ისიც შეიცდიდა, ფრამი რომ წავიდოდა, ისიც განაგრძობდა გზას.

ბელი ცდილობდა, თავისი უფროსი მეგობრის გულის მოღობას, მაგრამ რა დააშავა, მაინც ვერ მიმხვდარიყო.

ისინი ნაპირისკენ მიემშურებოდნენ.

ფრამი თავჩალუნული, დაფიქრებული მიდიოდა.

გადაწყვეტილება საბოლოო იყო. თუმცა უმძიმდა, მაგრამ უნდა განშორებოდა ერთადერთ თვისტომს. ბელისათვის ასე აჯობებსო. ადლაბიჯა დამოუკიდებელი იქნება. გამბედავი და საზრიანი, უკვე მზად არის მშობლიურ მხარეში

დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ახლავე ემჩნევა, რომ შესანიშნავი მონადირე დადგება.

ფრამთან მეგობრობა მას ჯამბაზად, არაფრის მაქნის დათვად გადააქცევდა, პოლარულ ყინულებს კი სულაც არ სჭირდება სულელი ავგუსტინი.

ფრამმა ნაბიჯს აუჩქარა.

მაღალი ნაპირიდან მათ წინ გადაიშალა უკიდევანო მწვანე ოკეანე, ჰორიზონტზე უიალქნოდ, უსაჭოდ და უმენიჩბებოდ, საიდუმლო გალერებივით მიცურავდნენ დიდი და პატარა ყინულები.

ნაპირთან მოცურებული ერთი ასეთი ყინული კლდის წამონაშვერს მოსდებოდა, ტალღებზე ირწეოდა და მზად იყო ოკეანეში გაეცურა. ყინული თითქოს ფრამს ელოდებოდა.

ფრამი უკანმოუხედვად ჩაცურდა ქვევით, ყინულზე გადახტა და თათით კლდეს მიაწვა, რომ ნაპირს მოსცილებოდა.

ყინული ატორტმანდა, შემოტრიალდა, დინებას მიჰყვა, ღია ზღვაში გავიდა და იქით გაემართა სადაც ცურავდნენ უაფრო, უსაჭო და უმენიჩბებო ყინულის გალერები.

ნაპირზე დარჩენილი ბელი წინ და უკან დარბოდა, წკმუტუნებდა, ფრამს ემახდა დაბრუნებულიყო და ისიც თან წაეყვანა.

მაგრამ ფრამს უკან არ მოუხედავს.

ბელმა თავი გაანება წინ და უკან სიარულს, ერთ ადგილს გაშემებულიყო, აღარ წკმუტუნებდა; უხმოდ მისჩერებოდა მცურავ ყინულს, რომელზედაც თეთრი ლანდი მოჩანდა. ლანდი თანდათან დაპატარავდა, ბოლოს კი ჰორიზონტის ხაზთან გაუჩინარდა.

XV. ნანუკი

გადამწვანებული ოკეანე ყინულივით ცივი და შემზარავი იყო, თბილი, ალერსიანი, მხიარული ცისფერი ზღვებისა მას არაფერი ეცხო.

ყინულოვანი ოკეანის სილამაზე პოლარული მზის თვალისმომჭრელ სინათლეზეც კი მკაცრი და შემაშფოთებელიაო, ასე ირწმუნება ყველა მოგზაური.

ამ მიუსაფარი სივრცის უჩვეულო ზვიადობა, ძრწოლის მომგვრელი სიმშვენიერე, ცაზე უმოდრაოდ გაქვავებული მზე, ვერცხლისფერ ჭავლებზე მოცეკვავე სხივები, თვალსაწიერამდე გადაშლილი წყლის ჰორიზონტი პირველ ხანებში ანცვიფრებს მნახველს.

არც გემები ჩანს სადმე და არც ნავეები. სულიერის ჭაჭანება არსად არის. უსაზღვრო სივრცეში მიცურავენ მხოლოდ ყინულის მთები — უსაჭო, უაფრო და უმენიჩბებო საიდუმლო გალერები. ჰორიზონტს ფრთების ფართქუნით იშვიათად თუ გადასერავს, ღმერთმა იცის, საიდან მომავალი, ფრინველთა გუნდი.

ყოველივე ამაში არის სილამაზე — შეუცნობელი და შემაშფოთებელი.

მოგზაური პირველ ხანებში მოჯადოებულობა; ერთი კვირის მერე კი ეს სილამაზე ბეზრდება, მის სულს ძრწოლვა იპყრობს და აქაურობა სატანჯველად და კომმარად ექცევა.

ირგვლივ უცვლელია სურათი — ცაზე უმოდრაოდ გაქვავებული მზე, ვერცხლისფერ ჭავლებზე მოცეკვავე სხივები, უდაბური შორეთი და ჰორიზონტზე უგზოუკვლოდ მოხეტიალე ყინულები.

სანახაობის ერთფეროვნებით დაქანცული მზერა სიახლეს მოითხოვს.

სულ ერთია, ოღონდ გამოჩნდეს გემი ან ხმელეთი, ანდა გაისმას ადამიანის ხმა! იმაზე ოცნება ხომ ზედმეტია, რომ მიაღგებით ნაპირს, რომლის ბაღებში ბულბულები სტვენენ...

ეს მკაცრი, უდაბური ყინულოვანი ოკეანეა.

ირგვლივ ყინვა და მარტოობა მეუფებს. აქ თვალისმომჭრელი სინათლეც კი დამთრგუნველია, გბეზრდება მუდმივი შუადღე — ცისფერ ზეცაზე მიჭედელი ცივი, მოელვარე, უნიათო მზე.

აქ თუ რაიმე შეიცვლება, უარესით — გრიგალით, ქარიშხლითა და ჯანლით იცვლება.

ცა ამ დროს თოვლის საბურველით იფარება, მცურავი ყინულები ჯანღში არაამქვეყნიური სამყაროდან მოვლენილი მოჩვენებებით ჩნდებიან და ქრებიან ისევ.

სწორედ ასეთმა სქელმა ჯანღმა დაფარა მზე, ფრამი თავის ყინულით ოკეანეში რომ შეცურდა. ჯანღი მოულოდნელად ჩამოწვა და ორ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. ბამბასავით თეთრმა, სქელმა ფარდამ წყლის ხმაურიც კი ჩაახშო. ფრამმა თვალეები დახუჭა და თავის ყინულის სარეცელზე მოიბღუნდა. მისთვის ამქვეყნად უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო.

ამინდი იქნებოდა თუ უამინდობა, მცურავი ყინული მაინც მიიყვანდა სხვა უდაბურ ადგილას. მას კი უნდოდა, დიდი ხნით დაეძინა და მერე გამოეღვიძა ადამიანებითა და მუსიკის ხმებით სავსე მწვანე, აყვავებულ სანაპიროზე, სადაც ყვითელ სილაზე თამაშობენ, სერსოებს დასდევენ ბავშვები.

ამის ახდენა სიზმრად შეიძლებოდა მხოლოდ.

ფრამი სიზმარში ისევ სტრუცკის ცირკის არენაზეა, ტაშს უკრავენ და უყვირიან, «ბრავო, ფრამ!» იგი თავის გულითად მეგობარს, სულელ ავგუსტინს სალტო-მორტალეს გაკეთებაში ეჯიბრება, ჯამბაზს აგურისფერი პარიკი და მწიფე პამიდორით ცხვირი აქვს, თეთრ ბალანზე ფრამს კვლავ მეგობრული ხელი ეალერსება და ყველაფერი ესმის, რასაც ეუბნებიან, ხედავს, როგორ მორიდებით უწვდიან პატარები შაქარყინულიან კოლოფებს. ფრამი თავისთან უხმობს სხვა ბავშვებს და საჩუქრებს ურიგებს. დიახ, იქ იგი უყვარდათ და უგებდნენ კიდეც, აქ კი კაცმა არ იცის, საით წაიღებს დინებას მინდობილი ყინული.

პატარა, სასაცილო, ერთგული და საზრიანი მეგობარი მიატოვა. მიატოვა, რადგან არ უნდოდა დაერღვია პოლარული ცხოვრების მკაცრი, უბრალო და ველური წესი, რომლის შესრულება აუცილებელი იყო ბელისათვის. ახლა კი ისევ ეულად არის, მცურავი ყინული ერთი დღის შემდეგ მიაყენებდა უცნობ კუნძულს თუ ერთი კვირის შემდეგ სულ ერთი იყო. — იცოდა, ყველგან ერთი და იგივე ელოდა, ყველგან დათვის სახით მოვლენილ სულელ ავგუსტინად დარჩება; მარტოხელობა არ ასცდება სიბერეში საცოდავი მასხარა ვერ დაუმეგობრდება ვინმეს, რადგან ვისთანაც დააპირებს დამეგობრებას, ყველა მის საცირკო ნომრების სწავლას მოინდომებს. ისინი ფრამივით განსწავლულ დათვებად ვერ იქცევიან, თავიანთ სახეს კი დაკარგავენ, არც აქეთ იქნებიან და არც იქით.

ფრამი სიზმრებსა და ოცნებაში გართული თვლემდა ჯანლით გარშემორტყმულ ყინულზე.

ხანდახან ნისლში ვეება ჩრდილი გამოჩნდებოდა, ვერ გაიგებდი, ხმელეთის იყო თუ სხვა ყინულისა. ნახევრად თვალეზომოხუჭული იწვა ფრამი და არც უფიქრია, მისულიყო თავისი ყინულის გემის კიდესთან, რომ უკეთ დაენახა, რას სტოვებდა უკან.

მთვლემარე შორეულ ქვეყნებზე, ადამიანებზე, ქალაქებსა და გაკაშკაშებულ ქუჩებზე ოცნებობდა.

ჯანლი რომ გაიფანტა და მზემ კვლავ გამოანათა, ფრამმა უსიცოცხლოდ მოავლო თვალი ჰორიზონტს. იგი კვლავინდებურად უდაბური იყო. ირგვლივ არ ჩანდა არც ნისლით მოცული კუნძული და არც კლდეები, რომც გამოჩენილიყო, რა სიკეთის მოტანა შეეძლო უკაცრიელ კუნძულს.

მცურავი ყინულები შეთხელდა, ზოგი ოკეანის უსასრულობაში გაფანტულიყო, ზოგი გამდნარიყო, ზოგი დაწინაურებულიყო.

ოკეანე უფრო უდაბური ჩანდა. ფრამმა მეტი სიმწვავეით იგრძნო მარტოობა.

მან გვერდი იცვალა და ისევ დაიძინა.

კარგა ხნის შემდეგ ძლიერმა დაჯახებამ შეაწყვეტინა ლამაზი სიზმარი.

პირველად ფრამმა ზანტად დაამთქნარა, გაიზმორა, მერე წამოიხედა, რა მოხდაო, გოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, წამოდგა. მისი ყინული მაღალ, კლდოვანნაპირებიან ვიწრო და ღრმა ფიორდში შესულიყო, ფრამს ჩრდილოეთში მთელი თავისი ხეტიალის მანძილზე არასოდეს ენახა ასეთი რამ.

მარჯვნივ და მარცხნივ ყინულის შვეული ნაპირები ბროლის კედლებივით აღმართულიყვნენ და შუაში დამდგარი უმოძრაო წყლის ზედაპირზე არეკლილები ისე ჩანდნენ, თითქოს შიგაც ასეთივე ბროლის კედლები ჩაძირულანო.

გამჭვირვალე ყინულის კედლებს შორის ზღაპრული, მოლურჯო, მწვანე სინათლე ციმციმებდა, ვერ გაიგებდით, იგი ზემოდან, ცის ლაჟვარდიდან ანათებდა თუ ფიორდის სარკიდან ირეკლებოდა, ან იქნებ ყინულები ელვარებდა. შეიძლება სხივთა სხვადასხვა ნაკადი იყო ერთად შერწყმული. ასეთი ალერსიანი და დამსაშოშმინებელი სინათლე სჩვევია თბილი ქვეყნის შემოდგომის დღეებს, როცა ჰაერს მოიცავს ტკბილ-მწარე უმიზეზო სევდა, სევდა მოახლოებული დასასრულისა...

ყინულმა ფრამი მსოფლიოს ყველაზე წარმატაც ადგილს მიიყვანა, ეს გახლდათ ბუნების ერთ-ერთი საოცრება, რის გულისთვისაც ადამიანები ფოტოაპარატებითა და ჩარჩოზე გადაჭიმული ტილოთი ცხრა მთას იქით მიდიან: ეს იყო საოცრება, რაზედაც ჰყვებიან წიგნები, ზღაპრები და პოემები.

მაგრამ ამ მშვენიერებას, ისევე როგორც პოლარეთის უდაბნოში ბოლო დროს ნანახ ბევრ სხვა რამეს, ფრამი აღარ აღუფრთოვანებია, აქაურობა სულ აღარ აინტერესებდა — მშვენიერების ხილვით ვერც გათბები და ვერც გაძლები.

ესეც ერთი უდაბური კუნძული იყო მხოლოდ! ბროლის კედლების ზემოთ ცა მოჩანდა, ფიორდის უმოძრაო ზედაპირზე იგივე ცა გადმოპირქვავებულიყო.

მართლაც რომ მშვენიერია, მაგრამ ვის რას არგებს?

რაკი ყინულმა მოიყვანა, ფრამმა გადაწყვიტა, ამ უდაბური ადგილის უსარგებლო მშვენიერებაც გამოეკვლია. იქაურობა შეათვალა, ნაპირზე გადასვლა და მაღლა აბლოტება გადაწყვიტა.

ამაოდ ეცადა.

ფიორდის გამჭვირვალე კედლები შვეულად იკარგებოდნენ სიღრმეში, არსად არ ეტყობოდა წამონაშვერი ან ბზარი. გეგონებოდათ, ზეციდან ორი გლუვი ყინულის სარკე ჩამოუშვიათო მწვანე მორევში.

ყინულის ტივი ოდნავ შეტორტმანდა. ფრამი თათით კედელს მიაწვა, რომ ფიორდიდან გასულიყო, დინებას გაჰყოლოდა და გადასასვლელად უფრო მოხერხებულ კუნძულს მისდგომოდა. ყინული დაფერდდა, სანახევროდ მობრუნდა და გამჭვირვალე შვეულ კედელს მიებჯინა. ფრამი კედელს წინა თათებით მიაწვა და უფრო ძლიერად უბიძგა ყინულს, ყინული გასასვლელისაკენ კი არ წავიდა, ფიორდის

შუაგულში გაჩერდა, მერე ატორტმანდა, შემობრუნდა და ყურეს სიღრმისაკენ გაცურდა.

ფრამმა თათები წინ გაიწოდა და თავი ზედ დადო.

ბოლოს და ბოლოს მისთვის სულ ერთი იყო საით წავიდოდა!

წყლის ზოლი უფრო დავიწროვდა, სინათლე მკრთალი და ლბილი გახდა.

ანაზდეულად ყინულის კედლებმა თითქოს აქეთ-იქით გაიწიאו.

ფრამი წყალში დამრეცად ჩაშვებულ მომრგვალებულ ქვაბურს მიადგა, ქვაბური მაღალი ყინულოვან ნაპირით იყო შემოქობილი, იმის იქით კი ნამდვილი პლაჟი იწყებოდა.

აქაურობა ჰგავდა საოკეანო გრიგალისაგან იდეალურ თავშესაფარს, რომელიც ციხე-სიმაგრის მსგავსი კედლებით იყო გარშემორტყმული. არემარეს პოლარეთის შუადღის მზე ათბობდა, ყინულებს შორის მდებარე ოაზისი ხავსითა და ალისფერი თუ ყვითელი პოლარული ყაყაჩოებით დაფარულიყო. წყლის პირას პატარა ბიჭი იდგა. ხელში ანკესი ეჭირა.

ბიჭი ბეწვისა და ტყავის ტანსაცმელში გამოწყობილიყო. ფეხზე ბეწვის მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, ქამარზე ქარქაში ჩადებული თავის სიგრძე დანა ეკიდა, თავზე უზარმაზარი ბეწვის ქუდი ეხურა, სახეზე ბრინჯაოსა და თუჯის ფერი დაჰკრავდა, თვალები წვრილი და ირიბი ჰქონდა.

ბიჭი ისე დამაბული უთვალთვალეობდა თავის ანკესს, რომ ყინულის მოახლოება არც შეუნიშნავს, წყლის ზედაპირი რომ შეტოკდა, მაშინდა შეასწრო თვალი.

თეთრი დათვის დანახვაზე შეჰყვირა, ფრამმა კარგად იცოდა, რითაც უნდა გაეფანტა შიში პატარა მეთევზისათვის.

იგი ყინულის ტივზე კოტრიალსა და სალტო-მორტალეს კეთებას მოჰყვა, მერე ბიჭს მიესალმა, ბოლოს ვალსიც ჩამოუარა.

ბიჭმა გაკვირვებისაგან დაჭყეტილი თვალები აახამხამა, უკან დაიწია, მაგრამ გაქცევით, არ გაქცეულა.

სანამ ყინული ნაპირს მიადგებოდა, ფრამი ჯამბაზობას განაგრძობდა, კიდევ ერთი ბრწყინვალე სალტო-მორტალე და იგი პატარა ესკიმოსის გვერდით აღმოჩნდა. ბიჭი უკვე ნანობდა, რომ არ გაიქცა, განგაში არ ატეხა და საშველად არავის მოუხმო.

მაგრამ უკვე გვიან იყო.

ერთ ადგილას გაქვავებულს ხმა ვერ დაედრა.

მერე ამოიოხრა, მორჩილად ელოდა დასასრულს, როგორ ეცემოდა დათვი თავიანთ ჩვეულებისამებრ მკერდზე.

აკანკალებული ხელიდან ბიჭს ანკესი გაუვარდა, მაგრამ ასაღებად ძირს დახრა ვეღარ გაებედნა.

ფრამი ალერსიანად უმზერდა.

რატომ ეშინია მისი ესკიმოს ბიჭს? ნუთუ არ იცნობს ფრამს? — ბავშვების სიხარულსა და მეგობარს? ფრამმა თავისი შორეული პატარა მეგობრების მოგონებაზე თათი ასწია, რომ ბიჭისათვის მოფერებით გადაესვა თავზე.

მეთევზემ თვალები დახუჭა და ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა, იფიქრა, ახლა კი დადგაო აღსასრულის დღე...

მაგრამ თავი მსუბუქად შეეხო ჯერ ქუდს, მერე კი ბიჭუნას სახეს. ეს ალერსი იყო, ნამდვილი ალერსი! ასე ნაზად თავის დღეში შინ, ქოხშიაც კი არავინ მოფერებია!

ბიჭმა შიშით გაახილა ირიბი თვალები. არა, ეს არც სიზმარია და არც მოჩვენება. მის წინ დგას ნამდვილი თეთრი დათვი და თავზე თათს უსვამს!

ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ზღაპრებშია, გრძელ პოლარულ ღამეს რომ ჰყვებიან ხოლმე ქოხებში, როცა ყველა სელაპის ქონის ჭრაქს შემოუსხდება და მოხუცები დაიწყებენ მოჯადოებული დათვების ამბებს.

მთვლემარე ბებიები და პაპები აუჩქარებლად, სვენებ-სვენებით ჰყვებიან ზღაპრებს. აქაური ზღაპრებიც ისეთივეა, როგორც მსოფლიოს ყველა ზღაპარი.

ოღონდ თბილი ქვეყნების ზღაპრებში ოქროს ვაშლები, ფასკუნჯები და გულთმისანი რაშები შეგხვდებათ, პოლარეთის ზღაპრები კი თეთრ დათვებზეა, აბა, სხვა რაზე უნდა იყოს?

და მართლაც, ესკიმოსების ზღაპრებში ყოველთვის შეხვდებით მოჯადოებულ თეთრ დათვებს, რომლებიც ოდესღაც თურმე ადამიანები ყოფილან და ლაპარაკიც შესძლებიათ, მათ სადღაც, უფრო ჩრდილოეთით თავიანთი სამეფოც კი ჰქონიათ.

პატარა ესკიმოსი თანდათან გონს მოვიდა გათამამდა, თურმე ზღაპრები არ სტყუიან, ასეთი დათვები მართლა ყოფილანო!

გეგონება, ფრამი გუმანით მიხვდა ბიჭის საფიქრალს, რამდენიმე ნაბიჯი უკან დაიხია და უშეცდომოდ გააკეთა სამი შესანიშნავი სალტო-მორტალე, რითაც სამუდამოდ ინადირებდა ხოლმე ბავშვების გულს.

მერე ანკესი აიღო და გაჩერებულ მეთევზეს ხელში ჩაუდო.

საეჭვო აღარაფერი დარჩა!

ნამდვილი მოჯადოებული დათვი იყო!

ბიჭი გამხიარულდა, გულიანად გაიცინა და ფრამს ბალანზე ხელიც კი შეავლო. ცოცხალი დათვია ნამდვილად! მაგრამ არ იკბინება, არ ცდილობს დაგცეს მიწაზე და შუაზე გაგლიჯოს. კი არ ბრდღვინავს, თავზე ალერსიანად გისვამს ხელს და ათასნაირ საინტერესო ოინებსაც გიჩვენებს, ყირაზე გადადის, მთელი ესკიმოსების მოდგმაში ვერ ნახავ მის ბადალ ჯომარდს!

ასეთი სასწაული ყველამ უნდა იხილოს, იმ ესკიმოსებმაც, რომლებიც ახლა აქვე მახლობლად ყინულში ნანადირევს ინახავენ, გაიფიქრა ბიჭმა და ის იყო ადგილს უნდა მოსწყდომოდა, რომ ფრამმა თავზე თათი დაადო და შეაჩერა.

მას გაახსენდა სხვა, უფრო სამართლისეული ზღაპარი. ზღაპარი იმის შესახებ, თუ ერთხელ მონადირე ესკიმოსმა როგორ მოკლა ძუ დათვი, მერე შებოჭილი ბელი როგორ წაიყვანეს ბინაში, ქოხის კუთხეში მიაგდეს და აღარაფერი იხსნიდა, რაღაც ბედნიერი შემთხვევა რომ არ გამოჩენილიყო. ფრამს ემინოდა ცუდი დასასრულისა და სულაც არ ესწრაფოდა ბიჭის თვისტომთა გაცნობას.

მან პატარა ესკიმოსი მოაბრუნა, თათით ანიშნა ერთ ადგილს მდგარიყო.

ბიჭმა იცოდა, მოჯადოებული დათვისთვის უნდა დაეჯერებინა და მორჩილად გაჩერდა. ერთი რამე აოცებდა მარტო, ზღაპრებში მოჯადოებულ დათვებს სიმღერა, ცეკვა და ლაპარაკიც შეეძლოთ, ეს კი ცეკვავედა მხოლოდ.

ბიჭს უნდოდა გაეგო, ლაპარაკი იცოდა თუ არა დათვმა და უთხრა:

— მე ნანუკს მეძახიან, შენ რა გქვია?

დათვმა პასუხად რაღაც ჩაიბურტყუნა. ოდესღაც ასწავლეს და ჯოხით სილაზე წერდა ხოლმე თავის სახელს: «ფრამი».

სახელის წარმოთქმა კი აბა საიდან შეეძლებოდა, ის ხომ გაწვრთნილი დათვი იყო და არა მოჯადოებული?

ნანუკს გული გაუტყდა, ეს რანაირი მოჯადოებული დათვია, ლაპარაკი არ შეუძლიაო!

იგი მეტს მოელოდა, თუმცა, შესაძლოა, იფიქრა ბიჭმა, დათვმა არ იცის ესკიმოსების ენა და იმ თერთკანიანი მეთევზეების ენაზე ლაპარაკობს, ვისი გემებიც

ყოველ წელიწადს შემოდინან ფიორდში, რომ მაგარი სასმელები, თოფები, ვაზნები, საფანტი, თოფის წამალი და მძივები — თეთრი დათვების, სელაპებისა და თეთრი მელიების ტყავებზე გადაცვალონო. ადვილი საფიქრებელიც იყო!

ბიჭს მოუნდა გაეკვირვებინა მოჯადოებული დათვი და თავისი სათამაშოების საჩვენებლად წაიყვანა, ბიჭი წინ მიდიოდა, ფრამი უკან მისდევდა. ჩქარა ფიორდის შესართავს მიადგნენ. ნანუკს იქ ჰქონდა შენახული მთელი თავისი ავლადიდება. ჩეროში, სადაც არასოდეს აღწევდა მზის თვალი, ბიჭს თოვლისა და ყინულისაგან ესკიმოსების სადგომის მსგავსი ნამდვილი ქოხი გაეკეთებინა.

პატარა კაცს ქოხიც პატარა აეშენებინა.

ნანუკმა ხელი შეჰყო და გამოაწყო: ორი პაწაწინა ძვლის თხილამური, ძვლისავე ციგურები, ანკესი და ნემსკავების ძუების გორგალი.

ბიჭმა ფრამს შეხედა, აბა, აღფრთოვანება თუ ეტყობაო.

— მოიცა, ჯერ სადა ხარ, — უთხრა ნანუკმა, — ახლა ისეთ რამეს გაჩვენებ, თავის დღეში არ გენახოს...

პაწია ქოხის კუნჭულიდან ბიჭმა დაჟანგული, წვერმოტეხილი დანა, მშვილდი, ისარი, პატარა შუბი, რამდენიმე ცარიელი მასრა და შურდული გამოალაგა.

პატარა ესკიმოსმა ყველაფერი ერთ რიგში ჩაამწკრივა, ფეხზე წამოდგა, დოინჯი შემოიყარა და იცდიდა, რით გამოხატავდა მოჯადოებული დათვი თავის მოწონებასა და განცვიფრებას.

იქნებ ფიქრობდა კიდევ, თვალის დახამხამებაში დათვი ამ სათამაშოებს ნამდვილ იარაღად გადააქცევსო, რითაც მამამისი და მისი თვისტომნი ნადირობდნენ. ეს არც გაუკვირდებოდა! ასე ხდებოდა ყველა ზღაპარში, რაც კი, მოჯადოებულ დათვებზე მოუსმენია. ასეთ დათვს რომ შეხვდე; საკმარისია ინატრო რამე, მაშინვე ყველა სურვილი შეგისრულდება. ამიტომ სულაც არ განცვიფრდებოდა პატარა ესკიმოსი, მისი ქოხი ნამდვილ ქოხად რომ ქცეულიყო, თხილამურები — ნამდვილ თხილამურებად, ციგურები — ნამდვილ ციგურებად, გატეხილი დანა — საშიშ ორლესულად, ქოხში მიგდებული უმაქნისი რკინის ნაჭერი კი, რომელიც ახლა მას წელზე ჰკიდია — ნამდვილ სანადირო ხანჯლად.

ოდნავადაც არ გაუკვირდებოდა.

ის კი არა, ბიჭი გაოცებული დარჩა, დათვი ჩემს განძს ასე გულგრილად როგორ უყურებსო.

ფრამი მართლაც სულ სხვა თვალით უყურებდა ამ საგნებს და ლაპარაკი რომ შემდებოდა, ბევრ რამეს იტყოდა ალბათ.

როგორ არ ჰგავდა ეს სათამაშოები შორეული თბილი ქვეყნების ბავშვთა სათამაშოებს!

რამდენი სათამაშოები ჰქონდათ მათ — ბურთები, სერსოები, თუნუქის მოსამართი ავტომანქანები, ფერად-ფერადი კუბიკები, საინტერესო სურათებიანი წიგნები, მძივისთვალეებიანი პლუმის დათვები, სასაცილო პლუმის მაიმუნები, ტუჩის გარმონები, ზამბარიანი ჯამბაზები, ჯადოსნური ფარნები, საჰაერო ბუმტები... და ვინ მოსთვლის კიდევ რა!

ნანუკის ყველა ეს სათამაშო მერე მის ნამდვილ საბრძოლო იარაღად იქცეოდა. ამ საგნებს ჯერ არ შეეძლო სიკვდილი მოეტანა ვინმესთვის, რადგან ბიჭს გადაყრილი, უსარგებლო საგნებისაგან თვითონ გაეკეთებინა ისინი. ყველა სათამაშო ნამდვილი სანადირო იარაღისათვის მიემსგავსებინა, რომელთაც ხვალ თუ ზეგ პატარა ბიჭი დათვებზე, სელაპებსა და თეთრ მელიებზე ნადირობისას გამოიყენებოდა.

იგი პოლარეთში ცხოვრობდა და იქაურ მკაცრ კანონებს ემორჩილებოდა. პოლარეთში ადამიანთა მთავარი საქმიანობა ხომ ნადირობა და მეთევზეობაა!

კუნძულის მაღალ სანაპიროზე მიტოვებული ადლაბიჯასავით, ნანუკიც დაბადებით მონადირე იყო.

ფრამმა ბიჭს თათი ალერსით გადაუსვა თავზე.

— გეტყობა, ლაპარაკი არ შეგიძლია, — წარმოთქვა გულგატეხილმა ნანუკმა, — აბა, თუ მოჯადოებული დათვი ხარ, გეხვეწები, ყველაფერი ეს ნამდვილ იარაღად გადააქციე.

ფრამს უნდოდა მისთვის კარგი გაეკეთებინა, ყოველთვის უხაროდა, როცა ბავშვებს რამეს ასიამოვნებდა და გაახარებდა, მაგრამ ეს ესკიმოსი ბიჭი შეუძლებელს სთხოვდა. იგი შეეცადა, სასაცილო, საცირკო ნომრებით ბიჭის ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა: ანკესი გამოართვა, ცხვირზე გამოიდო, მერე დანა დაუმიზნა და ყინულის და თოვლის სათამაშო ქოხს ზედ «სახურავზე» დაარჭო.

ნანუკი სულაც არ აღფრთოვანებულა.

რა ჯანდაბად მინდა ასეთი მოჯადოებული დათვი, თუკი სათამაშო იარაღს ნამდვილ იარაღად ვერ აქცევს და მარტო რაღაცას ოინბაზობსო.

ეს მოჯადოებული კი არა, ეტყობა სულელი დათვია. ეგებ სულაც გამოთაყვანებულია ყეყეჩი ბაბუკივით, უმიზეზოდ ხან რომ იცინის და ხან ტირის. დიდი ხნის წინათო, ჰყვებიან მოხუცები, ბაბუკი ყველაზე მარჯვე და უბადლო მონადირე იყო; სროლისას ხელი არასოდეს აუკანკალდებოდა. ერთხელ ტალღებს სანაპიროზე რომელიღაც დამსხვრეული გემიდან ყუთი გამოერყა. ყუთში თურმე ბოთლები ეწყო, ბოთლებში კი რაღაც ისეთი სითხე ყოფილა, ყელს ცეცხლივით სწვავდა. მონადირეს ზედიზედ სამი ბოთლი გამოუცლია, ბოლოს გრძნობა დაუკარგავს: იმის შემდეგ გამოყეყეჩებულა. მამაკაცები სანადიროდ რომ მიდიან, მას ქალებისა და ბავშვების საყარაულოდ ქოხში სტოვებენ. მოხუცი ერთთავად რაღაცაზე წუხს, ტირის, იგრიხება, ხან მღერის და ხან იცინის, მიწაზე გორაობს, მაგრამ არავინ ეკითხება, რა უნდა. მუქთამჭამელს ეძახის ყველა.

ასეთი იყო ბაბუკი — თავისი ჯილაგის შემარცხვენელი. პატარა ესკიმოსმა ფრამიც სწორედ ასეთად წარმოიდგინა. რის მოჯადოებული, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თეთრი დათვიაო.

ნანუკს მოკრძალება დავიწყებოდა და ისეთივე ზიზლით უყურებდა, როგორც მისი თვისტომნი მოხუც ბაბუკს ექცეოდნენ. რაკი დათვი მოჯადოებული არ იყო, აღარც ეშინოდა და არც არაფერი აკვირვებდა მისი. რა ხეირს უნდა ველოდე მისგან, როცა არც ლაპარაკი შეუძლია და ვერც სათამაშოები გადაუქცევია ნამდვილ იარაღად, რომ გავქცეულიყავი შინ და გამეკვირვებინა დიდიც და პატარაცო.

ფრამმა ბიჭს ყოყმანი შეამჩნია.

ბურტყუნით რაღაცა ჰკითხა და თითქოს პასუხს ელოდა მისგან.

— რაზე ფიქრობ, არ მომწონს შენი გამოხედვა.

მართლაც ნანუკი ახლა სულ სხვა თვალთ უყურებდა.

მკაცრი და პატივმოყვარული აზრი აკვიატებოდა, როგორც ნამდვილ დაბადებით მონადირეს ეკადრება.

თეთრი დათვის მოკვლა მის საგვარეულოში გმირობად ითვლებოდა. ასეთ რამეზე მერე მთელი წლობით ლაპარაკობენ ხოლმე, აღტაცებულნი ქებას არ იმურებენ, რაც მეტი დათვი ეყოლება მონადირეს მოკლული, მით უფრო დიდებით იმოსება მისი სახელი. რა იქნება რომ ვცადო? რა მოხდება, სადმე რომ დავიმალო და ამ გამოთაყვანებულ დათვს პირდაპირ თვალში ვესროლო. ემჩნევა, თავდაცვას არც

შეეცდება. კარგად იცის ნანუკიმ — ერთი ისარი თვალში უნდა ესროლოს, მეორე ყურში. ყველა გაცდება. გარს შემოეხვევიან, საკუთარ თვალს არ დაუჯერებენ... ნუთუ ნანუკიმ სხვის დაუხმარებლად ჩაიდინაო ასეთი გმირობა? მერე ნადავლს ბინაში გამოშიგნავენ, გაატყავებენ, ტყავს ნანუკის მისცემენ, ასეა წესი, ხორცს კი გაიყოფენ და ყინულის სარდაფში შეინახავენ პოლარული ღამის მარაგად. თვისტომნი ნანუკის განადიდებენ. ბავშვად აღარ ჩათვლიან. შორს, სხვა ტომებში გავარდება მისი ამბავი. მთელ ესკიმოსებს წლების მანძილზე სალაპარაკოდ ექნებათ მისი უჩვეულო გმირობა, — ბავშვთა სათამაშო მშვილდ-ისარით დათვი მოკლაო. ქარიშხლის ღრიალში უსასრულო პოლარულ ღამეს, როცა მთელი ოჯახი მოიყრის თავს სელაპის ქონის ჭრაქის გარშემო ამ ღამაზე ზღაპარს წლიდან წლამდე გაიმეორებენ მოხუცები.

ნანუკიმ მშვილდი მოამზადა, ისარიც შეათვალა. ფრამი დაბნეულად მისჩერებოდა.

იგი ისე მშვიდად უცქერდა, რომ, პატარა ესკიმოსმა გადაწყვიტა, დამალვა არცა ღირსო. საკმარისია, რამდენიმე ნაბიჯით დაიხიოს უკან, დაუმიზნოს და მოზიდოს მშვილდი...

ბიჭმა უკან დაიწია, მშვილდი მოამზადა.

ფრამი როგორც იქნა მიხვდა. თვალეები ეშმაკურად აუციმციმიდა. უყურებდა და ელოდა.

ნანუკიმ ესროლა. ლარმა გაიზუზუნა, ისარმა გაიწივლა, ბიჭმა თვალში დაუმიზნა, მაგრამ ისარი რატომღაც დათვს თათში აღმოაჩნდა. — გაფრენილი ისარი ფრამმა ცირკის არენაზე ნასროლი ფორთოხალივით დაიჭირა.

პატარა ესკიმოსს ყოყმანი დაეტყო. საშინელმა აზრმა გაუელვა.

მართლა მოჯადოებული რომ იყოს? ნანუკიმ ხომ გულდაგულ დაუმიზნა. ამაში დარწმუნებულია, ესკიმოს ბავშვებში ტყუილად კი არ ითვლება მშვილდ-ისრის საუკეთესო მსროლელად.

იმის მაგივრად, რომ ისარი თვალში ჩარჭობოდა, დათვმა თათით დაიჭირა და ახლა საყვედურით მისჩერებოდა ბიჭს, მაგრამ არცა ბრდღვინავდა და არც გულზე სცემია, როამ შუაზე გაეგლიჯა.

ჰმ! უცნაური ამბავია, თუ მართლა მოჯადოებული დათვია, რატომ არ აქცევს თავის შეურაცხყოფელს ყინულის ბელტად? ასე სჯიან მოხუცთა ზღაპრებში მოჯადოებული დათვები ადამიანებს, როცა სამაგიეროს გადახდა უნდათ. შეხედავენ, ერთ ნაბიჯს წინ გადადგამენ, შეჩერდებიან, კვლავ შეხედავენ, მერე იქამდე უცქერენ, სანამ ადამიანი ყინულად არ იქცევა.

ნანუკის ხელი აუკანკალდა.

მაგრამ ჯიუტი იყო და ერთხელ კიდევ სურდა ეცადა ბედი. მშვილდი მოზიდა, ახლა მეორე თვალში ესროლა. ფრამმა ისარი მეორე თათით დაიჭირა.

ცხადია! მოჯადოებული დათვი ყოფილა!

სულაც არ ეშინია ისრების; ისე ეთამაშება, ვითომც არაფერიო. სხვანაირად არც შეიძლება! როგორ იფიქრა, რომ სათამაშო ისრით მოკლავდა? საეჭვო აღარაფერია, მოჯადოებული დათვია ნამდვილად!

ბიჭმა მიმოიხედა საით გავიქცეო, მაგრამ ერთ ადგილზე გაშეშდა. ეგონა, მოჯადოებული დათვის მზერამ გააქვავა. ფრამმა წინ წადგა ნაბიჯი. ისრები ილიაში ამოეჩარა და უკანა თათებზე დამდგარი ქანაობით ნელა მიდიოდა ბიჭისკენ.

ნანუკის ხმა ჩაუვარდა, ეჩვენებოდა, შველას თხოულობდა, საკუთარი ხმა კი არ ესმოდა.

იფიქრა, აღსასრულის დღე დამიდგა, გარდუვალ სიკვდილს ველარსად გავექცევიო.

პირველი შეხედვით დათვი მუხლებამდე გაყინავს, მეორედ — წელამდე, მესამედ თვალის დადგმაზე კი თავით ფეხებამდე ყინულის ხერგად გადააქცევს.

მონადირეები, ზამთრისათვის ხორცს რომ ინახავენ ყინულში, მოვლენ მის წასაყვანად, მაგრამ გაყინული ნაწიკი დაუხვდებათ, მაშინვე იტყვიან, ალბათ მოჯადოებული დათვი იყო აქაო.

ფრამი პატარა ესკიმოსისაგან მხოლოდ ერთი ნაბიჯითლა იყო დაშორებული.

მრისხანება არ ჩადგომოდა მას თვალეზში, ვერც ჯადოქრობისას შეამჩნევდით რამეს, მწარე გოცება კი ნამდვილად ეტყობოდა.

ფრამმა გადაწყვიტა, ბიჭი დაესაჯა, მკაცრად არა, მაგრამ მაინც დაესაჯა.

იგი ქეჩოში სწვდა. ნაწიკი ჰაერში ფართხალებდა, უჩუმრად იყო ენაგადაყლაპულივით. ფიქრობდა, ზეცაში მისვრის და ჩემი ტყავის შარვლით მზეს მიმაკრავსო.

ფრამმა ბიჭი ერთი ლაზათიანად შეაჯანჯლარა, წელქვემოთ მსუბუქად რამდენჯერმე წამოარტყა თათი, თუმცა ეტყობოდა, თვითონვე გრძნობდა, უსარგებლო იყო ასეთი დასჯა.

მერე ფეხზე დააყენა. ბიჭს განძრევისა ეშინოდა, მაგრამ თანდაყოლილმა ცნობიერებამ უბიძგა და ქვეშ-ქვეშ შეხედა.

ფრამმა ნაწიკის სათამაშოები მოკრიფა, დაამტვრია და წყალში გადაუმახა. თვითონაც აღარაფერი დარჩენოდა აქ. იქვე, ნაპირზე მოტორტმანე ყინულზე გადახტა და ფიორდის შესართავისაკენ გაემართა.

აქეთ-იქით აუწერელი სილამაზის ბროლისებური ყინულის კედლები აღმართულიყო. ლბილი და ალერსიანი სინათლის ნაკადი იღვრებოდა მათ შორის. ირგვლივ რაღაც იდუმალი უძრაობით გათანგულიყო ყველაფერი.

ყინულის კედლებსა და წყალში არეკლილ მათ გამოსახულებათა შორის მხოლოდ ფრამის ყინული მიცურავდა.

მშვენიერი იყო ყოველივე ეს! მაგრამ უწყინარმა ფრამმა პოლარულ უდაბნოში მიკარგული ზღაპრული ოაზისი დატოვა როგორც მტრული სამყარო. იგი მხოლოდ და მხოლოდ თეთრი დათვი იყო, მაგრამ ადამიანზე გონივრულად იქცეოდა ხშირად. ეს არ აპატიეს დათვებმა, ეს ვერ გაუგო ზოგიერთმა ადამიანმაც.

ფრამმა გამჭვირვალე ტივზე თათები გაიწოდა და თავი ზედ დადო.

ბროლის კედლები თანდათან უკან რჩებოდა...

ნაწიკი ისევ ერთ ადგილზე იდგა გაშემშებულივით, ვერც გაქცევა მოეხერხებინა, ვერც ხმის ამოდება. ხელები შეატოკა მხოლოდ, თითქოს უნდოდა, გარკვეულიყო, მართლა გავიყინე თუ არაო, მერე მუჭით თვალეზი მოისრისა, ეგებ სიზმარიყო ყოველივე.

როცა ბოლოს ხმის ამოდება შეძლო, ფრამი უკვე გაშლილ ზღვაში გასულიყო, ყინულს იგი სხვა კუნძულისაკენ მიჰყავდა.

ნაწიკმა უფროსებს უამბო თავისი უჩვეულო თავგადასავალი, მაგრამ არავინ დაუჯერა და მთელ იმიერპოლარეთში საშინელი უსირცხვილო მატყუარა ბავშვის სახელი გაუვარდა.

ეპილოგი

ქარიშხალი უსტვენდა, თოვლის კორიანტელად დამდგარი გრიგალი კვნესით აწყდებოდა ყინულის კლდეებს თუ ტოროსებს და ღრიალით დანავარდობდა თეთრ უდაბნოში

ყველაფერი ერთმანეთში აირია, გაერთიანებულიყო ცა და დედამიწა, ყინული და წყალი.

ირგვლივ კორიანტელი იდგა.

ვერ იტყოდით, კიდევ თუ არსებობდა სადმე ნათელი ცა, ან მყუდრო სახლი და აგუზგუზებულ ბუხართან ცეცხლის ალს მიფიცხებული ბავშვები. ვერც სიცხისაგან შეწუხებულ ადამიანებს წარმოიდგენდით, ცხვირსახოცის ქნევით რომ ითქვამენ სულს.

გეგონებოდათ, ყველაფერი გამძვინვარებულ სტიქიას შთაენთქა და თოვლი გადაჰფარებოდა ზეწრად. თეთრ გრიგალს ერთიანად მოეცვა პოლარეთი და ნამქერს ღრიალით ერეკებოდა კუნძულსა თუ ყინულის ველის ერთი ბოლოდან მეორეში.

ორი ადამიანი ყინულის ტოროსისაკენ მიხობავდა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ იქ თავშესაფარს მიაგნებდნენ, მაგრამ თავშესაფარი მაცდური გამოდგა. ქარიშხალმა მათ თოვლი გადააფარა. ადამიანები ქარიშხალს უმკლავდებოდნენ, ცდილობდნენ, სული არ შეგუბებოდათ, მაგრამ საკმარისი იყო ნამქერიდან თავი წამოეყოთ, რომ თოვლის კორიანტელი სახეში სცემდათ და პირსა და თვალებს უვსებდა.

ყინულმა თანდათან შებოჭა ისინი.

— ეგონ, ხელები ხომ არ გაგეყინა?

— ჰო, ოტო, რამდენი ხანია ველარ ვგრძნობ ხელ-ფეხს.

ქარიშხლის ღრიალში ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ, იძულებული იყვნენ ეყვირათ. ასეთი ძალდატანება არაქათგამოცლილი ადამიანისათვის ტანჯვა იყო.

— ეგონ! ხელი ხელს შემოჰკარ, არ გაჩერდე. თითები ავარჯიშე, რომ სისხლმა იმოძრაოს, თორემ სისხლი თუ გაიყინა, მორჩა!

ეგონმა პასუხად დაიკვნესა.

ერთხანს ორივე სდუმდა.

გრიგალი თოვლს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა, ქარიშხალი ღრიალებდა და მეგობართა თავშესაფარ ყინულის ტოროსს გააფთრებით ეხეთქებოდა.

— ეგონ... გესმის, ეგონ? შინ ორი ბავშვი მელოდება, მარია მალე ორი წლისა გახდება. ორი კვირის შემდეგ... მას დაავიწყდება სიტყვა «მამა», გესმის, ეგონ? იგი დაივიწყებს სიტყვას «მამა...»

ეგონმა სცადა ეპასუხა, მაგრამ ქარიშხალმა პირი და თვალები თოვლით ამოუვსო.

თუმცა განა ღირდა ლაპარაკი? ანდა რა უნდა ეთქვა?

შინ მასაც პატარა ქალიშვილი ელოდება. შესაძლოა, ახლა ამ წუთში ღუმელთან თბება და მამაზე ფიქრობს: «რას აკეთებს ახლა მამაჩემიო», შეიძლება, ფორტეპიანოზე უკრავს... ის უკვე დიდია, შვიდისა გახდა. სკოლაშიც დადის, მისი ფოტოსურათი საათის სახურავქვეშ აქვს შენახული, მაგრამ რაღას არგებს ახლა ეს მოგონებები? ყველაფერი დაკარგულია! ისღა დარჩენია სიკვდილს ელოდოს, რაკი ხსნა შეუძლებელია და არც ელის არსაიდან.

ერთი კვირის წინათ უეცრად ფეხქვეშ ყინული ჩაუტყდათ, ამის შემდეგ მომხდარმა ამბავმა კი ეს მოახლოვებული სიკვდილი მოუტანათ: ყინული, თითქოს ბოროტმა სულებმა ბრძანესო, მოულოდნელად შუაზე გაიპო და ნარტები, ძაღლები, თოფები, ვაზნები, ბეწვის საძილე ტომრები და სურსათი ოკეანის მწვანე მორევმა

ჩაყლაპა... იმავე წამს ყინულჭრილი შეერთდა და მეგობრები თხელი ტანსაცმლის ამარა, უიარაღონი აღმოჩნდნენ ყინულის ველზე.

პირველად მათ შეშფოთებით შეხედეს ერთმანეთს, მერე სირვცესა და ცას მოავლეს თვალი; მხნეობა დაუბრუნდათ — ისინი არ ეკუთვნოდნენ იმათ რიცხვს, უბრძოლველად რომ ყრიან იარაღს.

— ნაპირამდე ორი დღე და ღამის სავალია, — თქვა ოტომ, — იქიდანაც ორი დღე და ღამე მოვდიოდით ჩვეულებრივი ნაბიჯით. თუ ახლავე გავუდგებით გზას და შეუსვენებლივ ვივლით, იმედია, ნაპირს მივალწევთ. ახალი თავგადასავლები მოგვემატება, შინ მოსაყოლი ამბავიც გვექნება. არ გახსოვს, ნანსენმა რამდენი გაჭირვება გადაიტანა, რა დავიდარაბაში არ გაეხვია, მაგრამ იმედი არასოდეს დაუკარგავს. ცა ნათელია. ორმოცდარვა საათიანი გასეირნება უსმელ-უჭმელად და შეუსვენებლივ, მე მგონი, შენც ჩემსავით ნაკლებად გაშინებს, ხომ მართალია, ეგონ? მე და შენ უარესი დღეები გადაგვიტანია.

ისინი გულითადი მეგობრები იყვნენ და თეთრ დათვებზე ნადირობას მისდევდნენ.

უკვე რამდენიმე წელი დადიოდნენ ერთად პოლარულ ყინულებში. სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდნენ. ყოველთვის ერთსა და იმავე პორტში ხვდებოდნენ ჩრდილოეთში გამგზავრების წინ, მერე ხუთ, ხან ექვს თვეს ცხოვრობდნენ პოლარეთში. თავგადასავლებმა, ხიფათებმა, საერთო სიხარულმა და წარმატებებმა ნამდვილ ძმებად აქცია. თევზსაჭერ გემს მეგობრები იმ კუნძულამდე მიჰყავდათ ხოლმე, სადაც თეთრი დათვები ცხოვრობდნენ. იქ მონადირეებმა ქოხი აიშენეს, რომელიც წლიდან წლამდე ხელუხლებელი ხვდებოდათ. ქოხში თბილი ბეწვის საწოლები და სანოვაგე ეგულებოდათ. ღამპა და წიგნებიც ჰქონდათ. აქვე მოეწყობოთ ტყავების საწყობი, გვერდით კი გალია ედგათ თეთრი დათვის ბელებისათვის.

გემი სანაპიროზე მათ პოლარული დღის დასაწყისში გადმოსვამდა ხოლმე, თვითონ კი გზას განაგრძობდა. იმავე გემს უკან მობრუნებისას შინ მიჰყავდა მეგობრები, თან მიჰქონდათ მათ მიერ დახოცილი თეთრი დათვის, თეთრი და შავი მელიების ტყავები. მიჰყავდათ აგრეთვე დათვის ბელებიც. ბელებს შემდეგ ზოოპარკები, სამხეცეები და ცირკები ყიდულობდნენ. კუნძულამდე ხანდახან მონადირეები ტურისტული რეისის გემებსაც მიჰყავდა, როგორც მაშინ, სტრუცკის ცირკის დავალებით ფრამი რომ წამოიყვანეს და უდაბურ კუნძულზე გადასვეს.

სარეწაო გემი კი ყოველი პოლარული შემოდგომის ბოლოს აუცილებლივ შემოივლიდა ხოლმე კუნძულზე და უცდიდა მათ, სანამ ქარიშხალი ამოვარდებოდა, ან ოკეანეს ყინულის ჯავშანი დაფარავდა. ამ წელიწადს მონადირეებს ჩვეულებრივზე უხვი ნანადირევი ჰქონდათ, საწყობი ბეწვეულით აევსოთ, გალიაში კი სამი თეთრი დათვის ბელი ჰყავდათ დამწყვდეული.

გემის მოსვლამდე ორი კვირალა დარჩენილიყო. დრო შეუმჩნეველად გადიოდა. მეგობრებს უკვე დაეწყობოთ გეგმები, როგორ გაატარებდნენ ექვს თვეს თავიანთ თბილ ქვეყანაში. ამ ზაფხულს იმიერპოლარეთში თან ჰქონდათ რადიომიმღები და ხშირად უსმენდნენ ხოლმე შორეული სამყაროს ხმას. ისმენდნენ კონცერტებს, გუნდურ სიმღერებს, ცნობებს სხვადასხვა დღესასწაულსა თუ მთავრობის შეცვლაზე. ყინვასა და ნარტებს შეჩვეული ციმბირული ძაღლები მამღრები, ბეწვდაბზინებულები და მხიარულები იყვნენ. თითქოს არაფერი ემუქრებოდა მონადირეთა კეთილდღეობას.

წარმატებით ნადირობის მერე ორივე ოცნებობდა თბილ ზღვაზე, რომლის სანაპიროებზე ფორთოხლის ხეები ჰყავდნენ და მწიფდება წვნიანი, ოქროსფერი

ნაყოფი. ორივეს ენატრებოდა სამშობლო, ბავშვები და ვარდის სურნელებით სავსე ბალები.

უფრო მეტად ეგონს შეჰყროდა მოუსვენრობა. ეჩვენებოდა, რომ ის და ოტო გაზარმაცდნენ და სიმსუქნეც შეეპარათ.

— მოდი, კუნძულის მეორე ნაპირს გავიდეთ, — უთხრა ეგონმა ამხანაგს, — მთელი ორი კვირა კიდევ უნდა ვისხდეთ უქმად. ცუდი არ იქნება, დაკვირვება და გამოკვლევა ვაწარმოოთ! სამეცნიერო საზოგადოება მადლობელი დაგვრჩება... ჩვენც აღარ ვიცხოვრებთ პენსიონერებივით...

— როგორც გინდა! — დაეთანხმა ოტო.

ისინი ყოველთვის უთქმელადაც უგებდნენ ერთმანეთს.

სამზადისს დიდხანს არ მოსდომებიათ. თეთრი დათვის ბელებს გალიაში ერთი კვირის სამყოფი საჭმელი დაუტოვეს, ნარტები სანოვავით, თოფებით, ვაზნებით დატვირთეს, ძაღლები შეაბეს და გზას გაუდგნენ. მოგზაურობა თითქოს მხიარული და სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. არაფერი ჩანდა სადავიდარაბო.

იმათი კუნძულის მახლობლად მეორე, უფრო პატარა კუნძული მოჩანდა.

მეგობრებმა ბინოკლით შორიდანვე შენიშნეს სანაპიროზე მოსეირნე ორი დათვი.

— ეს დათვები ჩვენი იქნება! — თქვა ეგონმა და მხიარულად მოიფშვნიტა ხელები.

— აბა, ბატონო თეთრო დათვებო, ტყავთან განსაშორებლად მოემზადეთ! — დააყოლა ოტომ, — ამ წუთში პატარა ტყვიებს გამოგიგზავნით და ყურთან შეიძლება მოგეფხანოთ.

კუნძულიდან კუნძულზე გადავიდნენ. ნადირობამ ჩინებულად ჩაიარა. ორმა გასროლამ ორივე დათვი წააქცია, ნარტა ტყავებით დატვირთეს. მეცნიერული ჩანაწერებით მთელი რვეული გაავსეს. არა, დრო ტყუილად სულაც არ დაუკარგავთ მეგობრებს!

უბედურება უკან დაბრუნებისას წამოეწიათ. ყინული გაიპო და პირდაღებულმა ყინულჭრილმა გადაყლაპა ძაღლებიც, სანოვავიანი ნარტებიც, ვაზნებიცა და თბილი ტყავებიც.

მეგობრები ძლიერი ხიფათითა და რისკით აღსავსე ცხოვრებისაგან ნაწრთობი ვაჟკაცები იყვნენ და თუმცა უნებლიეთ შედრკნენ, მაინც მაშინვე გადაწყვიტეს, შეუსვენებლივ ვიაროთ და ქოხამდე ორმოცდარვა საათში მაინც მივალწევთო. დიდხანს აღარც უფიქრიათ. დაუყოვნებლივ დაადგნენ გზას.

— კიდევ კარგი, ასანთი და ჩიბუხი გადამირჩა! — თქვა ეგონმა და გაცინებაც კი სცადა.

ეგონმა ჩიბუხს მოუკიდა. სტვენით მიდიოდნენ.

მეგობრები ყველაზე მეტად ძაღლების დაღუპვამ დაამწუხრა. პოლარული ცხოვრების პირობებს შეჩვეული ცხოველები მონადირეების ერთგული ამხანაგები იყვნენ. ამ ძაღლებთან ერთად არაერთხელ გადაეტანათ ხიფათი და ახლა მწარედ განიცდიდნენ მათ სიკვდილს.

ეგონმა სტვენა შეწყვიტა.

— ყველაზე ძალიან ციმბირა მენანება, — თქვა ხმადაბლა. — გახსოვს, როგორ გადამარჩინა ორი წლის წინათ? ნაიარევი ახლაც მეტყობა. თეთრმა დათვმა წამაქცია და მხარში ჩამაფრინდა. ციმბირა ყელში ებდღვნა. დათვი შემეშვა და ძაღლს მიუბრუნდა. მე წამოვხტი, თოფს ხელი დავავლე... ვესროლე, დათვი ყირაზე გადავიდა თოვლზე გაიშლართა...

ოტო არ უსმენდა, გაჩერებულიყო და შიშით მისჩერებოდა ცას.

ჩრდილოეთის ქარი უბერავდა, ჰორიზონტზე ტყვიისფერი ღრუბლები გროვდებოდა.

— ცუდადაა საქმე! — თქვა ოტომ და თავი გაიქნია.

ეგონი დუმდა. ორივემ ნაბიჯს აუჩქარა.

მაგრამ მონადირეებს ქარიშხალი წამოეწია. ერთი საათის შემდეგ ცასა და ყინულის საფარველს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდით. ისე ჩამოხნელდა, თვალში თითოს ვერ მიიტანდით. მეგობრები ბორძიკობდნენ, ეცემოდნენ, ისევ წამოდგებოდნენ თოვლის ქარბუქისაგან დაბრმავებულნი. ჩქარა მიხვდნენ, რომ წინ წასვლის მაგივრად, თურმე ერთ ადგილას ტრიალებდნენ, სხვა გზა არ იყო, ყინულის ტოროსს უნდა მოფარებოდნენ. ქარიშხალი მომძლავრდა... საათი საუკუნედ ეჩვენებოდათ... ყურებში კვლავ ქარი უსტვენდა და სახეშიც მსუსხავი თოვლის ტალღები სცემდათ. ხელ-ფეხი დაუბუჟდათ, მოძრაობა აღარ შეეძლოთ. ნელ-ნელა იყინებოდნენ. საშინელი სიკვდილი — ყინულის ხორგად გადაქცევა ელოდათ.

ბოლოს სტიქია დამოშმინდა. ქარი ჩადგა, ერთხელ კიდევ დაჰბერა, ცა გადიწმინდა, დასავლეთისაკენ გადახრილი მზე უცებ გაბრწყინდა.

მონადირეებმა დააყურადეს, თავები წამოსწიეს, წამოდგომა სცადეს, მაგრამ კუნთები აღარ დაემორჩილათ. თავები უძლურად დაუცვივდათ თოვლზე. შიმშილისაგან არაქათგამოცლილ, ნახევრად გაყინულ მეგობრებს ძალა აღარ ეყოთ, მიეტოვებინათ თოვლის სარეცელი...

— ჩემ გოგონას მარია ჰქვია... ის დაივიწყებს სიტყვას «მამა...» — აბოდებდა ოტოს.

მერე ლიბრგადაკრული, გადმოკარკლული თვალებით მოკრიალებულ ცას შეხედა.

ეგონი გვერდზე იწვა, ცას ვერ ხედავდა. მის თვალწინ გადაშლილიყო თოვლით დაფარული ყინულოვანი კუნძული, რომლის ბოლოში მათი ქოხი იდგა. იქ ეგულება ბეწვის საბნები, სურსათის მარაგი და რადიომიმღები, რომელიც ეთერიდან დღეის შემდეგ აღარავისთვის აღარ მოუხმობს შორეულ სამყაროს.

ეგონს ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა და ლოყებზე ეყინებოდა.

ანაზდეულად მის თვალწინ მოჩვენება აღიმართა.

მათკენ პირდაპირ თეთრი დათვი მოდიოდა, ოღონდ ოთხზე კი არ იდგა, როგორც ყველა დათვი. იგი ხტუნაობდა, კოტრიალობდა, ესალმებოდათ, ვალსს ცეკვავდა, ხან თითქოს პარადზეაო, მტკიცედ მოაბიჯებდა...

ეგონმა თვალები დახუჭა.

ჰალუცინაციები რაკი დამეწყო, ახლოსაა ალბათ აღსასრულიო, გაიფიქრა და ლოდინი დაუწყო შემზარავ სიკვდილს. — მოჩვენებების შემდეგ, იცოდა, სისხლი გაეყინებოდა გულში.

წამწამებიდან გადმოგორებული ცრემლები იქვე ყინულის ბურთებად იქცეოდნენ. ჩემი გოგონა... ვინ იცის, რა უდარდელად უკრავს ახლა ეტიუდებს ფორტეპიანოზე. შეიძლება, ფოტოსურათების ალბომსაც ათვალთქვინებ... ან კედელზე ჩამოკიდებულ ჩემს სურათს უყურებსო: «დედა, მართლა ჩამომიყვანს მამა თეთრ ბელს?... მითხარი, რატომ ტირიხარ?»

ეგონმა იგრძნო, იძირებოდა იმ ღრმა ძილში, რომლიდანაც აღარავინ გამორკვეულა...

უცებ ლოყაზე ცხელი სუნთქვა იგრძნო, სახეზე თბილი, ნესტიანი ცხვირი შეეხო.

დათვი უბიძგებდა, უკვირდა ადამიანის უძრაობა, ლოყებს, თვალებს, ცხვირს ულოკავდა, მერე უკან იხევდა, ერთხანს იცდიდა, ისევ ხელახლა მოჰყვებოდა ლოკვას. ვერასგზით ვერ მიმხვდარიყო, რატომ იწვა ასე უგრძობლად, რატომ დუმდა, რატომ არ იღვიძებდა და ხელებს რად არ ამოძრავებდა.

ვერაფერი გაეგო.

ადამიანების სუნი შორიდანვე იცნო. ალღომ, მხეცებთან შეხვედრისას ყოველთვის რომ ატყუებდა, ამჯერად შეუცდომლად აუწყა, აქ ადამიანები არიანო. ეს იგრძნო თუ არა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გამოიქცა, რომ სასურველ სტუმრებს გამასპინძლებოდა, მათთვის მეგობრობა დაემტკიცებინა. მოდიოდა მხიარული კოტრიალით, სალტო-მორტალეთი, მხედრულად ესალმებოდა, რითაც, მისი აზრით, უეჭველად დიდად ასიამოვნებდა ადამიანებს. ისინი კი ასეთ უცნაურ ყოფაში დაუხვდა.

ფრამმა ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია, თათი საფეთქელთან მიტანა და გაირინდა.

— ადამიანებო, რა დაგემართათ? თქვენი ვერა გამიგია რა!

ფრამმა იცნო ერთ-ერთი მათგანი. ეს ხომ ის მონადირეა, გემზე რომ გამომყვა, უკაცრიელ კუნძულზე თავისუფლად გამიშვა, თან იზრუნა და პირველი დღეებისათვის კლდის ნაპრაღში სანოვაგეც დამიტოვა, მაგრამ რა უნდა ექნა, ფრამს თუ სიხარულის გამოხატვა მარტო ჯამბაზური ნახტომებითა და კოტრიალით შეეძლო.

ეგონმა თვალი გაახილა და უკანასკნელი ძალა მოიკრიბა:

— ოტო, ეს ხომ ფრამია! გესმის? სტრუცკის ცირკის ფრამი!

— ჩემს გოგონას მარია ჰქვია... — აზოდებდა ოტოს, — ის აღარასოდეს დამიძახებს მამას, სამუდამოდ დაივიწყებს ამ სიტყვას...

ოტოს არაფერი ესმოდა. უაზროდ მისჩერებოდა ცას.

ადამიანებთან ურთიერთობაში განვითარებული დათვის გონებას მხოლოდ ახლავდა მისწვდა მომხდარი ამბის აზრი.

აღარ დააყოვნა, თათებით თოვლი ამოთხარა, მონადირეები გვერდი-გვერდ დააწვინა, თვითონ კი ზედ გადააწვა, რომ გაეთბო, ეს ახალგაზრდობაში მომთვინიერებლისაგან ისწავლა. მონადირეები ყოველგვარ მიწიერს ისე დაშორებულიყვნენ და იმდენად იყვნენ დაუძღვრებულნი, არც კი უცდიათ, გაეგოთ, რა ხდებოდა მათ თავს. თეთრი დათვი. ჰო, ის კარგა ხანი ცირკში გამოდიოდა, მაგრამ იმის მერე გაველურდა და ახლა რა სიკეთეს უნდა ელოდნენ მისგან?

ორივე მრავალი წლის განმავლობაში ხოცავდა თეთრ დათვებს. ჩანს, დათვების ჯერიც დადგა. უიარაღონი და არაქათგამოცლილნი ჩაუცვივდნენ ხელში. მაგრამ რატომ ახანებს, რატომ არ გაუპობთ ბასრი კბილებით თავის ქალას, არა სჯობია ჩქარა მორჩეს და ამ სატანჯველსაც დროზე მოეღოს ბოლო!..

— ჩემს გოგონას მარია ჰქვია... — ისევ აზოდებდა ოტოს, — ჩქარა ორი წლისა გახდება... იგი აღარასოდეს დამიძახებს «მამას», აღარასოდეს...

ეგონი კი ერთი და იგივეს იმეორებდა.

— ეს ფრამია... მშვენივრად მახსოვს ფრამის ნახტომები... რაღას უცდი, ფრამ... ბარემ გადაგვსანსლე... მოგვილე ბოლო! ტყუილად ნულა აყოვნებ. შეგვიბრალე, მორჩი!..

შემდეგ ბოდვა შეწყვიტეს და ზმანებებში გაეხვივნენ. უცნაური სიზმრები ნახეს. სიზმარში თითქოს გათბნენ. ეგებ ეს არის სიკვდილი? ამბობენ ასე კვდებიან, როცა იყინებიანო. — პირველად ხელფეხი გაგიშემდება, მერე ძარღვებში სისხლი

გაგეყინება. ადამიანს კი ჰგონია, გავთბიო. სახე, მკერდი და თვალებიც ერთიანად გაუხურდება.

სიზმარი თითქოს ერთ საუკუნეს გაგრძელდა... ბოლოს, როგორც იქნა, თვალები გაახილეს, მკერდზე დათვის თბილი ქურქი დასწოლოდათ, სცადეს, ხელ-ფეხი აემოძრაებინათ. ხელებიცა და ფეხებიც დაემორჩილათ.

— ეგონ!

— ოტო!

ეს მათი ხმები იყო. ორივემ გაიგონა და იცნო საკუთარი ხმა.

მაშ, ეს არ ყოფილა სიკვდილი, გაყინულთა ღრმა და უსასრულო სიზმარი.

ქურქი შეინძრა და თავისით წამოიძარათ. მათ თურმე ცოცხალი საბანი ათბობდა.

ფრამი ჯერ ოთხზე ადგა, მერე უკანა თათებზე წამოიძარათ და მეგობრებს ცერემონიულად მიესალმა.

მკვდრეთით აღმდგარმა მონადირეებმა იდაყვებზე წამოიწიეს, ჯერ ერთმანეთს შეხედეს, მერე დათვის მიაშტერდნენ.

— ჩიბუხი მომეცი, ოტო! თავი სიზმარში მგონია, იქნებ მაგან მაინც გამაგებინოს, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი!..

ეგონი სხეულს იჩქმეტდა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად ცოცხალი გადარჩა. ყველაფერი თითქოს რიგზე იყო. ხელ-ფეხი აამოძრავა. რაღაც უჩვეულო სიამოვნებით იტკაცუნებდა ხელის თითების სახსრებს. ცირკის დათვი კი კვლავ გაჯგიმული იდგა და თათი თავთან მიეტანა.

— ფრამია! ხომ გითხარი მაშინვე, ფრამია-მეთქი!..

ეგონი ფეხზე წამოხტა. დაბარბაცდა. ყინულის ტოროსს მიეყრდნო, მერე არეული ნაბიჯით გაემართა თავისი მხსნელისაკენ.

ენა აღარ ემორჩილებოდა, ვერ გამოეთქვა დაქანცული გონებით ნააზრევი!

— ის, რაც შენ გააკეთე, ფრამ!.. ის, რაც შენ გააკეთე, ფრამ!..

გაიმეორა რამდენჯერმე, მერე სახე დათვის თეთრ აბურძენულ ბალანში ჩარგო და ბავშვივით ატირდა.

ოტოც წამოდგა.

მონადირეები მკერდზე უმწეოდ ეტმასნებოდნენ დათვს....

ფრამმა თათით ფრთხილად მოიშორა ისინი... იგი მიჩვეული იყო ძლიერ, ამაყ ადამიანებს და ახლა უადგილოდ ეჩვენებოდა ცრემლის ღვრა. აქვე ახლოს ბუნაგში ნადავლი ეგულებოდა, დათვებს, ჩვეულებრივი ხერხებით, ჯამბაზური ნახტომებით თუ სალტო-მორტალეთი რომ ატოვებინებდა; მონადირეები იქით მიიპატიჟა.

— რა ვქნათ? — იკითხა ოტომ.

— მე მგონი, რაღაცას გვანიშნებს, — უთხრა ეგონმა, — სანამდღოს ვდებ, სადილად გვიწვევს... მე ეს სულაც არ გამიკვირდება!..

ეგონი მართალი გამოდგა.

სადილი ღარიბული იყო, სულ ერთი თავისაგან — ფრამის ყოველდღიური მენიუს, სელაპის ხორცისაგან შედგებოდა.

მონადირეები დანაყრდნენ. ძალ-ღონე მოემატათ. ისინი შემფოთებით მისჩერებოდნენ დასავლეთს, ჰორიზონტისაკენ დახრილ მზეს, ახლოვდებოდა პოლარული ღამე.

ეს იყო პოლარული ნავიგაციის ბოლო კვირა. უდაბურ ყინულოვან ოკეანეში ამ კვირას გემი უკანასკნელად გაავლებდა კვალს.

მონადირეები შიშმა შეიპყრო. რა უნდა ვქნათ სარეწაო გემი რომ მოვიდეს და აღარ მოგვიცადოსო?

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სელაპის გაყინული ხორცის თითო ნაჭერი გაიდეს მხრებზე და კუნძულის ბოლოსაკენ გაემურნენ.

— თეთრ დათვს მაინც არ გადავეყაროთ, თორემ უიარაღოებს ისე შეგვახრამუნებს, შენი მოწონებული.

ეგონმა ფრამზე მიუთითა, თავის ქნევით ოთხზე დამდგარი ძაღლივით რომ მიჰყვებოდა გვერდით.

— სანამ ეს თანამგზავრი გვახლავს, არაფრის არ უნდა გვეშინოდეს! დარწმუნებული ვარ, თავის თვისტომთან გამონახავს საერთო ენას, არა, ფრამ?

თავის სახელის გაგონებისთანავე ფრამი უკანა თათებზე წამოიმართა, სალდათივით მიესალმათ, თითქოს პასუხობდა — «მზად ვარ სამსახურისთვისო», მერე ისევ ოთხზე დადგა და გზა განაგრძო.

ლაპარაკი რომ შესძლებოდა, უეჭველად იტყოდა — ჩემს თვისტომებთან მოსარიგებლად მართლაც გამაჩნია სხვადასხვა ხერხი. ოღონდ გაცილებით უვნებელი, ვიდრე ტყვიაა, რომელსაც ადამიანები იყენებთო.

უკან დასაბრუნებლად ორმოცდარვის მაგიერ, სამოცი საათი დასჭირდათ, დაღლილობა აიძულებდათ, ხშირად შეჩერებულიყვნენ დასასვენებლად.

გემი ჯერ არ მოსულიყო. სამაგიეროდ მეგობრებს უცდიდა ქოხი, თბილი საბნები და რადიომიმღები. უცდიდათ აგრეთვე სამი დათვის ბელი, გალიაში შიმშილისაგან რომ წკმუტუნებდნენ.

ფრამმა რამდენჯერმე შემოუარა გალიას. იგი გაბრაზებული ბრდღვინავდა, ხან ადამიანებს შეხედავდა, ხან გალიის კარს, მერე ნელა გადასწია ურდული. ბელებს ვერ გაეხედნათ გამოსვლა. ფრამმა ქეჩოში კბილები ჩაავლო და სათითაოდ გამორეკა. უკანასკნელიც რომ გამოიყვანა, თითოეულს პანდური ამოკრა — წადით, მომორდით აქაურობას, თვენთვის ოთხივ კუთხივ გზა ხსნილიაო!

მონადირეები ჯიბეში ხელებჩაწყობილნი, ჩიბუხის წვეით მისჩერებოდნენ ამ ამბავს.

— სანადლეოს ვდებ, ამ დათვს ადამიანის ჭკუა აქვს! — თქვა ეგონმა, — ხედავ, როგორ გააღო კარი? თუმცა ეს სულაც არ გამკვირვებია, ცირკში ადამიანებისაგან ამის მეტი კი ისწავლა რამე?.. მე ის მაოცებს, თავის თანამომძიებების განთავისუფლება რანაირად მოისაზრა?

— ეს ამბავი რომ მოვყვით, დაგვცინებენ, არ დაგვიჯერებენ, მონადირის არაკებიაო. შენ რას იტყვი, ფრამ?

ფრამმა პასუხად რაღაც ჩაბურტყუნა. ლაპარაკი რომ შესძლებოდა, უეჭველად მოჰყვებოდა, ვიცნობ ერთ ესკიმოს ბიჭს, რომელსაც მონადირედ გახდომამდე დაუვარდა მატყუარას სახელიო. მან კიდევ რაღაც ჩაიბურტყუნა და ქოხს შეხედა, სადაც ჯადოსნური მომღერალი ყუთი იდგა.

— ფრამს უნდა, რადიო ჩავრთოთ, — გაეცინა ეგონს. ამისთანა მუსიკის მოყვარულს ჯერ არ შევხვედრივარ.

ეგონი ქოხში შევიდა და რადიომიმღები ჩართო.

შორეული თბილი ქვეყნებიდან ეთერის ტალღებს მელოდია მოჰქონდა. ფრამმა თავი წინგაწვდილ თათებზე დადო და თვალეზდახუჭული უსმენდა. მუსიკაზე უფრო მეტად აღელვებდა ამ მუსიკით აშლილი მოგონებანი.

მზის სხივებით გამთბარი შორეული ქალაქები, გაჩირადდნებული ქუჩები, პარკები და აყვავებული ბაღები, ბავშვები, რომლებიც კანფეტებით სავსე მუჭებს

უწოდებდნენ. პატარა ბიჭები ბეწვზე ხელის დაკარებას ძლივძლივობით რომ უბედავდნენ; ცხვირპაჭუა, ვარსკვლავთვალება ბიჭუნა ერთ-ერთ შორეულ ქალაქში გამოსამშვიდობებელ საღამოზე სულ «ბრავოს» რომ უძახდა.

სარეწაო გემი, როგორც იქნა, ჩამოდგა. ღუზა ღია ზღვაში ჩაუშვა და ტყავების წასაღებად ორი ნავი გამოგზავნა. ჩანდა, კაპიტანს ეჩქარებოდა. ფრამმა იცოდა, რაც ხდებოდა. თვალები დანალვლიანებოდა.

მეგობრები საგონებელში ჩაცვივნილიყვნენ.

— მეცოდება ამის აქ დატოვება! მასთან გაყრა ისე მიმძიმს, თითქოს ახლობელი მეგობარი იყოს, — თქვა ეგონმა.

— ეგ აქური ცხოვრებისათვის არის დაბადებული! — მიუგო ოტომ, — ასეთია მაგისი ხვედრი! არ გახსოვს? სტრუცკის ცირკმაც ხომ მაგიტომ გამოგვატანა, რომ სამშობლოზე დარდობდა?

მონადირეები ქოხში შებრუნდნენ, ხომ არაფერი გვაგწყდებაო.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ფრამი იქ აღარ დაუხვდათ. ხან აქეთ ეცნენ, ხან იქით, მაგრამ ამაოდ ეძებდნენ და ეძახდნენ.

— მწყინს, რომ ვეღარ დავემშვიდობებით... ნახე, წელან რა გაკვირვებით უყურებდნენ მეზღვაურები?

ეგონი მალლა კლდეზე აბობლდა. იქიდან კარგად მოჩანდა ირგვლივ ყველაფერი. ჩანდა ნაპირზე მდგომი ორი ნავიც.

— შეხედე ერთი! — ჩამოსძახა ამხანაგს, — ჩვენ აქ ვეძებთ, ფრამს კი ჩვენთვის დაუსწრია და ნავზე ასულა.

ფრამმა მართლაც არ მოუცადა მონადირეებს, თვითონ ავიდა ნავზე. იგი ნაპირისაკენ ზურგშექცევით იდგა. მეზღვაურები ამაოდ ცდილობდნენ ნაპირზე გადმოეყვანათ.

— მაშასადამე... — წამოიწყო ოტომ.

— მაშასადამე, თან უნდა წავიყვანოთ! — დაასრულა სათქმელი ეგონმა. — ასეთია ფრამის სურვილი. ლაპარაკი არ შეუძლია, თორემ ყველაფრიდან აშკარად ჩანს, რომ ასეა.

მონადირეები კლდოვან ნაპირს დაუყვნენ. მენიჩბებს ღია ზღვაში მდგომი გემისაკენ წასასვლელად ნიჩბები მოემარჯვებინათ.

ეგონმა დათვს ხელი ქეჩოზე დაადო:

— ძვირფასო ფრამ, ჩანს, საბოლოოდ უბრუნდები ჩვენს სამყაროს? გამოემშვიდობე ამ ყინულოვან მხარეს, თორემ, იცოდე, მეორედ აქ აღარ ჩამოგიყვან!..

თითქოს ეგონის სიტყვებს მიხვდაო, ფრამმა ნელა მოაბრუნა თავი და დიდხანს უცქერდა მშობლიურ მხარეს, რომელსაც სამუდამოდ სტოვებდა. მერე კი ისევ წინ, შორეულ ქვეყნისაკენ მიაპყრო მზერა, მარადიული ყინულებისა და მკაცრი ოკეანის ცივი წყლების იქით რომ ეგულებოდა.

— ნიჩბები ჩაუშვით! წავედით! — დაიძახა რომელიღაც მენიჩბემ.